

1522  
2010



# ლიტერატურა და ხელოვნება N9 9/2010

*მსაჯულთა*

შალვა მატუაშვილი

*თოების*

შერმადინე ქალღანი

*ჩინთ*

ქუჩის დღეები

*მუხიჯა*


ეკა კვალთაშვილი

*ბოთბა*


ვენო ჩხიკვაძე

*აღმათქუნა*

გიორგი კალანდია  
ვალერი სილოგავა



შალვა მატყაშვილი



# ლიტერატურა და ხელოვნება

ISSN 1512-3189

N9(57)

9/2010

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:  
**vaja otarashvili**  
Literature And Art



დამფუძნებელი,  
გამომცემელი და მთავარი  
რედაქტორი:

**ვაჟა ოთარაშვილი**

პასუხისმგებელი  
მდივანი:

დავით კახაბერი

რედაქტორი:

ვერიკო ზამთარაძე

დიზაინერები:

ლექსო ოთარაშვილი  
სალომე ფორჩხიძე

გარეკანის მხატვრობა:

შალვა მატუაშვილი

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი  
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;  
(+995 32) 31 70 47;  
(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი „ლიტერატურა და  
ხელოვნება“ გთავაზობთ  
რეკლამის განთავსებას  
ჟურნალის ფურცლებზე.  
დანვრილებითი ინფორმა-  
ციისათვის მოგვმართეთ:

მობ: 899 25 60 14;  
893 58 95 44;

## ს ა რ რ ე ე ე

### ქართული ლექსი

3. ვანო ჩხიკვაძე - მუშების ომი (ჰიმანი)  
26. შეხმადინ ქაღანი - ლექსები  
28. ნანი თახხნიშვილი - დაჯახედი ლომიღს ვეძებ  
35. თამაზ ღომიძე - ლექსები  
36. ნიკოლოზ დევაძე - ჩაც გინდათ დაახქვით  
40. გვანცა ჯობავა - ლექსები

### ფიზიკა

42. ნათია ჰაპიძე - ჰიმნა

### დრამატურგია

44. ნუგზახ ეხემიძე - el klasiko

### ალბომი

50. ვადეხი სილოგავა - დავით აღმაშენებლის ყიფვი  
ეთი უცნობი ავტოგრაფი  
53. გიორგი ჯაღანიანი - ტიგან ჰონენცის კაძიხის  
ქართული ნახეხები

### ისტორიოგრაფია

58. გუჩამ ყოხანაშვილი - ისტორიოგრაფია და  
ხელოვნება

### ხელოვნება

60. ვაჟა დავიანიძე - ლექსები

### ოქსი

62. მახიამ ჩუბინიძე - ჩემი ჯატის ზღაპარი  
63. ნიკა ნელეიძე - მიხიდე სიტყვა  
ჯატის ზღაპარი

### პოეზია

64. ნანა ცინცაძე - ევა ევანიშვილი

### წიგნი

66. იესა ღომსაძე - ეფუხი დღეების ტაგელი

### მხატვრობა

68. დავით ანდიაძე - სენი - საზოგადო მდების  
(მაცა მატუაშვილი)


# „როგორც უფალი, სამშობლო, ერთი ქვეყანაზედა“

რადიელ ერისთავი

საკონსულტაციო საბჭო:

ჭაბუა ამირეჯიბი, ბახანა ბრეგვაძე, მერაბ ბერძენიშვილი,  
მაყვალა გონაშვილი, ზურაბ ქაფიანიძე, თენგიზ უთმელიძე,  
გივი სინარულიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი,  
თამაზ ჩხენკელი, გოგი წერეთელი

ბამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ 2010 წლის ბამომცემები




მკითხველი მაღე მიიღებს უახლესი ქართული პროზის  
ანთოლოგიის ორტომეულს



წიგნების შეკენის მსურველები

დაგვიკავშირდით: 31 70 47;

899 25 60 14



# ვანო ჩხიკვაძე

## შაშახის ომი

რომანი

20

უბის წიგნაკიდან

3.02.94

„ოფიცოზი ლალადებს, თურმე, სამი თებერვალი, საქართველოს ისტორიაში გარდამტეხი დღე ყოფილა (თებერვალი ცუდად დაგვეკვება, 1921 წლის 25 თებერვალიც გარდამტეხი იყო, ოლონდ... ნელში „გარდამტეხი“) — ჩამობრძანდება რუსეთის პრეზიდენტი, არა როგორც თავის სამხრეთ გუბერნიაში, არამედ დამოუკიდებელ ქვეყანაში (ოპ, ეს კომუნისტები, ფარსის დიდოსტატები!).

მოკლედ, დიდი ბატონი გვენვია, როგორც თანასწორი თანასწორს.

კეთილი, ვითომ დავიჯერე, მოვწმინდოთ პირი აფხაზეთის გამო, ბატონ პრეზიდენტს — რაც იქ მოხდა, აბა, რა დემოკრატიული რუსეთის ბრალია.

ვაი, საბრალო საქართველოვ — ქუჩის ბიჭები, კოჭივით გათამაშებენ!

ამასწინათ, რადიოთი, ელცინთან დაახლოებული, როგორც ახლა ეძახიან, ქართველი

გაგრძელება. დასაწყ. № 6,7,8

პოლიტიკური ექსპერტის ინტერვიუ მოვისმინე: ცხრა აპრილის შემდეგ, თითქმის არალეგალურად ჩამოსულ დემოკრატ ელცინს, ეს ჩვენი თბილისელი მეგობარი მასპინძლობდა.

ინტერვიუდან ვიგრძენი, რომ სტუმარს, მთავრობის სახლის წინ, ცხრა აპრილის მსხვერპლთა პატივსაცემად, ექსპერტის შეძენილი გვირგვინი მიუტანია. იქ, მომავალ პრეზიდენტს მემორიალის ასაგებად დადგმული ყულაბა შეუნიშნავს, ფულის ჩაგდება გადაუწყვეტია და ჯიბეზე ხელი გაუკრავს — გაუხსნია გულის ჯიბიდან ამოღებული, კარგა მოზრდილი ნიანგის ტყავის საფულე და... ფაა-ფუ, შიგ ოც მანეთზე მეტი ვერ აღმოუჩენია...

რას იზამდა, შესწირა რაც ებადა!

თბილისელი მასპინძელი, მოსკოვში ყოფნისას, ახლა უკვე გაპრეზიდენტებულ ელცინს შინ მიუწვევია. გაუხსენებიათ ზემოთ აღწერილი სტუმრობა და პრეზიდენტს მეუღლისათვის უსაყვედურებია, თბილისში საფულე დაცარიელებული, ოცი მანეთის ანაბარა რომ გამიშვი, რატომ შემარცხვინე იმდენ ხალხშიო.

ცოლმა არ ვიცი რა უპასუხა (შეიძლება გაუკვირდა კიდეც, როდის იყო, მოსკოველ ჩინოვნიკებს თბილისში სახარჯო ფული მიჰქონდათ!), ექსპერტმა ამაზე აღარაფერი თქვა და არც არის საინტერესო, მთავარი სხვა რამეა: ჯერ კაცს, მერე ამხელა ქვეყნის მომავალ პრეზიდენტს, თბილისში, ოცი მანეთით რომ გამოგზავნიან...

ექსპერტის მონათხრობმა ის ოჯახები გამახსენა, სასამელში გაფლანგვის შიშით, ცოლები ხელფასის „კონფისკაციას“ რომ „უკეთებენ“ მარჩენალ მამებს.

რა ვიცი, რა სიკეთეს უნდა ველოდეთ, ამ კაცმა უნდა შეცვალოს რუსული, დამპყრობლური პოლიტიკა საქართველოს მიმართ?

ნეტარ არიან მორწმუნენი!

ასეა თუ ისე, ჩვენმა ქურქგამოცვლილმა ხელისუფლებამ, ხალხის კიდევ ერთხელ გასაბრიყვებლად, როგორც არ უნდა შეაკოხტავოს ვიზიტის არსი და მიზანი, მაინც დიდბატონი ჩამობრძანდა.

დანარჩენიც ვნახოთ!..“

21

ძველი რვეულიდან

„სასადილოდან გამოსულები სათვალთანმა შეგვაჩერა, ებრაელებზე ანეგლოტი მოგვიყვა — ეხლა მოვისმინეო.

თვითონ ჩვენზე მეტი იცინა.

— დანიელ ფრიდმანია, მთარგმნელი და დრამატურგი... ივან ანდრეევიჩი მცირე თეატრში სამხატვრო საბჭოს წევრია და ამიტომ გვეგლისება, — ხელკავი გამომდო ნინა ბორისოვნამ, — ხომ ეტყობა კიდეც, ებრაელია... თანაც ღრმად ჩაძირული... მაგათ გულზე არავინ ეხატებათ... თუ სჭირდები, გაგინებებიან... მე მგონი, მოსემ, ორმოცწლიანი ნეტიალით, მონობა კი არა, სამშობლოს სიყვარული დაავინწყათ, ამიტომ მოედვნენ მთელ მსოფლიოს და ყველგან ერთნაირად კარგად გრძნობენ თავს... ეპ, რა ვქნათ, რუსეთი ყველას უძღვებს...

— რა ძალა გადგათ, გაუშვით ყველა თავ-

27 406

თავის გზაზე და მოისვენეთ.

— აღარ მინდა პრობლემებს დავუბრუნდე... ამასობაში სტარკოვიც გამობრძანდა და ჩვენი გზებიც გაიყარა — ცოლი განუწყობებულ მანანალებთან ნაბაკუნდა, ქმარი — ფილმზე დასასწრებ ბილეთებს ავიღებო, კინოდარბაზის შესასვლელთან მაგიდაგამოდგმულ მოლარესაკენ ნავიდა, მე კი, რადგან შარშან აქ ნაგავ ყავას ადუღებდნენ და ამიტომ პრესის სახლში დავდიოდი, ახლაც იქ გადავწყვიტე წასვლა.

გრილა. ქურთუკის ჩასაცმელად ნომერში ავედი. ვიდრე კარს გამოვიკეტავდი, ტელეფონის ზარმა მიმბრუნა — გაგრიდან თემური რეკავდა, ძლივს დაგიჭირე, არ უნდა გამაგებინო, რომ უკვე ჩამოხვედიო.

აჰა, ხომ გაიგე-მეთქი.  
— არ გახვიდე ნომრიდან, მანქანით მოვდივარ.  
— დღეს არა, აკლიმატიზაცია მაინც მაცალე.

— მოგიკითხეს ჩვენებმა...  
— მეც მომიკითხე... როგორ არიან?  
— რა უშავთ, სხედან და ტელევიზორში ელცინის ლანძღვას უსმენენ.

— დისიდენტი ცეკას მდივანი...  
— არ გაიშვა ამათი დისიდენტობა, ჩვენ რომ გვანტერესებს, იმ საკითხში ყველა ჩვენი მონინალმდეგვა, მეტი რა ვიცი...

მართლაც იცის, გულდამწვარი პატრიოტია და, თუ ლაპარაკით ვერაფერს გახდება, მაშინ პირველთანრიგოსანი მოკრივის მუშტს ამუშავებს ხოლმე.

— ყბა როგორა გაქვს?  
— რა ვიცი, არა უშავს...  
— შრამი დაგეტყობოდა.  
— შრამს ვჩივი?  
— ვენაცვალე იმ ჯარისკაცს, ზედმეტად სიმპათიური იყავი და, მაგ ნაიარევით, ვაჟკაცს დაგამგვანა.

— აბა, ნეტავი მეორე ყბაც მიმეშვირა.  
— ეჰ, ისე მიდის საქმე, რომ, მგონი, მხოლოდ ყბას კი არა, თავსაც მიგვაშვერინებენ... მაშ, ხვალაო, შენ ამბობ...  
— ვამბობ!  
— არ გადათქვამ?  
— არა!  
— მიყვარს ეკონომიური საუბარი.  
— ნასადილევს დაგელოდები.  
— თუ ისადილებ მერე რალაში მჭირდები, უფრო ადრე...

— კარგი, კარგი, როგორც გინდა...  
კიბეზე ლიფტში დამგზავრებული ბავშვი შემხვდა, თეთრი, კოპლებიანი კაბა ეცვა, ნამდვილ პეპელას ჰგავდა. ხელი ჩამოვართვი, მოვიკითხე, ოლია როგორ ბრძანდები-მეთქი.

გაეხარდა, სახელი რომ მასსოვდა და მორცხვად გამომყვა გვერდით.

ისეთი ნაზი, სიფრიფანა თითები ჰქონდა, გული ამიჩუყდა.

ფოიეში ტელევიზორთან დაჯდა. უფროსებიც ბლომად იყვნენ — ვიდრე საინფორმაციო პროგრამაში, ქოსატყულია მიმომხილველები პირს აიქაფებენ, მანამდე ხრი-

უმას ოინბაზობით ერთობიან... რაც მართალია, მართალია, მომწონს ეს გულმისავალი ოინბაზი. ისე, ოინბაზი უძახე და ამ ბრიყვმა გოჭმაც კი იცის, რომ ტყულის თქმა არ უნდა იკადრო, მიუთმეტეს ცილისწამება...

„ეჰ, ხრიუშა, ხრიუშა, ნუთუ გაიზრდები და იმ „სქელშუბლებს“ დაემგვანები, ტელევიზორის ეკრანს რომ აქოთებენ და ამყრალბენ?“  
ასანთი მალლა დამრჩა.

მივიხედ-მოვიხედე.  
არავინ ენევა.  
პრესის სახლამდე მოვითმენ. სიგარეტი ისევ კოლოფში ჩავაბრუნე.

სანაპიროზე, ნავაზმევი დამსვენებლები, აქა-იქ იდგნენ. გაჰყურებდნენ აქაფებულ ტალღებს, მომზღვლეული, გადათოვილი მინის ბელტებივით რომ ასკდებოდნენ ჩამუქებულ დამბებს.

სწრაფად დამვებულ სალამოს, სანვიმარი ღრუბლები, კიდევ უფრო ჩქარა აღამებდნენ. დამბების მეორე მხარეს პრესის სახლის პლაჟი იწყება, მაგრამ ჩვენი სჯობია, ქვიშა უკეთესია, ყვითელი, ფხვიერი, მცხუნვარე.

ლელიანთან გავლისას კაცის ხიხინი და ქალის თავშეუკავებელი ტკარცალი მომესმა.  
— გეყოფა, მიშა, გეყოფა-მეთქი!

„ულიტინებენ თუ რა დაემართა, ამ შობელ-ძალლს,“ — ფეხს აფუჩქარე.  
ვიდრე ქვაფენილზე სველ, ქვიშააკრულ ფეხსაცმელს დავიფერთხავდი, ისინიც გამოვიდნენ.

კაცი, ორი თითით, ბოთლს მოაკონიალებდა.  
— თქვენა ხართ? ხომ არ მიირთმევთ? — მალლა ასწია მიშამ ბოთლი.  
— არა, არა ვსვამ... დიდი მადლობა.

— დღეს ჩამოხვედით, არა? — შემომაფრქვია არაყის სუნი.  
— დიახ...  
— ცუდია, რომ არ სვამთ, ვიფიქრე გავუმასპინძლდები-მეთქი.

— რა ვქნათ, ასეა...  
— ალბათ, არც ენევით... არც გირჩევთ, ჯანმრთელობისათვის საზიანოა... ასე არ არის, ნატამა? — აგურივით დაკუთხული სახე, ხელგადახვეულ ქალს ლოყაზე გაუნახუნა, — ჩემი ცოლია, ცუდი არაფერი იფიქრო, იცოდე!.. გისმენდი სტარკოვს რომ ეკამათებოდი... კარგია, ქეშმარიტება კამათში იბადება... რამე რომ იყოს ზღვაში შემოხვალ? თუნდაც ახლა, სანაძლეოზე... თუ გინდა ფორას მოგცემ... ერთ ბოთლ პორტვინად... ეს ისე, შეჯიბრს აზრი რომ მიეცეს... ზამთარში ამოტეხილ ყინულში ჩამხტარხარ?... რა თქმა უნდა, არა!.. ისე კი დიდი გული გაქვთ, რად გინდათ ამხელა გული ასე პატარებს?... არ ენევით, არ სვამთ, მაგრამ მაინც ავადმყოფობთ... ჰო, ეგრეა, ასტაფიევს ეგუთები არ ეშლებათ — „Ловля пещкарей в Грузии“... დაუფერეთ, ბოლოს და ბოლოს, დიდი რუსული პროზის მეტრია... რასპუტინიც... იმანაც გითხრათ ერთი-ორი საყურადღებო სიტყვა... ეგეც მეტრია... რუსული პროზის...  
— თქვენ რისი მეტრი ხართ? — დამემუშტა თითები.

ცოლმა ხელკავი გამოსდო, თვალებით



მთხოვა, ნუ აპყვებითო და შემოქმედებითი სახლისაკენ ნააბანცალა. გზიდან რომ გადაუხვიეს, ქვაზე დამსხვრეული შუშის ხმა მომესმა. ეტყობა მიძას ბოთლი გაუვარდა ან დაახეთქა.

თურმე, კბილი კბილს ისე დავაჭირე, ყბები მტკიოდა.

პრესის სახლის შესასვლელში მორიგე ბოლთას სცემდა.

მკითხა, სად მიდიხართო.

იქ-მეთქი, გავაქნიე თავი.

არ დაინტერესებულა სად იყო ეს „იქ“, ბოლთას ცემა განაგრძო. ეტყობა მხოლოდ ამ შეკითხვისათვის აძლევენ ხელფასს, ანდა იმდენს უხდიან, რამდენიც ამ შეკითხვისათვის იკმარებს.

ნახევრად ჩაბნელებულ ბარში ცოტა ხალხი იყო. ყავისა და თუთუნის სუნში ხრჩოლავდნენ სიგარეტის ნითელი წერტილები. მაღალი, შავგვრემანი გოგო, ცხელ ქვიშაში ყავის ყურიან მოსადულებლებს ოსტატურად უნაცვლებდა ადგილს.

მის წინ სატრიალო, ტყავგადაკრულ სკამზე ჩამოვჯექი.

— შეიძლება, ერთი ყავა ჩემთვის?

— შეიძლება! — გამომეპასუხა თავის აულებლად.

— გამარჯობა, ლონდა!

წარბის აწვეით გამომხედა, დამაკვირდა და დაეჭვებულმა მკითხა:

— ნუთუ შენ ხარ?.. ახლავე!.. ლერა, მოდი ყავას მოხედე! — დაუძახა მეორე ქალს, დახლზე გადაყუდებული ვიღაცას რომ ესაუბრებოდა.

ფარდით გამოყოფილ ნიშაში შევედით.

— აბა, კარვად დამენახვე! — ანთო მაგიდასთან მესამე კაცივით თავდახრილი ტორშერი, — შეცვლილი ხარ თუ მეჩვენება... ეს საიდან? — ყურადღებით დააკვირდა ტუჩის კიდეზე დაყოლებულ ნაჭრილობებს.

— იქიდან!

— იჩხუბე?.. ჭალარაც არ მახსოვს... ისე, გიხდება, — ლოყიდან საფეთქელისაკენ ააცურა თითები, — გამაგებინე, რა შეგემთხვა!

— მე არა, მთელ საქართველოს შეემთხვა... შენ როგორ ხარ, ძველებურად?

— მთლად ძველებურად არა, — დამანახვა მარჯვენა ხელის შუათითზე საქორწინო ბეჭედი, — რატომ გაქვს ეგეთი სახე, არ გაგეხარდა ბედს რომ ვენი? ხომ სულ მეუბნებოდი, უნდა გაგათხოვო!

ვერ გავიგე, გული რატომ დამწყდა.

— გილოცავ! — გადავიხარე და ლოყაზე ვაკოცე, — ვინ არის?

— რუსია, ინჟინერი, ჩემზეორი კლასით ნინი იყო. „რუსი?.. რუსთაველზე, ლონდა რომ ნიჩბებით დაეჩეხათ, რას იზამდა, შეუბერავდა თავისიანებს? თუ უყვარს, შეუბერავდა!“

— ყავას მოგიტან, — გასვლისას მომხედა, — სასმელსაც ხომ არ ინებებ?

მხრები ისე სანყლად ავიჩეჩე, ჩემი თავი შემებრალა.

ასანთიც მოაყოლე-მეთქი.

აუჰ, მაგრად გამიტყდა. უნდა გათხოვილიყო, მაშ რა უნდა ექნა, რატომ ან როდემდე

უნდა დამლოდებოდა, ანტარქტიდაში, ექსპედიციაში ვიყავი წასული თუ შორეულ წაოსნობაში, შპიცბერგენთან გაჩხირული... მაინც გამიტყდა... ხეირიანადაც არ მიკოცნია, სულ უხილავ ზღვარზე ვიდექით... თითქოს „საკურორტო ფლირტზე“ უფრო მნიშვნელოვანი გაჩნდა ჩვენს ურთიერთობაში და არ გვინდოდა დამსხვრეულიყო, დაუდევრობით, მყიფე ჭურჭელივით ხელიდან გაგვარდნოდა... სულ ასეთი მინდოდა ყოფილიყო, სხვებთან მკაცრი, ჩემთან თბილი, ალერსიანი.

ყავა, წვენი და, დანაკლულებული ბოთლით, კონიაკი მოიტანა.

— სომეხმა დამსვენებლებმა მაჩუქეს... ორი ჭიქა მოვაკელით, მეტი არა.

ბოთლს, იარლიყზე, არარატის მთა ეხატა. ვათვალეირე, მაგრამ ნოეს კიდობანი ვერ დავინახე, ალბათ, მეორე მხრიდან იყო მიმდგარი და არ ჩანდა.

— შენ არ დაბრძანდები?

— მაშ რას ვიზამ... შეიძლება სიგარეტი?

— დაიწყე?

— დრო არ იყო? კიდევაც დავაგვიანე... ფუჰ, რა საძაგლობაა, ამას როგორ ეწვევი, — ბარის უჯრიდან რამდენიმე კოლოფი „კენტი“ ამოიღო და დარდმანდულად წინ დამიწყო.

— არ მინდა, თავს ვანებებ!

— შარშანაც თავს ანებებდი... წაილე!

— არა!

— შენ ვინ გკითხავს, — წამოკრიფა და ერთი კოლოფის გარდა, ყველა ქურთუკის ჯიბეებში ჩამიწყო.

თითო ჭიქა დავლიეთ. თითები ისევ დამისვა ნაჭრილობებზე.

— გაუხმეს ხელი! — თქვა ქართულად, — რომ მოეკალი?.. რა საშინელებაა, მე იმ დროს აქ მშვიდად მეძინა...

— მეუღლის მკლავზე! — დავაზუსტე.

— ალბათ... თუკი მივთხოვდი, მეუღლეს მკლავებს ხომ არ დავაჭრიდი? — გაეცინა.

„კენტი“ მართლაც კარგია, რბილი, სასიამოვნო.

— ერთი ეს მითხარი, გარუსებულო აბესაძე, — მივუჭახუნე ჭიქა, — ამდენი წელიწადია გიცნობ და ქართული თუ იცოდი, ენას რად მამტვრევიანებდი...

— ჯერ მშობლების ბრალია, რუსული აღზრდა-განათლება მომცეს, მეორეც, ხომ იცი, აქაური სიტუაცია, მაინცდამაინც გულში არ ჩაჰქრით ჩვენი ქართული.

— რატომ, გიორგი შარვაშიძეზე უკეთესი აფხაზები არიან, ქართულს რომ აღმერთებდა?

— არ ვიცი... შენ ეგ მითხარი, როგორ მოხდა? — მანიშნა ჭრილობაზე.

— არ მიყვარს იმ ლამის გახსენება, თავიდან განვიცდი ყველაფერს... თუ მომინდება მე თვითონ მოგიყვები, კარგი?

— კარგი... შენს გადარჩენას გაუმარჯოს!

— გამთხოვებინარ და, რა ფასი აქვს ჩემს გადარჩენას.

— მეტს აღარ ვიზამ... ბოდიში! — აუტყდა სიცილი.

მართლაც კარგი კონიაკი იყო, ტყუილად არ

ამაყოფენ სომხები, ყელში რბილად ჩადიოდა, სასიამოვნო სიმსუბუქით გავსებდა.

მეორე დილა კიდევ უფრო უფმური გათენდა. ელავდა, ქუხდა, ზღვას რაღაცნაირი, ღია სპილენძისფერი ცა დამხოზოდა, თითქოს რომაელთა ჯარის ფარ-შუბი ჩხრიალებდა.

ალბათ, ასეთ ამინდში თქვა გნეუს პომეუსმა, ზღვაში გასვლა აუცილებელია, სიცოცხლე კი არ არის აუცილებელი და, პირველი ავიდა ტალღებზე აყალყულ ხომალდზე.

„გვიყვარს სხვათა სიმამაცისა და მოხდენილი ფრაზების გამეორება, მაგრამ საქმე-საქმეზე როცა მიდგება, ჩვენ მერამდენე კაცად ავალთ „ხომალდზე“, ან ავალთ კი საერთოდ?..“

თოლიები ძალიან დაბლა დაფრინავდნენ, ცერად წამოსულები, როგორც თავგადახოტრილ ბიჭებს, ტალღებს კეფაში ფრთას წამოარტყამდნენ და გულისგამანვრილებელი ჩხავილით მალა აიჭრებოდნენ ხოლმე.

მიშა ზღვიდან გამოვიდა, გამოვიდა კი არა, თითქოს ტალღამ იმშობიარა, ჩემს წინ გადმოხტა და აბაზანებულმა წინ ჩამირბინა, ლაქაში მიიმალა.

მალე ჩაცმულმა, მხარზე პირსახოცგადაგდეულმა ხელი ამინია და თავი დამნაშავე ღიმილით დამიხარა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ გუშინდელი წყენა უნდა დამევიწყებინა.

მეც დავივინყე.

შემთხვევით მე ხომ არავინ გამახსენდება — ამ მეხთატეხაში მოჩვენებასავით არ გამომეცხადა რამაზ ჟორჟოლიანი?

— ფუი ეშმაკს! — მოვიფშვნიტე თვალები, — საიდან, ვეჟო?

— შენ საიდან?

— მე — იქიდან! — ვანიშნე შემოქმედებით სახლზე.

— მეც — იქიდან!

რამაზმა, უნივერსიტეტის შემდეგ, სარეჟისორო დაამთავრა, სცენარებსაც წერს, მსახიობობაც ეხერხება და სპექტაკლის დადგმას რალა უნდა. ტელევიზიაში მოღვაწეობს — ამას წინათ, გაზეთ „კომუნისტი“, ტელესპექტაკლი რომ ათრიეს, სწორედ რამაზის ნამოღვაწარი იყო, მაგრამ მაინცდამაინც გულთან არ მიუტანია, თუ არ გაგაკრიტიკეს, ისე პოპულარული ვერ გახდებოდა, ამ დევიზით ცხოვრობს და, გახდა კიდევ — დრამატურგების სემინარზე მოუწვევიათ.

სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ რამაზი ამთავრებს სემინარებს და ხვალ საღამოს ან ზეგ დილით მიდის, მე კი დღეიდან ვინყებ „აქტიურ“ დასვენებას.

— ვაჰ, კაცო, თვალს მაინც ვერ ვუჯერებ... ახლა ბატონი ტრიფონიც რომ შემხვდეს თავისი ხელჩანთით, არ გამიკვირდება.

— ღმერთმა აცხონოს!.. გახსოვს რა გვიყო? — სიცილით ხელი ხელზე დამკრა.

— აბა!

— ახალ წელს ლამის უნივერსიტეტში არ შეგვახვედრა?

— დღეს ტრიფონის სადღეგრძელო უნდა დავლიოთ.

— სადილობამდე სემინარი გვაქვს და მერე მიმსახურე, როგორც გენებოს! — თავმოდრეკილი, ხელის მოხდენილი მოძრაობით, ფიანდაზად გაიმალა.

რამაზი, ტანსაცმელი უნდა გამოვიცვალოვო, თავის ნომერში ავიდა, მე კი სეირნობა გავაგრძელე.

კორტებზე უკვე თამაშობდნენ. ეშურებოდნენ, ვიდრე წვიმა დაიწყებოდა. ბადეს გადავლებული, კურდღლის კუდივით ფაფუკი ბურთი მუცლიან კაცს განდაგან დაარბენინებდა.

შორტებიანი მოკლედ თმაშეჭრილი გოგო, ნაჭრის სამაჯურით დაცვარულ შუბლს იმშრალებდა და მონინალმდევის ნახევარს, შორეულ კუთხეებში ბომბავდა.

მალაღ, ლამაზ ფეხებზე განსაკუთრებულად შევნიდა თეთრი „ბოტასი“.

— გვეყოფა, აღარ შემიძლია! — ხელები აუწია კაცმა, პატარა გუბებში დასველებულ ბურთს ზანტად დასწვდა, დაიქნია, წუნები გააყრევინა.

ფოიეში, სასადილოსაკენ მიმავალს, ებრაელი დამემგზავრა და აბრამზე და სარაზე, გუშინდელი ანეკდოტი ხელმეორედ არ მომიყვა?

შევხედე, ხომ არ მაშაყირებს ეს დანიელაურია-მეთქი.

იმას იქით გაუკვირდა, რატომ არ გაგეცინა, იუმორის გრძნობა გლალატობთ თუ ანეკდოტი არ მოგეწონათო.

თქვენ მესხიერება გლალატობთ, თორემ მაგ ანეკდოტზე, გუშინ საღამოს ხომ უკვე ვიცინე-მეთქი.

ბოდიში, ბოდიში, ესეც ანეკდოტიაო, აუცრემლდა გამხიარულებული თვალები.

სასადილოში ყველას ერთნაირი, გაცრეცილი ფერი ედო.

სივრცე ყვითელი ქვიშის მტვერით იყო სავსე. შუშის კედელი ამღვრეულ აკვარიუმს დაემსგავსა და ჩვენ ამ აკვარიუმში დეპორტირებული, ციანოზით დაავადებული უცხოპლანეტელებივით ველოდებოდით, მაგიდებს შორის როდის ჩამოიხრივინებდა ოთხთვალა და, ჩვენსავით ნაცრისფერი ოფიციანტი, როდის დაგვირიგებდა ნაცრისფერ საქმელებს.

ვერ ვიგებდი რამ დაგვამგვანა ასე ერთმანეთს, სად გაქრა ხმები, სიტყვები, საუბრის მოლოდინით კმაყოფილი გადაძახილები, ნაირნაირი მიმიკები, მოძრაობა, სიცილი, ოხუნჯობა... დაყრუვდა, შესქელდა სასადილოს ჰაერი... ამ სიბლანტეში მხოლოდ დამსვენებელთა ასავსავებული პირი და კოვზიანი ხელები ჩანდა, თეფშებიდან, როგორც წყალში გათქვეფილ ქვიშისა და ცემენტის ნარევეს, ისე რომ ეზიდებოდნენ საქმელს, ისხამდნენ ხორხში და კუჭში აბეტონებდნენ. სახეზე არავის არ ეტყობოდა ჭამით მიღებული სიამოვნება, ეს იყო საყურებლადაც მძიმე პროცესი, იძულება, ვალის მოხდა, ოღონდ ვერ გაიგებდი, ვის წინაშე...

აკვარიუმი თრთოდა, ზედაპირზე ხმაურით სკდებოდნენ ჰაერის ბუშტები, მაგრამ ჩვენ აღარაფერი არ გვესმოდა, თეფშებში თავჩარგულები სულაც არ ვაპირებდით გარეთ აქნაველებული კატებისათვის რაიმეს დატოვებას...

ზღვის თავზე რომაელთა ლეგიონი განათ-  
და, ცამ მჭახე ხმით იქუსა და დაკლანილი ელვა  
ამოღებული კბილის ნერვივით დაეკიდა.

დაიშალა ბაბილონის გოდოლი, დაუბრუნდ-  
ნენ სასადილოს დაკარგული ხმები, ერთმანეთ-  
ში აირია სიცილი, თეფშებისა და კოვზების ჩხ-  
არჩხური, დაინმინდა ჰაერი და, რაც მთავარ-  
ია, ყველა სახიდან გადაინმინდა ნაცრისფერი.  
პირველი, რაც თვალში მომხვდა, მეისრის ალა-  
მივით წითელი მიშას პროფილი იყო.

საუზმეს ვამთავრებდა, ნინა ბორისოვნამ  
ახალშემოსული გოგო რომ გამაცნო.

— ესეც, ნელი!.. რას იტყვით, ხომ მართლაც  
მშვენიერია? — მოხვია წელზე ხელი, თან ისე  
მომაჩერდა, თითქოს გოგოს ფილმის რეჟისორს  
ანონებდა.

— ნამდვილად მშვენიერია... მამიდას ჰგავს!

— გუშინდელი შეცდომა გინდათ გამოას-  
ნოროთ?.. ეჰ, ცხრამეტი წლისას მართლაც არა  
მიშავდა, მაგრამ მერე...

— მერეც კარგი იყავი და ჩემთვის ახლაც  
შეუდარებელი ხარ, — ოფლიანი საულვაშე  
მოინმინდა სტარკოვმა, — ვერ გავიგე, მარტო  
მე მცხელა თუ თქვენც ჩემს დღეში ხართ?

— გარემოში ყველა აბუზულია და, როგორ  
გცხელა... ეტყობა კლიმაქსი დაგენყო!.. თან,  
რომ იცოდე, კაცებში როგორ მძიმე ფორმებში  
მიდის... — ვითომ დანანებით შემოირტყა ლოყ-  
აზე ხელი.

მიშამ ყური მოჰკრა ნინა ბორისოვნას ნათქ-  
ვამს და სასწრაფოდ ებრაელს პასივით ჩაანოდა.

მალე, დარბაზის შორეულ კუთხეში ვილაც  
წამოყელყელავდა, რომელია მანდეთ კლიმაქ-  
სიანი, ჩვენც დაგვენახოსო.

იმ ვილაცას სხვებიც აჰყვენენ.

თქვენს მაგივრად მე დავენახვები-მეთქი,  
შევთავაზე ამ აჟიოტაჟით გულმოსულ „სქელ-  
შუბლას.“

ნელიმ ჩაის თავი ანება, საზურგეს მიყრდ-  
ნობილს, სიცილისაგან თეთრ სვიტერში ამო-  
ბურცული მკერდი აუთრთოლდა.

— მადლობა ღმერთს, რაკი შენ გამხია-  
რულდი! — პირჯვარი გადაინერა მამიდამ.

— მხიარულება ადამიანის თვისებააო, ამას სერ-  
ვანტესი ამბობს, — გული მოიბრუნა სტარკოვმა.

გოგომ ორივეს, დიდი მადლობაო, თავი  
დაუქნია და მე მომხედა:

— თქვენც ხომ არაფერს მეტყოდით,  
მირჩევდით ან ჭკუას დამარიგებდით?

— უეჭველად... ასაკიან მამაკაცს როდესაც  
ჩოგბურთს ეთამაშები, უნდა დაინდო, თორემ  
შეიძლება კისერი მოატეხინო.

— შენიშვნას გავითვალისწინებ და თქვენ-  
თან ეგრე მოვიქცევი.

— მე რომ ჩოგბურთს არ ვთამაშობ?

— მამ ჯერ გასწავლით, მერე კი დაგინდობთ...

როგორც შევთანხმდით, მე და რამაზი,  
თემურს შემოქმედებითი სახლის ჭიშკართან  
დავხვდით.

გაგრისაკენ მიმავლებს, გზაში მოტო-  
ციკლიანი აფხაზი ინსპექტორი დაგვენია,  
გვერდით გამოჰყვა თემურის „მოსკვიჩს“. მოი-

კითხეს ერთმანეთი. მერე ინსპექტორი შეეხ-  
ვენა, დაარღვიე ნესრიგი, გადადი ლერძულა  
ხაზზე, რომ დაგაჯარიმოვო.

ამან ცერა და საჩვენებელი თითებით მომ-  
რგვალელებული „ნოლი“ დაანახვა.

სიცილ-ხარხარით დაშორდნენ ერთმანეთს.  
მილიციელია, მაგრამ კარგი ბიჭია. ამათ  
რუსები რომ არ აგიჟებდნენ, ერთმანეთში  
მოვრიგდებოდითო.

მაინც უნდა მოვრიგდეთ, ჩვენ და აფხაზები  
ვართ მხოლოდ ამ ქვეყნის კანონიერი ბატონ-  
პატრონებიო, — დაასკვნა ბოლოს.

თემურს ცეცხლი და ემოციები არასოდეს  
აკლდა, მაგრამ ცხრა აპრილის შემდეგ განსა-  
კუთრებულად არის აღგზნებული. სუფრას-  
თან, ორი ჭიქის მერე, მთლად აბრიალდა — მე,  
რამაზს, მშობლებსა და ორ გაგრელ მეგობარს,  
„მინი-მიტინგი“ ჩავგიტარა.

— რუსი არ იზამს, არ გავგეშვებს მაინც  
და აირევა ქვეყანა, — ჩაილაპარაკა მამამისმა,  
ცნობილმა, დამსახურებულმა მეტყევემ.

— ეგრე აღარ არის, მამაჩემო, იმპერიების  
დრო ისტორიას ჩაბარდა... აბა, ლელთ-ლუნისა  
ოცენების ახდენას გაუმარჯოს!

რა თქმა უნდა, სადღეგრძელო განსხვავე-  
ბული სასმისით გეახელით და, ივან ანდრეევი-  
ჩის ჯინაზე ალისფერ, კრიალა სითხეში თავი  
ნებაყოფილობით ჩავიხრჩვეთ.

მთელი წვიმა იმ ღამეს ჩამოიცალა, გაავსო  
ქვეყანა და ცა მოკრიალდა. თავგაბრუნებულს,  
სხივი რომ მომადგა, ჯერ სიზმარი მეგონა, მერე  
ერთი ფილმის გმირვით ამომხდა, დაილოცა,  
ღმერთო, შენი სამართალი-მეთქი.

მამ არ გავიხარებდი? ზღვაზე წვიმა ხომ  
ჯოჯოხეთია.

გამოკეთდა ამინდი, შეთბა წყალი, გამოშრა  
სველი სანაპიროს ქვიშა, აბრჭყვიალდა მზეზე  
ფერადი ნამცეცები და დამბებთან, ჟანგით  
შეჭმული ლითონის ბოძების ძირში, ლოდებზე  
ჩამოსხდნენ ტივტივებს მიჩერებული, თვალ-  
მოჭუტული მეთევზეები.

გაივსო პლაჟი ჩვენი სახლის მობინადრეე-  
ბით. ცდუნებას ყველაზე თავგამოდებულმა  
„კოდალებმა“ კი ვერ გაუძლეს.

პრესისა და შემოქმედებით სახლებს შო-  
რის, სანაპიროსთან, პატარა პავილიონია, „მოძ-  
რავი“ მაგიდებით, სკამებით და საჩრდილობე-  
ლი „სოკობით.“ ყავის სურნელის მფრქვეველ  
დანესებულებას, მებუფეტე და ოფიციალტი ემ-  
სახურება.

ჩართული მაცივარი ხმამაღლა ზრიალებს,  
ამიტომ, გუშინდელი ქეიფით გაბრუნებულები,  
პავილიონიდან მოშორებით „სოკოს“ ვართ შე-  
ფარებული. მე, უბის ნიგნაკში კალამს ვაცოდ-  
ვილებ, ნახევრად ზურგმექცეული, სკამზე ჩა-  
ცურებული რამაზი ჟურნალს ჩაჰყურებს და  
მხოლოდ გადაშლილი ფურცლის შრიალზე ვხ-  
ვდები, რომ არ სძინავს.

როგორც იქნა შუადღის სიცხეში ჩათვლე-  
მილი ტალღები შეირხნენ, ამოდრავდნენ. სანა-  
პიროზე გავლებულმა სველმა, აცაბაცა ზოლმა,  
თანდათან ჩვენსკენ გადმოინაცვლა. პლაჟის

სამხრეთით, ზღვაში შეჭრილ დამბებთან, თო-  
ლიები აყეფდნენ, აირივინენ.

ქარმა ნიგნაკი გადაფურცლა.

კალამი დავდე და ჰორიზონტს გავხედე.

მორს, აქანავებულ ნავზე, ვილაც ძლივს  
იცავს წონასწორობას. მართალია, მანძილის  
გამო, სახის ნაკვეთებს და ჩაცმულობას გარკვე-  
ვით ვერ ვხედავ, მაგრამ ვიცი, რომ გამხ-  
დარი, დაძარღვული მოხუცია, მეზღვაურული,  
გახუნებული მაისურიდან თეთრი ბალანი ამო-  
სწვერვია. მზეზე გაფიცებულ თევზის ნაჭრს  
უგემურად ლეჭავს და ლოყებზე ამოყრილი  
კუნთები უთრთის...

— აუჰ, რამდენი სიმდიდრეა ზღვებისა და  
ოკეანეების ფსკერზე, — მაგიდაზე დააგდო  
რუსული, ფერადგარეკანიანი ჟურნალი რამაზ-  
მა, — იმ დროში, ამხელა ქონებას, მოზრდილი  
აბაზანის ხელა გემებს როგორ ანდობდნენ...

— მაგ ჟურნალში, სტალინის გინების გარ-  
და, თუ სხვა რამეზეც წერდნენ, არ მეგონა, —  
მოვნწყვიტე ნავს თვლი.

— წერენ, თორემ არ მოსჭამონ... ფეხები, —  
დაყოლა პაუზის შემდეგ, — ის ხომ კარგი იყო,  
ვანია ოდერში რომ აჭყუმპალავა! — გაიმეორა  
ერთი ჩემი რუსი მეგობრის სიტყვები.

გავჩუმდით. მაცოცხლებელ ნიავს გავუტ-  
ვრინდით. თვალმოხუჭული მივეყრდენი სკამის  
მაღალ საზურგეს.

ქუთუთოებზე აპრიალდა ანითლებული  
დასავლეთი. ცეცხლის კედელი საზღვრავს ზღ-  
ვის დასასრულს და, ამ გრანდიოზული დეკორა-  
ციის ფონზე, ირწევა პატარა ნავი. ნავის ფსკერ-  
ზე ჩაჩოქილი მოხუცებული გადატყავებულ ხე-  
ლისგულებს დაჰყურებს, დანრეტილი ძარღვე-  
ბიდან ძუნწად მოწვეთავს სისხლი და ცხელი  
ქარი მაშინვე აშრობს.

— ერთი საგანძური მაინც რომ ამოგვალე-  
ბინა...

— არ გეზარება იმ გაუგებრობაში ფხოჭი-  
ალი, პირდაპირ შვეიცარიის ბანკის მოხსნა  
მაინც ინატრე.

— ეგეც შეიძლება, მაგრამ რათა, ძმაო, ის  
რატომ უნდა დაიკარგოს, შეჭამოს წყალმა და  
მარილმა, აწყენს კაცობრიობას?

— როდის აქეთია, რაც ალტრუისტი გახდი.

— მაგას უფრო გასაგებად და ქართულად  
ვერ გამოთქვამ?

— სიამოვნებით...

— არ არის საჭირო... უცხო სიტყვებით  
კეკლუტობა მხოლოდ შენ არ გჭირს, ბევრი ჩვე-  
ნი მწერლის სენია და რაც მალე გადაეჩვევით,  
მით უკეთესი თქვენთვის და თქვენი უკვდავი  
ქმნილებებისათვის, — თვალთ მანიშნა მაგიდ-  
აზე დადებულ ნიგნაკზე, — რაც შემეხება მე,  
არ გახსოვს, თორემ, ყოველთვის ალტრუისტი  
ვიყავი.

— მაშინაც, სტუდენტური კაპიკებით ნაყიდ  
ღვინის მერიქიფობას მაინცდამაინც შენ რომ  
დაიჩემებდი ხოლმე, რათა საკუთარ ჭიქაში  
უფრო მეტი დაგესხა?

— ერთი ამას უყურეთ! — ემწარა და ბუ-  
ზანკალნაკუნევივით წამოხტა, — არა, მაგას გუ-  
ლით ამბობ?

— გულით...

— აბა, დაიცვი!

— ვფიცავ...

— დიდი მადლობა! — მკერდზე მიიდო  
ხელი და თავი დამიკრა, — ამდენი ხნის მერე,  
მაინცდამაინც დამპალ სემინარებზე უნდა  
წამოვსულიყავი, რომ გამეგო, ვისთან ვმეგო-  
ბრობ?.. მადლობა, ღმერთო, გონება რომ გამი-  
ნათე, რათა ამოვიგდო თვალი იგი, რომელიც  
მატყუებდა! — მუხლის კვერებზე დაცემულმა  
შეჰვალადა გამჩენს.

— მორჩი, ხალხი ნუ გადარიე... ნავს ხედავ?  
წამოდა, მუხლები ჩაიფერთხა და თვალე-  
ბზე ხელი მოიჩრდილა.

— უნდა ვხედავდე? აბა, საით?

— პირდაპირ და მარცხნივ.

— გასაგებია, პირდაპირ და მარცხნივ, —  
უკმაყოფილო სახით მხრები შეჰყარა, — არა,  
ძმაო, წამდვილად თვალთ დამაკლდა... შენ ხე-  
დავ?

— რა თქმა უნდა... მოხუცი ნავზე გამობ-  
მულ თევზს მოაცურებს.

ახლა ორივე ხელი მოიჩრდილა.

— წამდვილად მაგიუებ... ნავი და მოხუცი  
კი არა, ნივრის ფორი, — ხელი ჩაიქნია და ისევ  
სკამზე ჩამოჯდა, — მოკლედ, ამიყვანეთ შენ  
და ლადომ — ისიც ისეთ რამეს გეტყვის, ჭკუაზე  
გადაგიყვანს... არა, ვირიშვილი ვიყო, ლადო  
წამდვილად ქლიავია... მგელი აკბარა მაგარია,  
არა? ეგრე არ არის, ძმაო. ამ ჩვენს სემინარ-  
ზეც რამდენს ჰგონია, მე ვარ და ჩემი ნაბადიო...  
ნახე რა ქნა? მაგ მგლის როლს სიამოვნებით  
ვითამაშებდი, თუკი დაიდგებოდა, რა თქმა  
უნდა...

— ლადომ რაო? — ლადო ჩვენი საერთო  
ძმაცაცია.

— რაო და, პრემიერას ტაში და ყვავილები  
უხდებარ... ტაში კიდევ შეიძლება, გულს რა-  
დაცნაირად ფხოჭნის, აი, ყვავილი... ქალებს,  
მიართვით, მე თავი დამანებეთ... პრემიერაზე  
კი არა, როცა მოგკვდები, მაშინაც საფლავზე  
ვინმემ რომ მომიტანოს, ამოვძახებ, გაგიჟდი,  
შეჩემა, აბა, ესლავე უკან გაიკვებე და აქედან  
გაა... მოიტა, რა, ნახევარი ლიტრა ხრაკიანი  
არაყი, შენდობა მითხარი და გადაჰკა... მე, რა  
ხეირში ვიქნები, ეგეც შენ არ უნდა დალიო?..  
მობრძანდით, ქალბატონო სალომე, — მაგი-  
დიდან ალებული ჟურნალი სკამზე გადაჰკრა,  
ვითომ მტვრიანი იყო და მოახლოებულ ქალს  
დაჯდომა შესთავაზა, — ნუხელის გვიანობამ-  
დე სინათლე გენტოთ, არ იცავთ დასასვენებე-  
ლი სახლის განანეს...

— ჰო, ვერ გამოვიძინე, სემინარზე მთვ-  
ლემდა, ლამის თავი ჩამოვარტყი მაგიდას, სა-  
მაგიეროდ, მოსალოცად მაქვს საქმე, პიესას  
მოვრჩი, გავედი ბოლოში, — თითები შემუშუ-  
ბულ თვლებში ამოისვა.

— გილოცავთ, ქალბატონო სალომე, იმე-  
დია მაგ პიესაში საჩემო როლიც მოიძებნება.

— რა თქმა უნდა, ჩემო რამაზ, თუ ერთ ღერ  
სიგარეტს დამალევენებ.

— ინებეთ! — კოლოფს ძირზე თითი ამო-  
არტყა და ღერი ამოაძვრინა, — ესეც პრომ-

ეთეს ცეცხლი... იმ დალოცვილს, ჩვენი უხსოვარი წინაპრებისათვის რომ არ ჩამოეტანა, რა გვეშველებოდა, სიგარეტს რას მოვუკიდებდით, — ტკაცუნით ჩააქრო სანთებელა.

ქალმა გააფულია, სიგარეტის ფილტრს ზედ შერჩა სქლად წასმული, პომადიანი ტუჩების ანაბეჭდი.

— ხახუნით გავაჩენდით, — ჩავილაპარაკე მოგვიანებით.

— ბავშვებს? — თავი გამოიდებილა რამაზმა.

— ოჰ, რა გიჟი ხარ, რამაზ! — გადაიკისკისა ქალმა.

— მაპატიეთ, ქალბატონო სალომე... თქვენს მოსვლამდეც, მე და ჩემი მეგობარი ვსაუბრობდით და, თქვენ რას იტყვით, მაგარი მასტია, არა, ეს ჩვენი აითმათოვი?... მაგის მგელზე ვვიყვები... რამდენჯერმე დამესიზმრა კიდეც — ნარბენი, ენაგადმოგდებულ მოვიდა, თითქოს ბალანის სუნსაც კი ვგრძნობდი... მოვიდა, მაგრამ რა ვუთხრა, რით ვანუგეშო... ცუდია, საშინელებაა, ბავშვი რომ მოიტაცა, მაგრამ რა ექნა, კონკრეტულ პიროვნებაზე კი არა, მთელ დამპალ კაცობრიობაზე იცია შური...

— საინტერესოა, ძალიან საინტერესო, — მაგიდის კიდეს დაყრდნობილ სალომეს პომადიან “მარლბოროს” ფერფლი ჩამოვარდა.

— მოდი, ეგ ყველაფერი, სემინარისათვის შემოინახე და ყავა შეუკვეთე, — არ გავიზიარე მათი აღტაცება.

— რა უნდა ჩემგან, ქალბატონო სალომე, მართლა ცუდად ვლაპარაკობ?

— კარგი, რა, ბოლოს და ბოლოს ის რამაზი არა ხარ, სტუდენტობისას რომ...

— აღარ გაიმეორო, თორემ, იცოდე, მართლა მენწყინება... ცილისნამება და ასეთი?

— არ შეიძლება, მეც გავიგო? — დაინტერესდა ქალი.

— თუ ნებას დამრთავს, სიამოვნებით მოგყვები, — გადახედე რამაზს.

— შეგრცხვეს მაინც... ბოლო-ბოლო, ის მაინც მითხარი, რაც ჩვენ ერთად გვიქეფია, ერთმანეთს რომ დავამატოთ, სულ რამდენი ბოთლი მექნება “მოტეხილი”?

შეეყოყმანდი.

— რა ვიცი, იქ ხომ სხვებიც იყვნენ ხოლმე, იმათაც უნდა დავეკითხო.

— არა, შენ წილად რამდენი მმართველს?

— დაახლოებით, — თითებზე დავინწყე თვლა, — სულ ცოტა, ათ ბოთლამდე მაინც...

— არ გებრალბით, ქალბატონო სალომე, — აუვარდა სიცილი, — რა ნამუსის კაცთან ვმეგობრობდი, თხუთმეტი წლის შემდეგ რომ აღმოვაჩინე?

რამაზმა ერთხანს ზღვისკენ იყურა და მხრებაჩეჩილმა მომხედა.

— კიდეც იქ არის?

— მამ... აგერ, თევზს კეტი ხეთქა თავში...

— ჰოო, არა? — საათს დახედა, — ნუ შეშინდებით, ქალბატონო სალომე, ასე ემართება ხოლმე და გაუვლის.

— რა ქალბატონო აგიტყდა, უბრალოდ, სალომე-თქო.

— კეთილი, ვიღებ შენიშვნას, იყოს უბრალოდ სალომე, — თავდახრილმა შეტყუებული ხელები ნიკაპთან მიიტანა, მერე ფარდულთან მივიდა, ყავა გამოგვიგზავნა და დაგვიძახა, წავედი და მალე გეახლებითო.

— ყავა მომიღებს ბოლოს, — სალომემ ოფიციალურ ფინჯანი ჩამოართვა, თან დამთმობი ხმით დააყოლა, — ცოტა ხნის შემდეგ ერთიც მომიტანეთ...

მზემ კიდეც უფრო დაინია. სახედამეჭილი მოხუცებული ზედ ემბლემასავით მიეხატა.

ტალღამ ზურგით აქნეული ნავი ლამის პირდაღმა დაამხო.

— ჩამოვედი და აღარ დამხვდა ჩემი დაიკო მაგნოლია, — მომესმა სალომეს ხმა, — აგერ იქით, ლაქაში რომ მთავრდება, პრესის სახლის შესასვლელთან იდგა... მოუჭრიათ, ვის რას უშლიდა, ნეტავ?... როცა იმ ადგილას გავივლი, ისევ იგრძნობა მისი შარშანდელი ყვავილების სუნი — თითქოს საღამოს სპექტაკლზე მიმავალმა მსახიობმა ქალმა ჩაიარა, ყურების ბიბილოებით ჩაატარა სუნამოს სურნელი და გააბრუა იქაურობა...

“ვაიმე!.. აი, პოეტური აგონიის პიკი, რომლის იქითაც სიგიჟის დაღმართები იწყება.”

— ნავს ვერც თქვენ ხედავთ? — შევანყვეტინე უცებ.

— ნავს? — დაბნეულმა მომხედა, მერე მზერა ფართე, ცისფერ ეკრანს მიაცცეცა, ზედ დაცურებული მენამულისფერი შუბები ზღვის მზინვარე ხერხემალს რომ დაეგრძენენ, — რალაც, თითქოს... არა, ნამდვილად ვერ ვხედავ! — შენუხებულმა მკერდზე დაყრილი სიგარეტის ფერფლი ჩამოიფერთხა და ბიუსტჰალტერში კვერცხებივით ჩამთხვლეული ძუძუები შეირხნენ.

— სემინარზე ახალი პიესა უნდა წაიკითხოთ?

— ვნახოთ, თუ დანარჩენების სურვილიც იქნება... ისე, ვწეროთ და ვიკითხოთ, ჩვენს რეჟისორებს ქართული დრამატურგიისაკენ თვალი მაინცდამაინც არ გაურბით.

— მით უარესი მაგათთვის.

— და ქართული დრამატურგიისათვის... “თუ ვერავინ ხედავს, მე რამ გადამრია...” — ვაქციე ზღვას ზურგი.

მაგიდაზე, მუყაოს ყუთით, რალაც მძიმედ დადგეს.

— საიდან? — შევხედე ოფიციალს.

— იმათ გამოგზავნეს.

ფარდულთან რამაზი და ორიც სხვა იდგა.

რამაზი ყურებამდე იკრიჭებოდა.

— რამდენი ბოთლია?

ოფიციალტმა ყუთს ჩახედა.

— ათი!

— მამ, შეუძლიათ თვითონაც მოვიდნენ!

მზე ჩაინთქა, ჩაიყლაპა ვებერთელა აუზის მდუმარებაში.

შებნელდა.

ჩვენს თავზემთ ნათურა ქანაობდა.

მალე ზღვა საერთოდ წაიშალა და უსასრულო სიმავედ იქცა. მხოლოდ სანაპიროს გას-

წერივ განელილი წყლის დგაფუნი ჩაგვესმოდა.

სანაპიროზე მოხუცი მეთევზე მოდიოდა. ვიცოდი, რომ მეთევზეს სანტიაგო ერქვა და მისი ნაფი, დამბების სიახლოვეს, ყურეში იყო რკინის პალოზე გამობმული.

მოხუცს მხარზე აფრადახვეული ანძა გაედო, დალილი მუხლები ნასაქცევად ედრიკებოდა, დამსკდარი ხელისგულები სტკიოდა, მაჯები სტეხდნენ, მაგრამ მაინც ყოჩაღად მოაბიჯებდა... მოდიოდა თედოზე ხელდაბჯენილი და ცდილობდა უკან არ მიეხედა, სადაც გადაბრუნებული ნავივით დამხობილიყო ბოლოაშვერილი თევზის ჩონჩხი — მტაცებელი ზვიგენებისგან გაძიძენილ, გალოკილ ხერხემლიანი ჩონჩხის მალეზს მოქცევისას ავსებდნენ და ატივტივებდნენ ტალღები.

ის მოგვიახლოვდა, ცოტაც და გვერდით გაგვივლიდა, როგორც სცენიდან ჩამოსული მსახიობი, თვალეში ცრემლებაბრჭყვიარულს მზეზე დაშაშრული ყვრიმალები ციცარის დაჭორფლილი კვერცხებივით რომ ამოზიდვოდა.

— გამარჯობა, მოხუცო! — ჩავილაპარაკე და მისთვის განკუთვნილი სავსე ჭიქა მაგიდის კიდესთან მივატურე...

რამაზი თბილისში ადრინანდ წავიდა.

მაგარი მასტია, მთვრალსაც მეგელ აკბარზე აბოდებდა. კიდევ კარგი სასმელი გაგვითავდა, თორემ ოთხზე დამდგარი ყმუილს დაინყებდა და შეიძლება დავეჭამეთ კედეც.

მოკლედ, გადავრჩით.

ნელიმ ძველი პარტნიორი, პრესის სახლში ოჯახით ჩამოსული მამის მეგობარი თითქმის დაივინყა და, დილა-სალამოს, კორტებზე, ახლა მხოლოდ მე მავარჯიშებს. მართალია პირობა დაივინყა და სიქას მაცლის, მაგრამ მეც ალლო ავულე — ბადესთან თამაში არ უყვარს. თუკი გამიმართლა და ბადეს არ გავარტყი, აჭრილ ბურთს ჩაგუხვევ ხოლმე და, ისეთ დღეში ვარდება, ლამის ჩოგანი დაკბინოს.

ყოველი ასეთი, ჩემთვის გამართლებული დარტყმის შემდეგ ვეუბნები, თუ ნაგების ფასი არ იცი, ისე გამარჯვების გემოს ვერ გაიგებ-მეთქი და თვითონაც, შორეული, ორი თეთრი ხაზის გადაკვეთის კუთხეში რომ დაარჭობს ბურთს, ნიშნის მოგებით ილიმება, აბა, ისწავლეთ ნაგების ფასიო.

სასაუზმოდ რომ მივდივართ, ჩვენი მაგიდის წევრები, გამომეტყველებაზე და მადაზე ხვდებიან, რომელმა გავუგეთ გამარჯვებას გემო.

თემური თუ ვერ მოდის, დარეკავს მაინც, მომიკითხავს.

კვირასაც მესტუმრა — გავაღე კარი და შემოვიდა მკერდზე ახუტებული პარკებით. სანერ მაგიდაზე ამოალაგა ღვინის ბოთლები, ხილი, ხაჭაპური, თხელ, ჭრაჭუნა ქალაღში გადახვეული მოხარშული დედალი, სულგუნი, თევზი...

ტყემალი და აჯიკა რა იქნაო, ხან ხორაგს გადახედა, ხან დაცლილ პარკებს. მერე, გაეცი-

ნა, მე და რამე დამავინყდესო, თეთრი ტილოს გაფარფარებული შარვლის ჯიბეზე დაირტყა ხელი და ბოთლით ტყემალი და ცელოფანში შეხვეული აჯიკა ამოიღო.

— ა, სულ ეს არის... კიდევ, სასადილოში, სოჩის სოსისი დავუტოვე, აქედან როცა დავურეკავთ, მაშინვე ჩაყრიან და მოგვართმევენ, — შუბლზე მომსკდარი ხვითქი გადაინმინდა და სანოლზე გადაწვა.

— ასეა, ძმაო, სოჩის სოსისი გინდა და რუსი — არა...

— ვინ გითხრა, არ მინდაო, — ისე წამოხტა თითქოს უკანალზე უჩხვლიტესო, — მინდა, მაგრამ იქით, იქით, თავისთან დაეტიოს, — ხელის ნებით მისნია, კავკასიონს „გადააცილა“ რუსეთი, — მერე დადგეთ და ვიმეზობლოთ, მივიდეთ, მოვიდეთ... როგორ, ანდორას, ლიხტენშტეინს, სან-მარინოს, ლუქსემბურგს...

— ალბანეთს...

— გიშველა ღმერთმა, ალბანეთს... ახლა იქით, აფრიკასა და ოკეანეაში ნახე პუჭურა სახელმწიფოები, თავისუფლები რომ არიან, დავიჯერო საქართველოზე მეტი დამსახურება აქვთ კაცობრიობის წინაშე? არ გვეკუთვნის დამოუკიდებლობა? რა შეეცოდეთ ასეთი, მითხარი! — ყელგამონეული ისე შემეხვეწა, თითქოს საქართველოს თავისუფლების დამტკიცებულ-დამონმებული საბუთი ჯიბეში მედო და არ ვაძლევდი, — რაც შეეხება რუსულ სოსისს... მე ზეთისხილიც ძალიან მიყვარს და ამის გამო დავუთმო კოლხეთი ბერძნებს?..

— პური დავაგინყდა?

— არა, კაცო, მანქანაშია, ამოვიტან... მოდი, ცოტა ხნით მაინც, პოლიტიკას თავი დავანებოთ...

— მე დანებებული მაქვს, შენ არ ეშვები...

— მეც მოვეშვები, ოღონდ, ვიცი გეხერხება და, ამ პურ-მარისს ცოტა სუფრის ფორმა და შინაარსი მიეცი... ხომ იცი ქათმის დაჭრა, აგერ დანა და აგერ შენ! — საკეცი ჯაყვა ტკაცუნით გახსნა, — მე ნავალ, პურს ამოვიტან, ღვინო დარჩა კიდევ, იმასაც გამოვიყოლებ და... თუ არ გენყინება, ქალბატონი მინდა მოვიყვანო, ხომ გახსოვს, შარშან, პლაჟზე რომ დავემეგობრდით... რაღაც შეკრებაზეა ჩამოსული, დასვენებით, რა თქმა უნდა...

— გეკადრება, ქალი სუფრის მშვენებაა!

— მაშ, ორივე გეახლებით! — მხარზე დამკრა ჯანიანი ტორი.

— „Пусть подругу возмет...“

— მაგის შესხენება მინდა?

წამში გაქრა ოთახიდან.

სუფრაც გავანყე და ქათამიც იოლად ავქენი, მაგრამ პურიან და ბოთლებით დატვირთული თემური მარტო დაბრუნდა, მეშვიდე სართულზე, სადაც ნითელი კუთხე და ბიბლიოთეკაა, ჩემს ქალბატონს ლექცია აქვსო.

— დაველოდოთ.

— საათნახევარი გაშლილ სუფრას ვუყუროთ?

— ჩავიდეთ ზღვაში, გავგრილდეთ, განვიბანოთ მოსალოდნელი ცოდვებისაგან და დროც გავა... მთავარია, სოსისი არ მოხარშონ.

— ხომ გითხარი, ჩემს ზარს ელოდებიან-მეთქი.

ვიდრე პირსახოცს და საბანაო ტრუსს ავიღებდი, კარზე მოაკაკუნეს.

თემურიმ გაალო და მისი ალტაცებული ხმაც მომესმა:

— დედა! კარიხომარ შეგეშალა, გენაცვალე, ნამდვილად ზაალი გნებავთ?

— შემოუშვი, ვინ არის, ბიჭო!

— ეს ანგელოზი, შენისთანა ნამხდარ მექალთანესთან, როგორ შემოგუშვა.

გავიხედე, წელია.

— გესმის, რა მითხრა? — მეუბნება თემური ქართულად, — ძია ზაალი მინდაო... რა, ამ მამაძაღლის ძია ხარ!..

წელი შემოვიპატივე.

იუარა, ავტობუსი ექსკურსიაზე მიდის და ხომ არ წამოხვიდოდითო.

მე გაშლილი სუფრა დავანახვე, შენც თუ დარჩები, ცუდი არ იქნება-მეთქი.

ჩვენები მელოდებიან, თუ დროზე მოვედით, გესტუმრებითო.

თემური მიყურებს, მიყურებს და თავს აკანტურებს:

— არ არის შენი საშველი... არც ჩემი, რა თქმა უნდა.

— მერე, ამათ გარეკვას რომ აპირებ, შეიძლება?

— კარგი მეზობლისათვის კარი ვის მიუკეტია. ეს ამხელა ზღვისპირეთი მარტო ჩემთვის კი არ მინდა... გაიტანოს ბაზები, გაიყვანოს თავისი ჯარი, მომასწროს იმ დღეს, ფსოუზე და დარიალთან, ჩემი მესაზღვრე იდგეს და მერე მომკლან თუ უნდათ, — ჩაიმჯილა მკერდი.

ჩავედით პლაჟზე.

ებრაელი და მიშა, საჩრდილობელქვეშ, კარტს თამაშობდნენ, ექსკურსიაზე არც ესენი წასულიყვნენ. იქვე შეზლონგზე წამომჯდარი ნატაშა შრებოდა. თემური ნაცნობებს შეხვდა და ჩამომრჩა, საუბარში გაერთო.

ვუყურებ ნატაშას და ვფიქრობ:

„ქალს მოქნილი და ღონიერი წელი აქვს, შეუვალი, მკვრივი თეძოები... ამას მუცელი არ მოეშლება, რამდენჯერაც გაანოყივრებ, იმდენს დაყრის ღონიერ, ირიბთვალეზა, პატარა სქელშუბლებს. ლამაზ სახეს ერთგვარად ატლანქებს მონღოლური ყვრიმალეები... ნეტავ რომელი მომთაბარის, მოდგმის გამოძახილია, სად შეურია თავისი ველური სისხლი ამის მკერდსავეს წინაპარს, ცხვრის დუმით გაპოხილმა აჯილდამ? იქნებ სწორედ ქმრის წინ ჩაბუნა, აკალთავეებული კაბა წამოხადა და თეთრი სვეტებივით აპლაკულ ფეხებს შორის, აზიიდან მოყოლილი მხურვალეზა შეუნთო... შეუნთო და დარბილდა გაკაპასებული, პირგამეხებული ქალი, აბრეშუმით მოეშვა, მოითენთა, ოფლითა და დაუბანობით გაზინზლულ „ბუღას“ ხერხემალზე მოფერებით დააყოლა თითები...“

მაისური და შარვალი საჩრდილობელთან ახლოს დავაწყე.

— როგორც მახსოვს, სასმელს არ ეტანებით, არა? — კარტს თვალი მოსწყვიტა

მიშამ, — ცუდია, ცუდი...

ისევ წასვამია.

ფხიზელი ბოდიშობს, მთვრალი ბოლმას ვერ ერევა.

ნატაშამ მოგვხედა. შემობრუნებულმა მოკეცილი ფეხები შეზლონგზე შემოაწყო და მზეს ახლა ზურგი მიუშვირა.

— მოკლედ, თამაშის გაგებაში არა ხარ! — მიშას მკერდზე კარტი მიაყარა დანიელმა, — შევიდეთ?

— შევიდეთ! — წამობარბაცდა მიშა.

გამხდარი ებრაელი ხიწვივით შეერჭო მოკცეულ ტალღას, მიშა კი მკლავებგაშლილი ჩაეხეთქა, მოხვია ხელი წყალს, თითქოს უნდოდა ვეებერთელა ზღვის აუზი მიესაკუთრებინა, ჩაეყლაპა.

ნატაშამ მომხედა.

— რატომ არ ცურავთ?

— თუ ცოტა არ გავთბი, ისე არ შემიძლია.

— იმას შეუძლია, ყოველგვარ ამინდში, წასვამსაც... — მანიშნა წყალზე მოტივტივე ქმარზე, ოღონდ ირონიით თუ სერიოზულად, ვეღარ გავიგე.

ლაქაშში რალაც გატკაცუნდა.

— მიშას გამოსვლამდე მოვასწრებთ! — ქვიშიანი კარტი დაფერეთხე.

ქალმა მომხედა. უცებ გაღვიძებულმა ავხორცმა ძუკნამ, დედაკაცის ტურის კიდიდან გამოყო ბრჭყალი და მკერდზე დამისვა:

— რას მოვასწრებთ?

— კარტის თამაშს, — დავაზუსტე პაუზის შემდეგ.

მკერდზე ჩამოშლილი თმა სიცილით უკან გადაიყარა.

თემური ისეა ჩართული, მგონი დავავიწყდი კიდევც.

ორი პარტია უცებ წავაგე.

— ხომ გითხარით, მოვასწრებთ-მეთქი, — შევხედე ძუნძულით მომავალ მიშას.

— სუსტი ყოფილხართ! — ქალმა ქვიშააკრული ბარძაყები ჩამოიფერთხა და ქმარს პირსახოცი მხრებზე მოასხა.

მიშამ ძუძუსთავი მოჩქმიტა.

ნატაშას შეკვივლება ტალღის დგაფუნმა ჩაყლაპა.

წყალმა ქვაზე დანთხეული ქაფი ალოკა და უკან გაცურდა.

თემურიმ დაამთავრა „გამოსვლა“.

— ვინ არის ეს ქალბატონი? — დახედა ჯერ კიდევ მზემოუკიდებელ, შეზლონგზე თეთრად დაღვრილ ნატაშას.

— ვიდრე მაგას გეტყოდე, ცნობისათვის, აი, ის ბეხლენი, ლაქაშთან რომ დგას, ამის ქმარია.

— ეგ რაში მაინტერესებს... მე ქმრებთან არ დავდივარ, — დამკრა მხარზე ხელი და წყლისაკენ გავიქეცი.

ტალღები უფრო ნაპირთან ბობოქრობდნენ, შიგნით დამშვიდებული ზღვა გულაღმა იწვა და თანაბრად სუნთქავდა.

მეგონა, ჩვენ კი არ ვშორდებოდით, უსწორმასწოროდ შემოჭმულ ნაპირს დამსვენებლები ენეოდნენ უკან, მიათრევდნენ და პირდაღებული ზღვა მიწას ჩასაკებჩად მისდევდა. პატა-

რავდებოდნენ ადამიანები, ანონილი, თავნამხ-  
მარი ლაქაში, ხეები, კორპუსები, თანდათან  
ყველაფერი ერთ, მთლიან, ჭრელ მასად გარ-  
დაიქმნებოდა, კარგავდა თავის ინდივიდუ-  
ალობას, ხასიათს, სახეს, გარეგნობას... ვი-  
ცოდი, ჩვენც ამ მთლიანი, მასშტაბური უსახუ-  
რობის ნაწილი ვიყავით და წითელ-ყვითელი  
„ბალიშებით“ მონიშნულ ამკრძალავ ზოლთან  
მიახლოების შემდეგ უკან უნდა დავბრუნე-  
ბოდით, მოგვეძებნა, ამოგვევსო მიწაზე ჩვენი  
კუთვნილი ნაჩვრეტები, რომელიც ვეებრთე-  
ლა, გაღვივებული ცომიდან პატარა გუნდების  
ამოღების მერე რჩება.

თუ ამ მანძილიდან, ან უფრო შორიდან  
დავუწყებთ ყურებას, მაშინ ვერც ერების,  
ტომების, ქვეყნების განუმეორებლობას დავი-  
ნახავთ, ვერც იმ სილამაზეს, კულტურისა და  
ზნე-ჩვეულებათა მრავალფეროვნებას შევნიშ-  
ნავთ, რასაც ფარშავანგის კუდის სიჭრელზე  
უფრო ურიცხვი ფერადოვნება ქმნის... მაშინ,  
აღბათ, ადამიანებს, სახელებიც აღარ დას-  
ჭირდებათ, არც ენების გრამატიკულ საფუძე-  
ლებზე, წარმოშობაზე, მეტყველების ინდივიდ-  
უალიზმზე დაფიქრება, თავისმტკრევა... გული  
თუ გვეტკინება, კოლექტიურად გვეტკინება,  
თუ გაგვეხარდება, ისიც კოლექტიურად... ყვე-  
ლას ერთი ბგერა გვერქმევა, თითოეულს კი ამ  
ბგერის ინტონაცია გამოგვარჩევს...

მაშველების კატერმა სულ ახლოს  
ჩაგვიქროლა. რუპორიანმა ბიჭმა რალაც გად-  
მოგვძახა, აღბათ, უკან დაბრუნდითო. ცერად  
აჭრილი წყალი, ჰაერში პალმის ფოთლებივით  
შეცახცახდა.

კატერი უკვე შორს იყო, თემურიმ რომ დამ-  
იძახა, ნახე, მგონი ვილაც იხრჩობაო.

სწრაფად მოვეუსვით.

ჩვენს ახლოს უმწეოდ გასავსავებული ხე-  
ლები მეც დავინახე.

სახით პირქვე ჩამხობილ კაცთან მივცუ-  
რეთ. როცა ამოვებრუნეთ, სულ მოეშვა, მოიმ-  
ჩვარა, ტკივილშეყინული სახე გაუცივდა.

აქეთ-იქიდან ამოგუდექით და წამოვი-  
ყვანეთ.

როგორც კი ფეხქვეშ ფსკერი ვიგრძენით,  
ილღებში ჩავეჭიდეთ, ნაპირზე გამოვედით და  
მშრალ ქვიშაზე მივანვინეთ.

მთელი პლაჟი თავს დაგვეხვა.

თემური არ დაიბნა, ტუჩებგალურჯებულ,  
გულნასულ კაცს პირი გააღებინა და ჰაერი ჩაბ-  
რაო.

შეზლონიდან წამომხტარმა, კვილით  
გამოქცეულმა ქალმა წრე გაარღვია. მუხლებზე  
დაცემულმა, რომ ველარაფერი მოახერხა, გამ-  
ეტებით სახეში შემოირტყა ხელი.

— მაცალეთ, ქალბატონო! — უყვირა  
თემურმა და კაცს მკერდზე ღონივრად დაანვა.

ქალი დაემორჩილა. ტუჩებზე ხელმიფარე-  
ბული ცოტა უკან გაჩოჩდა, თან გაფართოვე-  
ბული თვალებით ხან მწოლიარეს დახედავდა,  
ხან სახეზე სისხლმონოლილ თემურს მიაჩ-  
ერდებოდა.

დავაკვირდი კაცის ჭირისუფალს და... მე-  
გონა ელდამ გული შუაზე გადამიპო — უკან-

უკან დავიხიე, იქაურობას გავერიდე. მოშორე-  
ბით დავდექი. მერე, ხომ არ მომჩვენა-მეთქი,  
ისევ მივუახლოვდი, მოსულიერებული ავად-  
მყოფი აღარც გამხსენებია, თვალებით ქალი  
მოვძებნე — რა თქმა უნდა, ის არის...

მაგრად დავიბოღმე. თემურს ველარ მოვუ-  
ცადე, ჩავიცვი ტანსაცმელი და სირბილით  
წამოვედი.

თემური ნომერში რომ ამოვიდა, ერთი ბოთ-  
ლი უკვე ძირამდე მქონდა დაყვანილი.

— ეე, არ დამელოდე? — გაუკვირდა, — იმ  
კაცის ცოლმა გიკითხა, მეორე ვინ იყო, მადლო-  
ბა მაინც გადამეხადაო.

— მაგას უკვე გადახდილი აქვს.

— აა, გასაგებია, მაგიტომ გამოიქეცი?

— შენ რა უთხარი.

— რა უნდა მეთქვა, არაფერი... რადგან  
დაითესე, რალაც ვიეჭვე და გაეჭმედი... სას-  
წრაფო რომ მოვიდა, წამოვედი... კაცსაც უკვე  
არა უშავდა... მაგარი ქალი კია. იმ ბებერს რამ  
გააყოლა, აღბათ განათხოვარი იქნებოდა, ან...

— არც ერთი, არც მეორე, პატარა და  
სუფთა ჩაბარდა.

— სუფთა, აღბათ, უმნიკვლო, არა? შენ  
როდის გაიცანი?

— მაშინ პატარა გოგო იყო, მოსწავლის  
ფორმის უთოთი გადატყეცილი თეთრი საყელო  
ეკეთა და თხელი, ბავშვური თითები ჰქონდა...

კარზე მოკაკუნეს და მაშინვე შემოადღეს.

თემური შემოსულს მიეგება.

— მობრძანდი, ევა, მობრძანდი! დამთავრ-  
და ლექცია, ძვირფასო? — ხელგადახვეული  
ქალი შემოიყვანა, — აი, ეს გახლავს, ჩემი ბოლო  
წლების ყველაზე სერიოზული, საზაფხულო სი-  
ყვარული.

— ნუ, თემურ, გეყოფა, სიყვარულზე  
ხმამაღლა არ ლაპარაკობენ.

— მე ვლაპარაკობ! თუ საჭირო იქნება, ვიყ-  
ვირებ კიდეც! — მიიზიდა და ლოყაზე ხმაურით  
აკოცა.

— პირდაპირ, როგორც ხანძარი, ეგეთია, —  
„გამაცნო“ თემური ევამ, — შემოგენტება, დაგ-  
წვავს და... გაქრება... შეიძლება თვე გავიდე, არ  
დარეკოს.

— სამაგიეროდ, როცა შევხვდებით, მაშინ  
ხომ...

— მაშინ, იცოცხლე! — ჭიქა ჭიქას მიუჭახ-  
უნა.

მე უკვე კარგად ვიყავი.

თემური გრძელი და პათეტიკური სადღე-  
გრძელოებით გემოდვრავდა. ვიცოდი, რომ  
ლამაზად ლაპარაკობდა, მაგრამ გონება მე-  
თიშებოდა, ნათქვამს მხოლოდ ნაწილობრივ  
ვიგებდი. ჰო, კიდეც, მის ძალიან გაბრწყინებულ  
თვალებს ვხედავდი.

— თქვენ, ევა, ხომ? — ჩავეკითხე ქალს და  
დასტური რომ მივიღე, თემურზე ვანიშნე —  
მაშინ ეს ყმანვილი ადამი უნდა იყოს... ისტორი-  
ული, ბიბლიური ლოგიკა... თანამიმდევრობა  
ასე მოითხოვს... დიახ...

— ვართ კიდეც, ეს ევაა, მე — ადამი, — დამ-  
იდასტურა თამადამ, — და არა — პირიქით...

— მაშინ ჩავალ, პალმის ფოთლებს მაინც

ამოვიტანთ! — ჩემს ქუუში, როგორც სტუ-  
დენტობისას ვიცოდით, მინდა ორივე მართო  
დავტოვო, ოთახი დავეთმო, მაგრამ ვერც ად-  
გომა მომიხერხებია და იმის გარკვევაც მიჭირს,  
რომელი კარით უკეთესია გასვლა, აივანზე რომ  
გადის თუ — ფოიეში... პალმის ფოთოლს ლელ-  
ვისა აჯობებს, თუმცა, ახლა, ლელვს სად ვნახ-  
ავ... ისე, ლელვი მაგარია, თან ფოთოლიც უფრო  
გამძლე აქვს და ორი სეზონი მაინც ეყოფათ...  
რას ვბოდავ, უნდა როგორმე თავი ავიყვანო,  
გონი მოვიკრიბო, სუფრასთან ლენჩივით არ ვი-  
ჯდე... მთავარია, საფეთქლების ზუზუნმა გამ-  
იაროს...

— ეს იგივეა, რომ ბალერინას ფეხის აწვეი-  
სა შერცხვეს, — ჩამესმის თემურის ხმა.

— გააჩნია რა შემთხვევაში, მაშინ, მაგ  
ლოგიკით, კარმენი, ქუჩაშიც უნდა შეახტეს  
დონ ხოზეს მხრებზე.

— თუ კარმენია, უნდა შეახტეს, ოღონდ დონ  
ხოზეს თუ ტორეადორს, ეს კი აღარ მახსოვს, —  
თემურსაც მოეკიდა.

— ორივეს, რიგრიგობით, — ვამბობ მე და  
მიკვირს, კარმენი ან ბიზე რა შუაში არიან, ისი-  
ნი ხომ ნამდვილად არ ყოფილან სამოთხეში...  
აღამი და ევა, კი ბატონო...

თემური რაღაცას ყვება, ერთი ხელის მოძ-  
რაობით სიუჟეტის ზემოქმედებას აძლიერებს,  
მეორე კი სწორედ ისე აქვს გადებული ევას მხ-  
არზე, როგორც წყაროდან მომავალ რუს ქალს  
ვედროებჩამობმული, კაუჭიანი ხარისხა, „კო-  
რომისლოს“ რომ ეძახიან.

რაკი ასეთი ანალიზი შემიძლია, ფხიზელი  
ნერვი სადღაც მაინც მითრთის. ალბათ, სულ  
გამოფხიზლდებოდი, მაგრამ ასფალტს დატყე-  
პებული მუხლოუხების რახნახით თავი მეცხება,  
იბერება და, მგონია, სადაცაა გასკდება.

ბიჭები ტანკებს ხის ჯოხებით ებრძვიან. აი,  
არნახული სიმამაცე! პატიოსანი ეტერი რომ  
გვყავდეს, ამ გმირობას დააფასებდა... ვიდუო-  
კამერის ფხიზელი თვალი ბიჭებს მისდევს და  
უნიკალური კადრების გამეორებას ითხოვს...  
ასეთი მასალისათვის რას არ გაიღებს ნებისმ-  
იერი ტელეკომპანია... ამ ბიჭებს კი რა მიეხახ-  
ვებათ, სამშობლოს ჯოხებით რომ უგერიებენ  
აყეფებულ ტანკებს? არც არაფერი!.. საოცარი  
რიტმი და დინამიურობაა მათ მოძრაობაში.  
ხორუმის ელემენტები... სცენა ღია ცის ქვეშ,  
სპექტაკლი, რომელსაც არავინ იცის, ღმერთი  
ესწრება თუ არა... დანისპირებზე გადის ბე-  
დისწერა... შავი ბოლერო ძაბავს ნერვებს და  
კუნთებს. ჩამოსხვილი ჰაერი ცვივა დაბლა...  
შემზარავი ჩეხვის ხმა — ასეთ ხმას კოჟრი-  
ანი, დაკორძებული კუნძის დასაპობად ნაჯა-  
ხმოქნეული კაცის მკერდი გამოსცემს... და,  
აპოთეოზი — თითქოს გაყამირებული ბელტი  
ჩამოჭრა ბარის პირმა, ჩახვეულ ბალახის ფეს-  
ვებში რბილად ჩაირბინა... ჭახანი მოილო ხერხ-  
მალმა...

შუაზე განყვეტილი, როგორ ავდგე, როგორ  
გავმთელდე! — უმწოდ მივიხედ-მოვიხედე.

— თემურმა იცის ჩემი ამბავი, ამან გამომი-  
ყვანა იმ ჯგლერთიდან, გესმით, ევა?

ველარ ვიგებ, ევა რას მპასუხობს — ვილა-

ცას სანოლისაკენ მივყავარ. ფხიზელი ნერვი  
მაგრძნობინებს, რომ წელზე წვრილი მკლავი  
მაქვს შემოხვეული და ნარბენ, გაგლეჯილ  
ფერდთან ცხელი ხელისგული მაფენია.

„ნელი, ნელი!“

მაგრამ ნელის აქ რა უნდა, ნელი ექსკურსი-  
აზეა... ნატო? ნატო ხომ უკვე კაი ხნის მოსმე-  
ნილი სიმღერაა, თანაც გულწასულ ქმარს რო-  
გორ მიატოვებდა... ეჰ, შე უსინდისო ნატალი,  
რა მოხდებოდა იმ უფორმო ფაშვის ნაცვლად,  
მე და თემურმა ნანადირევით ფეხებთან რომ  
დაგივდეთ, მე ვყოფილიყავი და თუნდაც საა-  
ქაოსკენ ნულარ მოვბრუნდებოდი... ნულარ...

ნამოვინიე, იდაყვებს დავეყრდენი და ტანი  
ნახევრად ავიტანე. ისევ დამანვინეს, ფერდ-  
თან რომ ხელი მედო, ახლა შუბლს მიმონმებს.  
ზოგჯერ მომსკდარ ხვითქს მომწმენდს, კვლავ  
დამეფინება და საფეთქელზე თრთიან ხელის-  
გულის მგრძნობიარე ბედისწერის ხაზები...

„ოჰ, ივან ანდრეევიჩ, ხომ ხედავ, მეც არ და-  
მინდეს, მეც კი ჩამახრჩვეს ლვინოში...“

მზრუნველ ხელს ახლა ჩემი მაჯა უჭირავს,  
დანყნარებული პულსი კოცნის შემოჭერილ  
თითებს და ვიძინებ... ვიძინებ, უკვე მყარად,  
უშფოთველად...

უთენია გამეღვიძა.

შეღებული კარიდან ზღვის შრიალი შემო-  
დის. გრილი ჰაერის სუნზე ვგრძნობ, რომ მალე  
ინათებს.

ვილაც წერდა, ვიდრე ადგები, ჯერ იმაზე  
დაფიქრდი, სიზმარში რა ნახეო. სიზმარში  
არაფერი მინახავს. შეიძლება ვნახე და არ  
მახსოვს, ამიტომ, შემიძლია დამშვიდებული  
სინდისით ავდგე... თუმცა ჩინდისი რა შუაშია,  
სიზმარში ისეთი რა უნდა ჩაიდინო, რომ მოსა-  
ნანიებლად გაგიხდეს საქმე.

ცხადში რა მოხდა, ნეტავი ის გამახსენებინა  
და სიზმარს ვინ ჩივის — ოთახს თვალი მოვაგ-  
ლე. მაგიდაზე არც ბოთლები ჩანს, არც ჭიქები  
და საჭმელის ნარჩენები, აივნის კარიც ღიაა...  
ვილაცამ იზრუნა, რომ სუფთა ჰაერზე მძინებო-  
და, ჩვენ ხომ, ევას თამადაობით, უგონოდ ბევრს  
ვენეოდით... თემური? თემური წავიდა თუ  
დარჩა?.. მივიხედ-მოვიხედე, ტუმბოს მეორე  
მხარეს, საჟურნალე მაგიდასთან მიდგომულ სა-  
ვარძელში, ვილაცას სძინავს... ნუთუ თემურია?  
— ნამოვინიე, დავაკვირდი.

მე მგონი ახლა ცხადში ვხედავ სიზმარს —  
ნელის სავარძელზე ფეხები აუკრეფია, პლედი  
მიუფარებია და საცოდავად, მხარზე თავჩამო-  
დებული მოკუნტულა.

სავარძლის წინ, ბოტასები, ერთმანეთს მიხ-  
უტებული თეთრი კურდღლებივით სხედან და  
რაღაცით ნელის ჰგვანან. ასეა, ფეხსაცმელიც  
ხომ თანდათან პატრონს ემგვანება.

ფრთხილად ავდექი. მაინც დაიჭრიალა  
შემოქმედებითი სახლის, ვინ იცის რამდენ  
განსაცდელგადატანილმა სანოლმა.

ნელიმ გვერდი იცვალა, პლედი ძირს ჩამო-  
ცურდა.

ლოგინი გავასწორე, მზრუნველმა მშობელ-  
მა როგორც იცის, დაბრტყელებული ბალიში

ავაფუმფულე.

სავარძელს გვერდიდან მივუდექი, ნელი ხელში ავიყვანე.

გაეღვიძა, ვერ გაიგო რა ხდებოდა.

თავი გადავაქნიე, იყუჩე-მეთქი, ლოგინზე მივანვინე და პლუდი მივაფარე.

გაეღვიძა, ნელში გაშლილმა ღრმად ამოისუნთქა.

გოგოს მაშინვე მიეძინა.

ავიანზე გავედი. ნასუფრალი — ვედროში, ბოთლები, დასჯილივით — კუთხეში... ცარიელებია და ვილას რაში სჭირდება. ღარიბი, უქონელი კაციც ასეა, ცარიელ ბოთლზე მეტი ფასი არც იმას აქვს. თუმცა, ცარიელ ბოთლს ჩააბარებ და კაპიკებს მაინც გადაგიხდიან, ღარიბ კაცს კი...

თემურის ნითელი „მოსკვიჩი“ ეზოშია, სამორიგეოსთან მიუყენებია. თვითონაც სადღაც აქ არის, ალბათ, ევასთან... ჰო, იმასთან დარჩებოდა და, სამოთხის მდგმურები, კიდევ ერთხელ „განარისხებდნენ“ უფალს.

ჩვენი გადარჩენილი ნეტავ როგორ არის? თემური ერთგული ბიჭია, ვიდრე არ მოსულიერდა, არ მოსცილდა... არა, პირში მაინც რამ ჩააბერინა, მოფიქრება არ გინდა?

მერე მე გამოვბენტერდი. მარტოს ღვინო როდის დამილევია. ამეფუტკნა ნერვები და რა მექნა.

გეძებდაო. კაი დროსია. კიდევ კარგი სახელი და გვარი არ უთხრა. ვის სჭირდება მაგის მადლობა. ბოლოს ახალშერთული მეუღლის მანქანაში დავუპირე კოცნა. იქნებ ვაკოცე? აღარც მახსოვს... თვითონ ეხსომება, ქალები არაფერს ივინყებენ. ასე, თითქმის შიშველი ხომ არასოდეს მინახავს — ახლა უფრო მწყდება გული... მგონი სიყვარულმა კი არა, შურისძიების წყურვილმა ამიტანა.

ეჰ, რა სიგიჟეა...

რაფაზე სიგარეტის კოლოფები ყრია.

ყველა ცარიელია.

არც მინდა.

მაინც რა მომივიდა, როგორ მოვწყდი, გავითიმე. ზოგჯერ, შეიძლება, ქეიფში დღე და ღამე გადავაბა და, ვითომც არაფერი... ცხრა აპრილის მერე დამჩემდა. ეტყობა, ტვინის რომელიღაც საკომუნიკაციო მიკროსადენი დამიზიანეს. ხან მუშაობს, ხან ითიშება...

აბა, ტკბილად იძინე, ჩემო გოგონი — ხელი დავუქნიე ნელის.

კარი გამოვიხურე. მეხუთე სართულის ფოიეშიც მაგარი დამპალი ჰაერია. ეტყობა, კერამიკულ სანაგვეებში ნომრებიდან გამოტანილი საფერფლებიდან ჩაცლილი ნამწვი ყარს — „კოდალები“ ხომ თუთუნის განსაკუთრებული მომხმარებლები არიან.

ეზოში მალალი, პირხმელი კაცი გავიცანი. მძლოლს ელოდებოდა. გორბაჩოვისათვის მშენებარე აგარაკზე მიდიოდა. გალის რომელიღაც მეურნეობის დირექტორი იყო, პროფესიით აგრონომი. ამას ევალეობდა თურმე ნარგავების შერჩევა და ბალის გაშენება.

აგარაკის აუზის ასავსებად, ჩვენისთანა უბრალო ხალხის ნაბანავებელი ან დაბინძურე-

ბული რომ არ იყოს, მილი შორს შეუყვანიათ ზღვაში და წყალი იქიდან უნდა გადმოქაჩონო.

— იჩქარეთ, თორემ, შეიძლება, გენერალურმა მდივანმა იმ აუზში ბანაობა ვეღარ მოასწროს, — დავეწვიე“ აგრონომს სიგარეტზე.

— ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, გორბაჩოვი თუ არა, სხვა იბანავებს! — სიგარეტი მანქანაშიც მაქვსო, „კოსმოსი“ კოლოფიანად დამიტოვა და ჭიშკართან მომდგარი „ვილისი-საკენ“ წავიდა.

საუზმემდე ჯერ ადრეა, შემოჩვეული კატები კი უკვე შესასვლელთან გროვდებიან.

ღამით ლაქაშებამდე გადმოსულან ტალები.

უკვე დაუნევია წყლის ზოლს. გამორიყულ ხარახურაში ძალიან ღამაზი ნიჟარა ვიპოვე. ქვიშა გადმოვყარე, წყალში გავალაღლაღე, გამოვასუფთავე. შიგნით სადაფისფრად აციმციმდნენ ცეროდენა დარბაზები, თეთრად დაზოლილი ტიხარები, საიდუმლო გასასვლელები... ნიჟარა ყურთან მივიტანე და ორპირი ქარის ღმუილს ყური მივუგდე. სხვა ხმებიც ჩამესმა... დიდი ჩოჩქოლია, მითქმა-მოთქმა, ფარშუბის უღრიალი... ნაღდად შეთქმულება მზადდება... სადაცაა, ალბათ, სერიოზული ტრაგედია გათამამდება...

„იქნებ დედამინაც ღმერთის ყურთან მიტანილი ნიჟარაა?“

ნელის წავუღებ, მოეწონება.

შორიდან ვიღაც მოდის. შარვლის ცალი ტოტი აკეცილი აქვს, ხან თავის წინგაშვერილ ხელებს ელაპარაკება, ხან დაიხრება და ჩაბღუჯულ კენჭებს მალლა აისვრის...

მომიახლოვდა. ხელები უკან წაიღო, ზურგს უკან დამიმალა. გამცდა თუ არა, მაშინვე მომიბრუნდა:

— გაიგე, კაცო, გარკვევით უთხრა, ვინც უცოდველია, იმან ესროლოსო!.. აბა, ვინ არის უცოდველი?.. მაინც ესროლა!.. ესროლა და გაარტყა... არა, ხომ გეგონა, რომ დაუჯერებდა? — სახე მომიახლოვა, თვალები ბრჭყვიალა ბურთულებივით უხტოდა, — მეც ეგრე მეგონა!.. ამან კიდევ, აილო და ესროლა!.. ესროლა და... — ქვიშა მოფხოჭნა, მოუჭირა თითები, განურა, მერე მეორე ხელიც შეაშველა, დააგუნდავა, ისევ მოუჭირა და ჩახრინული ხმით დაიხავლა:

— ილოცე, დეზდემონა!

ხელებში მოქცეული ქვიშა უფრო მაგრად მომუჭა, შემოიღო სახეზე ტკივილი და უმწეობა აესახა, ამოიგმინა, მერე თანდათან მოეშვა, გახსნა ერთმანეთში ჩახლართული თითები და ქვიშა მომაცარა, ანუ მომჩვარული „დეზდემონა“ ფეხებთან მომიგდო.

გაოფლილ შუბლზე ხალათის სახელო მოისვა, ახლაც არ მიჯერებ რომ შექსპირი ვარო?

როგორც ცხონებული ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე, ვინ მუდრეგს არ სჯეროდა, მჯეროდა და, ეგრე?

შექსპირი ხარ და თანაც, აი, ამ ნიჟარაში ცხოვრობ-მეთქი.

— მანდ არა! — სახეზე მკლავაფარებულმა უკან დაინია, — ხმაურობს და მეშინია... სიგა-

რეტი მინდა, სივარეტი!

მივანოდე.

მამინვე პირში გაირჭო.

— დროზე, ისიც, ისიც! — თითი თითზე გაატკაცუნა, ცეცხლიც მომიკიდეთ.

მოვუკიდეთ.

ბოლი პირში დაატრიალა და გამოუშვა.

— არა ვყლაპავ, ფილტვებისათვის ცუდია, კიბო იცის, კიბო! — შებრუნდა და უდარდელი სტვენით წავიდა.

ბოლს არა ვყლაპავო!.. მამ ეს შეშლილია და მე — ჭკვიანი?

„კოსმოსის“ კოლოფი ზღვაში მოვისროლე.

ეტყობა სიგიჟე გადამდებია — დავიწოქე, ავიყვანე ქვიშიდან „დეზდემონა“ და „ქვითინით სანოლზე“ დავასვენე, — „ეხლა თავს ვიკლავ და მინდა რომ კოცნით დაგაკვდე...“

— ზალი! — მესმის ნელის ხმა.

„ბიჭოს, აბა, მე ვინ დავახრჩვე?“ — გოგო კორტებთან დგას და ჩოგნებს მიქნევს.

რამდენჯერ ვუთხარი, ზალი კი არა ზაალი-მეთქი.

რა ვქნა, ვიქნები — „ზალი!“

ცოტა ხანს ვითამაშეთ და საუზმის დროც მოვიდა.

რა მოხდა, ნუხელის, აღარ მახსოვს-მეთქი.

— ისეთი არაფერი, სკამზე ჩაგეძინათ და დაგანვინეთ... პულსი გქონდათ აჩქარებული, შფოთავდით... მე რე ჩანყნარდით...

— დიდი მადლობა, რომ არ მიმატოვე... ნინა ბორისოვნა ხომ არ გაგობრაზდა?

— განა რაიმე მოხდა გასაბრაზებელი? — დამიბრუნა კითხვა და თვალეში გამომწვევად ჩამაჩერდა, — თანაც, პასპორტით უკვე მონიჭებული მაქვს დამოუკიდებლად გადანიშნულების მიღების უფლება.

— ეგ უფლება, მგონი, ერთხელ უკვე გამოიყენე და, როგორც ნინა ბორისოვნას მიაჩნია, არცთუ დიდი წარმატებით... იქნებ ახლა მაინც...

— მამაჩემივით ნუ დამინყებთ ლაპარაკს... გთხოვთ! — ჰაერში მოქნეული ჩოგანით თითქოს ჩემი ნათქვამი უკან დამიბრუნა, — ჰო, მართლა, რამდენჯერმე ქალის სახელი წამოიძახეთ... მგონი ნატალი... თქვენი მეუღლეა?

პრესის სახლის პლაჟისაკენ გავიხედე.

— მეუღლე არა, მაგრამ შეიძლება და მეუღლეც გამხდარიყო.

— რამ შეგიშალათ ხელი?

— რამ და, როგორც ხდება ხოლმე, მოულოდნელად გამიფრინდა! — მალლა შევყარე ხელები, — დაახლოებით შენს ასაკში... პასპორტით მინიჭებული უფლება გამოიყენა...

— მაგრად უნდა ჩაგეჭირათ მუჭში, აი, ასე! — ჩემი თითები ხელებში მოიმწყვდია.

— ძალიან სიფრიფანა და მყიფე იყო, შემეშინდა არ ჩამემსხვრეს-მეთქი.

— ვისთანაც გაფრინდა, იმას ჩამემსხვრა?

— იმას — არა!

— აი, ხომ ხედავთ... — გამომდო ხელკავი.

— შენ რატომღა გაუფრინდი, ხომ უკვე მუჭში ჰყავდი, აი ასე! — გამოვაჯავრე.

— მამიდაჩემი ყველასთვის ყველაფრის თქმას ასწრებს.

— არ უნდა გენყინოს, რა ქნას, დარდობს შენი ბედის გამო...

— თქვენც ხომ არ დარდობთ?

— მეც, რა თქმა უნდა... თუ ადამიანი მოინდომებს, გამოუსწორებელი შეცდომა არ არსებობს...

— მშობელივით ნუ მექცევით-მეთქი, მე თქვენ შვილად არ გამოგადგებით, — გაბუტული დანინაურდა, მერე ისევ მომხედა, — გაიგეთ, ზალი?

მეტი რა გზა მაქვს, გავიგე!“

22

შპის წიგნაკიდან

11.10.1991

„სასტუმრო „ოტელ ბერუესი,“ სვანური კოშკით ანონილი შენობა.

მეხუთე სართულიდან ვიყურები.

აქვე, ახლოს, მდინარე რიო არგა ჩამოდის. შუაზე ჰყოფს დაცემულ მინდორს, ქალაქის განაპირას, ბალებს შემოუვლის და სამხრეთისაკენ გზას აგრძელებს. მდინარეზე პატარა, მოაჯირშელებილი ხიდია, ხიდის გამძლეობა, ეტყობა, მსუბუქი ავტომობილებისა და ფეხით მოსიარულეებისათვის არის გათვლილი. უფრო აქეთ, სასტუმროს უკან, მდინარის მარცხენა სანაპიროზე, დედათა მონასტერია, ოვალური კრამიტის ფილებით გადახურული, მალალგაღვინიანი ეზოთი. ეზო სავსეა დეკორატიული მცენარეებითა და ნაირ-ნაირი ვარდის ბუჩქებით, კედლებზე ასული ხვიარების ძირში, გადაკრეჭილი ყამირის გაყოლებაზეც ვარდები ჩარიგებული.

ქალაქში თერთმეტი ეკლესიაა, მათ შორის ყველაზე დიდია კათედრალი სანტა მარია ლამიორი.

სასტუმროს დახვეული კიბე ჩამოვირბინე და ახლა უკვე იმ მოკირწყლულ გზას ვადგავარ, რომლითაც, პამპლონელები და პამპლონას სტუმრები, სადგომიდან გამოშვებულ, ხალხის ყიჟინით დამფრთხალ ხარებს მოედნისაკენ მიერეკებიან ხოლმე.

ფიესტა, ჩემს პამპლონაში ჩამოსვლამდე ერთი დღით ადრე დამთავრდა, მაგრამ ჰაერი ისევ იმ თქარათქურით, ზმუილით და სისხლის სპეციფიკური სუნით არის გაჟღენთილი.

აქ პირველად ვარ, თუმცა ჩემთვის მაინც უცხო არ არის ეს გარემო:

მეც ხარი ვიყავი, მეც სიბნელეში დავიბადე და გავიზარდე. არ ვიცოდი რა იყო სინათლე და რადგან არ ვიცოდი, სინათლეს სიბნელე მეგონა. ფიესტამდე არც ხარების წინ, ქუჩებში გაქცეული, გამბედავი ადამიანები მენახა, არც არენის გარეშემო ხალხით გადაჭრელებული ტრიბუნები.

ხმაურითაც, ბოსელში ასე ვინ იღრიალებდა, საიმედოდ შემოგმანულ, სქელ კედლებში, მხოლოდ საკუთარი შარდის ჩხრიალი თუ მომტაცებდა სმენას.

ჩემზე ზრუნავდნენ, მაჭმევდნენ, მასმევდნენ, მბანდნენ, მვარცხნიდნენ, რათა პროუექტორის შუქზე ებზინა ჩემს ბენვს, ხვეტავდნენ

უკანა ფეხებთან დაგროვილ ნეხვს და შხვეპავდ-  
ნენ წუმბეს... თურმე მამზადებდნენ, რომ ერთ  
მშვენიერ დღეს კარი გაეღოთ, თვალისმომ-  
ჭრელ სინათლესა და დამაყრუებელ გუგუნში,  
ამ მოკირწყლულ გზაზე ჩემნაირ, გავეშვებულ  
ხარებთან ერთად დაგუბებული წყალივით დახ-  
ევებული და ხმაურით გადარეული, ჩვენს წინ  
გაქცეულ ადამიანებს დავედვენებოდი.

გარბოდნენ, გარბოდნენ... ზოგს ვენეოდით,  
ფეხქვეშ ვთელავდით, ზოგიც სახლების, ეზოე-  
ბის კედლებზე და ვისოსებზე მიძვრებოდა, და-  
ნარჩენები მაინც მიჰქროდნენ, რომ გზის ბო-  
ლოში ჩასაფრებულ სიკვდილთან, მომლოდინე  
მამაც ტორეროსთან მივეტყუებინეთ.

ჩვენი ბოლო გრანადიდან შემოტანილი,  
სპეციალური ქვიშით მოფენილი არენა იყო.

კორიდის მერე, ქალაქგარეთ გატანილ  
გრანადის ქვიშას, მანანალა, მშვიერი ძაღლების  
ხროვები ნთქავენ, რადგან ჩვენი სისხლით არის  
გაჟღენთილი.

არენაზე დაბორიანებული, ძირს მიბჯენი-  
ლი წინა ფეხებით მიფეხვებავდი ქვიშას.

მალე ზურგიდან წამომეპარებოდნენ და  
ბეჭში ორ ჭრელხვეულებიან ბანდერას დამარ-  
ჭობდნენ.

გახარებული ტრიბუნები ყვირილით და-  
ბერილ ყელის ძარღვებს დაინყვეტავდნენ. ჩემს  
თვალწინ კი, განაცრისფრებულ, აბორიანლე-  
ბული ქვიშით დაბინდულ ჰაერში, მატადორის  
თითებში მოლივლივე, წითელი ღრუბელი აის-  
ვეტებოდა.

ვგრძნობდი, ტრიბუნების ხორხიდან ამოხ-  
ეთქილი ხმა, მატადორის ამონვდილ დაშნას-  
თან ერთად, წითელ ფერს ჩემს დასაჩოქებლად  
აქეზებდა.

და მე განვიზრახე, წითელი საზარლობა  
რქებით დამეფლითა!"

23

ძველი რკეულიდან

„დღეს ბედნიერება გვეწვია — ივან ანდრეე-  
ვიჩმა, როგორც იქნა, დასვა წერტილი, ბედზე  
„ფოსტალიონიც“ იშოვა, სასწრაფოდ მოსკოვში  
გამოძახებულ ერთ-ერთ ფუნქციონერ მწერ-  
ალს გამზადებული სტატია ამ დილით გაატანა.

სადილზე მთელი დარბაზი, განსა-  
კუთრებით კი ჩვენი „ბლოკი“, როგორც ბისზე  
გამოძახებულ მსახიობს, ისე შეხვდა დარბაზში  
გამოჩენილ სტარკოვს.

ივან ანდრეევიჩმა, მაინცდამაინც, არ  
დაიმორცხვა, ოვაცია მიიღო, შეიფერა, მენიუს  
გამხიარულებული მზერა მიაპყრო, რომელიც,  
არსებითად, არ იცვლებოდა ხოლმე და დასძინა,  
ახლა ერთ ჭიქაზეც არ იტყოდა კაცი უარსო.

თუ ღვინოში ჩახრჩობის მცდელობად არ  
ჩამითვლით, მაგ ნატვრას მე აგისრულებთ-  
მეთქი.

ამჯერად ნამდვილად არ ჩაგითვლითო,  
მოილო მოწყალება.

როგორც ჩვენ შორის უმცროსმა და სწრაფ-  
მა, ნელიმ შეასრულა ეს მისია — გასაღები გა-  
მომართვა და, მალე ჩემი მორახრაზე მაცივრი-  
დან ჩამოტანილი, ორი ბოთლი ღვინო მაგიდაზე

შემოდგა.

ღვინო, ახლო-მახლო, ყველას ვარგუნეთ.

დანიელი და მიშა მხოლოდ ახალგამომცხ-  
ვარი სტატისის ქებით არ შემოიფარგლნენ —  
სტარკოვს, ზოგადად, გვარიანად მოფხანეს,  
ასიამოვნეს.

ხედავ რა ამბავში არიანო, წინა ბორისოვნამ  
შეთქმულივით ჩამიკრა თვალი.

— უნდა გამოვტყდე, რომ მე მაინცდამაინც  
არ მომზნს ბიძაჩემის შემოქმედება, — წამ-  
ჩურჩულა ნელიმ, რომელსაც ყვრიმალებზე  
უკვე დასტყობოდა სასმელის ზემოქმედება.

— შეხედე მიშას და დანიელს, ისინიც ზუს-  
ტად შენსავით ფიქრობენ, მაგრამ ხმამალლა  
სხვას ამბობენ... შენ წარმოიდგინე, მათ შორის  
არის წინა ბორისოვნაც!..

— აბა, რას ამბობთ, ეგ უკვე მეტისმეტია!..  
საიდან დაასკვნით? წინა ბორისოვნა სტარ-  
კოვს აღმერთებს!

— საიდან დავასკვნი და, რაც აქა ვართ,  
მამიდაშენს მეუღლის ჯერ არცერთი ხატო-  
ვანი გამონათქვამი არ დაუმონებია... ქმრების  
შემოქმედებით გატაცებული ცოლები, ასე არ  
იქცევიან.

ნელის სიცილი აუტყდა და მაშინვე მომ-  
ნანიებელი თვალებით შეხედა სტარკოვს, მთე-  
ლი გულისყურით რომ უსმენდა ჭიქაშემართულ  
დანიელს.

— თქვენთან როგორ არის საქმე, თქვენს  
შემოქმედებაზე შეყვარებული მეუღლე გყავთ?  
— დაინტერესდა ნელი.

— არა, მაინცდამაინც, არც იმას მოსწონს...

— მე მის ადგილზე მომეწონებოდა, — ეს  
უკვე იმდენად სერიოზულად მითხრა, რომ  
ცოტა დავიბენი.

— რანაირად, შენ ხომ ჩემი სტრიქონიც არ  
წაგიკითხავს.

— არ წამიკითხავს, მაგრამ ვიცი... უეჭვე-  
ლად მომეწონებოდა! — გამიმეორა ჯიუტი  
თავდაჯერებით და ტუჩები მაგრად მოკუმა.

წინა ბორისოვნამ შენიშვნა მოგვცა,  
თქვენთვის ტუტუნებთ და ჭიქას არ მივსებთ,  
რომ მეც მოვეფერო ჩემს ერთადერთ, განუმეო-  
რებელ ივან ანდრეევიჩსო.

პლაჟზე ნატოს ველარ მოვკარი თვალი.

ის ერთი გაელევა იყო. მორჩა და გათავდა.  
თითქოს ძველი სურათი ჩამოხიეს და ახალი  
ააქრეს — ჩემს ხსოვნაში ჩარჩენილ, გამხდარ,  
მკლავქვეშ ბარტყივით შემოყუჟულ გოგოს  
ეს აეფარა, ზღვის აქსესუარებიდან თამამად  
მომზირალი ქალის სხეული.

ლონდამ მითხრა, მაგ ოჯახს, ცოტა რომ  
მოიკეთა კაცმა, მანქანამ ჩამოაკითხა და წავ-  
იდნენო.

წავიდნენ, წავიდნენ. ძალიან კარგი.

ვიდრე ლონდა ყავას მოადულებდა, ნელი  
მაგიდასთან მელოდებოდა.

— სხვა რა მოგართვათ, — დაასხა ყავა და  
დახლს ქვემოდან, კიდევ ერთი სომხური კონია-  
კი ამოაკონწიალა.

— შენ რა, საბადოს მიაგენი?

— ემეტებათ და რა ვქნა. ძალიან გულკეთი-

ლი ცოლ-ქმარია! — მეუბნება და თან ნელის თვალს არ აშორებს, თითქოს უნდა, როგორც ქალს რალაც დაუნუნოს.

— ეგრე ნუ უყურებ, ჩემი ძმაკაცია.

— არ მეგონა, ქალებთან თუ ძმაკაცობას დაინწყებდი.

— გათხოვდი და ჭკუა მაინც ვერ ისწავლე, — შუბლზე ჩამოფარებულ თმის ბოლოზე ხუმრობით თითი ავუკარი.

ნელის ჩემი თითის მოძრაობა არ გამორჩენია, შუბლი შეიკრა და ტუჩები ისე მომუნა, მოკლე დარტყმით ბურთს რომ ჩაუვადებ და გამწვანდება ხოლმე.

ლონდამაც შენიშნა:

— ეგ არის ძმაკაცი? თითისტოლა და მამისტოლ კაცებზე უჭირავს თვალი!

თემურიც მოვიდა, ევასთან ერთად. ლონდას გადაეხვია, მოიკითხა და ცერი ამინია, აი, ასეთ ბიჭს გაჰყავო.

ბარში, კედლებთან ჩარიგებულ, ნახევრად განათებულ მაგიდებთან, ნამდვილი გამოფენაა — აქ არის საბჭოთა ჟურნალისტიკის ნალები თავმოყრილი. პრესის ცოცხალი „კლასიკოსები“ და მათი დიდების ჩრდილქვეშ დგომით კმაყოფილი მეუღლეები... „პატრიარქებს“ ახალი ტალღაც შერევა, ცხელ ნერტილებში რომ მუშაობენ, ხოტბას ასხამენ რუსულ იარაღს და სხვის მიწაზე შუბლგახვრეტილი ბიჭების სიმამაცეს... მოკლედ, როგორც შემოქმედებით სახლში, აქაც იგივე ჩამოსხმაა, ოღონდ იარაღი აქვთ სხვადასხვა.

— ამათ ჩემნაირად არ იცნობ, — მეუბნება თემური, — ესენი, უცხოეთში, საელჩოების პრესცენტრებში თუ ცენტრალური ჟურნალგაზეთების საკუთარი კორესპონდენტების ადგილებს, იმ ქვეყნების, მათი პოლიტიკის, ხელისუფლების გინებით ინარჩუნებენ, სულ იმას გვიმტკიცებენ, როგორი ცუდია იქ და როგორი კარგია აქ... მაგრამ საკმარისია ფეხი გადაუბრუნდეთ, უკან, სამშობლოში დააბრუნონ და მაშინ უნდა ნახო, კულუარებში ამათი გლოვა და ზარი — იქაურობას მისტირიან... პრესა დიდი ძალაა, ვინც პრესას მართავს, ქვეყანაც იმისია... ამით არიან კომუნისტები მაგრები.

— პრესას, თორემ, სამხედრო უწყებას სხვა ვინმე მართავს?..

— ამიტომ, კომუნისტებზე დიდი მონოპოლისტები არსად არ მეგულებიან... უდგიათ სიყალბის საბეჭდივით ამხელა ერთი მეექვსედი და მირეკავენ, როგორც უნდათ...

ქალებს მობეზრდათ ჩვენი საუბრის მოსმენა, მითუმეტეს, რომ შინაარსი არც ესმოდათ. თემურიმ მოუბოდიშა, მოგანყინეთო და, აბა, გრძელდება ძვირფასი სადღეგრძელოებიო, ორივეს ჭიქები შეუვსო.

გვერდით, მაგიდასთან, სამი ძალიან ხმაურიანი ბიჭი იჯდა. აიკლეს იქაურობა, ბოლოს, მათ გასწვრივ, მოშორებით მსხდომ გოგოებს, დასოროლებული მოკოლაღის ვერცხლისფერი ქაღალდის სროლა დაუნყეს.

სიგარეტის მოსაკიდებლად რამდენჯერმე ჩვენთან მოვიდნენ. თავიდან ერთხელ

რომ თქვეს მაღლობა, მერე აღარ ჩათვალეს საჭიროდ — აილებდნენ, მოუკიდებდნენ, დაგვიგდებდნენ სანთებელას და მიდიოდნენ.

თემურმა — ბიჭებო, ასე ნუ იქცევით, უხერხულიაო, კიდევ რომ გააფრთხილა, მოვიდა ხუჭუჭთმიანი — ერთი იმ სამთავანი, გამორჩეულად იქედნური, ავარდნილი, ისე უბოდიშოდ აილო სანთებელა, მოუკიდა და გამომწვევად რომ დააგლო, მაშინ კი წასწვდა თემური მაჯაში:

— აილე, სანთებელა და თავიდან დადე!

ბიჭმა განცვიფრებულმა შეხედა, ტუჩები რალაც ნადირალურის სათქმელად დაებრიცა, მაგრამ თემურის ბრაზისაგან წამლილმა სახემ და ამობრუნებული მაჯის ტკივილმა ამის ხალისი დაუკარგა.

სანთებელა სიგარეტის კოლოფს გვერდით მიუდო.

— აი, ეგრე!

— ეე, აქ ვილაცხები გვიჩმახებენ, მგონი! — ის ორიც წამოიზლაზნა, მაგრამ თავიანთი მეგობრის დაღმეჭილ სიფათს რომ შეხედეს, მაშინვე დაცხრნენ.

— არა, თუ სიგარეტზე მოკიდება არ შეიძლება, გვითხარით და აღარ შეგანუხებთ.

— ჩვენ ბოდიში...

— ჰო, ეგრე აჯობებს, აღარ შეგვანუხოთ... ბიჭები თავის მაგიდას დაუბრუნდნენ.

ახლა თემურის გამჩერებელი ვინმე იყო?

— მე არ მითქვამს დასხედით-მეთქი... აბა, ჩქარა! — ანიშნა გასასვლელზე.

თავჩალუნულები, სიტყვის უთქმელად გაიძურნენ.

— ეს ბიჭები თქვენებია? — იკითხა ევამ.

თემურიმ ყური მოიყრუა.

ევამ კითხვა გაიმეორა.

— რა, მერე?

— არაფერი... მე ხომ აფხაზებს და ქართველებს ერთმანეთისაგან ვერ ვარჩევ.

— ორივე ჩვენებია, ევა, ისინიც და ესენიც...

ნელი და ევა სავახშმოდ სასადილოში შევუშვით, მე და თემურმა კი ჩემთან, ნომერში, ცოტა სასმელი კიდევ დავამატეთ და, დაბლა, ვესტიბიულში ჩამოვედით.

დამსვენებლები ტელევიზორთან გროვდებოდნენ.

თემურმა საათს დახედა.

ახალი ამბების დროა, აბა, ვნახოთ თბილისში რა ხდებაო, მოინდომა ცენტრალური ტელევიზიის პირველი არხიდან გადართვა, მაგრამ ტელევიზორს არხების მოსამართი გორგოლაჭი არ აღმოაჩნდა.

გავიდა, მანქანიდან ბრტყელტუჩა შემოიტანა და გადართო.

რას სჩადით, ამდენი ხალხი ვუყურებთო, აეჯაგრნენ აქეთ-იქიდან.

თქვენ სულ ბევრნი იქნებით და ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ენაზე ტელევიზორს ველარ უნდა მოუვსმინოთ!

ანრიადდნენ, აბუზლუნდნენ, ვილაცამ დირექტორი მოიკითხა, ვილაცამ ადმინისტრატორი. სახედაფორაჯებული მწერლები და მემახტეები მდგომარეობის „გამწვავებას“

27406

აპირებდნენ, მაგრამ რომ შეხედეს, მიხვდნენ თემური არ დაუთმობდათ და წამოიძალნენ, მოშორებით შეჯგუფდნენ, ჩვენს გასაგონად ბოლმიანად განმაურდა „ავადმყოფი ერის“ თემა.

— ხედავ, ტელეარხის გადართვა არ გვაპატიეს და თავისუფლებაზე ოცნებისათვის დაგვინდობენ?

ნინა ბორისოვნას სწორედ მაშინ მიხვდებოდა, რუსული „პროზის მეტრების“ ცნობილ დიაგნოზს რომ დაეთანხმა და თვალი-თვალიში გავეყარე:

- თქვენცა, ნინა ბორისოვნა?
- რა ვქნა, სადაც ყველა...
- ამ კერძო შემთხვევის გამო, რისხვა მთელ ერს უნდა დაატეხოთ?

ველარაფერი მითხრა, მხოლოდ მხრები აიჩჩინა და ვესტიბულიდან გავიდა.

აჰა, ესეც ჩემი კეთილისმყოფელი ქალბატონი.

თემური გაგრაში აღარ ნავიდა. ისევ ჩემთან ავბრუნდით.

- ძალიან იყო გალიზიანებული.
- ის სვამდა და ლაპარაკობდა. მე არ ვსვამდი და ვუსმენდი.

ვერ მოისვენა, ახლა ევასთან ჩავიდა.

დაახლოებით სამ საათზე, უფრო კარგად გამობრუნებული, თავს დამადგა, ჩაძინებული გამაღვიძა, ამათ ვიდრე ეს ჯადო არ მოეხსენებათ, სულ ასე გაგვამწარებენო.

- რა ჯადო, შემოდი, დაიძინე-მეთქი.
- არა, გამომყვივო.

რა მექნა, ავედით მეშვიდე სართულზე. ბიბლიოთეკის თუ ნითელი კუთხის კარში ჩატეხილ შუშაში ხელი გადაყო და ინგლისური საკეტი შიგნიდან გადაატრიალა.

აქ რად ამომიყვანე, ბოჩიასავით ავეჯი ხომ არ გინდა გაყიდო-მეთქი.

მაცალე, თუ ძმა ხარო, სინათლე აანთო.

გამოჩნდა დარბაზი, ხვალინდელი ლექციისათვის გამზადებული მაგიდებით.

— აი, ის ჯადო! — მიმითითა ბოლოში, ხის პოსტამენტზე შემოდგმულ ლენინის კრემისფერ ბიუსტზე.

- რა ვქნათ, მერე?
- დაბლა უნდა გადავუძახოთ, — მაგიდაზე ჭიფხვა-ჭიფხვით ჩამოდგა, — რა მძიმეა, ეს შობელძალლი.

— მოიცა, — მოვიქექე გაბრუნებული კეფა, — ცოტა ხომ არ დავფიქრდეთ.

— არ გვეყო, სამოცდაათი წელია ვფიქრობთ.

— იქნებ ლენინს თავი დაანებო და მე გადამაგდო...

— შენი გადაგდება ჯადოს ვერ მოხსნის, — მოხვია ზურგიდან ხელი და მკერდზე აიხუტა.

ამ ისტორიულ ნუთებში განზე ხომ არ გავდგებოდი, ბიუსტი, „საერთო ძალით“, შემოქმედებითი სახლის საპარადო შემოსასვლელის მხარეს, აივანზე გავიტანეთ, მოავათვალიერეთ დაბლა რომ არავინ ყოფილიყო, ავნიეთ და რამდენადაც შეგვეძლო, წინ გავიქნიეთ.

ბრინჯაოს ბელადმა ელვის უსწრაფესად ჩაუქროლა სართულებს, შემოქმედებითი სახ-

ლის კედლიდან ფიჭვზე გამობმული ნაჭრის ტრანსპარანტი ჩახია, ტოტები ჩახლინა და ნაყარ მინას დაასკდა.

დაბლა, სინათლეზე, მხოლოდ დაფრთხალი კატები გაილანდნენ. სხვა მხრივ, კრემლის და საბჭოთა სახელმწიფოს მთავარი მეტეორიტის მონყვეტას, არავინ შეუშფოთებია.

ბიბლიოთეკაში შუქი ჩავაქრეთ და კარი გამოვიკეტეთ.

სამშობლოს წინაშე ვალმობილი თემური, ისევ ევას დაუბრუნდა.

აქედან დილით ადრე დაითესე-მეთქი, გავაფრთხილე.

რაც დავლიე, ისიც გამომწვდა. შიშის გამო არა, ჩემს მაგივრად ცხრა აპრილის ღამეს ხომ ჩემი შიში მოკლეს — ჩვეულებრივი, ადამიანური, საჭირო შიში...

„სახელი მისი გვირობანდაკ!“

გაიხარებს იმქვეყნად ბატონი ტრიფონი, ხომ ავეუსრულეთ ნატვრა, ხომ გადავუშვით თავდაღმართში ლენინი, მე და ჟორჟოლიანს არც ახლა დავგინერს ნიშანს?

„პოსტსაბჭოთა სივრცეში“, სხვამ ვინ ქნა მსგავსი რამ!

გამაყებულს ჩამეძინა.

დილით ადრე ყარაულს ენახა თავით დარჭობილი ლენინი. მომხდარის შესახებ მალე მთელმა სართულებმა, ადრინად მოსულმა სასადილოს თანამშრომლებმა, ბულალტერიის დამლაგებლებმა და, რა ვიცი, ვინ აღარ გაიგო.

— მეტისმეტად მალლიდან არის წამოსული! — დაასკვნა შემოვლითი „ექსპერტიზის“ შემდეგ დანიელმა და, არავინ დამასწროსო, პირველი გამოეჭიმა პარმალზე ახალგამოსულ სტარკოვს, — ივან ანდრეევიჩ, გაიგეთ, ლენინმა თავი რომ მოიკლა?

— ეგ, რა, ახალი ვერსიაა? — სპორტულ პიჯამოიანმა სტარკოვმა სერიოზულად არ მიიღო ებრაელის ნათქვამი.

— ვერსია კი არა... თქვენი თვალით ნახეთ, პირდაპირ „ნითელი კუთხიდან“ ისკუპა! — იდაყვში ხელი ისე ფრთხილად მოჰკიდა, როგორც ნამდვილ ჭირისუფალს, რომ შიშობენ, მოულოდნელმა ელდამ მუხლი არ მოჰკვეთოსო და ტოტებჩამოლენილ ხის ძირში მიიყვანა.

სტარკოვი ბიუსტს დაეჭიდა, ამოსაღებად შეარყია, მაგრამ ღრმად იყო წასული და ვერ დაძრა.

— იყოს, ივან ანდრეევიჩ, მაინც მინა ენატრებოდა, სანყალს.

სქელშუბლამ დანიელს ჩასისხლიანებული თვალებით ამოხედა.

— როგორ ფიქრობთ, ვინ გადმოაგებდა? — დაეჭვებული მზერა მოგვაგლო ოპერატიულად მოსულმა მილიციელმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

აღიარებას, ჩემი თამადობით, რა თქმა უნდა, არავინ აპირებდა, მითუმეტეს, რომ ეს სერიოზული საიდუმლო, რიგითი „კუსოჩნიკის“ დონეზე გასამხელი და გამოსატეხი ამბავი არ გახლდათ.

ზურგსუკან ხელებდანყობილმა ბრიყვმა,

რომელმაც, ალბათ, კვალის მიგნების შემთხვევაში თავისი დანიშნაულების პერსპექტივა დაინახა, უფრო მკაცრად გაიმეორა შეკითხვა და აფხაზურად განყობილი თანხმობებიც ამოაყოლა, რომლის შინაარსიც ისეთივე უცნობი დარჩა ჩვენთვის, როგორც ის თუ რა იფიქრა, გადმოვარდნამდე, ლენინის ბრინჯაოს შუბლმა.

— ჩვენი დაკვირვებით, როგორც წელანაც ვთქვი, ძალიან მაღლიდან უნდა იყოს წამოსული... შეიძლება ღმერთსაც კი გაუვარდა ხელიდან, — დანიელმა ვითომ ნაღვლიანი მზერა ააყოლა აივნებზე გადმოყუდებულ, ცნობის-მოყვარეებით დახუნძლულ კორპუსს.

— ანტიქრისტეს ღმერთის ხელში რა უნდოდა, კუპრის ქვაბი დარჩებოდათ თავლია და იქიდან ამოხტებოდა! — მომესმა ზურგიდან თემურის ხმა.

— ხომ გითხარი, დაითესე-მეთქი?

— რას ამბობ, აბა, შეხედე, როგორ დაიბოლმნენ, შეიძლებოდა ამ პანაშვიდს არ დავსწრებოდი?

ყარაულმა, წუხანდელ ნანვიში ჩამბალი, ჩამოგლეჯილი ლოზუნგი თუ ტრანსპარანტი მოხვეტა და სანყობისაკენ წაიღო. მიშამ უსაყვედურა, დაკეცე, ძონძოხში რატომ მიათრევეო.

ნეტა შენც, მოგცლიაო, ხელი აუქნია ყარაულმა.

თითებს ურთიერთსანინაღმდეგო ბევრი თვისება აქვთ. მაგალითად, შეიძლება პირჯვარი გადავისახოთ ანდა მუქარით დავუქნიოთ ვინმეს. ამას, რბილად, მითითებას ვეძახით... ყარაულსაც მიუთითეს, მაგრამ სადაც ლენინს აკადრეს და კისრით გადმოუშვეს, ლოზუნგი „შემოქმედები საბჭოთა სამშობლოს სამსახურში“ — რაღა ჩემი ფეხებიაო, ალბათ გაიფიქრა რეგვენმა ყარაულმა და, მითითება და მიმითებელი, ერთ ადგილზე დაიკიდა.

— აუშვა, ხალხმა, ძალიან აუშვა! — ამოიოხრა ვილაც, მიშასთან მდგომმა, ალბათ უფრო სერიოზული მხარდაჭერის იმედით, მაგრამ მიშამ მხოლოდ ერთმანეთში ჩახლართული თითები დაატკაცუნა და სანაპიროსაკენ მიმავალ ფილაქანზე ძუნძულით გაიქცა.

იმ საღამოს, ნავახშმევს, კინოფილმის ჩვენების სანაცვლოდ, ბაბინებიანი მაგნიტოფონი ჩართეს და საცეკვაოდ გვიხმეს.

ვილას ახსოვდა თავით დარჭობილი ლენინი. სასადილოსა და კინოდარბაზს შორის მოქცეული, ფართე, განათებული საცეკვაო მოედანი წყვილებით შეივსო.

სკამზე ჩამოდებული, მტვრიანი, საკონცერტო დინამიკი უგემურად ხრიალებდა, გეგონებოდა გამომშრალ, ფუტურო ფიჭასავით ნაჩრეტებში აბლაბუდები ეცობოდა და ხმას არ უშვებდა, მაგრამ მუსიკას ადევნებული ტექნიკური დეფექტი შეკრებილ საზოგადოებას ხელს სულაც არ უშლიდა.

ნელიმ ატორლიალებული ბიჭები მოიცილა, ჩემთან მოსაუბრე დანიელს მოუბოდიშა, „ზალი“ უნდა წაგართვათო და, საბალეტო სკოლის მოსწავლესავით მოხდენილი რევერანსით, საცეკვაოდ მიმიპატიყო.

— იცოდე, ფეხი თუ დაგადგი, ჩემი ბრალი არ იყოს.

— ასეთი მოუხერხებელი ხართ?

— ოდესღაც ურიგოდ არ ვცეკვავდი, მაგრამ ახლა...

— ახლაც არა გიშავთ... ყოველ შემთხვევაში, ჩოგბურთზე უკეთესად შეგძლებიათ... აქ ხომ ქულებით არ ფასდება არტისტიზმი, ოსტატობა, ილეთების სირთულე... ჩვენს შემთხვევაში მხოლოდ ერთი რამ არის მთავარი... აბა, თუ მიხვდებით, რა?

— თუ ოსტატობა არა, არტისტიზმი არა, მაშ რაღა დარჩა, მოხიბველულობა? ჩაცმულობა?

ნელი ყველაფერზე უარის ნიშნად თავს აქნევდა.

— ნუ დამტანჯე.

— მთავარია, პარტნიორმა ქალმა იგრძნოს, რომ მამაკაცს მყარად, საიმედოდ უჭირავს.

— ყოჩაღ ნელი, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობათა ქრესტომათიაში შესატანი ფრაზაა.

— შეიტანეთ, მერე, მე ნებას გაძლევთ!..

მეც „მყარად“ მოვიკიდე ნელზე ხელი და კმაყოფილმა ამომხედა:

— იმ მუჭიდან გაფრენილ ჩიტზე კიდეც ფიქრობთ?

— არა — შენზე.

— მშობლიური გრძნობით თუ, ისე...

— ზოგჯერ სურვილი მაქვს, მოფერებით ყური აგინიო.

— გასაგებია თქვენი პასუხი... მაშ, მოფერებით...

— დიახ.

— ყური?

— ყური!

— რომელი, მარჯვენა თუ მარცხენა? —

თავი კეკლუცად შეატრიალა და შემოატრიალა.

მიშა ცეკვის დაულალავი ტრფიალი ყოფილა, ვინ აღარ აზრიალა, თითქმის მთელი მოედანი დაიპყრო, დაეუფლა, გეგონებოდა, ერთი კი არა, ათი მიშა ცეკვავსო. ბოლოს, მეუღლესთან ერთად, ჩვენსკენ გამოსრიალდა და მთხოვა, პარტნიორები გავცვალოთო.

ნელი ნატამასთვის ვერ მიმეტებდა, მაგრამ რა ექნა.

მიშასთვის ვერც მე ვიმეტებდი ნელის, თუმცა „ისე“ არა — მშობლიურად...

გააქროლა მიშამ ჩემი პარტნიორი და, ნელის რჩევის მიხედვით, ნატამა მყარად „დავიჭირე.“ ქალმაც უყოყმანოდ მომანდო „მოქნილი და ღონიერი ნელი.“

საცეკვაო მოედანზე მიშას დაუცხრომელმა ენთუზიაზმმა შორეული ციმბირი, ირკუტსკიდან ორი საათის საფრენზე, მიკარგული პატარა ქალაქი უსტ-კუტი და სასტუმროში გაცნობილი ანატოლი (გვარი და მამის სახელი დამავინცდა) გამახსენა.

რა მინდოდა დეკემბრის სუსხში, იმ დასაქცევ ციმბირში — ბორკილდადებული ეტაპით წამიყვანეს, ინგლისის ჯაშუშობის ბრალდებით გამამწესეს, დასათესად გამზადებული, მონამლული ხორბალი აღმომიჩინეს თუ რა მრჯიდა, რა მიმარბენინებდა... არც ერთი, არც მეორე, არც მესამე — წავედი მივიღინებთ,

რედაქციის დავალებით, რკინიგზის მშენებლობაზე სტატიის დასაწერად...

ანატოლი, გაცნობის სურვილს შეხვედრისთანავე გაგიჩენდათ. მიშასაგან განსხვავებით, უფრო ასაკიანი, საგრძნობლად შემელოტებული, მხიარული და თავისი აცქვეტილი, ფანჯრებზე გაკრული, გასანთლული ქალაღლივით ყურებით ცოტა სასაცილოც კი იყო.

თვითონ, როგორც მითხრა, თითქმის უკიდურეს ჩრდილოეთში, სრედნი-კოლიმსკში ცხოვრობდა, ჰქონდა მაიორის ჩინი და მუშაობდა ციხეში, ოლონდ, რაზე, არ უთქვამს — იმედია, პატიმრებს გალობის გაკვეთილებს არ უტარებდა.

ვერ გამეგო, საბჭოთა ციხის მკაცრ რეჟიმს და, ამ კაფანდარა, მხიარულ კაცს ერთმანეთთან რა ჰქონდათ საერთო.

აქ რაზე ბრძანდებით-მეთქი.

ალბათ, ჩემი შეკითხვით ღიმილმოგვრილმა ისე მიპასუხა, დასასვენებლად, თან რომ გაგრძნობინებს, შეიძლება მთლად მართალსაც არ გეუბნებოდე, მაგრამ ნუ ჩამეძიებო.

არც ჩავძიებია, ბევრის ცოდნა, ბევრი თავის ტკივილია.

უსტ-კუტში ჩემზე ადრე ჩამოსულ ანატოლის, ადგილობრივ პედაგოგ ქალთან, კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორთან პატარა, სამივლინებო რომანის გაბმაც მოესწრო.

ჰოდა, ამ ქალბატონს, თითქმის ყოველ საღამოს, სასტუმროში ორგანიზებულად მოჰყავდა ასაკის მსახვრალი ხელით სინორჩენართმეული, რამდენიმე კოლეგა-პედაგოგი.

სტუმრები ანატოლის ნომერში მოწესრიგდებოდნენ, პომადითა და ფერუმარლით შეილესებოდნენ, კორსეტებით გაკოჭილები, ტანსაცმლის საკიდთან აყუდებულ სარკეში ჩაიჭყიტებოდნენ, ვახშმისა და სასიამოვნო დროსტარების მომლოდინე, აკრიახებული, გადაკრუხებული დედლები, მასპინძელს, ბებერი, მაგრამ რიხიანი მამალივით წინ გაიძლოდებდნენ და რესტორანში მიდიოდნენ.

რესტორანი ჩვენს გვერდით იყო — რადგან ნორმალური წასახვედელი ობიექტი ახლომახლო არ არსებობდა, მთელი სასტუმროს მობინადრეები იქ დავდიოდით.

ერთხელ, ტაიგიდან დაბრუნებულს და მოშიებულს, სავახშმოდ, ანატოლის გუნდთან ერთად მომინია წასვლა.

გამოლაგდნენ ნომრიდან ქალები, ანატოლიმაც ილღიაში რაღაც ბრტყელი, გაზეთში გადახვეული ამოიდო და, აბა, წავედითო.

შეხვეული რა უნდა იყოს, ალბათ, ხმელი თევზია-მეთქი, ვიფიქრე, რადგან ფორმით სხვას ვერაფერს მივაგვანე...

რესტორანის მისაღებში, ანატოლიმ, ქეჩის ბათინკები კუთხეში მიანყო, შეხვეულს გაზეთი შემოაცალა და... „ტარანის“ ნაცვლად ჩვეულებრივი, დაჭვრეთილი, სანდლების სტილის თხელძირა, საზაფხულო ფეხსაცმელი დავინახე.

ფეხსაცმელი ჩაიცვა, აბზინდებით შეიკრა, მოირგო, იატაკს გაუსვა, კარგო, ცერი ამინია

და ქალები დარბაზში შელალა.

ვაჰ, მოდი და ჩახვდი, რაშია საქმე, რა უდევს გუნებაში სრედნი-კოლიმსკელ მაიორს.

დავსხედით, ვვახშმობთ, არაყიც, ჩვენი მხსნელი ამ სასტიკ ყინვაში, თანდათან გაგვიჯდა, გაგვათბო. გახალისდნენ პედაგოგები, როგორც საბავშვო ბალის ხელჩაკიდებული აღსაზრდელები, შუაგულში ჩამდგარ მასწავლებელს, ისე შეჰხარიან, შესტრფიან ანატოლის. ანატოლიც, ქალებისაგან დაკოცნილი, პომადიანი ტუჩების ანაბეჭდებით ოლეგ პოპოვს დამგვანებული, თვალს მიკრავს და ქალებს ეოხუნჯება:

რაც თქვენ გინახავთ, ერთი ეშელონი თუ გამოვაო?

შენსასაც თუ დავამატებთ, უეჭველად, პასუხობენ და მთელი რესტორანი ამათ მხიარულებას მისჩერებია.

ჩვენგან ხელმარჯვნივ, რესტორანის ჭერს შედგმულ საყრდენ სვეტთან, სამი მამაკაცი და ერთი ქალი ზის. ქალსაც ვერ იტყვი, მინიატურული გოგოა, კოხტა, ჯანმრთელი ფერ-ხორცის, ლამაზი, ყელიან სვიტერზე უმკლავებო, ნაქარგებიანი ზედატანი აცვია და თოვლში ნაპოვნი ალამასივით ბრწყინავს.

ოთხივეს ძალიან სერიოზულად უჭირავთ თავი, ცოტას სვამენ და საუბრობენ.

მერე კაცებმა ოფიციატს უხმეს, გადაიხადეს დანახარჯი, წავიდნენ, გოგო კი ჩვენს მაგიდას შემოუერთდა, ანატოლის თხოვნით, გვერდით დამიჯდა და, უკვე საღერღელამილი, „პუხის“ ფუმფულაქუდიანი, ერთ-ერთი პედაგოგი ქალის „მეურვეობისაგან“ დამიხსნა.

— განა ავდონინა! — ხელი გამომინოდა გოგომ.

პირველ სართულზე, სასტუმროს ფოიეში, ფურცლებით მოფენილ, დაჩხაპნილ მაგიდასთან, სარეგისტრაციო ბარათების შევსების დროს, გოგოს ერთხელ უკვე შევხვდი. მას შემდეგ, ხანდახან, მამაკაცების განუყრელ სამეულთან ერთად თვალს თუ მოვკრავდი ხოლმე და ახლა, ბედმა, გვერდით არ მომისკუპა?

რუსი გოგოების ჩვევას, თუკი მოენონები უეჭველად რომელიმე პოპულარულ მსახიობს რომ უნდა მივამსგავსონ, არც განამ უღალატა:

— არ უთქვამთ ლანავოის ძალინ რომ ჰგავხართ?

— კი, უთქვამთ!.. განსაკუთრებით გენერალ კარლ ვოლფის როლში...

— არა, მე უფრო ალექსანდრე ვრონსკის გავისხენებდი, „ანა კარენინადან...“

— ვრონსკის ვოლფი მირჩენია.

— ვოლფი რომ ფაშისტია?

— სამაგიეროდ, ვრონსკიზე უფრო პატიოსანია.

არ მეგონა ჩემი ხუმრობა თუ სერიოზულად განაცვიფრებდა და ცოტას გაანანყენებდა კიდევ.

წყალს წაულია ერთიც და მეორეც, ჩემი თავის გარდა მე არავისაც არ ვგავარ, უკეთესი იქნება მითხრა, მაინცდამაინც ხვითქი არ გადაგვდის და, ანატოლიმ საზაფხულო ფეხ-

საცემელი რატომ ჩაიცვა-მეთქი.

მაგას სულ მალე გაიგებთო...  
ამასობაში გიტარის სიმმა დაიზუზუნა, დააკაუნეს მიკროფონზე და თმარამოგრძელე-ბულმა „მეტალისტებმა,“ შემალღებულ პირობით სცენაზე, ინსტრუმენტებით მოიკალათეს.

აბა, იქ გახურდა თუ გახურდა — გაყმანვილებული ანატოლი ნამოხტა, ზაფხულის ფეხსაცმელის ქუსლები მხედრულად ერთმანეთს მიუკაკუნა და ჩემი ცნობისმოყვარეობა უცებ დაკმაყოფილდა — საცეკვაოდ ჯერ თავისი გულისსწორი გაიხმო, მერე, რიგრიგობით, ყველა დანარჩენი.

დასრიალებს მთელი დარბაზის გასწვრივ, თავისი ჯადოსნური ფეხსაცმელით, დაარბენინებს აქომინებულ ქალებს და, რაც უფრო ემხში შედის, უფრო მეტად იპყრობს ცეკვის ჟინი... თან ჩვენც გვიყიჟინებს, მაგიდასთან დამჯდარი არავინ ენახო, განა, მიხედე მაგ მორცხვ ბიჭსო, უძახის გოგოს და ჩვენც წყნარად, ერთმანეთს ჩახვეულები ადგილზე ვირნევიტ.

იჯერა გული ანატოლიმ, მოიკლა ხოში, გამოწურა ინსტრუმენტებიდან ბოლო აკორდი, შეიმშრალა გახვითქული შუბლი, კისერი და ახლა გასასვლელისაკენ გაუძღვა აკისკისებულ ამაღას.

რესტორანის მისაღებში მონახა თავისი ბათინკები, რაც ეცვა ისინი ისევ გაზეთში გადაახვია და გამოვიძალეთ ყინვით აჭახჭახებულ ეზოში.

ქალები, სასტუმროსთან, ხვევნა-კოცნით გამოგვეთხოვნენ.

— არც იმას იტოვებთ? — ვკითხე ანატოლის თავის გულისსწორზე.

— არა, მიდის!

— სულ ეგ იყო? — ვანიშნე ილღიაში ამოდეხულ ფეხსაცმელზე.

— ეგ იყო!.. სამაგიეროდ, შენი ხომ რჩება, — მიმახედა ბენვიან საყელოში თავჩარგულ, მუფთაში ხელეჩამთბარ გოგოსაკენ.

ანატოლიმ თავისთან, ჩაიზე შეგვიპატიჟა, მადულარა ჩართო და ფხვიერი ნამცხვარი და ნატეხი შაქარი მოგვართვა.

კარგახანს ვისხედით. ნუკრივით ყელმაღალი გოგო, მოკლე ქვედაბოლოდან გამონათებულ, ლამაზ მუხლისთავეს ადგილს რომ მოუნაცვლებდა და კოლჰოტი გაშრამუნდებოდა, ნასვამი, გაბრუებული გონება უარესად მერეოდა.

ძირითადად მე ვლაპარაკობდი, მეკითხებოდნენ და ვპასუხობდი.

გამოთხოვებისას, ანატოლის რომ შევხედე, იჯდა ხის სახელურიან სკამზე, დაღლილი, მოქანცული, კიდევ უფრო ჩამობერებული, მონყენილი. რატომღაც ჯიბეში დიდი ხნის ჩაკუჭულ, დაჭმუჭნულ ცხვირსახოცს ჰგავდა და შემებრალა.

დერეფანში არავინ იყო, ვისარგებლე და განას მოვეხვიე.

— გგონიათ, რომ ეს მსუბუქი ფლირტი შეჭველად სანოლით უნდა დამთავრდეს? — როგორც ახირებულ ბავშვს ეგრე მომიცაცუნა ნიკაპზე თითები.

— მხოლოდ მე კი არა, თქვენც ასე გგონიათ! ძალიან ცდებითო, ცხვირწინ მომიხურა კარი, მაგრამ მე არ ვიყავი იმ ასაკში, ფარმალს იოლად რომ ყრია.

მეორე დღეს, მე — ტაიგიდან, განა თავისი სამივლინებო საქმეებიდან რომ დაბრუნდა, ახლა უკვე მარტო ვენვიეთ რესტორანს. იქიდან პირდაპირ ჩემთან შევედი და, ჩვენი „მსუბუქი ფლირტი“ მაინც სანოლით დასრულდა.

სანოლში კი იმდენი ძველი ამბავი თუ საიდუმლო ირკვევა და ახალი ინსაკვება, რომ...

და როდესაც დადგა მესამე ღამე, შეჰარაზადამ თქვა:

— ღამე შენი ვარ, დღე — ეშმაკების!

სასმელით შეჭიკჭიკებული იყო და წამოსცდა.

თქვა და გაგრძელება აღარ ისურვა, მაგრამ მე მოვეშვებოდი?

გაირკვა, რომ ეს პატარა გოგო, ორი წლით ჩემზე უფროსიც იყო და, რაც მთავარია და გამაოგნებელი, თურმე ჩემს ალერსიან სატრფოს, ნაზ მხრებზე, თავზარდამცემი სამსახურის უმცროსი ლეიტენანტის სამხრეები ეკერა.

მოკლედ, შევიყარეთ ციმბირში, ღვთისაგან მივინყებულ სასტუმროში, თბილისიდან ჩამოსული ზორგე და ირკუტსკიდან მოვლინებული მატა ჰარი.

აქ ისეთი მშენებლობა მიდის, ყველა უცხო ჩამომსვლელით ვინტერესდებით, მე შენი შესწავლა დამევალო.

ჰოდა, „შემისწავლა“ კიდევც, როგორც იტყვიან, ძირფესვიანად!

სამსახურში წარსადგენ მოხსენებით ბართში, ალბათ, დანერდა: „სანდო, წესიერი, არ უყვარს ლაყბობა,“ და, რაც მთავარია, „მორალურად მდგრადი...“

რა „ხერხებით“ მოიპოვა ამხელა ინფორმაცია, უმიშროების სამსახურის უმცროსმა ლეიტენანტმა, განა ავდონინამ, მოხსენებით ბარათში, მეტისმეტი ინტიმურობის გამო, მგონი, არ „აისახებოდა.“

როგორც ჩემი რუსი, დრამატურგი მეგობარი იტყვის ხოლმე — „რა არ ხდება ამ ჩვენს დიდ რუსეთში...“

თუ საიქიოში „ბრიტვა ნევა“ იშოვება, ძერჟინსკი ნამდვილად ვენებს დაიბდღვნიდა...

იქაურობა მაინც კარგად მახსენდება, ზამთრის ტაიგაც და იქ მომუშავე, ჭირთათმენაში გამობრძმედილი ადამიანებიც:

უსტ-კუტიდან მესაე კილომეტრზე, მშენებარე დაბაში, ორმოცგრადუსიან ყინვაში, ხელთათმანების გარეშე რომ დამინახა, ზორბა, ნამდვილმა ციმბირელმა, ეგრე ხომ თითები არ შეგრჩებო, მაშინვე გაიძრო შრომაში გადახეხილი, უხეში, მაგრამ თბილი ხელთათმანები და გაფიჩხულ ხელებზე მომარგო.

არის სითბო, რომელიც მთელი სიცოცხლე მიგყვება...

და რომ არ ჩაქრეს, გახსენებით სული უნდა უბერო...“

24

უბის ნიბნაკიდან

16.08.2008

„ეკლესიაში, ღვთისმშობლის მიძინების ხატთან, ნაცნობი სახეები შევნიშნე.

ერთბაშად ვერ ვიცანი. გონება დავძაბე.

— თქვენი სახელი ბადრი, ხომ? თქვენი...

— კაკო!

— ჰო, რამდენიმე წლის წინ, ხეობაში, თქვენს სახლშიც ნამყოფი ვარ.

— ეჰ, ძმაო, აბა, ახლა ნახეთ, მიაგნებთ კიდევ სადაც ჩვენი სახლი იდგა? ეგრეა ნაშლილი...

— გალიაში მშვიერ ლომს კურდღელს რომ შეუგაძებენ, მტერს ისე შეგვატოვებს...

ბადრი და კაკო ძმები არიან.

ჩამოსტირით თავ-პირი.

ან რა აქვთ გასახარელი.

— ოცი წელიწადი ფეხი ვერ მოგვაცლევინებს, რაც ჩვენ უბედურებას გავუძელით და, ეხლა არ ამოგვიძრკვეს?.. კარგად რომ დავფიქრდე, გავგიჟდები, — თითებში ჩამდნარ სანთელს ჩაელაპარაკება ბადრი.

— ქრისტიანმა კაცმა თავი როგორ მოვიკლა!.. — პირფარას იწერს კაკო.

ჩვენი ამბავი აღარც ითქმის და აღარც მოიყოლებო.

დარჩათ ხელუხლებელი ხილის ბალები, ჩამოსაკრეფი ვენახი და ხეივანი, ჭურვებით დახოცილი საქონელი...

თავჩალუნულები მესაუბრებიან, გაღიზიანებულები თავიანთი უმწეობის გამო.

ერთი ეკლესიაღაა ჩვენი პატრონი! — უსახლვროდ დაღვრემილ ბადრის მძიმე, ცარიელი ხელები წინ ისე გაუშვერია, თითქოს მოულოდნელად მოვარდნილმა ნიაღვარმა გამოსტაცა, რაც კი ეჭირა.

ცოლ-შვილი ომის წინა დღეებში გაუხიზნიათ. თვითონ, ყველაფერი თავზე რომ დააქციეს, ბალებს თავმფარებულებსაც რომ აღარ დაედგომებოდათ, გამოიქცნენ. ანდა რაღას დაჰყარაულებოდნენ, ქვა-ქვაზე დადუღებულ სოფელში.

წყალ-წყალ მოტოპავდნენ, მერე ლიახვვალმა, ბექიდან ბექზე მოიპარებოდნენ, აფეთქებულ რუსულ ტანკს რომ გადაანყდნენ. პირდაპირ დაჯახებულ რაკეტას ტანკი ადგილზე დაეშალა, კომპურა მოეგლიჯა და უკან ხურჯინივით გადაეკიდა.

ცოტა მოშორებით, მუხლუხების ნაბულრავეებში, ხელებდამწვარი რუსი ჯარისკაცი ედო. ეტყობოდა დარტყმის ძალამ კომპურიდან გაისროლა და ველარც წამოდგა.

ჯარისკაცს მხოლოდ სახე ჰქონდა მთელი, ბავშვური, ისეთი, პირველად პირის მოპარსვას რომ იწყებენ ბიჭები. ინვა თავმიღრევილი, თითქოს თვითონვე ზარავდა მკერდშენგრეული, უკვე ბუზდახვეული საკუთარი სხეული...

ძმებმა წამით დახედეს ჯარისკაცს და გამოიქცნენ, დაემუნენ დაღმართზე.

იქაურობას კარგა მანძილით გამოცდენილები შედგნენ, ერთმანეთს შეხედეს, მკვდარი მკვდარია, ასე რომ დავტოვოთ, ნადირი გააფუ-

ჭებს და ჩვენს ღმერთს რას ვეუბნებითო, ახლა უკან გაიქცნენ, ფხოჭიალით აირბინეს აღმართი.

ტანკთან რკინები ოხრად ეყარა. გზიდან ამაღლებულ სერზე, უნალექობით გაქვავებულ ყამირზე საფლავის გათხრას შეუდგნენ. ძალაყინივით ნანვეტებული ტანკის ნაწილით გადატრუსული ნიადაგის ქერქი რომ მოჩიჩქნეს, მერე უფრო გაუადვილდათ. გაფხვიერებული მინა ხელით და გატეხილი თუნუქის ჯამივით ნალმის ნამსხვრევით ამოჰქონდათ.

მუხლამდე ჩავიდნენ, მეტი ველარ შესძლეს, დაბუჭებულ-დასისხლიანებული თითები აღარ ემორჩილებოდათ.

ჯარისკაცი ჩაასვენეს, მინა მიაყარეს, ააკოკოლავეს. თავით, სანიშნედ, ნანვეტებული რკინა დაურჭვეს და „გაგლეჯილი „კასკა“ დაადეს.

— ძალიან ახალგაზრდა, ბავშვივით ნორჩი სახე ჰქონდა. მინის დასაყრელად ვერ გავიმეტე, ხალათს კალთა მოვახიე და ის დავაფარე... ეხლა, აგერ, ჯვარცმასთან, სანთელი იმის სახელზეც დავანთეთ... ალბათ, გიჟები ვართ ქართველები, ბოლომდე მტერსაც ვერ შევიძულებთ, — თითქოს ბოდიშობს ბადრი.

გახურებული ომის დროს, „ავადმყოფის“ გარდა, ვინ მიბრუნდება თავისი დამატკევეარის გვამის დასაკრძალად, ასე არ არის, ვიქტორ პეტროვიჩი?“

25

ქუჩის მხრიდან, ბელელაშვილების ფარდაგანეულ ფანჯარაში შევიჭყიტე.

ქალბატონი ამაღია მუშაობს, სანოლის თავზე მიყრდნობილი ავსებს გამოსაცემ წიგნს.

ნეტავ რას ფიქრობს, რამდენი ლექსი უნდა დააგროვოს, რომ კრებული „დააკომპლექტოს?“

ბევრ მუზის მსახურს გალაკტიონის „100 ლექსისაკენ“ გაურბოდა და გაურბის თვალი. იქნებ ხანდაზმული, დამწყები ავტორის გულსაც ეს ციფრი არ ასვენებს?

ისე რას აშავებს, ჩიტივით ცოტას იკიკნება, შაქარი მავნებელიაო, ჩაის მურაბით დალევა უყვარს, თოჯინასავით სადაც მიუჩენენ ადგილს, მიჯდება და არის თავისთვის, ლექსების წერა თუ ცოდვად არ ჩაეთვლება, — დიდი, ფართოსახელოებიანი ლამის პერანგით და სახეზე მორეული, ძალიან ბებრული ნაოჭებით, ნამდვილი ანგელოზია.

რადგან სარდაფის „აღჭურვილობა,“ — ნიკას ზოლებიანი სპორტული პიჟამო გახადეს და ნაქსოვი, საბაკურიანე ქუდიც აღარ ახურავს, ღამლაშობით თვალზეამდე რომ ჩამოაფხატავდა ხოლმე შვილი, მაშასადამე, ეტყობა, საქმე უკეთესობისაკენ მიდის.

დამფრთხალი მოქალაქეები გამოვიდნენ სარდაფებიდან, ზოგი უკანაც დაბრუნდა, ვილაცები მუნიციპალიტეტშიც გამოჩნდნენ და, დაპყრობილი სოფლებიდან დაძრული უსახლკარო ლტოლვილები, მემწეობის იმედით, ამ მრავალისმნახველი შენობის შესასვლელთან ხორხობენ.

მოქალაქეთა რიცხვი რომ მატულობს, გამ-

ვლელთა ფეხქვეშ დაფშვნილი შუშის ხმაურზეც მიხვდები. მართალია ეს ხმა ციმბირული პირველი თოვლის ხრაშუნს არ სჯობია, მაგრამ იმედის ნაპერწკალს მაინც აღვივებს.

თანდათან ჩიტები და ძაღლებიც დაბრუნდნენ, მაგრამ ხროვებად აღარ ეხვევიან სანაგვეებს, რადგან იმ სანაგვეებში აღარაფერი მოიპოვება, ბინებიდან გამოტანილი შუშის ნამსხვრევების გარდა.

პროფტექნიკუმის გავერანებულ, დადუმებულ ეზოში მივიარ-მოვიარე — კიდეც არ ჩანს ბებერი, შავი ძაღლი. სად წავიდა, საით გადაიხვენა, ანდა ცოცხალი კია? წარმოვიდგენდი, ბაგირას ღამით ატეხილი ყეფა-ყმუილიც თუ სანატრელი გამიხდებოდა!

ყოფილი სასწავლებლის ეზოს ვაგონებით ჩამდგარი, ხის დამამუშავებელი საწარმოს შენობები ესაზღვრება. სადურგლო სამაქრო გადატიხრულია და პატარა, მყუდრო, საუფროსოსაბუღალტრო ოთახში, ორი მაგიდიდან ერთი სანერია, სადაც, ხის ძველ „ჩოთქზე“ შემოსავალ-გასავალს ანგარიშობენ, ავსებენ მიღებული მასალის ზედდებულებს, შეკვეთების ოქმებს, ხელშეკრულებებს, საგადასახადო ქვითრებს... მოკლედ, ერთ დროს სერიოზული, ეხლა დამჭლევებული წარმოების „ნაჩაღნიკი“, შალვა გრიგორიჩი აგვარებს ამ ყველაფერს. ბატონი შალვა, შტატების შემცირების ხარჯზე, ბუღალტრობაც და კიდეც რალაცეებიც რომ შეითავსა, ძველებურ, მძიმე სანერ მაგიდას, თვითონაც მძიმედ უზის და მრავალგვერდიან ვახეთებს, პლიუს ოთხი ნომერი სათვალისა, ბეჯითი მოსწავლესავით, თავიდან ბოლომდე აწივნივებს.

მეორე, არანაკლებ მასიური, მყარად შეკრული, დომინოს თამაშით გადაპრიალებული „სტოლი“, ირგვლივ შემორიგებული, ასევე მყარი, გამძლე სკამებით, კლიენტურის კლებასთან ერთად, თანდათან სამუშაოს გარეშე დარჩენილი თანამშრომლების თავშეყრის ადგილი გახდა... შემოვლენ, შემოუსხდებიან უსაქმურობით გაბეზრებული დურგლები, მხერხავები და „სტოლ-ნაჩაღნიკს“ მორიდებით შეებდავენ, გრიგორიჩ, თუ შეიძლება, თქვენი „ჩოთქი“ გვიბოძეთო.

ისიც „უბოძებს“ და, არა მარტო უბოძებს, ხანდახან, როცა კაცი აკლიათ, თვითონაც ჩაერთვება.

ვიდრე სახელმწიფო თუ კერძო შეკვეთები თავზე საყრელი ჰქონდათ, ვინ მოაცლიდათ დომინოს სათამაშოდ. ახლა კი... ბოლო წლებია არენდისა და დენის ფულს ძლივსლა გამოიმუშავებენ ხოლმე, კიდეც შენობების ნაწილი გააქირავეს და იმით ითქვამენ სულს, თორემ წარმოებას საბოლოოდ გააცამტვერებდა საბაზრო ეკონომიკა... სამაგიეროდ, იცოცხლებ, გაუდის დომინოს მაგიდას დილიდან საღამომდე ჭახაჭახი.

ოთახი იმითიც არის საინტერესო, რომ კედლებზე გაკრული, კინოცენტრის გამოშვებული კალენდრიდან („საბჭოთა კინოს მსახიობები“) ამოღებული სამი ღამაზმანი, ვერონიკა იზოტოვა, ალექსანდრა იაკოვლევა და სვეტლანა

ნა დირინა მოგჩერება.

თუმცა, ისინი კი არა, ესენი მისჩერებიან.

საქმე არჩევანზეა, დაჯექი და რომელსაც გინდა, რამდენიც გინდა უყურე.

— ამათ ცქერაში ჩამოვბერდი, ესენი კიდეც ისევ ძველებურად ღამაზები და მომხიბლავები არიან, კაცოო! — ხელი-ხელს ვაჰკრავს მთავარი ინჟინერი, ვალიკო გუგუტიშვილი.

მთავარი, თორემ რიგითები ხომ თავს გადაგვდისო, ეცინება ხოლმე, ვილა ვართ „მთავარი“, დრომ ყველა დომინოს კოჭებივით ერთ ზომაზე დაგვაყენაო.

ძველებურად, თავის „ადგილზე“ მხოლოდ ბებერი შავი ძაღლია, მთავარმა ინჟინერმა თვალაუხელებელი ლეკვი რომ მოიყვანა და ბაგირა შეარქვა. ბაგირა შეეზარდა, შეეთვისა აქაურობას. რაც ასაკში შევიდა, უფრო ხშირად მზის-გულზე, ყორესთან წევს, თორემ მანამდე წარმოების ეზოს არ სცილდებოდა.

ომის წინა საღამოს, ვალიკომ პური მოუტანა, ორი დღეა არ ვყოფილვარ და მშიერი იქნებაო. მწყალობელის ხმაზე ძაღლი მაშინვე მოვარდა, გახარებული მიელაქუცა, პური დაყნოსა, მომტანს მაღლიერი თვალებით შეხედა და ჭამას შეუდგა.

იქვე პატარა ფინია დაცუცქდა. რადგან ახლოს მისვლა ვერ გაბედა, ვერ ჩაეზიარა, ნერწყვიანი ენა ღამებზე დაეკიდა.

ბაგირამ განზე გაინია — ანიშნა, მოდი და მიირთვიო.

ჩაჯდა უკანა ფეხებზე და კმაყოფილი უყურებდა, ფინია როგორ შეექცეოდა მის დატოვილ პურის ნატებს.

— ხედავ, რამხელა გრძნობა აქვს? სხვაზეც ფიქრობს... აბა, ამის მშიერი დატოვება შეიძლება?.. ამდენს ხელისუფლება მაინც ხვდებოდეს! — ბაგირას ბომბორა თავზე მიეფერა მთავარი ინჟინერი.

ომი როგორც კი დაიწყო, ბაგირას ყეფა ვეღარ გავიგონე.

ერთ დღესაც პური ნაფულე, მოვიარე ეზო, მოვათვალე ყველა კუთხე-კუთხუდი, მაგრამ ვეღარსად ვნახე.

პური ყორესთან, ქვაზე ჩამოვდე, თუ გამოჩნდება, შეჭამს-მეთქი.

მეორე დღეს პური ისევ ხელუხლებელი იდო...

კალათბურთის მოედანზე მოფანტული კასეტური ბომბის უამრავი წვრილი ნამსხვრევიდან, რამდენიმე სიგარეტის ცარიელ კოლოფში ჩავდე, ამ დღეთა სახსოვრად შევიზახავ-მეთქი.

კოლოფი შინ ავიტანე, მერე ბელელაშვილებთან ჩამოვედი, ქალბატონ ამალიასთან საუბრით თავი შევიქციე. მე და ნიკამ, წელსქვემით დაყვანილ პლასტმასის ბოთლს ნახევარი კიდეც მოვაკელით და, გარეთ რომ გამოვედით, უკვე ბნელოდა.

ნიკა საავადმყოფოში წავიდა, მე ქალაქის მოედანზე გამოვედი.

ძეგლის უკან, პოსტამენტის დაცერავებულ მარმარილოზე, ხარისხზე შემომჯდარი ქათმებივით დაყუნტულიყვნენ ჭროლა, ჩარექა და კამფეტა.

გნოლიძეებთან გავხალისდით და ახლა ქვეყნის ბედ-იღბალს ვარჩევთო.

— ეჰ, რაც აქ მაყუთი შეუტანიათ, — ამბობს მუნიციპალიტეტს მიჩერებული ჭროლა.

— ეგ როდის, ძმაო? — ცხვირსახოცით გულ-მკერდს ინიავებს ჩარეკა.

— კომუნისტების დროს.  
— მერე ხომ აკლებდნენ...

— არა, იყო ერთი ათთვიანი, „პატიოსანი“ პერიოდი, ოქროს ხანა... რას ამბობ, ჩუბინა როცა პრეფექტობდა, ფულს ვინმეს უხსენებდი? იქ არ ვიყავი? აგერ, ბოლოდან მეორე ფანჯარა, ჩემი კაბინეტისა იყო...

— ვა, კაბინეტი გქონდა? — უკვირს კამფეტას.

— პირველად გაიგე? ვითომ, მაგ კაბინეტში, შენთვის არაყის ფული არ მომიცია?

— რას ამბობ, ოთხმოცდათერთმეტში? დედას გეფიცები, მაგ დროს ჩაისაც არ ვსვამდი, კოფეინი შედის-მეთქი.

— კაბინეტიც მქონდა და მანქანაც მემსახურებოდა...

— ლოთსა, კაცო? — გამოფხიზლდა ჩარეკა.

— მაშინ ლოთი არ ვიყავი... როგორც „პროვინციულ ფაშისტს“ დევნა რომ დამინყეს, დამაპატიმრეს, მეც დავიკიდე ცხოვრება და... ეჰ, როგორი იმედი გვქონდა, თავისუფალ ქვეყანას ვაშენებთო... ესლა მოდიან და მარტო თავისთავს აშენებენ.

— მერე, ამტყუნებ? არ გაგიგია, წინა კაცი უკანას ხიდიო — ხომ ნახეს ან ჩუბინას, ან სხვებს როგორც დაუფასეს, ზოგი დაბრიდეს, ზოგი გააქციეს, ზოგიც ჯავრისაგან თავისით მოკვდა ან შენი თამადობით, მაგალითად, გალოთდა... აჰა, რომ გაჭირდა, ქალაქში, აბა რომელი დარჩა, ლოთების, მოხუცების, ავადმყოფების გარდა... ჩუბინა გამქცევი იყო? შეაკლავდა თავს და აქაურობას არ მიატოვებდა! — აღელდა კამფეტა.

— კარგი, რა, ისიც ღრმა ღრუბლებში დაცურავდა!

— ერთი ყლუპი მაინც გვქონდეს, ჩუბინას სადღეგრძელოს დავლევდით.

— მოიცა, ჭროლა, მანდ როცა მუშაობდი, ბოლოდან მეორე ფანჯარაში, მაშინაც ლოთობდი? — ჩაღუნული თავი ასწია ჩარეკამ.

— მაგ კითხვაზე პასუხი უკვე გაგეცი... აგერ, ეს პატიოსანი კაცი დამიმონმებს, — ხელი გადამხვია ჭროლამ.

— არ ვიცი, მე არ მომისმენია.

— სკოლაშიც ეგეთი უყურადღებო იყავი.

— მერე, გაიმეორე, კიდევ ერთხელ, ძმაო... ჩემი მეტი ხათრი არა გაქვს?

— რა გაგიმეორე, არა ვთქვი, ცხოვრებაში მაგრად გამიტყდა და ხელი ჩავიქნიე-მეთქი?

— როგორ ჩაიქნიე, ეგრე? — ჩარეკამ ჰაერში მკლავით ნახევარწრე შემოხაზა და ლამის წინ წაიჩეხა.

— ჰო, ეგრე...

— შენც აღარ ჩაიქნიო, რა... ძმურად გირჩევ...

კამფეტამ ხელი მოიჩრდილა, ვითომ მზე ანუხებდა:

— ესლა ამ ვიტრინებჩაღენილ, ჟალუზებ-დაშვებულ მარკეტს ბომბი რომ დაეცეს...

— რათ უნდა დაეცეს, რა დაგიმაჯა, — ნამოვარდა ჩარეკა.

— რათა და, ხალხს შია, მანდ კიდევ, უდენობაში, ვინ იცის რამდენი პროდუქტი გაფუჭდებოდა.

— მაგ მარკეტს მოეშვი, გაიგე? სწორედ ომის წინა დღეს, „პაზიკით“, ქვეყნის არაყი და ლუდი შეიტანეს?.. ძეხვი და ხაჭო თუ გაფუჭდება, სულ არ მკიდა... არაყს კი რა გააფუჭებს, მილიონი წელიც რომ გავიდეს.

— თუ არ ამოქრა... — სიტყვა შეაწია ჭროლამ.

სამი ავტომატიანი პატრული მოვიდა, რას აკეთებთო.

ჩვენს და თქვენს ბელადს ვესაუბრებითო, ანიშნა ჭროლამ ძეგლზე.

ახლა კომენდანტის საათია, დილაზე ესაუბრეთო.

თქვენი წყალობით, დილა გაგვითენდება თუ არა, არ ვიცი და რაც სათქმელი გვაქვს დღეს უნდა ვუთხრა... თანაც, ათ საათამდე მთელი თხუთმეტი წუთიაო, — მობილურს დახედა ჭროლამ.

კარგით, კარგით, ესაუბრეთო, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და ქვემოთ, ხიდისაკენ წავიდნენ.

— რაო, რა თქვეს, — დაინტერესდა ჩარეკა.

— რა და, ჩარეკა ვოდკოი პახნეტო!

— ვაა, როგორ მიხვდნენ?

— მაგათ დედებს ცალ ძუძუში არაყი მოსდით და ეგ შეეშლებოდათ?

— მართალი ხარ, ჭროლა, — მხარზე ხელი დაჰკრა კამფეტამ, — ნუხელის ლექსი დაგწერე, — მომიბრუნდა მე.

„ომის ქარცეცხლში შობილმა პოეტებმა ხომ შემეჭამეს.“

— დანერე თუ გამოთქვი.

— ჰო, რა, ფურცელზე მერე გადავიტან.

— გადაიტანე, ძმაო, გადაიტანე, რამე არ მოგივიდეს და არ დაგვლუპო, ხომ იცი, ლოთ კაცს ცალი ფეხი სამარეში უდგას...

— არ გინდა, ეგეთები, ჭროლა, ყველა თავის მაგივრად ცოცხლობს, — ეწყინა კამფეტას.

— კარგი, რა, ხუმრობა არ იცი, აბა, გისმენთ!.. ოღონდ ერთი პირობით — თუ სტალინის თემაზეა, დაივინყე — ალე კიდევ არ გააბრაზო.

— არა, პოლიტიკური თემაა, მაგრამ სტალინს არ ეხება.

— მაშ, მიდი!

— მისმენთ?.. „გაბუტული რუსეთთან, ამერიკის ფანი, აღარა ვართ ქვეყანა, ჩვენ ვართ დერფანი...“

სიჩუმე ჩამოვარდა.

კამფეტამ ხან ერთს შემოგვხედა, ხან მეორეს, ხან მესამეს.

— რას იტყვი, ჭროლა? — შეფასების „პასუხისმგებლობა“ თავისთავზე ვერ აიღო ჩარეკამ.

— არაფერსაც არ ვიტყვი... რალა უნდა ვთქვა, ყველაფერი ნათქვამია... მაშ, დერეფანი, არა? — შუბლზე გაშლილი ხელისგული მი-

ირტყა, — წავალ, შინისაკენ წავჩანჩალდები... რალაცეები გამახსენდა და სევდა შემომანვა...

— სევდას თავი დაანებე, აიმ კაბინეტში, მაინც აღარ დაგაბრუნებენ.

— ეხლა რომ ავიდეს და დაჯდეს, ვინ დაუშლის?

— მოსულა, ძმაო, — კამფეტას ხელი ხელზე დაჰკრა ჩარექამ, — რუსი აქედან წამსვლელი აღარ არის და იჯდეს და იჯდეს, ხმას ვინ ამოიღებს...

— ეგ მეორედ აღარ თქვათ! — საჩვენებელი თითი ორივეს ცხვირწინ დაუტრიალა ჭროლამ, — ესენი თუ არ წაეთრევიან, კაბინეტი რა ჩემს ფეხებად მინდა.

— ვიხუმრეთ, რა მოხდა!

— ყველაფერზე არ შაყირობენ, ძმაო!.. მე, ჭროლამ ვთქვი და გავათავე, გაიგეთ? — შებრუნდა განრისხებული და წავიდა.

— აი, ესეთი უცნაურია, რა! — მომიბრუნდა ჩარექა.

— უცნაურია, მაგრამ ჯიგარია! — ბეჭედი დაუსვა კამფეტამ.

განათდა ცენტრალური მოედანი, გაბრწყინდა გზისპირებზე მიხვეტილი ფანჯრის, ვიტრინების, რეკლამების შუშის წამსხვრევები, ბასრი ნაპირებით ქალაქს მაჯები რომ გადაუჭრეს და კიდურებმონყვეტილი დატოვეს.

დილით ეკას ველაპარაკე, რომელიღაც რუსულ რადიოარხს გადმოუცია, საქართველოში, ასე ვთქვათ, ექსტრემალური, ტყლაპის დასაღეჭი ჰალსტუხების გამოშვებას იწყებენო.

ასეა, ჯერ დაგაღეჭინებენ და მერე დაგცინიან.

მშვიერი კაცის სიხარბზე უარესი მაძღარი კაცის სიხარბეა. რა უნდათ, რას მიელტვიან ძლიერნი ამ ქვეყნისანი, აჰა, დაიპყარი და იყავი, ბოლოს მაინც რა გამოვა, განა არ იციან, როგორ პატივშიც არ უნდა ჰყავდეთ თავისთავი, ყველაზე ნაზი, ჰაეროვანი ნუგბარიც და უძვირფასესი სასმელიც რომ ბოლოს ერთსახოვან, ფეკალურ მასად გადაიქცევა?

დალამდა, დაიწყო კომენდანტის საათი და გაისუსა ქალაქი. ისეთი სიჩუმეა, ნაბიჯების ხმაც კი გულს გაგიხეთქავს.

კრივის სკოლასთან ჩაფუხვევ, იმ მხრიდან, საიდანაც ტანკი გაასვენეს, პირდაპირ ნატოს ფანჯრებს მივადგები, მივუკაკუნებ და ვეტყვი:

— შეიძლება, ქალბატონო? ჩემს ასაკში, წესით ჭკუიდან აღარ უნდა გადადიოდნენ, მაგრამ ამ ოხერ ომს რას გაუგებ, ოცდათხუთმეტი წლის წინ ჩადებული ნაღმი, ადრე თუ გვიან რომ აფეთქდებოდა, არ უნდა მცოდნოდა?

საგულდაგულოდ ჩაგმანული საცხობის უკანიდან ჩაქუჩის ხმა მოისმა. თანაც გაბმული კი არა, ერთი გაგრძელებული და ორი მოკლე, ერთმანეთს მიყოლებული:

„პამ, პა-პამ!“

და კიდევ:

„პამ, პა-პამ!“

მივუახლოვდი და, უფრო გარკვევით:

„პამ, პა-პამ!“

გარაჟებს შორის გავძვერი და ხარაზი ვახოს კარლია ბუდრუგანას მივადექი.

როგორც ყოველთვის, ზის ხარაზი ყალიბების, თაროებზე დანყობილი, „შეპაჩინკებული“ თუ ლანჩაამძვრალი, საძირე-გამოსაცვლელი ფეხსაცმელების, გახუნებულ შპალერზე მინებებული, ბელადის სხვადასხვა რაკურსით გადიდებული სურათების გარემოცვაში და უკაკუნებს ხარაზის ტუჩიან ჩაქუჩს.

ვუყურებ შორიდან თავჩაღუნულ, თავისთვის ალილინებულ კაცს და ვფიქრობ — რადგან ხარაზი ვახო მუშაობს, თანაც ღლინებს, მაშასადამე ქალაქი ისევ ცოცხალია.

შევეყავი თავი ბუდრუგანაში, შენ გიშველა ღმერთმა, როგორც მე გამახარე-მეთქი.

ამომხედა თვალმოჭუტულმა, შენყვიტა დროებით ჩაქუჩის კაკუნი.

— აქ ძან დალხინებული არავინ შემოდის — მდიდარს გაუცვდება, გადაადგებს და ახალს იყიდის... ჩემი კლიენტურა სულ გაჭირვებული ხალხია... აი, ეს ფეხსაცმელი, მაგალითად, — დამანახვა ქუსლგადაღლეტილი, ოდესღაც პოპულარული ნიანგის ტყავის „სალამანდრა“, — მეოთხედ თუ მეხუთედ მაინც მოხვდა ჩემთან. საპირეს არა უშავს და ვერ ელევა პატრონი, რა ქნას... გარემეშო რასაც ხედავ, ამათი პატრონები, ერთი ამდენი აგერ, კუთხეში მიწყვია, ეხლა გაქცეულ-გამოქცეულები არიან... წინ და უკან სირბილში, რაც აცვიათ იმათ ხომ გასძვრებათ ძირი და, რომ ჩამოვლენ, ესენი გამზადებული არ დავახვედრო?... — ლტოლვილებს ისე ვინ გამოუშვებს, შემოსავენ, დაკერებულ ფეხსაცმელს ვილა ჩაიცვამს.

— მართლა, კაცო? აბა, უყურე, ეს ჩვენი მთავრობა როგორ გაგულკეთილებულა, — ტუჩებში მოქცეული წვრილი ლურსმანი წვერით ქუსლს დააჭირა და, ისევე: „პამ, პა-პამ...“

კიდევ იტყვიან ქალაქში წარმოება არ მუშაობსო? მაშ ეს რა არის, მაშ ხარაზ ვახოს მატყლი უჩეჩია! ერთადერთი ეს კაკუნია, სიჩუმეში ჩაძირულ ქალაქს პულსივით რომ უცემს...

ფანჯარაზე, ნატოს, მეც ხარაზის ჩაქუჩით სამჯერ მივუკაკუნე:

„კაკ, კაკ-კუკ!“

მუქი ფარდა გაინია.

— შეიძლება, ქალბატონო?

— მოუარე, ეზოდან, რაღას ელოდები?

— მეზობლები დაგვინახავენ.

— რომელი მეზობლები? — გაალო ფანჯარა, — ნასვამი ხარ?

— არა, ზედმეტად ფხიზელი..

ბელეტაჟი საკმაოდ მაღალია, მაგრამ მაინც უნდა ვცადო.

„ღმერთო, მიშველე!“ — ფეხის წვერებზე ანეული რაფას ჩავეჭიდე.

ხომ ვთქვი, წესით, ჩემს ასაკში, აღარ უნდა გიჟდებოდნენ-მეთქი.

გაგრძელება იქნება



შენმეგობრად  
ქაღალდი

**მთავს**

ზეცას ეკვრება ღამე მაღალი,  
ანთებული ხარ ზამთრის ტყეო და,  
თუმც ქვეყნის ოთხმხრივ ღიაა კარი  
მე მირჩევნია თქვენი ტყვეობა.

ეს თქვენით ვიცი: არის მთავარი,  
მამულს რომ ზიდვა უნდა უღლითა...  
როგორც თეთნულდთან პირსავსე მთვარე,  
ისე ამოდის ლექსი გულიდან.

რამდენი სიტყვა დამირჩა გვერდზე,  
კვლავ უთქმელობის მიმყვება ჯავრი,  
რა ვქნა დედაზე ლექსებს თუ ვერ ვწერ,  
ამ წუთისოფლის დაღლილი მგ ზავრი.

ღამდება თქვენით, თენდება თქვენით,  
მთებო, გიხდებათ სიღარბაისლე.  
მაღალ ღმერთებთან ჩურჩული გშვენით,  
მომავლის ბურუსს თქვენ ამასებთ.

\*\*\*

ვერ დავუშაღე სიტყვებს სიურჩე,  
ვეღარ შევალე ზეცის კარები.  
ვით შემოდგომით მთების სიღურჯე,  
სიცოცხლე ისე მიიპარება.

ვეღარ დავძარი სიტყვის ლამქარი,  
ზოგს ვუორგულე, მსწრაფლ გამეცალა.  
ზოგი ქარს გაჰყვა, როგორც აშარი,  
ზოგმა სულის თქმაც არ დამაცალა,

ვერა ვთქვი ლექსი ცისკრის კარედის,  
რომ ზანზარებდნენ ზეცის დირენი.  
ავდევენებივარ ქარს ტრამალების,  
ვითარ ვაგლახად მენადირენი.

ოქროს ყანები ვერ დავიუნჯე,  
ვეღარ შევალე ზეცის კარები.  
არადა, როგორც მთების სიღურჯეს  
სიცოცხლეს ისე მიეჩქარება.

**სვანეთს**

სხვაზე როგორ გაიცვალოს,  
შეეგუოს ან სხვას ცა ვით.  
ღმერთმა ნუ ქნას დაიცვალოს  
საქართველოს სისხლსაცავი.

\*\*\*

რომ არ ემღერათ წინაპრებს „ლილე“,  
წინაპრებს „რიჰო“ რომ არ ემღერათ,  
რით ვუგალობდი ნეტავ ამ დილას,  
ან მზისთვის ყელი ვით მომეღერა.

რომ არ აეგოთ რუხი მურყვამი,  
შავი მაჩუბი რომ არ აეგოთ,  
რომ არ ჰქონოდათ ლიბო ურყევი,  
ურდონი ხმაღზე რომ არ აეგოთ,

რომ არ ებრძოლა წინაპარს ვეფხვთან,  
კერიის ცეცხლი რომ არ დაენთო.  
ვინ მერქმეოდა ნეტავი დღეს და,  
თუ ვიქნებოდი ქვეყნად საერთოდ...

რომ არ ემღერათ წინაპრებს „ლილე“,  
წინაპრებს „რიჰო“ რომ არ ემღერათ.  
რით ვუგალობდი ნეტავ ამ დილას,  
ან მზისთვის ყელი ვით მომეღერა.

## მოლოდინი სჯობ მოსვლასა

ხევსურული

ჩემს ცაზე მზე რო გადადის  
სულ შავ ღრუბელი მოსავსა  
შენ, სიხარულო, ნუ მიხვალ,  
მოლოდინი სჯობ მისვლასა.

ამ ქვეყნად არც ვინ იკითხავს  
გულს ვის სურვილი მოსრავსა,  
თუ არ მოდიხარ, ნუშეც მოხვალ  
მოლოდინი სჯობ მოსვლასა.

\*\*\*

მე მთებს შემოვრჩი.  
შენი სახლის ვინრო სარკმლიდან  
არ ჩანან მთები,  
არცა გწვავს ცეცხლი  
უშენობით გულს რომ მდებია.  
მარტო ხარ ისევ  
ჩაძირული მოგონებებში...  
... სადღაც მთებია  
და მარტოობით მოზეიმე უცხოდ ირთვები.  
მე მხოლოდმყოფი მოწყალეებს არვისას ფუცდი,  
არც შემხვენე ვარ ბედის მდევარის.  
ვიხსენებ თბილისს, გაელვებას სახის მაცდურის,  
გზებს რომ მინათებს ვით მსუბუქი  
თოვლის მტევანი.  
მიაჩხრიალებს ყინვის მარხილს მთებში ზამთარი  
და მიმაქანებს უცხო მხარეს შავი მეხრითა.  
მოვალ შენამდე ჩემი გზა თუ აქ არ დამთავრდა,  
მოვალ შენამდე უთვალავი ფიფქის ქვეყნიდან.  
შენ, მოზეიმე მარტოობის ცივ ხავერდებით,  
კვლავ აენთები ცეცხლით, შენგან გულს  
რომ მდებია.  
მოვალ შენამდე ჩემი მთებით, ჩემი ქედებით  
და შენ არ იტყვი: „რა დროს მთებია“.

\*\*\*

ვაქე ზაფხული შენგან გამობილი  
(გაქრნენ სიზმრები და მირაჟები).  
არც უმადური, არც კმაყოფილი  
ისევ დავდექი მე შენს წინაშე.

შენ კარგად იცი, რომ უშენობით  
მონყენილ დღეებს უფრო ევნებათ.  
და თავს აფარებ უიმედობით  
შენგან მოგონილ დიდსულოვნებას.

ისევ ახლოა გზაგასაყარი,  
შორი მწვერვალიც ჩნდება ბინდებით.  
მიმყვება შენი ხსოვნა მაღალი  
და გზას მინათებს მზე უწინდელი.

## სამადლობელი

მადლობა მტერო, თუ შენს გამო ვისწავლე  
ბრძოლა, —  
მურყვამთა ტყე და გელათი თუ ამაგებინე.  
ცუდად მაშვრალთა ერთგულება და სიორგულე  
ყველაზე ადრე, მტერო, შენ თუ გამაგებინე.

მადლობა მტერო, თუ შენს გამო გაკრთა  
ძილი და  
წინაპარივით თუ ვფხიზლობ, რომ მახვილი  
ვფერო, —  
შენით თუ ვიცან მამულისა მზვარე და  
ჩრდილი —  
მადლობა, მტერო!

## დალაი

მლიმარე უმზერი მზეს,  
გინდა სულ მღეროდე და რაა,  
ერთ უმშვენიერეს დღეს,  
აღმართზე გეტყვიან: „დალაი“.

ვიღაცა ჩაიცვამს შავებს,  
ვიღაცას წუხილი შეშლის.  
შერისხავს სიკვდილის ქვეებს,  
მსუბუქი სიკვდილი შენი.

დაგრჩება უმთვარო ღამე,  
დაჭკნება გზის პირად ლელი.  
ინატრებს დაგესლილ წამებს,  
ვინც წასულს ამაოდ ელის.

რა ძლიერ ეტრფოდი მზეს,  
გინდოდა გემღერა და რაა;  
ერთ უმშვენიერეს დღეს.  
აღმართზე მოგძახეს „დალაი“.

\*\*\*

არვინ გიგონებს,  
შენს გზანვრილზე არავინ მოდის.  
მარტო შემორჩი კლდეთა წავარნებს.  
არცა ვინ მხმობი,  
ჯანიც გავარდეს;  
ხომ სისხლის სუნი ასდით სტრიქონებს.



ნანი

თარხნიშვილი

დაჩახიჯი ლიმილს ვეძებ

(მარტოშთენილის ერთი დღე)

„თუ ვინმე გიყვარს — ძე ხარ ადამის,  
ვინმეს უყვარხარ? ღმერთი ხარ თავად“

რალაც უცნაურმა გრძნობამ გამომალკიდა. არ ვიცი, რა იყო ეს — სიზმარი თუ ხილვა? გულს ისეთი ბაგაბუგი გაჭქონდა, გეგონებოდათ ქარი დათარეშობსო. ერთხანს ვიყუჩე, მერე თვალი ფანჯრისკენ გავაპარე. შემოდგომის მზემ, სახეზე დედის ხელის სითბოთი მომი-ალერსა... თვალეები მოვიფშვნიტე და ლოგინზე წამოვჯექი. და გამახსენდა, სიზმარში ვნახე, ო, რა ტკბილი ზმანება იყო?! რა, ნეტარი... არ მი-დოდა გამოფხიზლება და რეალობაში დაბრუნე-ბა. მხატვრის ულამაზესი ნახატი წამოიშორა გონებაში: მამა კარის ზღურბლზე იდგა და ხელში ცვრიანი წითელი ვარდების თაიგული ეკავა. იდგა და მილიმოდა. სიზმარი, შუაასაკს გადაცილებული იყო, ზუსტად იმ ხნისა, რამ-დენი წლისაც გარდაიცვალა — წლებისაგან შეთხელებული თმით. ცისფერი თვალეებიდან მზის სხივივით მოდიოდა სინათლის შუქი. ისევე ისეთი თხელი, კოხტა აღნაგობის, ჩამოქნილი ცხვირი და ვნებიანი ნესტოები... მამა მილი-

მოდა, ვარდები მომანოდა და უსიტყვოდ, უმ-ალვე უკან გაბრუნდა.

„ღმერთო ჩემო, სიცოცხლეშიც ხომ ასე იცოდა? — გავიფიქრე, — სისხამ დილით დაგვადგებოდა, სოფლიდან მამულაშვილის ვარდებს ჩამოგვიტანდა. ვარდის ფურცლებ-ში ოკეანის მარგალიტივით ბრწყინავდა ნამი. დაგვხედავდა, მოგვიკითხავდა, შვილიშვილებს მიეფერებოდა და მანქანით უკან გაბრუნდე-ბოდა.“

აი, — ასე; სიზმრით დაიწყო ერთი დღის, ერთი ჩვეულებრივი დილა. ისე, რომ სალამური არ გამიხდია, წიგნის თაროების თავზე, ცალკე გამოყოფილ კუთხეში ხატების წინ გაეჩერდი, პირჯვარი გადავისახე და ლოცვების კითხვას შევუდექი, მერე დედის ლოცვაზე გადავედი და პატრიარქის „ყმანვილთათვის მუხლმოყრილი“ ლოცვით გავასრულე დილის „პროცედურა“.

ფეხაკრეფით შევედი სამზარეულოში, თითქოს სიჩუმის დარღვევისა მეშინოდა, არა-და, — მარტო ვიყავი. ისეთი გრძნობა დამეუ-ფლა, თითქოს ჩემს სხეულში ჩემივე ტყუპის-ცალი მყავდა ჩასახლებული, რომელიც ვერ ეტეოდა „ჩემში“, წრიალებდა და მეც მაფორი-აქებდა. ვერ მოვისვენე, ვერც საქმეს მოვკიდე ხელი. ყავა მოვიდუღე, მაგიდასთან მყუდროდ მოვენყვე და ყავის ნელ-ნელა სმა დავიწყე. ყავას ცხელი ორთქლი ასდიოდა, გეგონებო-დათ სიგარეტის ბოლქვის წრეებს ტოვებსო. პირველივე ყლუპის მოსმისთანავე, ფიქრების სხვადასხვა ზომის ტალღები ამომიტივტივდნენ გონებაში: ერთი მოგონება — მეორეს ინვევდა, მეორე — მესამეს და უეცრად, ისევე სიზმარი... მამაჩემის ღმილი მომელანდა ცხადლივ. ღი-მილი როგორ მომნატრებია-მეთქი, წამოვარდი და ოთახისაკენ გავემართე. პიანინოს თავზე, კედელზე დაკიდებულ ფოტოსურათს მივაჩერ-დი: ხის ძველებური ჩარჩოდან ჩოხაში გამონ-ყობილი პაპა და ბებო მიმზერდნენ. „ჩოხაში გამონყობილი პაპა, — საკუთრივ ქართველი ვაჟკაცისათვის დამახასიათებელი ტანი, ვინრო წელი, არწივის ფრთებივით გაშლილი მხრები... ხელი ამაყად ედო ვერცხლის ქამარ-ხანჯლის ვადაზე... გვერდს ბებო უმშვენებდა, „კნეინა ანიკო“, როგორც სოფელში ეძახდნენ. ნეტავ, ქართული კაბა რატომ არ ეცვა-მეთქი, ამაზე ხშირად მიფიქრია. მას ევროპული სტილის კაბა ემოსა. დახურულ გულისპირზე საათი ეკიდა, ვერცხლის ჯაჭვზე. ვარცხნილობაც ევროპული ჰქონდა; თავის ირგვლივ შემოვლებული სქე-ლი „ვალიკი“, როგორც უწინ ეძახდნენ ხოლმე დალაქები. ორივე სანდომიანი ღმილით ილ-იმებოდა.

„ალბათ, რა ბედნიერები იყვნენ, — ისევე ფიქრი მომანვა, წყლის ზედაპირზე მოცურავე პატარა ტალღა, — სამი ვაჟი აჩუქეს ქვეყანას, სამთავეს წმინდანების სახელები დაარქვეს — გიორგი, ნიკოლოზი, ესტატე. წმინდა თევდორე

მღვდლის სახელობის ეკლესიაში მოუნათლავთ შვილები. როცა ნამოვიზარდე — მითხრეს, მამაშენის ნათლია პოეტი კოტე მაცაშვილიაო. მამას ეს ძალიან ეამაყებოდა და ლხინის სუფრას ისე არ ჩაატარებდა, ნათლიის სადღეგრძელო რომ არ ეთქვა.

კვლავ წარსულში გადავვარდი.

— გენაცვალოს ბებო, ჩემი „ტორსინის კუკლა“, რა გადავიტანეთ — რო გადავიტანეთ? რევოლუციის პერიოდში თავადაზნაურობას დაერივნენ ეს ამოსაწყვეტები, ნაგვართვეს სახლ-კარი, მამულები, საქონელი. იმ არეულობის დროს მამაშენი გიმნაზიის ბოლო კლასიდან გამოვიყვანე, მეშინოდა, ბიჭი რამე შარში არ გამხვებოდა.

— ბებო, კიდევ მომიყევი, გეხვენები... კიდევ მომიყევი რამეები, — ვემუდარებოდი ბებიაჩემს და ძველებურ ხის სკივრში ვიქექებოდი — „საოცრებათა ქვეყანაში“: სიფრიფანა აბრეშუმის მაქმანები, ხელით ამოქარგული ქართული კაბის სარტყელი, ვერცხლის ქამარ-ხანჯლის გადარჩენილი ნანილები, სადაფისა და ფირუზის ლილები, დოღბანდის ფოჩიანი ფარდები და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი „რამე-რუმე“, როგორც მე ვეძახდი, ეწყო შიგ — „დიდებული ყოფის ნარჩენები“.

ფიქრის გორგალი ადგილიდან მოწყდა და დაიძრა. „რა საშინელი წლები გადაიტანა ხალხმა. „წითლების“ ხელით დანთებული ხანძარი მოედო ქვეყანას. რევოლუცია! მან სიკვდილი, ფერფლი და ცრემლი მოიტანა. ხალხს პარტიის სახელით ელაპარაკებოდნენ, თავადაზნაურობას დაერივნენ, ზოგი დახვრიტეს, ზოგიც — დააპატიმრეს, თავის გადასარჩენად მეზობელი მეზობელს არ ინდობდა, ძმა-ძმას. — „ჰოო, შვილო, იცი? თავადებს წურბელებს გვეძახდნენ. ბევრმა საკუთარი ხელით ჩააბარა ქონება. ჩვენც, ავდექით და თარხან-მოურავს მოვაცილეთ მოურავი, ყელზე ადგათ ეს სიტყვა და თარხნიშვილებად დავეწერეთ, მამა! ჰო, მართლა, სულ დამავინწყდა. ჩვენ სოფელს უწინ მეფის სოფელი ერქვა, არ მოსწონებიათ ბოლშევიკებს ძველი სახელი და წითელქალაქი დაარქვეს. ერთხელაც, თურმე სტალინს უმოგზაურია საქართველოში, თავისმოსაწონებლად უთქვამთ, სოფლისათვის როგორ შეუცვლიათ სახელი. ბელადს ჩიბუხი მოუქაჩავს, თვალეხი მოუჭუტავს და უპასუხია — გადაარქვით... ახალქალაქი სჯობიაო“; — ავდრის წინ რომ ზეცა მოიქუფრება, პირქუში სახე გაუხდა ბებოს, კოპები შეიკრა, — იცი, საიდან მოდის ჩვენი გვარი?.. ნადი და მამაშენსა ჰკითხე... ის მოგიყვება. ნადი, გოგო, გამეცალე, ნადი-მეთქი, აღარა მაქვს ლაპარაკის თავი, შე კუდრაჭა, — მითხრა „კნეინა ანიკომ“ და სიყვარულით დამიკოცნა ნაწნავები.

ოცნებამ კვლავ შორს გამიტაცა. ოცნებას ცისფერი ფერი აქვს, ის აღმა-დაღმა

გატარებს... ხან ზეცას გასტუმრებს, ზოგჯერ კი, „კონკიას ქომის“ ძებნაში, სამყაროს დასალიერშიც შეიძლება ამოჰყო თავი.

„რა მომდის? რა მემართება?“ — თითქოს სულში რალაც შემეფედაო, — ვერ მოვისვენე. ადგილს ვერ ვპოულობდი. მივხვდი, რაც მჭირდა: გონებაში ფრთხილად შევალე ოთახის კარი, რომლის ბინადარი იყო წარსული. ჩემს ბავშვობას ვხედავ თვალნათლივ, ისე როგორც ეკრანზე... კადრი-კადრს ენაცვლება.

„როგორც კი ჩამოცხება, მთელი ოჯახი ავიყრებით და ბარგი-ბარხანიანად სოფელს მივაშურებთ. იქ მელიოდება ბებო და პაპა, ნათესავები და ხის ჩუქურთმებიანი ჩვენი სახლი, მარნის ბებერი კედლები. ო, როგორ მიყვარს მისი სუნი. ჰო, — ასეა... ასე. — მერამდენედ ვეუბნები საკუთარ თავს, — სოფელში წასვლას არაფერი მირჩევნია. სოფელს ისეთი მდებარეობა აქვს, უკეთესს ვერ ინატრებს კაცი. თვალწარმტაცი თემის ხეობა — სურათს სურათი ემატება, — ზემოთ, მერცხლის ბუდესავით მოსჩანს ერთანმინდის ტაძარი... იქ პაატას თავი მიაბარეს მშობლიურ მიწას. საფლავზე დღესაც თითქმის არ ქრება სანთელი... ტაძარს ირგვლივ ფეოდალური ციხე-სიმაგრის მსგავსად ქვის გალავანი არტყია, ალაგ-ალაგ დრო-ჟამისაგან ჩამოქცეული. (უფლის წყალობით კეთილმა ადამიანებმა აღადგინეს!) მეძახიან... მეძახიან ნოსტეს გამირები.

სოფელს განუმეორებელ იერს აძლევს კაკლის ხეები, ვინრო ქუჩები, ბალ-ვენახებში ჩაფლული, კრამიტით გადახურული სახლები. მდიდრული არქიტექტურული ანსამბლია!

აი, შევდივარ „გაბაანთ“ ეზო-ბაღში და „ჩვენი კაკლის ხის“ ჩრდილქვეშ დავნავარდობ. ეს, ის კაკლის ხეა, ეკატერინე გაბაშვილმა რომ მიუძღვნა მოთხრობა. აქვე, — სახლის ყურეში ყვავილების სანოლში ნაკადული მორაკრაკებს, ზოგან ბუერას ფოთლები რომ გადაფარებია. მზე რომ მაგრად დააჭერს, ბავშვები ნაკადულში ვჭყუმპალაობთ და ჩვენთან ერთად მზე პირს იბანს. ქალები კაბიანად ჩაცვივდებიან წყალში და არის ერთი გნიასი, კისკისი და „წუნაობა“.

სალამოხანს, როცა აგრილდება, იწყება ორომების ტრიალი, ზედ წამოსკუპებული ცომის გუნდები დიდ ლილებს წააგავს. თონის წინ, ყველის ნატყხით ხელში, ვდგავართ ბავშვები და პირს ვანკლაპუნებთ.

პირველად ამოყრილ თასმასავით რბილ და ცხელ-ცხელ პურებს მეზობლებში არიგებენ (უბანს ასეთი წესი აქვს). მე არავის ვუთმობ „გაბაანთან“ მისანოდებელ პურს.

სოფელში ვიდრე ბინდი ნელ-ნელა მოიპარება, პაპაჩემი ცხენზე მსვამს და ვენახისკენ მივდივართ ორლობეში.

— შე, ჭინკა, არ გადმომივარდე, გოგო, — ყურში მესმის მისი სასიამოვნო ტემბრის ხმა, მაგრად ჩაავლე ხელი აღვირს, რა ფაფასუა

ხარ... ნამდვილი ქალაქელი... ხეზე ასვლა კიდე ვერ ისწავლე?

ტელეფონის ზარმა გამომარკვია. ამ წუთს არავინ არ მინდოდა.

„მაცალეთ, მარტო დამტოვეთ, არავისთვის არ მცალია! — ხმამაღლა ვთქვი და ტელეფონი გავთიშე. ისევ წარსული. „ო, როგორ მენატრება ჭრიჭინობელას მუსიკა, ციციანათელას ვარსკვლავისებური ნათება, ავდრის შემდეგ ადიდებული თექმის ღრიალი, შიშის ზარს რომ მცემდა, გორაკებზე, ბლუჯა-ბლუჯა მიმოფანტული ყაყაჩოების ღიმილი.“

ერთხანს თვალები მივწაბე, მერე წამოვდექი და სასტუმრო ოთახისკენ „ავიღე გეზი“. ლადო გუდიაშვილის „ფრესკის ღიმილის“ წინ აღმოვჩნდი. თითქოს პირველად ვხედავო, გაცეხული მივშტერებივარ. ფრესკები სდუმან, ფრესკები ტირიან, ფრესკები „ბიბლიური თვალებით“ გვიმზერენ. მათ თვალბში სევდის ანარეკლია. ახალგაზრდა ქალის ფრესკა იღიმებოდა?? მხოლოდ იმ წუთს, დილის თერთმეტ საათზე, მივხვდი იმას, რაზედაც არასოდეს დავფიქრებულვარ. „ფრესკა“ იმით იყო გამორჩეული, რომ მხატვარმა მასში ცოცხალი არსების, ადამიანის სული შთაბერა. ასე ინება განგებამ... აქ, ჩვენთან, ჩვენ სამშობლოში უნდა გაეღიმა ფრესკასაც, ღიმილი ხომ მხოლოდ ადამიანის განუყოფელი თვისებაა?.. ისეთი გრძნობა დამეუფლა, მეგონა ქალი სუნთქავს, ცოცხალია და სადაცაა დამელაპარაკება-თქო. მის ღიმილში იყო რაღაც განუზომლად დიდი სიყვარული და სითბო. სათუთი, ჩვილი ბავშვის ღიმილი გამოკრთოდა ფრესკიდან.

„არა, — ვესაუბრები საკუთარ თავს ისე, რომ ჩემი სიტყვები არავის გაუგია, — „ჯოკონდაში“ სულ სხვა ღიმილია. მასში არის რაღაც, ბოლომდე შეუცნობელი, გამომწვევი. დღემდე მგონი, ვერც აუხსნიათ რა იმალება ამ ღიმილში — დაცინვა თუ იდუმალება?“

სურათი უაზროდ გადავწმინდე და საქმეს აქეთ-იქით მივედე. ადგილს ვერ ვპოულობ. — „სად გაქრა ღიმილი? ადამიანური, კეთილგანწყობილი ღიმილი? სად დაიკარგა? ვინ მოგვპარა, ვინ? — სულის სიღრმიდან გაჰყვიროდა ვიღაც და როცა შინაგანმა ხმამ სადგურის ბაქანზე შემოსული მატარებლის კივილის მსგავსად გარეთ გამოაღწია, მივხვდი — ქუჩა მეძახდა. — ხალხო მიშველეთ! ღიმილი მინდა, დაკარგულ ღიმილს ვეძებ“.

თბილისი მეძახდა, „ყვავილების ქვეყნიდან“ ჩემი ქალაქი მეძახდა. სასწრაფოდ სპორტულად ჩავიცვი და რამდენიმე წუთში გარეთ აღმოვჩნდი.

გარეთ შემეგება ჩვენებური, მაძლარი, მადიანი შემოდგომის დილა. ოქროსფოჩიანმა შემოდგომამ ფართეთ გამიღო კარი და ქარვისფერი ფოთლების ხალიჩა დამიგო. მომეჩვენა, რომ ბუნებაში თითქოს სევდა ჩასახლებულიყო;

ყელში რაღაც მომებჯინა. ლექსის ერთი ტაქტი ამედევნა:

„სადღაც დაირხა მსუბუქი ჰანგი,  
შეტრუსულ ყანებს დასტირის ქარი,  
ქარვის ქულაჯას იზომავს თელა,  
დრო იზღაზნება სულ ნელა-ნელა“.

გიორგობისთვე იდგა. გრილმა ნიავემა სახეზე დამბერა და სუნთქვაშეკრულმა ღრმად ამოვისუნთქე. სახლიდან სამ წუთში უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ ვიყავი. დაბალ კედელზე ჩამოვჯექი.

უნივერსიტეტი... ცოდნის ტაძარი, ასე ვეძახდით უწინ, ასაფრენად გამზადებულ უცხო, ზღაპრულ ფრინველს წაავაგს... თეთრი, სინმინდის ფერი, ძვირფასი კედლები, ბაღში — ძვირფასი საფლავები... აქ, ამ „ტაძარში“, „ტახტი დაიდგა“ დიდმა ივანე ჯავახიშვილმა... ვინ მოსთვლის მეცნიერების კორიფეებს? რა შეედრება სტუდენტობის წლებს: ლექციები, დისკუსიები, პოეზიის სადამოები, ქალაქგარეთ ექსკურსიები, — ჯვარი, მცხეთა, ბეთანია, შიომღვიმე, ქვათახევი. რა ვიცი? რომელი ერთი ჩამოვთვალო... კონცერტები, წვეულებები.

მოგონებებმა გუნებაზე მომიყვანა. თვალს ვაყოლებ სწორხაზზე გამწკრივებულ ჯარისკაცებს — ჭადრის ხეებს. მერე, ვდგები და წინ და უკან ბოლთას ვცემ. ფოთლებს მსუბუქად ვაბიჯებ ფეხს, მგონია ცოცხალ არსებას ვთელავ, თითქოს ყურში მათი ფეთქვაც მესმის. ფოთლების სირბილის მიუხედავად, მინის სითბოს ვგრძნობ, გული ძალუმად იწყებს ცემას.

ჰო, შენც ამ მინის ერთი შვილი ხარო, — თითქოს მინის სიღრმიდან მოდის ხმა. ჰო, მეც შენი შვილი ვარ, ჩემო ქვეყანავ, შენი ვაზის ნაჭურის ერთი წვეთი — ვპასუხობ უჩინარ თანამოსაუბრეს, — შენი ღვიძლი ვარ... — როცა ვეცემით შენდამი სიყვარული გვაყენებს ფეხზე. ზოგჯერ, ადამიანები გშორდებით და შენ მაინც არ გვტოვებ... ო, როგორ მსურს დავკოცნო მამულისთვის გადამტყდარი შუბი... მუხლს გიყრით ყველას: ამ ზეცას, მშობლიურ მინას, ამ წმინდა ტაძრებს, ხეებს.

... და ჭადრებისკენ გამექცა მზერა. მინდოდა შემოძარცვულ ხეებს შემოვხვევოდი, მოვფერებოდი, ხელით შევხებოდი, მაგრამ რაღაცის მომერიდა — გამველებების გაკვირვებულ თვალებს წავანყდი. „ჩემო უტყვეო მეგობრებო, თავკარავიანო ხეებო, რა დაგემართათ? რა ერთფეროვნების სურნელს აკმევთ? — ჩურჩულებენ ტუჩები, მაგრამ ხმა არავის გაუგია, — დგახართ და არ ინძრევით, სევდისა და მოწყენილობის ოხშივარი აგდით. ჩემო ბებერო ხეებო, ხმა ამოიღეთ, შეინძერთ, თორემ მზე სხივებს არ გაღირსებთ; არა, არა, თავს მოვიკლავ, ხეები არ მომიჭრათ, ადამიანის ხელი არ უნდა შეგეხოს! — არ დაუშვებ, ეს მოხდეს! მგონი ოთარ ჭილაძეს აქვს ნათქვამი, ჰო, გამახსენდა, ერთ-ერთ ესსეში აქვს, — „ერთი ხე რომ გახმეს

სადმე, ჩრდილი ყველას თანაბრად დაგვაკლდე-  
ბაო“. განცდებისაგან დაღლილობა ვიგრძენი,  
მეგონა ზურგზე ფიქრებით სავსე ხურჯინი  
მეკიდა. ზღაზნით ავდექი და ტაატიტ ვერის  
მიმართულებით გავემართე. შორიდან ერთ  
ძველ ნაცნობს მოვკარი თვალი, გონება დავძ-  
აბე. ვიცანი, ჩემი თანაკურსელი იყო, მერი.

სანდომიანი პირისახის, გემოვნებით ჩაც-  
მული, სიმპათიური ქალბატონი მსუბუქად და  
თავდაჯერებულად მოაბიჯებდა და ჰაერში  
ძვირფასი ფრანგული სუნამოს კვალს ტოვებ-  
და. იგი ცოტა შეყოყმანდა, ჭოჭმანი შევნიშნე,  
მერე მომიახლოვდა, დამაკვირდა და გადაამეხ-  
ვია.

— სალიუ მა შერი! კომან სა ვა? რას შერები,  
სად დაიკარგე, როგორ ხარ? — მითხრა და „ჰო-  
ლივუდის ლიმილით“ შემომხედა.

— არამიშავს, გმადლობ, შენ, რა? ქარ-  
თული აღარ „გეკერკება?“ — ჟარგონით ვუპა-  
სუხე ცოტა არ იყოს გაღიზიანებულმა, გულში  
კი გავიფიქრე, — ახალგაზრდობაში უფრო  
მოკრძალებული და თავმდაბალი გოგო იყო, —  
არ გენყინოს ისე... ვიხუმრე. კარგად გამოიყ-  
ურები... შენი ნახვა მიხარია, — ჩემ თავზე გავ-  
ბრაზდი კიდეც, რამ მათქმევინა, ამგვარი ხუმ-  
რობა არ გამომდის, ეს უფრო ირონიაა-მეთქი.

— არა უშავს... არ მწყენია. ჰო, მართლა...  
ახლახანს ჩამოვედი პარიზიდან ჭკუაზე არა  
ვარ, რა ქალაქია!.. რა მალაზიებია „შანზ-  
ელიზეზე?“, გამოსვლა არ მოგინდებ! განსა-  
კუთრებით ღამე აბრღვიანებულ რესტორ-  
ნებში, მალაზიის ვიტრინები, ბრწყინვალე „ავე-  
ნიუები“. გაგიჟდები რა სილამაზეა!“. „მულენ  
რუჟმიც“ ვიყავი! შენ, არ ყოფილხარ პარიზში?  
ომის დროს იქ ვიყავით მთელი ოჯახი, თორემ,  
აღბათ, შევიშლებოდი... რა გადაგიტანიათ?! —  
შეუსვენებლად ჭიკჭიკებდა მერი და საკუთარი  
თავით ისე იყო გატაცებული, ვერავის ამჩნებდა  
ირგვლივ.

— არა, არ ვყოფილვარ. ჯერ საქართვე-  
ლოც არ მომივლია ბოლომდე, რა იყო, შე კაი  
ქალო, პარიზში იყავი და ძეგლებისთვის და  
მუზეუმებისთვის ვერ მოიცალე? — მისმა სი-  
ტყვებმა ისე გამაოგნა, — ეტყობა სახეზე შემ-  
ეტყო, — უხერხულობა შევნიშნე.

— როგორ არა! ყველაფერიც დავათვა-  
ლიერე, — ორნამიანი პაუზის შემდეგ გააგრძ-  
ელა, — ნოდკოს ვეხვეწები მომავალ ზაფხულს  
იტალიაში ვიმოგზაუროთ-მეთქი.

— აქედან დაგენყო, რა? კინალამ არ შე-  
მომელანძლე? თურმე, ძეგლებიც გინახავს,  
— სახეზე მაინც უნდობლობა მენერა, — ისე,  
გირჩევ შვილიშვილებს აქაურობა მოატარო,  
— ჯალათი რომ მსხვერპლს დანას დაჰკრავს  
და სურს დარწმუნდეს, მოკლა თუ არა, — აღარ  
მოვეში, — ჩვენ რა? ცოტა გვაქვს სანახავი?  
უცხოელებს აქედან წასვლა არ უნდათ. ვერ ხე-  
დავ, რა შემოსევია? თურმე ამბობენ — თქვენ

თვითონ არ იცით თქვენი ქვეყნის ფასიო.  
ბადალი არა გყავთ. საქართველო სამოთხეაო,  
დედამინის ედემის ბალი.

საკუთარ თავს ვერ ვცნობდი. მე — არ ვი-  
ყავი, — „მე“. წყენა რომ შევატყე, შემეცო-  
და და გულწრფელად გადავკოცნე (მართლა  
გულწრფელად შემეცოდა). საბრალო ქალი  
ზეციდან მინაზე დავაფერთხე. მან უხერხუ-  
ლად, ნაძალადევად გამიღიმა და წავიდა.  
„ეტყობა დეილი კარნეგის წიგნი თუ ნაუკითხ-  
ავს? დაუმახსოვრებია ლიმილს რა ძალა აქვს,  
რა ზემოქმედების უნარი ადამიანზე, თუ, რო-  
გორ უნდა ესაუბრო ხალხს, მიიღო და გააცი-  
ლო... ეჰ, რა ვქნა, ბატონო ავტორო! მომიტე-  
ვეთ, მაგრამ ყველაფერში ვერ დაგეთანხმებით.  
ლიმილი სულიდან მოდის, ის, შუქია — სულის  
გამონათება. სხვაგვარად — ყინულივით ცივია,  
უშინაარსო... პოზაა! თეატრალური ნილაბი —  
მეტი არაფერი“.

„ესეც, შენი ახალი ქართველი“, გულში ჩხ-  
ვლეთა ვიგრძენი. სიცხიანს რომ ცივი წყალი  
მონყურდება, ისე მომინდა ლიმილი... აქეთ-იქ-  
ით ვაცეცებ თვალებს. რუსთაველის პროსპექ-  
ტზე ხალხი მიმოდის. ზოგი, ქალაღლით ხელში  
მოლუშული — კოპებშეკრული, საქმიანი ნაბი-  
ჯით მიდის, ზოგის ჩალრმავებული თვალები-  
დან უკუნი ღამე იყურება, ზოგი — მძიმე ჩანთას  
მიათრევს, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ატყვია,  
მექანიკურად მოძრაობს. „ამ ახალგაზრდებს  
რალა მოუვიდათ? უმეტყველო სახით, უაზროდ  
მოგჩერებიან. კარგად ჩაცმული არიან. ჰო,  
ნამდვილად გემოვნებით აცვიოთ... მაგრამ სი-  
ლალისა კი, რა მოგახსენოთ?“

უცებ აღვიქვი, რომ ტროტუარის გასწვრივ  
გამწვანებულ გაზონებში ყვავილებს სიყვითლე  
შეჰპარია, ყურებჩამოყრილებს ჰგვანან. მი-  
ვაბიჯებ და თვალს წყალს ვალევიანებ; ცოტა  
გაეხალისდი. სხვადასხვა კომპანიებისა და  
საფირმო მალაზიების „ასლების“ მწკრივს მი-  
ვუყვები: „ვულე - ვუ“, „მაგთი“, „ისი - პარი“,  
„გარდერობი“, „პიერ გარდენი“, სასტუმროები,  
კაფე-ბარები, რესტორნები... გაფაციცებით  
შევეყურებ ულამაზეს ვიტრინებს. გულის სილ-  
რმეში ცოტა არ ოყოს შემრცხვა. ზოლას გმირი  
გამახსენდა, დენიზა, „ქალთა ბედნიერებიდან“,  
სოფლიდან ქალაქში ჩამოსული გოგნებული  
რომ იდგა გაჩახჩახებული ვიტრინებისა წინ.  
ტანსაცმლის მალაზიის წინ შევჩერდი, — ქვის  
ქალები, კაცები და ბავშვები, — მანეკენები  
ილიმებოდნენ უსიცოცხლო ლიმილით. „არა,  
სულაც არ მინდა, ასეთი ლიმილი. მე ნამდვილ  
ლიმილს ვეძებ, ადამიანურს, კეთილმოსურნეს“.

ერთი მალაზიის ვიტრინის წინ ვჩერდები.  
„შევიდე თუ არა? რატომაც, არა?“ — უკუ-  
ვაგდე ყოყმანი და „ისი - პარიში“ შევაბიჯე.  
თვალში დახვეწილი დიზაინი და სისუფთავე  
მეცა. ირგვლივ ყველაფერი ლაპლაპებს, საკუ-  
თარი ანარეკლის დანახვა შეიძლება. კედლებზე

დაკიდებული სარკეები მდიდრულ იერს მატებს მაღაზიას. სასიამოვნო გარეგნობის, „მაკიაჟით“ სახემოვლილი ახალგაზრდა ქალი უმაღლესი ჩემსკენ მოემართება, ფარშევანგის კუდის მსგავს ქვედაბოლოს კეკლუცად მოარხევს.

— რა გნებავთ, ქალბატონო? რით გემსახურით? რომელი სუნამო მოგნონთ... მძაფრი თუ ნაზი? — მეუბნება და თავიდან-ფეხებამდე მათვალეირებს. შევატყვე, თვალს ჩემს ხელჩანთაზე აჩერებს. „თვალში მოვუვები“, — ვფიქრობ, — ეტყობა ნაღდ მყიდველს ჩაცმულობის მიხედვით ხვდებიან. გემს იღებენ... არ გავუმტყუნებ იმედს, აქედან ხელცარიელი არ გავალ, რამეს შევიძენ“, — ვფიქრობ და თან გონებაში ჩემს ბიუჯეტს ვითვლი.

— აი, ის... ზედა თაროზე რომ დევს... მარჯვნივ... კუთხეში. „პარი - სუარი“ მაჩვენეთ, რა? ამ სუნამოს პუდრის სუნი დაჰკრავს... ნაზია... ოცდაათმილიგრამიანი გააქვთ?

— ახლავე, თუ მოგეწონებათ, შეგიფუთავთ და მუყაოს საფირმო ჩანთით მოგართმევთ.

გამყიდველი მომსახურებისთვის შევაქე, ერთი-ორი ქათინაური მივაყოლე და მაღაზიიდან ხელდამშვენებული გამოვედი.

ნელი ნაბიჯით მივიწვევ ნინ. ვგრძნობ, რაღაცამ გამაღიზიანა. „რა შეშლავ! რამ გადამრია, სახლში ხომ მაქვს ცოტაოდენი სუნამო? მეტისმეტია!.. მარაგს ვიკეთებ თუ რა უბედურებაა?“ გაღიზიანების მიზეზს მივხვდი. ამპარტავნება! იმ წუთს საკუთარი თავი შემეცოდა კიდეც და შემძულდა. ერთმა ნაცნობმა მითხრა — კაცმა ისე უნდა იცხოვროს, არავის უნდა ეცოდებოდესო. მათხოვარს პატივს არ სცემენ, უბრალოდ ებრალებათო.

„ნურას უკაცრავად — განგაშის ზარი ახმიანდა გულში, — ყველაც უნდა გებრალებოდეს, გეცოდებოდეს. გეცოდება ბავშვი, მოხუცი, ხეიბარი და უფრთხილები, როგორც წყლით სავსე ჭიქას, ყველა უნდა გიყვარდეს. ვინც გიყვარს კი — პატივსაც სცემ“.

ფიქრებში გართულმა ისე გავიარე ოპერისა და რუსთაველის თეატრები, ვერ აღვიქვი. პროსპექტზე ფიროსმანის ნახატებისა და ლიტერატურული გმირების მომცრო ზომის რკინის ქანდაკებებია. „მშვენიერია, ქალაქს შევინს!“

ქვაშვეთის ეკლესიის წინ გამვლელებს შორის ხის ქვეშ მიყუდებული კაცი შევნიშნე.

კაცი შუახნისა იქნებოდა, თავზე კახური ქუდი ეხურა. ჩაფართხუნებული ძველი ქურთუკის (უფრო „ტიუტურკას“ ჰგავდა) სახელოებიდან შესიებული, დაკოყრებული, მიწისფერი თითები უჩანდა. გადაქექილი სქელლანჩიანი სპორტული ფეხსაცმელები ეცვა. ეტყობოდა ფეხსაცმელები დიდი ჰქონდა, რადგანაც „ცხვირები“ ზევით იყურებოდა. ხის ძირში, კალათა ედგა, ერთი თაიგული ხელში ეკავა და გამვლელ-გამომვლელებს მოუხერხებლად სთავაზობდა — იყიდეთო, — მუდარა ისმოდა

კაცის ხმაში. მივუახლოვდი თუ არა, დაბუა ჩიტის მსგავსი დიდი, მრგვალი თვალებით შემომაცქერდა. სახეზე ეწერა სასონარკვეთა, დაღლა, შიში... ალბათ, წუთისოფლის შიში!

— იყიდე რა, შვილო, ყვავილები იყიდე, ცოტალა დამრჩა. რა ვქნა, საქონელს პური არ ვუყიდო? დამიცვივდება, — ჩემს არც კითხვას დაელოდა, არც პასუხს, ისე მიაყარა, — მა რა ვქნათ? რძე და მანონიც არა გვქონდეს? ბიჭი ავადა მყავს, რძალმა მომიყარა ბავშვები და... მე და ჩემმა დედაკაცმა ფეხი-ფეხზე გამოვიბით და ხელი ხელზე... ვშრომობთ, მინას არ ვაცდენ, მაგრამა, აბა რას გვეყოფა? საცაა თოვლს დასდებს, შეშა ხო გვჭირდება...

კაცი მუდარის თვალთ შემომყურებდა. არც კი იცოდა, რა ხდებოდა ჩემს სულში: მინდოდა მეყვირა, ისტერიულად მეცინა, სილა გამეწნა საკუთარი თავისთვის. „ჯანდაბა!.. რა, მომივიდა, რად მინდოდა ეს ოხერი სუნამო, რით ვუშველო ამ კაცს?! რა ღმერთი გამიწყრა! ჯიბეში რვა ლარი და რაღაც ხურდები მედო. გვეყოს გუნდრუკის კმევა საკუთარი თავისთვის!.. ვერა! სხვისი ჭირი — ლობეს ჩხირი ვერ გახდება! — აჰა, ძიაკაცო! — დარჩენილი ფული ჩავაჩეჩე ხელში, რაც დაგრჩა, ყველას ვიყიდი... მჭირდება. — და კალათიდან ყვავილები ამოვალაგე. ფრთხილად შევაველე ხელი ხელზე და შემოვბრუნდი.

— გაიხარე, შვილო, შენ გამზრდელს ვენაცვალე... ღმერთმა გიშველოს“ — უკან მომდევდა მისი სიტყვები.

ვიდრე ქვაშვეთში შევიდოდი, მიწისქვეშა ამოსასვლელის პირდაპირ, ეკლესიის სკვერში მერხზე ჩამომჯდარმა წყვილმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. გოგონა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა იქნებოდა, მხრებზე ქერა, ხვეული თმა ეფინა. პატარა, ლამაზი პირისნახევი ჰქონდა. ოდნავ გაპობილი ბაგეები თითქოს კოცნას ითხოვსო, ღანვს და ნატიფ პროფილს სინათლის შუქი ეთამაშებოდა, ნარბები — გაფრენილ მერცხლის ფრთებს მიუგავდა. ვაჟი, დაახლოებით ოცი-ოცდაერთისა. მაღალი, ლამაზი შუბლი, ოდნავ კეხიანი ცხვირი მამაკაცურ იერს მატებდა, ლამაზად გაკრეჭილი წვერი შვენოდა... გასული საუკუნის დასაწყისის ძველი ქართველი ვაჟკაცის გაცოცხლებულ ფოტოსურათს ვუყურებდი.

„ამჟამად შეყვარებულები არიან... ერთმანეთს თვალეში მისციციანებენ... ჩურჩულით საუბრობენ“, — გავიფიქრე, მივუახლოვდი, გავუღიმე და ასტრების ერთი ნაწილი გავუნოდე გოგონას. მაშინვე ფეხზე წამოცვივდნენ: გაკვირვება, სიხარული და ალტაცება შევატყვე. გოგონა გადამეხვია და გადამკოცნა, ვაჟმა — ხელზე მაკოცა. მეტი, რაღა მინდოდა? ერთი პატარა, სულ პანია სიკეთე გავაკეთე. „ყოჩალო ასე გააგრძელო, — შემაქო ჩემი სხეულიდან ტყუპისცალმა. ყველა თავის გულისწორს დაე-

ძებს... იქ, მაღლა წყდება ყველაფერი... ერთ-მანეთს ძალიან უხდებიან. ღმერთო! შეაერთე და ტკბილად შეაბერე“ — ლოცულობდა გული. ახალგაზრდებს ხელი დაუჭენიე და ეკლესიაში შევედი.

მრევლში ახალგაზრდები ქარბობდა. ძალიან მესიამოვნა. — „კარგია... კარგი, ბევრი ხალხია, ბავშვებიც არიან ბლომად“.

ხატების წინ ყვავილებს ვანყობ და სანთლებს ვანთებ. ლოცვის დროს, ალბათ ზეგარდ-მო ძალის გამოისობით თვალებს ჩემდა უნებურად ვხრი, უსაშველოდ დიდი რიდი მეუფლება. ჩარჩოს მინაზე ხელის დადებასაც ვფრთხილობ. ეკლესიაში ასე მგონია თითქოს სხვა ადამიანი ვხდები, სადღაც დავფრინავ. აქ, მის ნიაღვემ ძალუმად შევიგრძნობ ადამიანისა და უფლის ერთობას, რომ ტაძარი ღმერთის სახლია, **ი გ ი** ყველგან არის, ჩვენშია და მართო არ გვტოვებს. ღმერთი თავად სიყვარულია, რწმენა კი უსიყვარულოდ — ფანატიზმი.

საკმეველის გამაბრუებელი სურნელი, სანთლების ალზე გამონათებულ წმინდანთა მირაჟი, სიყვარულით პირსავსე ადამიანების მოწინება, ტკბილხმიანი საგალობლების კეთილი გავლენა — ყოველივე ისე მშუხტავს, მგონია ჩემზე ძლიერი არავინაა, ვერავინ მომერვეა. ამ ცოდვით სავსე სამყაროში, ერთადერთ მსხნელ გზას, აქეთ მოვყავართ... ტაძრისკენ. ჩვენ, ფარას ჩამორჩენილი ერთ-ერთი ბატკანი ვართ, მწყემსი-კეთილი მხრებზე რომ შემოისვამს და ასე, თითო-თითოდ ვბრუნდებით **მ ა მ ი ს** წი-ალში.

ეკლესიიდან გამოსვლამდე მფარველი ანგელოზის ხატის წინ ვჩერდები და ბაგეს ლოცვა წყდება:

„წმინდაო ანგელოზო, ნუ სცემ ადგილსა ბოროტსა უფლებად ჩემდა უძღურებისათვის მოკუდავთა ამათ ხორცთა ჩემთაისა. უპყარ ხელი დავრდომილსა და შეურაცხსა სულსა ჩემსა და მიძლოდე მე გზათა ცხოვრებისათა“.

... და ვგრძნობ, **მ ი ს** სიახლოვეს, ვგრძნობ, როგორ მევლება ფარვანასავით თავს.

ქვაშეთის წინ, სკვერში ვვდები. აქეთ-იქით ვიყურები, მობუზული ჩიტები მიწაზე საკენკს დაეძებენ. ქურთუკის ჯიბიდან მზესუმზირის რამდენიმე მარცვალი ძლივს ამოვკრიფე და დაუყარე. ჩიტებმა მზესუმზირა აკენკეს და ფრთხილად გაფრინდნენ. ბებოს ნათქვამი გამახსენდა — ჩიტებს თუ აჭმევ, მიცვალე-ბულებს მუდმივად ეხდებაო პანაშვიდი. მინდა არაფერზე ვიფიქრო. ოცნება მინდა, ჰო, ოცნება და კიდევ... ღიმილი! განსხეულებული ღიმილი მინდა, ხელს ჩავავლებ და არსად გავუშვებ! მანქანების გაუთავებლად სრბოლამ ცოტა დისკომფორტი შემიქმნა. თავი ამტკიცა „მომშივ-და... არაუშავს, უნდა გავუძლო! რა? ეს ხალხი სულელია, შიმშილობას რომ მიმართავენ? პატრიარქი კი წინააღმდეგია, ჯანმრთელობისთ-

ვის საშიშია — ღმერთი ასეთ მსხვერპლმწივნას არ ითხოვსო. მაგრამ ზოგს ხომ მართლა შია? მაშ, რატომაა ამდენი უპყარი ადამიანი? ამდენი მათხოვარი? მოსკოვის ტელეეკრანებიდან ოციოდე წლის წინ, ქუჩაში მათხოვარი რომ დავინახე, გული შემეკუმშა და თან გამიხარდა — ეს ჩვენ არ გვემუქრება-მეთქი. რა ვიცოდი, მალე ჩემს სამშობლოშიც რომ დავინახავდი ხელგამონვდილ ადამიანებს?!

თავი ამტკიცა, ერთმანეთში ირეოდა წარსული და აწმყო. „რა იქნება არიადნა მაპოვინა? მისი გორგალის ძაფს გავყვები და გავალ ლაბირინთიდან... გადავრჩები!“

სიარულისაგან დაღლილ-დაქანცული და მშიერი ქუჩებს მივყვები ფეხებს ძლივს მივათრევ. ლესელიძის ქუჩას ნელა ჩავუყვები, აქაც, — იგივე: მალაზიები, შიგადაშიგ ალდგენილი ძველი შენობები, საეკლესიო საუცხოო მალაზიები, უცხოური ტანსაცმლის პატარ-პატარა „ბუტიკები“. ვიტრინებიდან ათასი ლამაზი ნივთი მჭრის თვალს, ქართული და უცხოური სასმელების კოლექცია. ერთი მყუდრო კაფიდან ახლად მოდულებული ყავის სუნი ტრიალებს ჰაერში. „ერთი ფინჯანი ყავა როგორ მომნათლავდა? არა! უნდა გავუძლო!“ — ვეჩხუბები საკუთარ თავს. სვენებ-სვენებით, ნვალებით გავიარე „გოლგოთისაკენ“ მიმავალი გზა და დღელამის გასაყარზე მეტეხის აღმართს ავუყვები. ... აი, მეტეხის ეკლესიის გალავანში ვდგავარ. ადამიანს თვალებში რომ ჩააცქერდები, ისე მივჩერებივარ ზემოდან თბილისს. აქ ავიდგი ფეხი, აქ დავექალდი, აქ ვისწავლე დედაშვილობა, სიყვარული, ერთგულება. ყველაფერი შენ მასწავლე. ავიც მინახავს და კარგიც, შენა ხარ, ჩემო თბილისო, ისტორიის გადაშლილი ერთი ვრცელი ფურცელი, ჟამთასვლისაგან გახუნებული, მაგრამ არწაშლილი. ისევ, წარსულს შევეჯახე. ისევ ერთმანეთს ეჯახება აწმყო და წარსული. განა, მათი დაშორება შეიძლება?! წარსული — აწმყოს მშობელი. არაბები, მონღოლები, სპარსელები, თურქები... „ჩემო გაუტყვავო ბებერო ციხევ, მაგრამ დაუმორჩილებლო თბილისო! სიონის ბევრჯერ დანგრეული გუმბათი. მტრის ურიცხვი ლაშქრის ცხენთა ფლოქვეებისაგან ავარდნილი მტვრის კორიანტელი. ქრისტეს სჯულისთვის თავდადებული თბილისელების სისხლისაგან შეღებილი მტკვარი, რომლის ყურებითაც მტერი ისე ტკბება, როგორც ნერონი გადამწვარი რომის ხანძრის ცქერით. მტკვარი — ბევრის მოწმე, მოდუდუნე. ჭაბუკი ტატო „ფიქრთვასართველად“ მის ნაპირებზე ჩასული. „მტერი ბევრი გვყავდა, მაგრამ ჩვენსავე სისხლსა და ხორცსაც უღალატია. შური მტრობას ბადებს, შური და სიხარბე კი ერთმანეთს აშორებს ქართველებს. ჰო, მართლა... მახსენდება, ჩვენდა სამარცხვინოდ „ქართლის ცხოვრებაში“ წერია: „ჩვენ ურთუერთის დაუმორჩილებელ ვართ“-ო, თურმე

ასე ამბობდნენ ქართველი წარჩინებულები.

უცხად, ემიგრანტ პოეტის გიორგი ყიფიანის ლექსის ტაეპმა შემოიღიტინა გონებაში:

„ჰეი, თბილისო, ტანჯვის ქალაქო.  
დღეები გიქსოვს ცრემლიან ამბებს,  
რომ გორდა ხმლებმა გაინავარდოს  
სად გყავს ირაკლი ან სააკაძე“.

ბინდი თანდათან შემოეხიზნა თბილისს. ქვიშა რომ თითებს შორის გაგექცევა, ისე გამეპარა დღე. ქალაქს რაღაც უცნაური თეთრი ფერი დაედო. ამ სითეთრეში იდუმალება იმალებოდა. მზემ უკანასკნელი საღამო გამოუგზავნა დედამინას. ქალაქი ნელ-ნელა აენთო, აკაშკაშდა. ალტკინებს ვერ ვმაღავ. აღარ ვიცი, საით გავიხედო. თავი ზრპარული ქვეყნის, ზღაპრულ ქალაქში მგონია, მაგრამ ღიმილი, სად ვიპოვო, საად?!

ისევ.

„და დღეს, სულხანის ნაქონი სისხლით....  
თბილისის ფართო ქუჩებში დადის: .... და იარონ!  
იარონ! იარონ! ამინ!“

ასე სურდა ბატონ მუხრანს! (სამწუხაროდ, კიდევ ერთი დიდი პოეტი გადავიდა წარსულში) ასე მსურს მეც!

კვლავ დაღმართი... ასე ყოფილა: „აღმართს ყოველთვის დაღმართი მოჰყვება. ასეა, ასე! ცხოვრებაც ასეა — მწარეც და ტკბილიც, სევდიანიც და სიხარულიანიც“.

ძალას ვიკრებ. როგორმე სახლამდე უნდა მივალწიო. უკან მსვლელობისას შარდენის ქუჩას მივადექი. ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი ტალინი, გამახსენდა, ევროპული პატარა ქალაქი.

შარდენზე ორი ვინრო ქუჩა გადის. ერთისთვის „ბამბის რიგი“ დაურქმევიათ. ქუჩის თავში, ჩვენებური ძველი „კონკა“ დგას. მარცხნივ, წითელმა შენობამ შემომანათა — L'EXPRESS-მა. ცალი თვალთ ქურდულად შევიჭვრიტე. შავთეთრი თიხის იატაკი მყუდრო მაგიდებით, მატარებლის რესტორნის ასოციაციას იწვევს. „გარსონებს“ პარიზულ სტილში აცვიათ: ფერადი პერანგები, მოკლე ჰალსტუხები გულისპირამდე წვდებათ. მარჯვნივ — CHARDIN BAR — CHILLAUT, გასართობი, უფრო სწორად განსამუხტი ადგილი. ბარის დასახელება უსიამოვნო მოგონებას იწვევს ჩემში და შენობას მალე ვშორდები. ბარებს შორის პრესტიჟული რესტორანია, ვიტრინიდან გრძელი სუფრაგადაფარებული მაგიდები და თეთრი როიალი მოჩანს. დიდებული დიზაინია! როგორც ჩანს, აქ თბილისის „ბო-მონდი“ იკრიბება, ისმის ელექტრონული მუსიკის ხმა. თვალწინ წარმომიდგა რესტორანი „მუშტაიდი“, სადაც გადმოცემით ვიცი, თურმე გასული საუკუნის ელიტა იყრიდა თავს: მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, ბანკირები, ერთი სიტყვით, საქმიანი საუბრებით იყვნენ დაკავებულნი და თან ისვენებდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით,

„მუშტაიდიდან“ ძველი ქალაქური მელოდიები ისმოდა.

ფიქრებში გართული კლუბ BAMBA ROOMS-ის, დისკოტეკის წინ აღმოვჩნდი. თითქოს, ვიღაცამ ხელი მკრაო, კლუბის კარი შევადე და ზღურბლზე გავჩერდი. ბარმენის გაკვირვებულ სახეს რომ წავანყდი, გამოვერკვიე — ჩემი ადგილი აქ არ არის-მეთქი. „რა მინდოდა? აქ, რამ შემომიყვანა?“, — ვფიქრობ, მაგრამ ადგილიდან ვერ ვიძვრი, პატარა საცეკვაო მოედანი ახალგაზრდებს ვერ იტევს. სიგარეტის კვამლში თითქმის ვერაფერს ვარჩევ. წყვილები თავანყვეტილი ცეკვავენ, უფრო სწორად — როკვას ჰგავს. სახეზე ოფლი სდით, იგრიხებიან, ტანში იმტვრევიან, ძლივს ვარჩევ მათ სახეებს.

ძველი ამერიკული ფილმი მახსენდება — „ქანცგანწყვეტილ ცხენებს არ ჰკლავენ“. ერთ პროვინციულ პატარა ქალაქის კლუბში წყვილებს შეუსვენებლად უნდა ეცეკვათ, დღე და ღამე, ვინც ბოლომდე გაუძლებდა ამ ჯოჯოხეთს დიდი ფული ელოდათ. კლუბს ბევრი უმუშევარი ახალგაზრდა მიანყდა. ამ „გართობის“ მესვეურებმა ქალ-ვაჟები დაანყვილეს, ბევრი აღმოჩნდა ბედის მაძიებელი, ცეკვის კონკურსის წინ ზოგი გაიცხრილა და დარჩა ოციოდე წყვილი. დაიწყო როკვა დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე. დროდადრო, როგორც ნაციმი მოკრივე გაჰყავთ რინგიდან საკაცით, ასე გაჰყავთ საცეკვაო მოედნიდან ნაქცეული, მშიერი, ილაჯგანწყვეტილი წყვილები. ცუდ გუნებაზე დავექი, „ამათ ვილა ატანს ძალას, რად იკლავენ თავს? მშობლები დაეხოცათ? სახეზე ფერი არ ადევთ, ვერ ილიმებიან... გულები არ დაუსკდეთ, გულები!“ — გაჰყვიროდა ხმა „ჩემში“. დედა რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულ შვილს დაეძებს და სიკვდილისთვის ვერ იმეტებს, ასე დავეძებ ღიმილს. „ხალხო, მიშველეთ!.. ღიმილი მინდა, ისაა ჩემი არსობის პური!“. კლუბის კარი გამოვიჯახუნე და წამოვლასლასდი. ცოცხალ-მკვდარმა ძლივს მივალწიე სახლამდე — მშიერმა, უზმო-უნაწილომ, ემოციებით გათანგულმა. ერთი... ორი... სამი... ოთხი, გონებაში ვითვლი კიბეს. მივალწიე კი, კიბის უჯრედამდე? შუა კიბეს რომ მივატანე, ბინის კარი გაიღო (ეტყობა, ფეხის ხმა გაიგეს) და ხმაურით, სიცილ-კისკისით, კვილით ყურებამდე გალიმებული შვილიშვილები მომცვივდნენ.

ვიპოვე, რასაც დავეძებდი! ღიმილი ვიპოვე. არა! ჯერ არ მოვკვდები! სიცოცხლე ღირს!



თამარ ლომიძე

ცეცხლთან თამაშით უნდა გაერთო,  
წაეარშიყო ხანდახან ქარებს...  
არ გაგიკვირდეს, ჩემო მამსტრო,  
თოვლის ქალივით რომ შემოგადნე.

კარგია... ზოგჯერ სხვის გრძნობებს ცდიდე,  
ხანდახან... შენიც რომ დაიფასო...  
მე სიყვარულის შარბათებს ვცლიდე  
და... შენ თვრებოდე, ჩემო ძვირფასო.

### აღსარება

*მეუღლეს*

რა ვქნა, რომ შენი ფრთით ვერ ვიფრინე,  
ვერც შენი ხელით შემოვკარ ტაში...  
რომ გულზე ისევ ლექსი ბიბინებს,  
რომ ჩემი მინის ერთგული დავრჩი.  
სადაც არ სჯობდა, რომ ვცადე მაინც,  
იქ გამოვცალე მთვარის ფიალაც...  
ვერ ვენაცვალე სხვის კუთვნილ მაისს,  
დრომ ქარიშხლებთან წამაფრიალა.  
სევდა რომ დამდეგს, როგორც ჯაშუში,  
არც ღვინოა და არც ჰაშიშია...  
სიცოცხლე არის მეტად საშიში,  
სიკვდილი, აბა, რა საშიშია!..

### თოლია

ქარში იფრინა ჩემმა თოლიამ,  
ცაში აუშვა სულის აფრები...  
რაც კი უბეში ცეცხლი მქონია  
ზღვას შეაღწა ამაყი ფრთებით...  
გზარეული ნისლივით შესვა  
მთაში დაჭრილი ირმის ხავილი...  
იასამნების მომიძღვნა ზეცა  
უფლის თვალით თუ ქარვის ყვავილით.  
დამამსხვრევიან ძვლების გალია,  
დამამლევიან ქვიშის ხონჩები...  
—ახია ჩემზე... და ალალია...  
შემოსეული ყაყაჩოები!.

### მონატრება

ასდევნებია სიჭაბუკის ორლობეს ლექსი...  
ვილაცა ახლა უსაშველოდ თბილ გუნდას მესვრის.  
ჩამეხუტება ათრთოლებულს შემკრთალი შიში,  
ვერ გაუძლებენ ნისლიანი თვალები შიმშილს.  
და ტკივილამდე უნაპირო, ლამაზი ზეცა  
უნაბისფერი მწვერვალების დაინყებს ძერწვას.  
...მაშინაც ასე, ფანტელების პერანგი მეცვა...  
ნეტავ ბავშვობა უკვდავების წყალივით მესვა.

### აოლ გოგანს


ტილოზე, შენთან, ვიპოვნე ბუდე,  
ვიქარგავ მცირე სიზმრის საუფლოს...  
ოცნებებს მერე ღამეებს ვუთევ  
და ჩემს ცხედართან უხმოდ ვსაუბრობ.

სეირნობს მზერა ჩვეულ ტაატით,  
- ძნელია, თურმე ერთხელაც ცხონდე...  
სხეულით დამაქვს ჩემი ტაიტი  
არ მყოფნის რადგან ერთი სიცოცხლე.

დინებას შენსას თუ გამოვყვები,  
ავიფერადებ სულში ყვავილებს...  
ამ სამოთხიდან იმ სამოთხეშიც  
შენი სამოთხის ფერებს წავიღებ.

### შენ...

მე შენს ქუჩაზე უხმოდ ჩავივლი...  
თოვლის ფარდაებს ისე დავაფენ,  
არ დამჭირდება ფუთი მარილი,  
რადგან თვალებით ვიგრძნობ ყველაფერს.



ნიკოლოზ  
რეჟისორი

## ჩანს ბინათ დაჩქვით და ჩანს ბინათ დაჩქვით

უამრავი ხალხი ადი-ჩადიოდა ამასოფლის შარავზაზე. ამ უამრავიდან დიდ ნაწილს წინ ერთი გზა ედო, დანარჩენებს ზოგს საით და ზოგსაც საით. დიდ ნაწილს თუ ერთი გზა ედო, რალა გასაკვირია, რომელიღაც, მანამდე ერთმანეთისთვის უცნობმა სამმა მგზავრმა შეხვედრისთანავე ერთად სიარული რომ გადაწყვიტა. და აი, ისინიც, გადაწყვეტილების თანახმად, ერთად გაუყვევენ ამასოფლის გზას.

იმ სოფელს, რომლის აღსაწერადაც ამჟამად ვემზადები, თავიც ჰქონდა და ბოლოც, მაგრამ იქაურობას ერთი საოცრება დასჩემებოდა. ეს საოცრება... თუმცა ამ საოცრების შესახებ, მოგვიანებით იყოს. ახლა კი აი, რას ვიტყვოდი: საერთოდ, ყველამ უნდა ვიცოდეთ... არასწორად დავინწყე? ხო, კარგი: უნდა ვიცოდეთ კი არა, ვიცით — ყველამ ვიცით(!), რომ ადამიანს

გზად იმდენი რამ შემოეყრება, ყველაფერი რომ შეამჩნიოს და დააფიქსიროს, არც მეტი არც ნაკლები, ჭკუიდან გადავა! კიდევ კარგი, მთლად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ბრმები რომ ვართ... აჰ, მაპატიეთ, მაპატიეთ — თქვენ არა ხართ ბრმები! ბრმები მე და თითო-ოროლა ჩემისთანანი ვართ. მაგრამ... იბადება კითხვა: რატომღა ხართ ბედნიერები? თუკი კითხვა თქვენთვის, ცოტა არ იყოს, გაურკვეველი გამოდგა, მაპატიეთ, მაგრამ გამოდის ის ვერ გაგიგიათ, ვერ დაგინახიათ, რაც თქვენი სალი მხედველობის, ანუ გონებამახვილობის საკითხს, ცოტა არ იყოს, არყევს (!)... უი, უი, სულ დამავინყდა: მე ხომ სისულელებს ვჩმახავ — სისულელებს! გეთანხმებით. გეთანხმებით ყველაფერში (ეს დღეს. ხვალ — არ ვიცი).

რადგან ასეთი, ცოტა არ იყოს, უცნაური კუთხით წარმემართა თხრობა, დროს ვიხელთებ და წარმოგიდგებით: ერთი უბრალო, შემლილი ადამიანი ვარ და ამ გარემოებიდან გამომდინარე, ბევრი ლაპარაკი მიყვარს პროზაში. როცა რაიმეს გეტყვით, ნათქვამზე კარგად დაფიქრდით, დაჯერებით კი, არაფერი დამიჯეროთ.

გინდ ისე ჩამითვალეთ, გინდ ასე, მე კი პირდაპირ ამ სახით უნდა მიყვე: ჩვენ, სისულელების მჩმახველებს, ანუ შემლილებს, ჩვენი სისულელე ისე არ გვხიბლავს და გვატკბობს, როგორც თქვენ, გონიერთ თქვენი სიბრძნე. გთხოვთ, ამ საკითხში ნუ შემეკამათებით — შემლილებმა ვიცით ჩვენი შემლილობისა, სისულელებისა. ჰოდა, რადგან ჩვენ ჩვენი სისულელე არ გვხიბლავს და გვატკბობს, თავსაც არ ვიკლავთ მისი ძიებით — ის ჩვენთან თავისით მოდის. ჩვენ, გამომდინარე სიბრძნის დეფიციტიდან, სწორედ ამ უკანასკნელის მოძიების მცდელობაში ვართ, მაგრამ საბოლოოდ, სიბრძნის ნაცვლად, ხელთ ყოველთვის სისულელები გვრჩება. ასე, რომ მეც შევუდგები სიბრძნის ძიებაში სისულელების პოვნას.

შემლილი კი ვარ, მაგრამ იმდენი მაინც მესმის, იმ ერთად მოსიარულე, აქამდის ჩვენთვის უცნობ მგზავრთა სამეულის პიროვნების გამოკვლევას არ მიყვე. არ მიყვე, რადგან თუ სამ შემთხვევით შემხვედრს შორის საერთო ენა გამოინახა, თავისთავად ისინი ამასოფლის უამრავ მკვიდრთა დიდი ნაწილის წარმომადგენლები არიან — ესე იგი, გონიერნი, რომელთაც სიბრძნე ხიბლავთ, ხიბლავთ და ხშირად თავის თავშიც ეძებენ მას — პოულობენ კიდევ, და შემდეგ ქვეყნიერებას თავს ახვევენ — ბედნიერნი თავიანთი ბუნებრივი ინტელექტით! თუმცა, ინტელექტი ყოველთვის მხოლოდ ბუნებრივია, მისი ხელოვნურობა ვის გაუგია! ჰოდა, მითხარით, განა რა შემიძლია მათ შესახებ ვთქვა მე, შემლილმა?!

ზემოხსენებულნი გონიერნი გონიერებად თუნდაც იმიტომ მიმაჩნია, რომ ცდილობენ, რაც შეიძლება მხიარულად განვლონ თავიანთი სავალი (ლარივით სწორი, ფართო) გზა. და აი, ჩვენი მგზავრებიც, ათასნაირი სახარბიე-

ლო ხერხის გამოყენებით მიჰყვენ თავიანთი ცხოვრების სავალი ნუთისოფლის გზის სიცილ-კისკისით შელამაზებას. არ ვიცი, რამდენი იარეს, ბევრი თუ ცოტა (ჩემთვის გაურკვეველია, თუ რამდენად ედიდებათ მათ თავიანთი ნაბიჯი), გზად ერთ უცნაურ ადამიანს გადაეყარნენ. უცნაური გზის პირას მიმჯდარიყო და ცარიელ ქვასანაყში ქვას აკაკუნებდა... რას ნაყავდა? რას და არაფერს! ვინ იყო ეს უცნაური? მოდით, ამ კითხვას ჩემთვის, ფარულად გავცემ პასუხს, რათა თქვენს წინაშე აღარ გამოვევლინო ჩემი შეშლილობის მადასტურებელი კიდევ ერთი ნიმუში (უკანასკნელით თავს მოგაბეზრებთ). მე მხოლოდ აღვინერო, თუ რა მოხდა იმ ამასოფელში, ამასოფელში, რომელსაც თავიც ჰქონდა და ბოლოც. თქვენ კი, თქვენის შორსმჭვრეტელობით განჭვრიტეთ ის, რაც ჩემთვის... ერთი სიტყვით, განჭვრიტეთ ის, რაც მე საყოველთაო ნორმალურობით ვერ განმიჭვრეტია: უცნაურის დანახვაზე ჩვენი მგზავრები ერთ ალაგას შედგნენ და... (კარგად დაიხსომეთ!) თავდაპირველად გაოცდნენ, შემდეგ ჩაფიქრდნენ და ბოლოს, გაიცინეს. ამის შემდეგ გააგრძელეს გზა ისე, თითქოს არც არანაირ უცნაურობას გადაეყრდნენ; და უცნაურისთვისაც შეუმჩნეველი დარჩა მათი გამოჩენაც, გაუჩინარებაც.

იცით, რას ვიტყვი? რადგან ჩემს თავს ოფიციალურად ვუნოდე შეშლილი, უფლება მაქვს, რაც მომესურვება, ის ვთქვა — ოღონდ, მაინც თავისი შერბილებებით; შერბილების გარეშე არ შემიძლია, მიუხედავად ყველაფრისა. არ ვიცი, შეშლილობაშია თუ არა თავისუფლება, მაგრამ მე, როგორც ხედავთ, ამ სახით ვიღებ მას.

აი, დროც მოვიდა იმ ამასოფლისთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებანი გაგაცნოთ, რომელიც იქაურ მკვიდრთა პიროვნულ არსებას ახასიათებდა. ესე იგი, უნდა გავაღრმავო, ანალიზი გავუკეთო სიტყვებს: „გაოცდნენ“, „ჩაფიქრდნენ“ და „გაიცინეს“. მაგრამ ამას არ მოვიმოქმედებ, მიზეზად კი შემდეგს მოვიტან: ერთ ჩემ პატარა, ცხოვრებისეულ შემთხვევას გავიხსენებ, რომლის შემდეგ, წესით, უნდა გამიგოთ, აღარ მომთხოვოთ გაღრმავება, გაანალიზება. ერთმა კეთილმა ადამიანმა, რომელმაც ჩემი ერთი ნაწერი წაიკითხა, გულთაღი რჩევა მომცა (რათა წერის მანერა დამეხვეწა), აღმეწერა სულ უბრალო რამ — თუნდაც, როგორ მოსწონა ადამიანმა სიგარეტი; და აი, მეც დავიწყე: როგორ გამოვიდა ეს ადამიანი ბინიდან სადარბაზოში თამბაქოს გასაბოლებლად, და თქვენ წარმოიდგინეთ, აღვწერე კიდევ, მაგრამ, ჩემდა უნებურად, სიუჟეტი გავაგრძელებ და განვაგრძე. თხრობა კი იმით დავამთავრე, რომ ამ ადამიანმა თავი მოიკლა! ეს უკიდურესობა მოიტანა მხოლოდ და მხოლოდ გამირის პრიმიტიულობამ. მერწმუნეთ, სხვის მოსაკლავად ან სხვა რაიმე მსგავსი სერიოზული მიზეზით რომ გამოემეყვანა ის საწყალი სახლიდან, თავს არავითარ შემთხვევაში არ მოიკლავდა. სერიოზულ ყოყმანში მისმა პიროვნულმა

პრიმიტიულობამ ჩამაგდო. მიუხედავად იმისა, რომ ვერ წარმომედგინა, თუ როგორ შესძლებდა ის ადამიანი თავის მოკვლას, რომელიც საკუთარ ოჯახშიც ვერ ეწევა სიგარეტს, საბოლოო ჯამში ფაქტს ვერ გავექეცი, ყოყმანი რეალობამ შთანთქა და მე „სინამდვილე ჩემთვის“ დავინახე. რალა დაგიმალოთ და, ალბათ მეც სწორედ იმიტომ ვარ ცოცხალი, სხვა მისთანებთან ერთად, სახლში სიგარეტის მონევა რომ შემიძლია. ნუ, ეს მე, მაგრამ ლაპარაკი სხვაზეა — ლაპარაკი პრიმიტიულობაზეა. მეშინია პრიმიტიულობის, გაფურბივარ — არ მინდა ვინმე მოვკლა. სხვა საქმეა, თუ რამდენად პრიმიტიულ საქმედ ითვლება იმ ამასოფლის მკვიდრთა (კერძოდ სამეულის) ვინაობის დანვრილმანება, რომელნიც აქამდე მხოლოდ სამი სიტყვით მყავს წარმოდგენილი — აი, ეს სამი სიტყვა: „გაოცდნენ“, „ჩაფიქრდნენ“ და „გაიცინეს“. მაგრამ ამ მხრივ აი, რას ვფიქრობ: რაიმეს მრავლობა მისივე პრიმიტიულობას წარმოშობს (ბანკირებს გული არ ეტკინებათ — ფული არაა მხედველობაში), პრიმიტიულობას წარმოშობს, მიუხედავად იმისა, ვინც და რანიც არ უნდა იყვნენ ისინი. ამ საფუძველზე მე ჩემს სამეულს პრიმიტიულთა ჯგუფს მივაკუთვნებ; ისინი ხომ ამასოფლის უამრავ მკვიდრთა დიდი ნაწილის წარმომადგენლები არიან — თუნდაც რომ გონიერნი იყვნენ. ჰო, ჰო, მე მათ გონიერებს ვუნოდებ. მაგრამ, მე ხომ შეშლილი ვარ... იქნებ, პირიქით? შესაძლებელია! ოღონდ აქ ჩემი დასკვნა, უბრალოდ, ზედმეტია. მათი თავი თქვენთვის მომინდვია, მათი ყველაფერი, გარდა ერთისა — „გაოცდნენ“, „ჩაფიქრდნენ“ და „გაიცინეს“.

ხოო... ეხლა უკვე აღარც კი ვიცი რა გითხრათ? მათ თავს მთლიანად თქვენ გთავაზობთ და ამავე დროს, ძუნწი ადამიანით, ვერ ველევი. მართალია, წარმოვიდგინეთ მხოლოდ სამი სიტყვით, მაგრამ სწორედ ამ სიტყვებშია მოცემული მთელი მათი პიროვნული სახე, ღირსება, რადგან ისინი ამით იწყებიან და ამითვე მთავრდებიან. რა აზრი აქვს აჩუქო სხვას უზარმაზარი კოსმოსური სივრცე და შენთვის დაიტოვო ის ერთადერთი და ერთი ციციქნა პლანეტა, რომელიც ამ სივრცეში ობლად გამოკიდულა? რა ვქნა? ალბათ, ჩემი ენა მე არ მეკუთვნის! რაც არის, არის. ყველაფერი იქით იყოს, დამითმეთ, მე ხომ შეშლილი ვარ! ნუ მომკლავთ და ნუ მომაკვლევინებთ იმ სამ გამირს, რომელთაც სიკვდილი აზრადაც არა ჰქონიათ!

მაშ, ასე, წინასწარი შეთანხმება-თხოვნის თანახმად, აღარ უნდა მივყვე კულში უცნაურს განშორებულ, ჩვენთვის უკვე ნაცნობ მგზავრთა სამეულს. მათ ნაცვლად ჩემი არჩევანი არაფრის მნაყველზე უნდა შეჩერდეს. რომელიც, სიმართლე გითხრათ, სულიერად ჩემთან უფრო ახლოა, ვიდრე ისინი; მაგრამ არა! სწორედ ჩემი პირობის მიუხედავად, თქვენ წარმოიდგინეთ, მე მაინც მათ, პრიმიტიულთა სამეულს გავყვები, მხოლოდ არცთუ იმ სახით, რომელსაც საერთოდ გაყოლა ჰქვია. გავყვები ბრმად, რადგან თვით ისინი მიმაჩნია ბრმებად!

არ იფიქროთ, ასეთი რიხის შემოტანით (ბრძეები ვუნოდენ...) მაინცდებოდეს, რომ შემლილი ვარ. არა, სწორედ შემლილობამ მომაპოვებინა ეს რიხი — ამისთვის ვემზადებოდი; თუმცა, სულ მალე პირვანდელ მოკრძალებას დავუბრუნდები. ესე იციან შემლილებმა — მიდი და მოსთხოვე რამე, თუკი გონიერი ხარ! რომელმა კრიტიკოსმა უნდა მომაძახოს: „შენი ნაწერი სისულელეაო!“, როდესაც, თუკი იგი ჭეშმარიტი კრიტიკოსია, თავადვე მოისაზრებს, რომ ჩემგან მტკიცე დასტურის მეტს ვერაფერს მიიღებს.

თანახმა ვარ: ზედმეტად გადაუხვიე!

არ ვიცი, ჩვენმა მგზავრებმა ბევრი იარეს თუ ცოტა (და არც არასდროს მეცოდინება ჩემს გარშემო აღმართული საშინელი კედლის გამო, რომელიც ჩემი უბედურების ერთ-ერთი მიზეზია). მხოლოდ ერთი ვიცი და ისიც იმიტომ, რომ ის ყველასთვის ხილულია (კედლის იქიდანაც ჩანს): ისინი მიაბიჯებდნენ თავიანთ ლარივით სწორ, ფართო გზაზე ისე, არსაით გადაუხვევიათ და თქვენ წარმოიდგინეთ, სწორედ აქ მოხდა ის საოცრება, რომლის შესახებაც სიტყვა თხრობის დასაწყისში კინალამ წამოცდა: არ იფიქროთ, ჩვენს მგზავრებს დედამინისთვის წრე შემოველოთ (არა, სად შეუძლიათ ამდენი!), მაგრამ ისინი კვლავაც იმ ადგილს მიადგნენ, სადაც უცნაური ადამიანი ცარიელ ქვასანაყში ქვას აკაკუნებდა, არაფერს ნაყავდა. ვიმეორებ: არავითარი გზიდან გადახვევა, მით უმეტეს, უკან დაბრუნება — მათი მიზანი მხოლოდ წინსვლაა! და მიუხედავად ამისა, ისინი მაინც იმავე ადგილზე აღმოჩნდნენ, თითქოს წინ არც წასულანო. ეს ყველაფერი მეც საოცრებად მეჩვენება, მაგრამ რა ვქნა? ეს ასე იყო. ამ ყველაფერში ერთი-ორი ნაცნობი და ოდესმე მაინც მრავალი უცნობი დამეთანხმება.

იქაური საოცრება მხოლოდ იმ ფაქტით არ იფარგლება, რაც უკვე გაგიმზილეთ. საქმე ისაა, რომ წინ წასულ და ფაქტობრივად იმავე ადგილზე მყოფ სამეულს ახსოვდა განვლილი გზის ყოველი ადგილი. უცნაური ადამიანიც სწორედ რომ მშვენივრად ამოტივტივდა მათ მეხსიერებაში, მაგრამ მხოლოდ ერთი რამ: მათი ყურადღება ოდნავაც არ გამახვილებულა მასზედ, თუ რის გამო აღმოჩნდნენ ერთსა და იმავე ადგილზე ორჯერ, მიუხედავად შეუპოვარი წინსვლისა. არ ვიცი რისი ბრალია ეს ყველაფერი. იქნებ ამის მიზეზი სწორედ ისაა, რომ მათი ინტელექტით სავსე ტვინის უჯრედები ასეთი წვრილმანებით ზედმეტად არ იტვირთება. ასეთი ადამიანები, ალბათ, იმდენად გონიერნი არიან, რომ სისულელეებს ვეღარც კი ამჩნევენ. ამას მხოლოდ მე და ჩემისთანები ვაქცევთ ყურადღებას და, ალბათ, რაიმეს პოვნა გვინდა მასში — როგორც წელან მოგახსენეთ: შევუდგები გონიერების ძიებაში სისულელეების პოვნას. შემდეგ... ბომბი აფეთქდა... არა, არა, ეს ისე ვთქვი, რათა ჩემი შემლილობის საკითხი კიდევ ერთხელ შემეხსენებინა თქვენთვის. გულს ნუ გაიტყვს წერაგინ, თუკი

ვინმე ვერ გამიგებს (თუკი ვინმე?).

აი, ამჯერად კი ვეღარ განვუდგები ჩემს მიერ წამოყენებულ შეთანხმება-თხოვნას, რომლისთვისაც სიტყვათა კორიანტელი არ დავიშურე. არ გავალმავებ სიტყვათა შინაარსს „გაოცდნენ“, „ჩაფიქრდნენ“ და „გაიცინეს“, მოკლედ კი ვიტყვი: თვითონ ჩვენმა მგზავრებმა გაალმავეს, რალაცნაირად გაბერეს, მასშტაბი გაუზარდეს — სანახაობით ხელახლად გაოცებულეებმა მიიკითხეს, მოიკითხეს, გაიხსენეს, შეადარეს, ერთსა და იმავეს ამტკიცებდნენ — უცნაური შემლილიაო, და მაინც, საკამათოდ ჰქონდათ საქმე. მათი მდგომარეობის ამ ფაზას ჩვენ, რალა თქმა უნდა, „ჩაფიქრება“ — ფიქრი ვუნოდეთ. ბოლოს, თითქოს თავადაც გაერკვნენ უაზრობის უაზრობაში და... სხვას დაეკითხნენ, შემთხვევით გამვლელს, ვინმე ფილოსოფიურად მოაზროვნე პირს, რომელიც შეუმჩნეველი ბილიკიდან გამოჩენილი თავშეყრილთ ის წუთია წამოსდგომოდა — ყოველივე ამის შესახებ თქვენ რას ფიქრობთ? ახალმოსულმა არაფერი თქვა — ეტყობოდა, ბუნებით მდუმარე კაცი იყო. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს არაფრის მზიდი სცენა, რომ გზად ერთ სულიერად დაავადებულს არ გამოველო. სულიერად დაავადებული ალაშფოთა უცნაურის დანახვამ — მოიცა კაცო, სად გაგონილა არაფრის ნაყვა, წყალს მოგიტან, წყალი ნაყეო!

მართალია, სულიერად დაავადებულის სიტყვებს უცნაურის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია, მაგრამ სამაგიეროდ მის ნაცვლად იქ მყოფნი ჩასწვდნენ აზრის სიღრმეს — ისედაც ჩაფიქრებული ფილოსოფოსი მეტად ჩაფიქრდა; მგზავრთა სამეულმა კი თავისი იქ ყოფნის მოცემულ ფაზას მომდევნო ფაზა შეუწაცვლა: „ფიქრი“ „სიცილმა“ შეცვალა. იცინოდა პირველი, იცინოდა მეორე და რალა თქმა უნდა, იცინოდა მესამე.

მორჩა! მე დავისვენე — სამეულმა გზა გააგრძელა; უნდა ვიჩქარო ამბის თხრობა, თორემ საცაა ზურგიდან ისევ მომადგებიან. სულიერად დაავადებულიც უკვე კარგა ხნის წასული იყო, როცა ფილოსოფოსი ხანგრძლივი დუმილის შემდეგ უცნაურს დაეკითხა — სცადა გაეგო, იყო თუ არა უცნაური სალი გონების.

— მერედა, მე მაგას რად მეკითხები?

— აბა, ვის ვკითხო? — უცნაურისგან შემობრუნებულ კითხვას კითხვითვე გასცა პასუხი.

— ამ შემთხვევაში ჩემი მხრიდან რაიმეს თქმა უაზრობა იქნებოდა, — წამოიწყო უცნაურმა, — მაგრამ არც ართქმაში დევს აზრი. ორი უაზრობიდან რომელიმეს არჩევაც თვით უაზრობაა, მაგრამ რადგან გაინტერესებს, მეც გეტყვი. — წამით შეყოვნდა, ქვასანაყს ჩააჩერდა, — შენ რომელი შემლილი გინახავს, თავის შემლილობას აღიარებდეს? ყოველ მათგანს თავისი ქმედება გონიერებად მიაჩნია და ამიტომაც არიან შემლილნი. და თუკი ვინმე მაინც დაიბრალებს — შემლილი ვარო, მოტივირებული იქნება რაიმე მიზეზით, რაც უკვე მის გონიერებაზე მიანიშნებს. ასე, რომ რა კატე-

გორიისაც არ უნდა ვიყო, შენ ჩემმა პასუხმა არ უნდა დაგაკმაყოფილოს, რადგან პასუხი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე იქნება — გონიერი ვარ!

სიტყვის დასრულებისას უცნაურს სახეზე მკრთალი ღიმილი მოერია, ისევე ჩახედა ქვასანაყში სიცარიელეს და ქვის ორიოდ ჩაკაკუნების შემდეგ გააგრძელა, ისე, მოსაუბრისთვის არც აუხედავს.

— სხვათა შორის, შეშლილთა „გონიერება“ თუ ჩვენთვის შეშლილობაა, ჩვენი გონიერებაც ხომ მათთვის იგივეს ნიშნავს?! რომ დაუფიქრდეთ, ორი თავისებური ბანაკი ყალიბდებდა, ერთმანეთის პირისპირ მდგომი. საერთოდ, ადამიანი გვერდიდან უკეთესად ჩანს. ნათქვამიც არის — შეხედე შენს თავს გვერდიდან! გვერდიდან კი ჩვენ შეშლილები ვჩანვართ, რადგან ეს გვერდი შეშლილთა პოზიციას იბადება სიტყვები (შესაბამისად მცნებებიც) — „ჩვენ“, „ისინი“, „ეს ბანაკი“, „ის ბანაკი“... ჩემი თავი მექანიკურად „ამ ბანაკს“ მივაკუთვნე. არა, ამ ბანაკს კი ვეკუთვნი, მაგრამ საქმე ისაა, ამ ბანაკში გონიერთა სადგომს ვგულისხმობ. მაგრამ ისინი, ვინც იმ ბანაკშია, ანუ შეშლილნი, ხომ თავიანთ ბანაკსაც ჩვენსავით „ამ ბანაკს“ უწოდებენ და მასში ასევე გონიერთა სადგომს გულისხმობენ? იბადება კითხვა: ვისი „ეს ბანაკია“ ჭეშმარიტი „ეს ბანაკი“, ჭეშმარიტი გონიერთა სადგომი? ორივე მხარე გონიერი არ შეიძლება იყოს, მაშინ ერთმანეთს შეშლილებად არ შევრაცხავდით. ამ შემთხვევაში უფრო სავარაუდოდ იქნებ ორივე მხარის შეშლილობის საკითხიც იყოს?!

იგი დადუმდა. რალაცა ხნის შემდეგ ამოიოხრა და გააგრძელა:

— რა არის, იცი? უაზრობის თქმას ხომ აზრი არა აქვს, ძალიან ცუდია, როდესაც იტყვი და ამით მის სრულ სახეს გადააწყდები! — წამით შეყოვნდა, შორეთს გახედა, უფრო მძიმედ ამოიოხრა და ამ ამოოხვრით უცებ გულზე რალაც მოეშვა. — თუმცა, არ თქმასაც მოჰყვება ვაი! მხოლოდ სხვაგვარი ვაი! ეჰ, ვაი, ვაი! ჰოდა, ჩვენცა ვთქვათ, ვაფრქვიოთ აზრი! სხვა რალა გვრჩება, ჩვენ ხომ მივიწვევთ უაზრობისკენ და აი, ვეძიოთ საძიებელი იქ, სადაც გვაქვს ძებნის შანსი, მაინც ვეძიოთ, თუნდაც ვიცოდეთ, რომ ძებნა ამაოა.

უცნაურმა კიდევ ჩამოაყალიბა რალაც აზრები, ბევრი იმსჯელა, ბოლოს გამოაცხადა — ჩიხში მოვხვდითო.

— ჩვენ გვინდა დავადგინოთ, ვართ თუ არა გონიერნი, სალი გონების. ამას მსჯელობა უნდა, ღრმა ფიქრი, მაგრამ არ ვიცით, ეს მსჯელობა, ფიქრი იქნება თუ არა ჭეშმარიტი, სალი, ჯანმრთელი. სასაცილოა, თან სატირალიც — უსასრულობაშია ყველაფრის პასუხი. აზრი არა აქვს ამტკიცო, ვინ გონიერია და ვინ შეშლილი. ჩვენ ყველანი ვართ ჩვენი გონებით კმაყოფილი. რა გენაღვლება, იყავ თუნდ გონიერი და თუნდ შეშლილი. — გაელიმა და დაამატა, — კიდევ მკითხავ, ვარ თუ არა სალი გონების?

ფილოსოფოსს სიტყვა არ უთქვამს, უარის ნიშნად გააქნია თავი და იქაურობისგან გასაცლელად მოემზადა.

— მაშ, შენ ჩემი გონით, გონიერი ხარ! — უკვე გაცლილს გააყოლა უცნაურმა სიტყვები და ამით მცირე ხნით კიდევ შეაყოვნა, თითქოს რალაც ახალი დაანახა, გაახსენა, რომელსაც იგი კიდევ ხედავდა, კიდევ ესმოდა, მაგრამ მისთვის მაინც ახალი იყო.

— თუ გინაყია წყალი ოდესმე?

— მთელი ცხოვრება. — ნალვლიანად გასცა პასუხი.

— რატომ შეცვალე წყალი არაფრით?

— ჩვენ ყველა წყლის მნაცველები ვართ. გვიხარია, რადგან გვჯერა მისი დანაყვის. ხოლო როდესაც ადამიანი შეიგნებს წყლის დაუნაყველობას, რალა აზრი აქვს მის ნაყვას — შეგნებულად თავის ტყუებას, შეგნებულად არაფრის ქმნა სჯობს!

— მაშ, საერთოდ რალას ნაყავ, თუნდ მაგ არაფერს?

— ეებს... — უსაზღვრო ნალველი ამოაყოლა უცნაურმა სიტყვებს, — არ შემიძლია არ ვნაყო!

ამის შემდეგ ისინი უსიტყვოდ დაშორდნენ. იმ დღის შემდეგ ფილოსოფოსი წინანდებურად ქმნიდა ნაშრომებს, შემოატარებდა მთელ სოფელს და შემდეგ თვისივე ხელით ისე ანადგურებდა, კაციშვილს არ ახედებდა შიგ.

ასე დამთავრდა ჩემი ნათხრობი.

იმედია, შეშლილისგან სხვას არც ელოდით.

რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ...





# გვანცა ჯობავა

## მოვა იოანე... და მოვა იესო...

მაშ რა აზრი აქვს  
 "ანმყოს, რომელიც ერთ ნამში  
 უკვე წარსულად გადაიქცევა"...  
 სჯობს ხელეზს ისევ ჩავყოფ წყალში,  
 იქ შევიწინაზავ,  
 სანამ წყალიც არ დაბინძურდება,  
 სანამ ჯერ კიდევ მერქმევა ბავშვი,  
 სანამ სხეული აღმზრდის პილატედ -  
 რწმენის ბოლო აგურს არ დავშლი,  
 და ქვიშად გავშლი მინაზე უმწეოს,  
 მზიან მინაზე - უმზეო ქვიშად,  
 და სანამ თავს არ დავაჯერებდე, რომ გავმეფდი,  
 სანამ ვინამებდე, რომ თოჯინებად იქცნენ  
 ადამიანები,  
 სანამ უფსკრულის თავზე თოკს გავაბამდე,  
 რომელზეც ალბათ ხან ვირბენ, ხან  
 გადავყირავდები,  
 მექნება ემოცია შიშისმაგვარი,  
 ემოცია - სინანული, შიშის ნადავლი,  
 მექნება მწუხარება ცრემლთან ნაზავი,  
 თავის მოძულება - შედეგი გადაღლის.  
 გაეხდები მათხოვარი  
 ლუკმის, ხურდის, ძონძების, სითბოს,  
 სიყვარულის, მეგობრობის, შთაგონების...  
 და მაინც შემრცხვება... დავმალავ ვითომ.

სანამ არ მოვა კუმტი მენაგვე  
 და მამხელს ქუჩის ნაგავთან ერთად,  
 მისი ცოცხის ქვეშ ცრემლებად დაღვრილს,  
 მე ალბათ იმ წამს მას ჩავთვლი ღმერთად.  
 მე ალბათ იმ წამს ვიქცევი შლეგად,  
 მე ალბათ იმ წამს ვიქცევი მონად,  
 რათა ვინამო...  
 მე კი ავირჩევ გზას უფრო შორეულს,  
 მივემსგავსები ურწმუნო თომას.  
 მაშინ, სწორედ მაშინ მოვა იოანე,  
 და წყალში განბანს ჩემს მწირ გონებას  
 შებილწულს, ტკვილიანს, შეწირულს,  
 მომთაბარეს.  
 და მოვა იოანე,  
 და ეცოდინება, რომ მოვა იესო,  
 და რომ ჩემი მომთაბარე გონება  
 ისევ ზედმეტად ბურუსიანია მის დასანახად,  
 რომ ჩემი მშფოთვარე სული,  
 ისევ ზედმეტად მძიმეა მასთან მისასვლელად,  
 რომ ჩემი განძარცვული სხეული  
 ზედმეტად ცივია მის მინაში დასამარხად...  
 დავრჩები მინაზე,  
 და დავინყებ თავიდან...  
 მაშ, "არ არსებობს ანმყო,  
 რადგან ის ერთ წამში წარსულად გადაიქცევა"...

## "მონათული შვიდნარე"

"მივემსგავსე კენს, მკვლელსა,  
 ცნობასა, და მოვკალ სულისა სვინდისი  
 და განუაცხოველენ ხორცნი"...  
 და შორს ვარ სიმართლისგან,  
 და უფრო შორს - უფლისგან...

ორი თვალი მაქვს და,  
 ზოგჯერ თუ ვხედავ,  
 ორი ფეხი მაქვს და,  
 არც ერთიც არ მაქვს.  
 ორი ხელი მაქვს და,  
 მინის არ მხვნილად,  
 ერთი გული მაქვს და,  
 საჩემოდ დამაქვს.

და რადგანაც მქონდა და არც მქონდა:  
 ორი თვალი, ორი ფეხი, ორი ხელი  
 და ერთი გული,  
 და არ ვიყავი კაცთა ერთგული -  
 უფლის ერთგული,  
 მივიღე სასჯელი:

სამი შვილი მყავს და  
 არც ერთიც არ მყავს,  
 ვაჩენ და ვკარგავ,

ვაჩენ და ვკარგავ...  
თავს ვინუგეშებ,  
რომ დარდი დამკლავს,  
მაგრამ ამაოდ...  
ძმები ამიშენდნენ ზურგსუკან  
კედლად... და მოსწყდა ერთი -  
აგური. ამცდა მე და გაქრა.  
და გაჩნდა ღრიჭო  
უბერავს ქარი ღრიჭოდან.  
და გამიცივდა მარცხენა ფერდი.

ვაშენე ტაძარი უსაძირკვლოდ.  
არ შენირული ძღვენის ამარას,  
ვერ შემიღესეს კედლები ქერუბიმებმა.  
მოზღვავედა წვიმა და  
მას შემდეგ ტაძრის  
ნაპრალებიდან მედიდგულება.

მაშინლა ვთქვი:  
"უფალო, მილხინე, რამეთუ არავინ არს  
ცოდვილი კაცი, რომელსა არა  
აღვემატე შეცოდებით..."  
და მითხრა უფალმა:  
რადგან შენ ვერ მოდიხარ ჩემთან,  
მე მოვალ შენთან,  
რამეთუ მიხმობ შენი გულით და შენივე ენით...  
და მოვიდა, რათა ეთქვა:  
ორი ხელი გაქვს, თესე ჩემი სახელით,  
და სანამ ნაყოფს არ მოიმკი,  
ნუ იჩქარებ ტაძრის შენებას  
შიშველი ხელებით.  
მოინიე მოსავალი - სინანული,  
და დაურიგე უქონლებს,  
ტაძარს ისინი აგიშენებენ  
შენივ შენირულით...

და შევრჩი ასე შიშველი ხელებით  
ჩემს არარაობას.  
გამოაძვეს ჩემი გული გრილი ჩეროდან,  
გადაუძახეს გამეტებით სადღაც უფსკრულში.  
ველარც ვდარდობ... და აღარც მტკივა.  
ყოველ დილით ვიღებები როგორც მასხარა  
და ვიმეტებ ჩემს თავს არარაობისთვის.  
არა, დიდებას!  
არა, გამარჯვებას!  
არა, სიყვარულს!  
გავდივარ ქუჩაში. თითოთოროლა ნაცნობი თუ  
გაიფიქრებს: როგორ გამხდარა...  
და ჩაივლის. მე კი მეორე დღეს  
უფრო მეტად ვიღებები, რომ ვერავინ მიცნოს,  
რომ თავისუფლად ვიმათხოვრო ქუჩის კუთხეში,  
ვიმუშავო ზოგჯერ მენაგვედ და არ ვიდარდო.  
მერე რა მოხდა, თითქოს  
რამე იყოს მარადიული დედამინაზე.  
სამაგიეროდ,  
ამ ფულით ვიყიდი ფერად ბურთებს  
და ერთ ნომერს მაინც შევასრულებ  
თვალდახუჭული.  
ვიღაც ხომ მაინც გაიცინებს.  
ვიღაცას უბრალოდ შევებრალები.  
და იცი, მე  
არ მეშინია იმის, რომ უიმედოა დასასრული,  
რომ მასხარას პირველივე ტრაგიკულ დაცემას  
მქუხარე ტაშით შეეგებება მაცურებელი.  
მასხარამ იცის,  
რომ მაცურებელმა არ იცის  
ტაშის მიზეზი...  
მაცურებელმა არ იცის, როგორი დიდგულაა  
დედამინა  
მისი ფანჯრიდან.  
ამოიჩემა...

## მასხარა

იცი, როგორი დიდგულაა დედამინა  
ჩემი ფანჯრიდან?!..  
ამომიჩემა...  
ვხუჭავ ფანჯრებს, დარაბებს, თვალებს,  
ვხუთავ ოთახს და ველარც ვსუნთქავ,  
ველარც ვანათებ.  
გამომიყენა,  
თითქოს ჩემმა არარაობამ  
და მომატყუა,  
და დამაჯერა,  
რომ სიყვარული ანგრევს დარაბებს.  
ვერ დავანგრე.  
ძირგახვრეტილი დოქივით დამელვარა  
თურმე მთელი სიყვარული -  
რისიც სჯეროდათ.



ნათია ჩაჩიძე

მხატვანი Music-man

სი-ბემოლი მისი აზრით ხასხასა მწვანე შეფერილობისაა, რე დიეზს უფრო მენამული დაჰკრავს... ყოველი ნოტა და ყოველი ბგერა მისთვის ფერად გამას ქმნის. მუსიკა – ფერები, ფერები-მუსიკა... ის რაც მის სულში იბადება და ფურცელზე მუსიკალური ნიშნების სახით გადმოდის – ყველას მოსწონს უკლებლივ! მაგრამ ღმერთო ნუ უწყენ და ამპარტავნებაში ნუ ჩამოართმევ, ყველაზე მეტად მას უყვარს ამქვეყნად მუსიკა, თავისი და სხვისი... აკორდიდან აკორდამდე სანამ გადავა იმდენი ფერი ერწყმის ერთმანეთს, იმდენ მშვენიერ ფიგურად ერთდება, ისეთ ზღაპრულ არსებებად იღვენთება კლავიატურაზე, რომ მთელი ცხოვრება ლამაზად გაატარა! ახლა ამის ახსნაც რომ დაუნყოს ვინმეს, მაინც ვერ დააჯერებს, ის ვინმე კიდევ-საყოველთაოდ გავრცელებული აზრის დამადასტურებელ საბუთად მიიჩნევს მის სიტყვებს და კიდევ ერთხელ დასძენს: „ხელოვანები მთლად სრულ ჭკუაზე არ არიანო“ . და საერთოდ, რამდენი ხანია ამაზე ფიქრი შეწყვიტა, რამდენი ხანია იცის, რომ სხვას ვერ მოუტანს ტკობას, ისე თუ საკუთარი თავი არ დაატკობ. მუდამ იმზირება საკუთარი თვალებიდან, შეიძლება იშვიათად მოირგოს სხვისი

სათვალე... მზერაც უფრო გაუძლიერდა ან უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა – ხედავ გაუძლიერდა-თქო. ქმნის მუსიკას თავისთვის და ატკობს სხვებსაც. არ გეგონოთ ადვილია, მე და თქვენ რომ მოგვენონება მისი შექმნილი ნაწარმოები, შეიძლება მისთვის ზედმეტად დაუხვეწავი იყოს, ან პირიქით, ზედმეტად მძალე. ხედავს და იცის, ზოგან ზღვის სილურჯე მოუვიდა მეტი, ზოგან მზის სიყვითლე სჭარბობს. ზედმეტი არაფერი ვარგა...ჰარმონიას არღვევს – რა ვიცი, თვითონ ასე ფიქრობს და...

\*\*\*

უამრავი ხალხი ირევა დარბაზში... ის შედის ... როიალისკენ მიიწევს... „რა უგემოვნოა, ეს რა აცვია?!“ – მის სმენას სწვდება სიტყვები. როგორ უნდა შეიკავოს თავი ღიმილისგან?!

„-სად ნახა ეს ჭრელი პერანგი, ბოლოს და ბოლოს ეს ხომ საზოგადოების უპატივცემულობაა. ასეთი არად ჩაგდება?!“ – არ ცხრებოდა კოპნია, შლიაპიანი ქალბატონი და გამომწვევად ინიავებდა მარაოს.

მართლაც საოცრად ჭრელი, მრავალფერი პერანგი ეცვა.

როიალთან ჯდება. უმზერს კლავიატურას, ჯერ ერთი ბგერა – ხასხასა მწვანე... მერე მეორე – უფრო მენამული და.... საოცარი, საოცარი ფერების გამა... ჰარმონია... მაყურებელთა დამტკბარი სახეები, უფრო სწორად, მსმენელთა დამტკბარი სახეები, თორემ მაყურებელი და ამ ფერების შემფასებელი აქ მხოლოდ თვითონ არის.

\*\*\*

დარბაზი ინგრევა ტაშის გრიალით... დგას ინსტრუმენტთან მუსიკის მხატვარი და სრულიად შიშველი თავს უკრავს მსმენელს...

მისი ჭრელი, მრავალფერადი პერანგი როიალზე დევს.

მე ახლა მივხვდი!!! როცა მოვიდა თავისი მუსიკა ემოსა ტანთ...

ნახილი მეზობახს

ფრენა რომც შეძლებოდა, ასე სწრაფად მაინც ვერ აივლიდა კიბეს...

სამ-სამს ახტება ერთდროულად... გული საშინლად უცემს. ხელში თეთრი კონვერტი უჭირავს და მასზე მისთვის უძვირფასესი მეგობრის სახელი წერია გამომგზავნის გრაფაში.

ეგონა დაკარგა...ფიქრობდა, რომ გაქრა

ის საოცარი მეგობრობა, რაც მათ შორის იყო... თავიდან ცდილობდა კიდევ ამ მოულოდნელი სიჩუმის მიზეზები ამოეცნო, მაგრამ ნელ-ნელა იმდენად ჩაითრია ყოველდღიური საქმიანობის წვრილმანებმა, რომ ფიქრს მოეშვა... რაც მოხდა - მოხდა, რაღა მნიშვნელობა აქვს მიზეზებს... თანაც წარმატებები ყოველთვის უფესებს ადამიანს რაღაც დანაკლისს. არადა, როგორი საოცარი დამოკიდებულება იყო მათ შორის, რამდენს საუბრობდნენ და როგორ უყვარდათ ერთმანეთის აზრის მოსმენა. მათ წაშალეს ზღვარი სქესებს შორის და მეგობრობდნენ: მამაკაცი და ქალი...

რამდენი ხანია მისთვის თვალეში არ ჩაუხედავს, რამდენი ხანია მისი მზერის მშვიდი გამოსხივებით არ გაუნბავს სული...

ახლა გახსნის კონვერტს და იმ ბარათზე მისთვის ყოველი სიტყვა უძვირფასესი გახდება... ნამდვილად სჭირდებოდა ახლა!!! ნამდვილად სჭირდებოდა ამ ქალის ფაქიზი სული!!! სხვას ვის გაახარებს უფრო მეტად თავისი მიღწევებით?! თვითონ მუდმივად იბრძვის, ასე ვთქვათ - ცხოვრების გლადიატორად იქცა, უფასდება კიდევ! პატივსაცემია და პატივცემული. სანდომიანი ყველგან და ყველასთვის, ემოციები მისგან შორს არის. მყარი, გონიერი და ხანდახან დაუნდობელიც... უნდა გამოტყდეს და მოსწონს თავისი თავი, რატომაც არა?! იცოდა რა სურდა და იცის, რომ მიიღო!

ახლა გახსნის ამ ბარათს და წაიკითხავს მეგობრის შეფასებებს, რომელიც სხვა ყველა ერთად აღებულ საქებად ფრაზას აღემატება მისი მნიშვნელობით.

”გამარჯობა, ძვირფასო...”

დიდზე დიდი ხანია ერთურთი არ გვიწახავს... რამდენი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაშიც და ჩვენშიც...

რა გითხრა?! ყოველმხრივ შენი წარმატებების ამბავი მესმის... მიხარია, ძალიან მიხარია, რომ შენი გზა იპოვე და მყარად დგახარ კიდევ მასზე. სხვაგვარად ვერც იქნებოდა...

დღეს პირველად უნდა გითხრა ჩემი გაქრობის მიზეზი. ცოტა მიმძიმს...

გახსოვს ალბათ რამდენს ვსაუბრობდით, როგორ გვიყვარდა ლაპარაკში დროის გაყვანა... რამდენ რამეს მძენდი შენ მე და გაძლევიდი მე შენ... ასეთები ვიყავით.. მაგრამ ამბობდი: ”მასუსტებო, შენთან საუბარი ადამიანურ თვისებებზე, ემოციებზე, განწყობებზე იმ წერტილიდან მხრის - სადაც მიწა და მყარად ვიდგეო, იმ მიღწევებისთვის რაც მე მჭირდება სენტიმენტები არ გამოდგება და შენთან გატარებული დროის შემდეგ ადამიანურ სისუსტეებში ვუტყდები ხოლმე საკუთარ თავსო”, ჩემი აზრით კი ეგ არის

ძლიერება, სულის სიდიდე არის ძლიერება... შენ არ გესმოდა, ან უბრალოდ არ გინდოდა გაგეგო... მეც არ დაგლალე, აღარაფერი მითქვამს, მით უმეტეს, რომ ამტკიცებდი, მე ველარაფერი შემცვლისო!!!

ავდექი და გაგეცალე... ნელ-ნელა, შენთვის უმტკივნეულოდ - გამიჭირდა ძალიან, მაგრამ ეს უნდა მექნა, მე შენი მიზნისკენ სავალ გზაზე წინალობა არ უნდა ვყოფილიყავ. ასე მოხდა!... ასე გადავწყვიტე!...

ნუ გამინყრები - შენც ხვდები, შენთვის ასე სჯობდა... შენი დღევანდელი მდგომარეობა ამტკიცებს, რომ ჩემმა გადაწყვეტილებამ გაამართლა... გახსოვს, როგორ ვგრძნობდი შენს აფორიაქებას შენს უნახავდ, ყოველი უჯრედით ვგრძნობდი როცა ვიჭირდა, როცა ღელავდი და ადგილს ვერ პოულობდი - მე გული მიჩქარდებოდა და აუხსნელი თრთოლვა მიპყრობდა, მოგძებნიდი და გკითხავდი - რა მოხდა, რა გაგჭირვებია-მეთქი... მერეც, როცა წავედი, დიდი ხნის მანძილზე ვგრძნობდი ამ თრთოლვას, მიჭირდა, მაინც არ მოვდიოდი... მაგრამ ნელ-ნელა შენთან ეს აუხსნელი კავშირიც დავკარგე.

ვიცოდი, უთუოდ გახდებოდი ის-ვინც დღეს ხარ, ის - ვინც გინდოდა, რომ ყოფილიყავ!!! პატივსაცემი და პატივცემული... შენმა თვისებებმა მიგიყვანა მაგ წერტილამდე... გაკვირდებოდი, შენს ქმედებებს, შენს ყოველ სიტყვას ჩემამდე მოღწეულს ვხსნიდი და სახელს ვარქმევდი...

და ვიცოდი, მე როგორც მეგობარს, უთუოდ მომიწევდა ამ სიტყვების თქმა...

ახლა მე შენ ასეთს გხედავ :

ჯერ ტვინი ისაზღვრება ლითონის ფირფიტებით, შემდეგ გული... ნელ-ნელა ერთი მთლიანი ლითონის ნაჭერი ხდები...

მაგრამ, განა ეს არის მთავარი??? მთავარია რკინის ჯებირებს მიღმა რა რჩები! რა ემოციები და გრძნობის რა ატომები ეხლება შიგნიდან ამ უხეშ სარტყელს!

ამიტომ მე გთხოვ:

ნუ იწებებ! ნუ იწებებ ჯავშნის მიღმაც ლითონი იყო!

მოვა ვულკანი - გააღობს რკინას... დარჩება სული!!!

ნუ იწებებ! ნუ იწებებ ვულკანის შემდეგ სულ არაფერი დარჩეს!!!

მე ამას ვხედავ და ეს მტკივა, გესმის?! მე ეს უნდა მეთქვა, მეგობარი ვარ ...

გკოცნი, მუდამ შენი... ,,

\*\*\*

იჯდა სავარძელში... თავის აწევის ეშინოდა - ეგონა მის თვალებს წაანყდებოდა ოთახის უკუნში....



სუკზანი  
ერკემლიძე

**el klasiko**  
„რეალი“ - „ბარსა“

პიესა 2 მოქმედებად

მორე მოქმედება

მონაწილეობენ:

„რეალი“-ს და „ბარსა“-ს ფეხბურთელები

ნიკა — 11 წლის. სკოლის მოსწავლე.

მამა — ხელოვანი, სამინისტროს ჩინოსანი.

დედა — დიასახლისი.

ბიორბი — ნიკას ძმა, მუსიკოსი, 22 წლის.

აკოლონი — კომპიუტერის ოსტატი.

ფეხბურთელთა გასახდელი

**ვალდესი** („ბარსა“). — რა ქვია ამას? ძალადობაა, მეტი არაფერი!

**მისი** („ბარსა“). — ჰო, ეგრეა, მაგრამ რას

ვიზამთ, ჩვენ ხომ ვირტუალური ფეხბურთელები ვართ!

**ვალდესი** („ბარსა“). — კი, მაგრამ... ჩვენც ხომ ვთამაშობთ, განვიცდით, გვიხარია, გვწყინს, ხომ კარგად ხედავს, რომ ვჩხუბობთ კიდევ. ნუთუ ეს მასზე არ მოქმედებს?

**მისი** („ბარსა“). — ბავშვია ჯერ. თუმცა, ალბათ დიდებიც ვერ ხვდებიან, რომ ჩვენ, — ჩვენი სამყარო გვაქვს, ჩვენი რეიტინგი, თუნდაც...

**ვალდესი** („ბარსა“). — მოკლედ, მე მაქვს იდეა — ჭკუა ვასწავლო ნიკას!

ფეხბურთელთა ჯგუფი. — როგორ?

**ვალდესი** („ბარსა“). — როგორ და, დისკის ჩართვა შეუძლებელი გავხადოთ!

**ხაკი**. — ეს რომც შევძლოთ, ჩვენც ხომ დავისჯებით, გავქრებით, ვერ ვითამაშებთ... ჩვენი ორიგინალები თამაშსა და თამაშს შორის ერთობიან, შვილებს უვლიან, ცოლებს ეფერებიან. ჩვენ კი მხოლოდ მაშინ ვცხოვრობთ, როცა კომპიუტერს ჩართავენ, დასანანი იქნება, ესეც რომ არ მოხდეს, — არარაობად ვიქცევით...

**მისი** (ჩაფიქრებული). — ხავი მართალია... ჩვენ თამაშის გარეშე ცხოვრება არ გვაქვს... არადა, რა კარგი იქნებოდა, აქედან გასვლა რომ შეგვეძლოს!

**ვალდესი**. — ფუჭი ოცნებაა, მომავლის საქმეა! ახლა ის მოვახერხოთ, რომ დისკი გავაფუჭოთ, რათა ნიკა მიხვდეს, რომ მისი უსამართლობის გამო, პროტესტს ვაცხადებთ!

**პაპა** (შემოდის). — ბიჭებო, ბოდიშს გიხდით, რომ ვალდესის სიტყვები გავიგე მაგრამ მე ჩემი იდეა მაქვს!

**მისი** („ბარსა“). — კარგი ბიჭი ხარ, ჩვენს დარდს რომ იზიარებ! მაინც, რა მოიფიქრე?

**პაპა** („რეალი“). — როცა ნიკა კიდევ მათამაშებს, მაღალი დაბვის ველის შექმნის შემთხვევით ხელს დავუქნევ და მუნჯურად გავაგებინებ, რომ თასი თქვენმოგანიჭონ, ჩვენ არ გვჭირდება ასეთი თასი.

**ვალდესი** („ბარსა“). — კი, მაგრამ როგორ უნდა შექმნა ეს მაღალი დაბვის ველი?

**პაპა** („რეალი“). — ძალიან, ძალიან მოვინდომებ, დავძაბავ მთელს გონებას, სულს, მთელს სხეულს და მივალწევ, რომ სხვა მოძრაობა შევასრულო!

**მისი** („ბარსა“). — კი, მაგრამ, ნიკა შეამჩნევს შენს ოდნავ განსხვავებულ მოძრაობას?

**პაპა** („რეალი“). — ნიკამ ზეპირად იცის, როდის რას ვშვრებით. ჩემი ფანია, ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ხელიც რომ დავუქნეო, ეს მას შეუმჩნეველი არ დარჩება!

ფეხბურთელთა ჯგუფი. — ძალიან კარგი, აბა, ღმერთი იყოს შენს მხარეს!

დასასრული. დასაწყ. № 8



(ღამეა. ნიკა ფეხაკრეფით შემოდის ოთახში. უკვე საძილედ ჩაცმული, კომპიუტერს ჩართავს).

**ნიკა.** — ყველას სძინავს, ერთსაც წავითამაშებ. „რეალს“ შევახვედრებ „მილანს“ სუპერთასის ასაღებად. (ფეხბურთელები მოედნისკენ დაიძრნენ. კაკა მსხვილი პლანით გამოჩნდა, უცებ ნიკას ხელი დაუქნია ისე, თითქოს „არას“ ეუბნებოდა. ნიკამ შეაჩერა კადრი და თავიდან დაიწყო პროგრამა. ისევ გამოჩნდა კაკა და ისევ დაუქნია ხელი. ისევ უცნაურად).

**ნიკა.** — ასეთი რამ არ მინახავს! რა არის ეს? (თავიდან დაატრიალებს დისკს. კაკა ჩვეულებრივად გამოვა მოედანზე. ხელს აღარ აწევს). მომეჩვენა? კიდევ ერთხელ დავიწყო თავიდან! (ახლა კაკა გაუღიმებს და ხელს ისევ აუწევს). ნიკა ტელევიზორს გამორთავს და ოთახიდან გადის.

**პაპა** („რეალი“). — ყველაფერი გამომივიდა, ვაღდეს! ხელი დავუქნე და შეამჩნია.

**ვალდესი** („ბარსა“). — რა იცი, რომ შეამჩნია?

**პაპა** („რეალი“). — პირველად რომ ავუწიე ხელი, ეგრევე დაასტოპა და თავიდან ჩართო დისკი. მეორეჯერაც რომ დავუქნე, ისევ დაასტოპა, მესამედ აღარ დავუქნე. ე მგონი, ყველაფერს მიხვდა. აღარ ითამაშა და კომპიუტერი გამორთო!

**ვალდესი** („ბარსა“). — საინტერესოა, რას მოიმოქმედებს ხვალ?!

**პაპა** („რეალი“). — ე მგონი, ყველას უამბობს ამ ამბავს! (გათენდა, ნიკა უკვე ტელევიზორთან ზის. შემოდის გიორგი).

**გიორგი.** — რა იყო ბიჭო, „ჯოისტიკით“ გეძინა?

**ნიკა.** — იცი, რა მოხდა გუშინ? გაგიჟდები, მთელი ღამე არ მეძინა!

**გიორგი** (ხმით მიბაძა უმცროს ძმას). — რა მოხდა, ჩემო პატარა?

**ნიკა.** — რა მოხდა და, კაკამ ხელი დამიქნია, მგონი, მეუბნებოდა „არაო!“

**გიორგი.** — ხომ ვამბობდი, ეს ბავშვი გააფრენს-თქო.

**ნიკა.** — კარგი, აბა მოდი, შენ ნახე!

**გიორგი.** — მე მაინც ვერ გავარჩევ, რა ხდება. იცი, რა ვქნათ? ჩემს კომპიუტერის ოსტატს დავურეკავ! (მობილურს კრეფს). გია, გიორგი ვარ, გამარჯობა. სათამაშო პროგრამამ აურია და ვერ ნახავდი? კარგი, კარგი.

**ნიკა.** — რაო, რა თქვა?

**გიორგი.** — დღეს კვირაა, ქალაქგარეთ გავდივარ და ჩემი კოლეგა დაგეხმარებათ, ბატონი აპოლონიო, - თითქმის მეცნიერია და გამომგონებელი!

(შემოდის მამა).

**მამა.** — რა ხდება ბიჭებო? რაღაც საქმიანი იერი გაქვთ?

**ნიკა.** — მამა, იცი რა მოხდა? ყურადღებით მომისმინე! საერთოდ რომ არ მომხდარა, — ისეთი რამ მოხდა. კაკა მოედანზე რომ გადიოდა, ხელი ამინია და ისე გააქან-გამოაქანა, თითქოს „არაო“ მეუბნებოდა. გაიგე?

**მამა.** — გავიგე, (გიორგის გადახედა ღიმილით). ესე იგი, შენ გაინტერესებს, რატომ გითხრა „არაო“, არა?

**ნიკა.** — ჰო, მაინტერესებს...

**მამა.** — წესით შენით უნდა მიმხვდარიყავი...

**ნიკა.** — როგორ? რას უნდა მოვმხვდარიყავი?

**მამა.** — ასე გითხრა, არ გეჭირდება შენი მოცემული თასიო! გაიგე?

**გიორგი.** — მამა, არ გადამრიო, შენც გჯერა ამ სისულელის?

**მამა.** — მჯერა თუ არ მჯერა, ნიკა იმას მაინც უნდა მიმხვდარიყო, რომ თასი „ბარსა“-ს ეკუთვნოდა.

**გიორგი.** — აი, ახლა კომპიუტერს ოსტატთან მივიტანთ და ყველაფერი გამოჩნდება!

**მამა.** — წაგალებინებთ, ყველანი ერთად წავიდეთ. მეც დამაინტერესა ამ ამბავმა!

**დედა** (მაყურებელს). — კაცებს ყველას ერთნაირი ჭკუა აქვს, — დიდსაც და პატარასაც!

(სცენის მარცხენა ნაწილში აპოლონი რაღაც დეტალს ჩაჰკირკიტებს).

**გიორგი.** — ბატონი აპოლონი გვინდა, — ალბათ თქვენ ბრძანდებით, არა?

**აპოლონი.** — ეს თქვენ ხართ, გია რომ მელაპარაკა? მგონი რაღაც გაგიფუჭდათ!

**ნიკა.** — კი არ გაფუჭდა, რაღაც შეიცვალა!

**აპოლონი.** — იქნებ გაკეთდა? უკეთესობისკენ შეიცვალა?

**მამა.** — დიახ, ბატონო აპოლონი, მე მაინტერესებს, მართალს ამბობს თუ არა ნიკა.

**აპოლონი** (ნიკას). — რაში მდგომარეობს ეს ცვლილება, ჩემო პატარავ?

**ნიკა.** — კაკა თამაშის წინ ხელს მიქნევს. მანამდე კი არ მიქნევდა. ალბათ რაღაცას მანიშნებ

**აპოლონი.** — (სამივეს ყურადღებით შეათვალიერებს). — აბა, მოიტა შენი დისკი!

(ნიკა მიანოდებს). ვნახოთ... ვნახოთ!

(ეკრანზე ფეხბურთელები გამოჩნდებიან).

**ნიკა.** — აი, ახლა .... დააკვირდით!

**აპოლონი.** — კი, ნამდვილად ხელი დაგიქნია... იცით, რა ვქნათ? ეს დამიტოვეთ, შევისწავლი. თუ მართლაც ისეა საქმე, როგორც თქვენ ამბობთ, რაღაცას გავაკეთებ... არადა, ჩემი ეჭვები მართლდება... მგონი მართლდება...

**გიორგი.** — რა ეჭვები გაქვთ, ბატონო აპოლონი? ეჭვები ხელოვნური ინტელექტის არსებობის შესახებ. უფრო სწორად, ინტელექტის დაპროგრამებული არეალიდან გამოსვლის შესაძლებლობის შესახებ...

**მამა.** — ეს ხომ ფანტასტიკაა!...

**აპოლონი.** — ვნახოთ... ვნახოთ... ყველაფერი ხდება ქვეყანაზე... როგორც ვფიქრობდი, ისე მიდის ყველაფერი... ეს მაინც უნდა მომხდარიყო... ახლა თუ არა, მოგვიანებით... (ანიშნებს, რომ თავისუფლები არიან).

**ნიკა.** — როდის მოვიდეთ?

**აპოლონი.** — ტელეფონი დამიტოვებ და დაგირეკავთ, რამდენიმე დღეში... (მამა-შვილები ოსტატისგან გადიან).

**ბიორბი.** — ოოო, ნიკა, რა მეცადინეობა გინევს, ეს რამდენიმე დღე?

**მამა.** — ზოგი ჭირი მარგებელია, კარგია, რომ აქ დავტოვებ!

(ტელევიზორში ძველი მატჩის ტრანსლაციაა).

**ნიკა.** — მამა, ეს „სპარტაკი“ ძლიერი გუნდი იყო?

**მამა.** — ძალიან. ხშირად გვიგებდნენ, ჩვენც ვუგებდით. ეს თამაში ჩვენ მოვიგეთ 2:0. სტადიონზე ვიყავი, ნემსის ჩასაგდება ადგილი არ იყო, იმდენი მაყურებელი მოვიდა!

**ნიკა.** — ესე იგი, ეს თქვენი „ელ კლასიკო“ იყო?

**მამა.** — კარგი შედარებაა! „ელ კლასიკო“ იყო მოსკოვის ნებისმიერ გუნდთან შეხვედრა, განსაკუთრებით „სპარტაკთან“, ტორპედო“-სთან და „დინამო“-სთან... მოსკოვშიც ბილეთს ვერ იშოვიდი, განსაკუთრებით ჩვენთან უხაროდათ მოგება...

**ნიკა.** — ასეა ესპანეთშიც!

**მამა.** — პატარა ვიყავი — საბჭოთა ნაკრები ევროპის თასის ფინალურ მატჩს ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ მადრიდში მართავდა, რადიორეპორტაჟს ვუსმენდი, მაშინ ტელერეპორტაჟები უცხოეთიდან ჯერ არ იყო.

**ნიკა.** — როგორ დამთავრდა თამაში?

**მამა.** — ორით-ერთი. ნააგო საბჭოთა გუნდმა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ესპანეთის ნაკრებში არც ერთი ბასკი და კატალონიელი არ ათამაშეს, ხოლო რუსებმა არც ერთი ქართველი არ დააყენეს შემადგენლობაში. ესპანეთში ფაშისტური რეჟიმი იყო, ჩვენთან — კომუნისტური!

**ნიკა.** — კიდევ უკვირთ, რატომ ხართ დამოუკიდებლები!

**მამა.** — ისიც უნდა იცოდეთ, ამ მატჩამდე ოთხი წლის წინ, პარიზში მესხის და მეტრეველის, ჩოხელის მონაწილეობით სსრკ-ს ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. ასეთი ფეხბურთელები გვყავდა!

**ნიკა.** — იცი, რა აზრი დამებადა? შენ ჩამოთვალე საუკეთესო ფეხბურთელები, მათი მონაცემები და მე სიმბოლურ ნაკრებს გავაკეთებ, ყველა ნაკრებს დავამარცხებ!

**მამა.** — მშვენიერი აზრია! მესხი, მეტრეველი, გუცაევი, იამანიძე, ბორის პაიჭაძე, კოტრიკაძე, ყიფიანი, შენგელია, ჩივაძე,

ჩოხელი, ასათიანი, მაჩაიძე, დარასელია, სულაქველიძე, ქორიძე, სვანიძე... ყველას მონაცემს ჩამოგიწერ და საქართველოს სიმბოლური ნაკრები დააპროგრამე! საკმაოდ დიდი სია იქნება! (ზარი რეკავს, თორნიკეა).

**ნიკა.** — ჰო, თორნიკე! წავედით! მამა, ფეხბურთზე მივდივართ! (ნიკა ბურთს იღებს და გადის. მამა „ახალ ამბებზე“ გადართავს ტელევიზორს).

**ლიქტორი.** — საქართველოს ნაკრები ისევ დამარცხდა, ამჯერად ისლანდიაში.

**მამა.** — ეჰ, მართლაც რომ შეიძლებოდა იმ ფეხბურთელების გაცოცხლება! ვერცერთი ნაკრები ვერ დაგვიდგებოდა წინ! (მობილური რეკავს) დიახ, გისმენთ! აა, ბატონო აპოლონი, გამარჯობათ! როგორ არის საქმე? გაკეთდა? კარგით, გამოვივლით!

(ნათდება სცენის მარცხენა მხარე).

**პაპა („რეალი“).** — გაიგე, რა გააკეთა აპოლონი?

**ვალდისი („ბარსა“).** — არა, რა გააკეთა?

**პაპა („რეალი“).** — აპოლონი მაღალი ძაბვის ველის გამაძლიერებელი გამოიგონა და ახლა ჩვენს კომპიუტერს მიუერთა!

**ვალდისი („ბარსა“).** — მერე და ეს რას ნიშნავს?

**პაპა („რეალი“).** — მინიმუმ იმას, რომ თავისუფლად მოძრაობა და ლაპარაკი შეგვეძლება მმართველთან, მაქსიმუმ... არა, არა ეს წარმოუდგენელია, ამაზე ოცნებაც კი წარმოუდგენელია!

**ვალდისი („ბარსა“).** — ეს რა მითხარი? განა თავისუფლად მოძრაობა და ლაპარაკი საკმარისი არ არის ჩვენთვის? საცოდავი, უფულებო არსებისათვის, რომელსაც ლილაკის დაჭერით უბრძანებენ — როდის უნდა დაარტყას, არადა საგოლე დარტყმა ერთი წამით ადრე უნდა გაკეთებულიყო, ან პენალტის დროს რატომ უნდა მკარნახობენ საით, რომელ კუთხეში გადავხტე? რა ბედნიერება იქნება თავისუფალი მოძრაობა! წაგების დროსაც ვეღარ დავგსტოპავს.

**პაპა („რეალი“).** — რომც დავგსტოპოს, კონტაქტს დავამყარებთ და პროტესტს გამოვუცხადებთ!

**ვალდისი („ბარსა“).** — შენ ეს ყველაფერი საიდან იცი?

**პაპა („რეალი“).** — აპოლონი ექსპერიმენტი ჩემზე ჩაატარა, როცა ნახა, რომ ხელს მაშინ ვიქნევდი, როცა მინდოდა, ჩემი ველი გააძლიერა და კონტაქტი დავამყარე!

**ვალდისი („ბარსა“).** — სასწაულია, რა უთხარი?

**პაპა („რეალი“).** — გმადლობთ, ბატონო აპოლონი-მეთქი. სკამიდან გადმოვარდა საბრალო, - ისე გაუკვირდა. არადა, თვითონ მუშაობდა ამაზე! მაინც არ ელოდა ასეთ შედეგს!

**ვალდესი** („ბარსა“). — ესე იგი, ნიკა რომ ჩაგვრთავს, მეც დაველაპარაკები?

**პაპა** („რეალი“). — აუცილებლად! მაგრამ ფეხბურთელის საქმე ლაპარაკი კი არა, კარგი თამაშია. ნიკამ ილაპარაკოს და ჩვენ ჩვენი თამაშით ავემტყველდეთ, ფეხბურთი ხომ ხელოვნებაა! საოცარი ხელოვნებაა!!!

(ოთახში მამა შემოდის. ხელში კომპიუტერი უჭირავს).

**მამა**. — მოვიტანე ნიკა! აი, ეს პატარა დეტალი მიუერთა შენს „პლესტიკის“.

**ნიკა**. — რა არის ეს, რა საჭიროა?

**მამა**. — საოცარი რამ გააკეთა, ბატონმა აპოლონმა! ფეხბურთელები, როცა აუცილებელია თვითონ ურტყამენ. ესე იგი მათ თავისუფალი მოძრაობის უნარი მიანიჭა, ღმერთო! ჩუმი უნდა ვიყოთ, თორემ ვინმეს გიჟი ვეგონები და სამსახურიდან მომხსნიან. ნიკა, არავის უთხრა ეს ამბავი, გაიგე? არავის!

(ნიკა კომპიუტერს გამოსტაცებს და ტელევიზორს მიუერთებს)

**ნიკა**. — აბა, ერთი ჩავრთო: „რეალი“ — „ბარსა“. ვნახოთ, რას აკეთებენ! (მოედანზე გამოსულმა ფეხბურთელებმა ხელი დაუქნიეს ნიკას).

**ნიკა**. — მამა, მამა! ყველამ დამიქნია ხელი! კაკა ახლოს მოვიდა და გამიცინა კიდეც! აუ, რა მაგარია!

**მამა**. — არავისთან წამოგცდეს ნიკა, არავისთან! გაიგე?!

**ნიკა**. — ბურთი მიიღო კანავარომ, ჩაანოდა რონალდუს, პორტუგალიელ ვარსკვლავს... დარტყმა არის! მამა! უჩემოდ დარტყა!

**მამა**. — არავისთან წამოგცდეს, გაიგე? ახლა კი უყურე თამაშს! დაე, თავისუფლად შეეჯიბრონ ერთმანეთს. ჩვენ კი, დავტკბეთ „ელ კლასიკოთი“!! დედამინაზე ჯერ არნახული მატჩით, სამწუხაროა, რომ ასეთ მატჩს, მხოლოდ ორი მაყურებელი ვესწერებით.

**ნიკა**. — დედა! გიორგი! შემოდით, უყურეთ ნამდვილ „ელ კლასიკოსს“!

(დედა და გიორგი შემოდის. ადგილებს იკავებენ).

**დედა**. — რა ხდება ასეთი განსაკუთრებული?

**ნიკა**. — თვითონ თამაშობენ, დედა, უჩემოდ!

**გიორგი**. — მერე რა! ესენი დიდი ხანია თვითონ თამაშობენ, დააყენე საჭირო პროგრამაზე და ითამაშებენ...

**ნიკა**. — არა, ეს სულ სხვაა! ხელსაც მიქნევენ, კაკამ გამიცინა, ახლა მართლაც თვითონ თამაშობენ, პროგრამას აღარ ემორჩილებიან!

**გიორგი**. — ეს აპოლონმა გააკეთა?

**მამა**. — ჰო, რა მასშტაბის მეცნიერი გვყოლია ქართველებს და არავინ ვიცოდით! ამ საქმეს უნდა მივხედო!

**გიორგი**. — ჰოო, ესე იგი, აპოლონი მეც

დამჭირდება...

**მამა**. — შენ რაღაში დაგჭირდება?

**გიორგი**. — „ბითლზები“-ს ახალ კონცერტს ჩავენრ! გადავრე მსოფლიოს! მომეცით აპოლონის ნომერი! (მობილურზე რეკავს). ბატონო აპოლონ, თქვენთან მინდა მოსვლა... მოვფრინავ!

**ნიკა**. — აი, ბოლო-ბოლო ვინ გააფრინა... დარწმუნდით?

**დედა**. — ახლა, მგონი, მეც გავაფრენ, არა, სად შემიძლია ამდენი ემოციის გადატანა, მე გავედი (გადის).

**ნიკა**. — მამა, შენ ნამდვილი გულშემატკივარი ხარ! ყოჩაღ! (მამა ნიკას შუბლზე აკოცებს). მატჩი დასრულდა. დასრულდა 2:1 „ბარსა“-ს სასარგებლოდ. ძალიან მინდოდა „რეალი“-ს გამარჯვება, მაგრამ, რა ვუყოთ, მთავარია ღირსეულმა გაიმარჯვა.

**მამა**. — და რაც უმთავრესია, სამართლიანობა აღსდგა! ანუ როგორც ბაბუაჩემი იტყოდა, სამართალმა პური ჭამა!

**ნიკა**. — სამართალმა პურიც ჭამა და მწვადიც მიაყოლა, კიდე ჩიხებიც ჭამა და კოკა-კოლაც დააყოლა. მიმდინარეობს გამარჯვებულითა დაჯილდოვება. „რეალი“-ს ფეხბურთელები ულოცავენ „ბარსა“-ს ჩემპიონთა ლიგის თასის მოპოვებას. აი, კაკა მსხვილი პლანი! ხელი ჩამოართვა მესის. შემდეგ ჩვენსკენ შემოტრიალდა, ხელი დაგვიქნია და... მამა! რაღაც მანიშნა!

**მამა**. — რა განიშნა?

**ნიკა**. — ვიცი... ვიცი, რაც მანიშნა!

**მამა**. — მაინც რა? არ მეტყვი?

**ნიკა**. — ჯერ შევამოწმებ და მერე გეტყვი! მთელი გუნდი მოედანზე განლაგდა. სურათებს უღებენ! (შემოდის დედა).

**დედა**. — ნიკა, იმეცადინე და ადრე დაწეი, ხვალ სკოლაში მიდიხარ, ადრე უნდა ადგი.

**ნიკა**. — კარგი დედა, გამოვრთავ კომპიუტერს, ვიმეცადინებ და ადრე დავწვები!

**პაპა** („რეალი“). — შენ ნახე, ეგ თუ ღამე არ გაიღვიძებს და არ დამეკონტაქტება.

**ვალდესი** („ბარსა“). — ჰო, კარგი ბიჭია! ბედნიერი ვარ!

**პაპა** („რეალი“). — გილოცავ გამარჯვებას. (გადაეხვევა ვალდესს).

**ვალდესი** („ბარსა“). — ვგრძნობ, ნელ-ნელა როგორ ვიცვლები, რაღაც ხდება ჩემში!

**პაპა** („რეალი“). — მაგარი სიურპრიზი გელოდება. ჯერ ცოტა მოიცა! ნიკა აუცილებლად ჩაგვრთავს ამ ღამით და რაც აპოლონმა გააკეთა, ბოლომდე უნდა გავანდო...

**ვალდესი** („ბარსა“). — ამაზე მეტი რა უნდა იყოს, რაც მან გააკეთა.

**პაპა** („რეალი“). — აი, ნიკა გვიახლოვდება... კარგი ვალდეს! კიდევ ერთხელ გილოცავ, ახლა კი დროებით, ნიკას უნდა შევხვედე...

(ნიკა ჩაბნელებულ ოთახში რთავს „პლესტი-

ტიშენს“ და ტელევიზორს... ეკრანზე კაკა გამოჩნდება).

**ნიკა** (ბუტბუტებს). — კაკა გამოჩნდა! სასწაულია! კაკა გუნდის გარეშე გამოჩნდა.

**პაპა** („რეალი“). — გამარჯობა ნიკა, როგორ ხარ? (ნიკა უკან დაიხევს)

**ნიკა**. — გამარჯობა! ქართული იცი?

**პაპა** („რეალი“). — გისმენდი ხოლმე და ვისწავლე. ისე ხშირად მათამაშებდი, რომ ბევრი გაკვეთილი ჩამიტარე ქართულში, თან რომ კომენტარს გვიკეთებდი, უფრო ადვილად მივხვდი, — რა იყო „ბურთი“, „კარი“, „მოედანი“, „ფეხბურთელი“, „მეკარე“, „დარტყმა“, „იმეცადინე“, „ნუ ზარმაცობ“ და სხვადასხვა.

**ნიკა**. — სასწაულია... სულ ვოცნებობდი შენ გაცნობაზე და აი... ასრულდა!

**პაპა** („რეალი“). — მაღალი ძაბვის ველის დედუქტორს მარჯვენა მხარეს წითელი ღილაკი აქვს, მაგას დააჭირე, უფრო ახლოს გავიცნოთ ერთმანეთი!

(ნიკა მოძებნის ღილაკს. ტელევიზორი ტკაცუნს დაიწყებს, ოთახში რამდენჯერმე გაივლებს. რამდენიმე წამში კაკა ნიკას წინაშე აღმოჩნდება).

**ნიკა** (დაიმალა სავარძლის უკან). — მიშველეთ!

**პაპა** („რეალი“). — დანყნარდი, ნიკა, დანყნარდი, ჩვენი დიდი ხნის ოცნება ასრულდა! შენ კი გეშინია? არაფერს გავნებ, ხომ იცი — როგორ გაფასებ!

**ნიკა** (ფრთხილად მიუახლოვდება კაკას, ხელით შეეხება). — ნამდვილია!

**პაპა** („რეალი“). — ჰო, თითქმის ნამდვილი ვარ! აბა, ერთი შენც შეგამოწმო, ხომ არ მეჩვენები? (იცინის)

**ნიკა**. — აი, ნახე ნამდვილი ვარ, ნამდვილი!

**პაპა** („რეალი“). — მოდი აქ ჩამოვჯდეთ, შენთან სალაპარაკო მაქვს. (ჩამოსხდებიან). ერთი წინადადება მაქვს შენთან!

**ნიკა** (დასერიოზულდა). — გისმენ!

**პაპა** („რეალი“). — მოდი, ჩვენი მწვრთნელი გახდი. ჩემპიონთა ლიგას მოვიგებთ, ბედნიერი იქნები. ბევრი ფული გექნება, ყველას ეყვარები, შენც გეყოლება პატარა ფანები, როგორც შენა ხარ...

**ნიკა**. — აუ, რა კარგია! მაგრამ, თქვენ ხომ უკვე ხართ მსოფლიო ფეხბურთში, — ვის რად უნდა მეორე კაკა, რონალდუ, მესი? თანაც არც დაბადების წელი გაქვთ და არც ჯანმრთელობის ცნობა! ვინ გათამაშებთ?

**პაპა** („რეალი“). — ეგ მართალია, რაღაც მოვიფიქროთ...

**ნიკა**. — ისე, რა მაგარი იდეაა!... რაღაცას მოვიფიქრებ...

**პაპა** („რეალი“). — მოიფიქრე... ახლა წავალ, ბიჭებს გავახარებ, შენ კი დაწევი, დაიძინე. ხვალ სკოლაში ხარ წასასვლელი. (შედის

ტელევიზორში და ქრება. ნიკა ტელევიზორს გამორთავს).

**აპოლონი** (სიბნელიდან გამოდის). — შენ შეგიძლია ძალიან დიდი საქმე გააკეთო, ქართული ფეხბურთი აალორძინო და არნახულ სიმაღლეზე აიყვანო! კარგად გაიხსენე, რას გაიმბობდა მამა!

**ნიკა** (თავისთვის). — მაგარი იდეა მომივიდა! ე საქართველოს სიმბოლური ნაკრები უნდა შევქმნა!.. კაკა მაპატიებს... (ტელევიზორში 1964 წლის ფინალური მატჩის რეპორტაჟია). (შემოდის მამა).

**მამა**. — ბრწყინვალე თამაში იყო. რა მალე გადის დრო... გუშინდელივით მახსოვს ეს დღე... მთელი საქართველო ზეიმობდა... ტაშკენტის სტადიონზე დამატებითი მატჩი გაიმართა თბილისის „დინამო“-სა და მოსკოვის „ტორპედო“-ს შორის... 4:1 მოვიგეთ. დათუნაშვილმა კუთხურიდან გაიტანა გოლი, — ორი გოლი გაიტანა. მესხმაც გაიტანა და მეტრეველმაც ... (შემოდის დედა). კიდევ ფეხბურთს უყურებ? მოკლედ, სტადიონზე მეცხოვრა, ის ჯობდა, ამ სახლში ცხოვრებას!

**მამა**. — ეჰ, სტადიონზე ასეთ თამაშს კიდევ დიდხანს ვერ ვნახავთ!

**დედა**. — მერე? შენ მინისტრის მოადგილე ხარ, შენი შვილი ფეხბურთელობაზე ოცნებობს და ჰა, გააკეთ რამე!

**მამა**. — გავაკეთებთ, გავაკეთებთ! უნდა გავაკეთოთ, აბა რა უნდა ვქნათ! უნდა მივხედოთ ბავშვთა ფეხბურთს, გავზარდოთ ნიჭიერი ფეხბურთელები. დავაფინანსოთ ადგილობრივი გუნდები, ფეხბურთელებს ისეთი კონტრაქტები უნდა გავუფორმოთ, რომ საზღვარგარეთ არ გარბოდნენ. ქართველ მწვრთნელებს ისეთივე პატივი მივაგოთ, როგორც უცხოეთიდან მოწვეულთ! გავაკეთებთ!

**დედა**. — ღმერთმა გისმინოთ! იქნებ ჩვენმა ნიკამაც აისრულოს ოცნება! (შემოდის გიორგი).

**გიორგი**. — რა მაგარი კაცია ეს აპოლონი, ზოგი დაგინყებდა, არ გამოვა ეგ ამბავი, ეს არ მაქვს, ის არ იშოვება! ყველაფერი გამოვაო, მითხრა!

**მამა**. — მართლაც დიდი კაცია აპოლონი, მასაც და მისწაირებსაც სხვაგვარი ყურადღება სჭირდება!

**დედა**. — მერე? შენ ხარ მინისტრის მოადგილე და გავაკეთებ რამე, თორემ სულ ლაპარაკობთ და ლაპარაკობთ... (შემოდის ნიკა).

**ნიკა**. — არამართო ვლაპარაკობთ, ვაკეთებთ კიდევ! მამა! შენი მონაცემები განხორციელებულია!

**მამა**. — შეადგინე გუნდი? ყოჩაღ, მოგვიანებით ჩავრთოთ და ვნახოთ ერთი, რა გააკეთე! (კარზე ზარია, შემოდის აპოლონი).

**აპოლონი**. — აქა მშვიდობა! გიორგიმ მომცა თქვენი მისამართი. ერთი საქმის შედე-

გი მაინტერესებს.

**მამა.** — ალბათ ის, - კაკამ რომ გაუცინა ნიკას...

**ნოკა.** — „გაუცინა“ რა დიდი მიღწევაა... მე ისეთი რამ გავაკეთე (შეჩერდება). უფრო სწორად, ბატონმა აპოლონმა რომ გააკეთა და მამამ რომ ზუსტი მონაცემები მომცა, ქართველი ვარსკვლავების შესახებ... ყველაფერი ასრულდა! (მივა ტელევიზორთან და კომპიუტერს რთავს). ყურადღება! თქვენს წინაშეა საქართველოს ლეგენდარული ნაკრები! დედა, შენ წვეთები მოამზადე, მამა — შენც! გიორგი გაუძლებს. (გაიცინებს). ყველანი დასხედით, ადგილი გაათავისუფლეთ... თქვენს წინაშეა ბორის პაიჭაძე... (ტელევიზორის ეკრანიდან თბილისის „დინამო“-ს იმდროინდელ ფორმაში გამონწყობილი ფეხბურთელი გადმოდის).

**მამა.** — ღმერთო ჩემო! ეს რა არის? (დედა შეკვივლებს).

**ნოკა.** — მიხეილ მესხი! თავის ცნობილი ფინტებით...

(მესხი გადმოვა და პაიჭაძეს გვერდით მიუდგება. მამა წამოდგება და მესხთან მივა, ხელს მოკიდებს)

**მამა.** — კი, ნამდვილად მესხია! არაყი მომიტანე, ქალო! ინფარქტმა არ დამარტყას!

**ნოკა.** — დედა, მიუტანე არაყი! თქვენს წინაშეა სლავა მეტრეველი! ევროპის თასის მფლობელი, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი (მეტრეველი რიგში დგება). თქვენს წინაშეა ილია დათუნაშვილი, შოთა იმნაძე! გივი ჩოხელი! არქაია! სიომად წოდებული... გაიოზ ჯეჯელავა!... ბასა ლოლობერიძე! (ყველანი რიგში დგანან). სერგო კოტრიკაძე! ზაურ კალოევი!

**მამა.** — არავინ გამოგრჩეს, შვილო!

**ნოკა.** — თუ ვინმე გამომრჩა, მერე მეტყვი და დავამატებ! თქვენს წინაშეა დავით ყიფიანი - ევროპის თასის მფლობელი, ფეხბურთის რაიონდი, რომელიც ოლიმპიური მედლის გარეშე დარჩა მხოლოდ იმის გამო, რომ არ იკადრა უკვე მოგებული მატჩის ბოლო წუთებში გამოსულიყო მოედანზე და მედალი მიეღო! ვლადიმერ გუცაევი, ფინტების დიდოსტატი, რამაზ შენგელია, დავით სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, ოთარ გაბელია, რევაზ ჩელეძე, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია. 1981 წლის ლეგენდარული მატჩის გმირი (ირთვება კადრი მატჩიდან). ისმის კოტე მახარაძის ხმა: „ყიფიანმა გადაანოდა დარასელიას, დარასელიამ გვერდი აუარა ერთ მცველს, მოატყუა მეორეც, დაარტყა — არის! დარასელიამ მეკარის კუთხეში, ზუსტი დარტყმით მოათავსა ბურთი ბადეში! გოლი! გოლი! გო-ო-ლი!!“

**ნოკა** (აგრძელებს). — ბატონო აპოლონ! დედა! მამა, გიორგი! აი, ეს გუნდი შექვმენი მე და რომ გავიზრდები, მეც მათ გვერდით დავდგები! ჩვენ მოვივლით მსოფლიო სტადიონებს და ყველგან გავიმარჯვებთ! ჩვენ გავაოცებთ მსოფლიოს! და რაც მთავარია ...


**პატილინი.** — რაც მთავარია, საქართველო გაახარე, შვილო!

**მამა.** — ჰო, ნიკა! ჩვენი საქართველო!

**დედა** (ცრემლმორეული). — პატარა... ჩაგრული საქართველო!

**ყველანი ერთად:** — ჩვენი საქართველო!!!





ვანერო  
სელოვას

## ღაპით აღმაშენებლის ზიღვ ღიღი ჯსნობი ჯსმობღაღი

1902 წლის გზღაფზულზე, სბოლოო ჯღმ-  
ში რვღ თვიღ (ღპრიღი-ნოემბერი), მღშინ უკვე  
სახელმობვექიღმღ მეციღერიღ — არქეოლოღ-  
მღ, ფილოლოღმღ დღ ლინღვისტმღ ნიკო მარმღ  
(1863-1934), სიღვეღეღღ, პირვეღ რიღში, ძვეღ  
ქართულ ხელნღწერიღღ შესწავლის მიზნიღ, სღ-  
მეციღერიღ ექსპედიციღღ მოღწყო სინის მთღზე  
დღ იერუსღლიმში. ექსპედიციღღში, რომელიღც  
პეტერბურღის უნივერსიტიღის, პღლესტინის  
სღზოგადოების დღ რუსეთის სღიმპერღტორო  
არქეოლოღიური სღზოგადოების აღმოსავღე-  
თის გღწყოფიღების ძღლისხმევიღ გღიმღრთღ,  
ნიკო მართღნ ერთღდ მონღნიღლეობდენენ პეტერ-  
ბურღის უნივერსიტიღის, მღშინ ჯერ კიდეღ ახ-  
ღღგზრდღ პრივღტ-დოციენტი ივღნე ჯღვღხიშ-  
ვიღი (1876-1940) დღ უკვე სღხელგღნთქმული  
ბიზღნტიღისტი დღ არღბისტი აღღექსი ვღსიღიღევი  
(1867-1953).

ექსპედიციის მიერ მოპოვებული სღმეცი-  
ნიერიღ თვღლსღზრისიღ მეტღდ მნიშვნელოვღნი  
მღსღლიდღნ დღ შესრულებული სღმუშღოებიდღნ

ერთ-ერთი იყო სინის მთის წმ. ეკატერინეს  
მონასტრის ქართულ ხელნღწერიღღღ აღწერი-  
ლობღ, რომელიღც შეღდგინეს ნიკო მარმღ დღ  
ივღნე ჯღვღხიშვიღმღ. ასღმღე ხელნღწერიღდღნ,  
რომელსღც მღშინ ეს კოღღექციღღ შეიცღვდღ, 45  
ღღწერიღ ი. ჯღვღხიშვიღმღ (მღთ შორის ორი იყო  
სირიული ხელნღწერიღ), ხოლო დღღწერიღნი —  
ნ. მარმღ. აღწერიღობები გღმღღქვეყნდღ ცღლქე  
ნიღვნებღდ მღთი გღრდღცვღლებიღ შემდღე —  
ნ. მარისღ 1940 წელს, ხოლო ი. ჯღვღხიშვიღისღ  
— 1947 წელს. ნიკო მარის ნიღვის რეღღქტორი  
იყო ჯკღდ. ეღნღტე კრღჩკოვსკი, ხოლო იღი გღმო-  
სღცემღდ მოღმზღდღ პროფ. იოსებ მეღრელიღქემ.  
ი. ჯღვღხიშვიღისეული აღწერიღობის რეღღქ-  
ტორი იყო ჯკღდ. ნიკო ბერძენიშვიღი, ხოლო გღ-  
მოსღცემღდ მოღმზღდღ სღქართვეღლოს მუზეუმის  
ი. ჯღვღხიშვიღის კღბინეტმღ, რომლის გღმღე იყო  
მისი ქღლიშვიღი ნღთელღ ჯღვღხიშვიღი, იღიღ  
ღბულღდის ხელმძღვღნეღობიღ, რომელმღც  
ნიღვის ნღრუღმძღვღრღ წინღსღტიყვღობღ დღ დღურ-  
თო სხვღდღსხვღ სღხის სღმეციღნიერიღ-სღცნობღრო  
ღპღრღტი.

ნ. მარისეული აღწერიღობღს დღრთული  
ღქვს 25 ტღბულღ, რომლებზეღდღც ნღრმოღღე-  
ნიღღღ ხელნღწერიღღ თიღთო გვერდის (ორიღღღე  
ხელნღწერიღის რღმდენიღმე გვერდის) ფოტო, ასევე  
ხელნღწერიღღ ყდების დღ მონღსტრის ხედების  
ფოტოები. ფოტოები გღდღღღებულიღ ნ. მარის  
მიერ, რომელიღც შესღნიშნღვი ფოტოგრღფი იყო  
(ღსევე, ი. ჯღვღხიშვიღი), როგორც ღმღს მოწმობს  
1904 წელს კღღრღღეთსღ დღ შღვმეთში მისი მოგ-  
ზღურობის სღმეციღნიერიღ დღიურიღსღთვის დღრ-  
თული რღმდენიღმე ათეული უმღღღეღსი ხღრისხის  
ფოტოსურღთი, გღდღღღებული მის მიერვე.

ნიკო მარის მიერ სინღზე გღდღღღებული  
ქართულ ხელნღწერიღღ ნიშმუშების ფოტოები  
პროფ. იოსებ მეღრელიღქესთღნ მოხვედრიღღღ,  
რომელმღც, როგორც აღინიშნღ, მისი ნიღვი  
მოღმზღდღ გღმოსღცემღდ დღ მღთგღნ 25 ფოტო  
დღღურთო ტღბულღების სღხიღ.

ახღღსღღნ, სღქართვეღლოს კინოს, თეღტრის,  
მუსიკისღ დღ ქორეოგრღფიის მუზეუმში, რომ-  
ლის ფონდები უცნობ სიღვეღღეღღღ ამოუწერიღვი  
ქზღ, იოსებ მეღრელიღქის იღვღხიღღნ შევიღღღ ნიკო  
მარის მიერ სინის მთღზე გღდღღღებული 50 ფო-  
ტოსურღთი. ღქედღნ 25 უკვე გღმღქვეყნებული  
იყო ნ. მარის დღსღხელღებულ ნიღვისში, ხოლო დღ-  
წერიღნი გღურღვეღღღღ დღ შესღსწავღღი. მღთ შო-  
რის, ერთ-ერთზე მოთღვსეღებული ორსტრიქონი-  
ღნი ჩღნღწერიღ, მუზეუმის დირექტორმღ გიორგი  
კღღღღღღღღ, რომელიღც მღნღმღე ხელნღწერიღღ  
ინსტიტუტში მუშღობდღ დღ მისთვის ასეთი  
მღსღღღღ უცხო არ არის, მღღმღსღვღსღ ჩემს მიერ  
ღღრე გღმღქვეყნებულ დღვიღღ აღმღშენებლის  
ღვტოგრღფებს დღ მთხოვღ გღდღმეხეღღღ მუზეუმ-  
ში შესული ღმ მღსღღღისთვის.

ფოტოზე პირვეღი დღხეღვისთღღღვე ცხღდი  
გღხდღ, რომ ეს იყო დღვიღღ აღმღშენებლის ხე-  
ღღღღ დღწერიღი სტრიქონები, მისი ღქღმღე უც-  
ნობი ღვტოგრღფი დღ, ღმდენღდ, ჩვენი წღრსულ-  
ღის ერთ-ერთი ძვირფღსი რელიკვიღ.

ღსეთი რელიკვიღ ჩვენ ღქღმღე ორი მოგვე-  
პოვებოღღ — ერთიღ, მის მიერ დღწერიღი

პირველი და ბოლო სტრიქონები მის მიერვე 1124 წელს შიომღვიმისადმი გაცემულ საბუთზე, რომელსაც ტექსტის სხვადასხვა ადგილას ანდერძი ეწოდება, როგორც ჩანს, იმის გამოც, რომ მეფის მიერ შედგენილია შარვანში მოწყობილი დიდი სამხედრო კამპანიის წინ, რომელსაც მისი დასრულების შემდეგ ამ ქვეყნის დამორჩილება მოჰყვა შედეგად, ხოლო მეორეა მეფის, ხუთსტრიქონიანი ჩანაწერი სინის მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის — სამოციქულოს ბოლო გვერდზე (სინა-10).

დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძველი ქართული საბუთია. იგი მეფის მიერ გაცემულია მისი უახლესი თანამოღვაწის არსენი ბერის და სულიერი მოძღვრის იოვანე ბერის თხოვნით. ამ საბუთით მეფემ მონასტერს დაუმტკიცა ახალი წესდება (ტიპიკონი), განსაზღვრა მონასტრის სტატუსი — იგი დაუმორჩილა უშუალოდ მნივობართუხუცეს-ჭყონდიდელს — აღმასრულებელი ხელისუფლების პირველ პირს, დაუმტკიცა ან განუახლა ძველი შენირულობები და შესწირა დიდძალი, ძირითადად, მოძრავი და თვითძრავი ქონება.

საბუთი დაწერილია კარგად დამუშავებულ, ერთმანეთზე გადაკერებულ ეტრატის ხუთ ფურცელზე, რომელთა საერთო სიგრძე იყო 212 სმ., ხოლო სიგანე 30 სმ. სამწუხაროდ, ეს საბუთი, რამდენიმე ასეულ ძველ ქართულ, მათშორის თამარ მეფის და ლაშა გიორგის დედან საბუთებთან ერთად ჩრდ. კავკასიაში დაიწვა 1919 წელს იქ მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს. ყუთებში ჩაწყობილი ერთი ვაგონი საბუთები, მათ შორის ესენიც, ჩრდ. კავკასიის ქალაქებში (კრასნოდარი, კროპოტნიკი, კავკაზსკაია...) შესანახად გაზიდეს 1915 წელს, მიმდინარე პირველი მსოფლიო ომის გამო, თურქეთიდან თბილისზე მოსალოდნელი თავდასხმისგან დაცვის მიზნით. როგორც ჩანს, ამ საქმის შესრულებას კარგად ახსოვდათ ირანის შაჰის ალა-მაჰმად-ხანის 1795 წლის თავდასხმა თბილისზე, როდესაც დაიწვა და განადგურდა ქართული საბუთების უმდიდრესი საცავი — სამეფო დავთარხანა. 1915 წელს თურქეთიდან თბილისზე თავდასხმას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ, რუსეთში შესანახად გაზიდული საბუთები, როგორც აღნიშნა, იქ მიმდინარე სამოქალაქო ომის პირობებში განადგურდა.

1923 წელს, როდესაც ცენტრარქივის მაშინდელი დირექტორი პროფ. სარგის კაკაბაძე ამ საბუთების ჩამოსატანად ჩრდ. კავკასიაში მიავლინეს, მან მხოლოდ რამდენიმე საბუთის და, მათ შორის, შიომღვიმისადმი დავით აღმაშენებლის ანდერძის მცირე („ერთი ხელის დადება“ — წერს) ფრაგმენტი ჩამოიტანა, რომელიც დღეს საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება. ამრიგად, ამ საბუთზე არსებული სტრიქონები, დაწერილი დავით აღმაშენებლის ხელით, დაღუპულია. მაგრამ, მისმა შემცველმა მასალამ მაინც მოაღწია. ესაა 1895 წელს ალექსანდრე როინაშვილის მიერ გადაღებული ფოტონეგატივი. იგი მისთვის შეუკვეთავს საბუთის პირველ გამოცემულ თედო ჟორდა-

ნიას, მაგრამ უსახსრობის გამო გამოცემას ვერ დაუერთო, წერს იგი წიგნის წინასიტყვაობაში. ამ და სხვა რამდენიმე დაღუპული საბუთის ნეგატივს 1973 წელს მივაკვლიე ხელოვნების მუზეუმის უმდიდრეს ფოტოთეკაში. მათგან დამზადდა დედნის ზომის ფოტონაბეჭდები, რომლებიც სამეცნიერო მიზნებისთვის (ტექსტის დადგენა...) სავსებით სცვლიან დედანს. გარდა ამისა, 1880 წელს, ამ საბუთის დავით აღმაშენებლის მიერ დაწერილი სტრიქონების დედნის ზომის ასლები გასანთლულ ქალაქდზე და აბრეშუმის თხელ ქსოვილზე გადმოულია თბილისის რეალური სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელს მღვდელ იოსებ ახალშენაშვილს. ამ მასალის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში მივაკვლიე 1989 წელს. ამრიგად, მიუხედავად საბუთის დაღუპვისა, ჩვენ მაინც გავგაჩნია სრული და უეჭველი მასალა, როგორც მისი ტექსტის, ასევე მასზე მოთავსებული დავით აღმაშენებლისეული სტრიქონების შესასწავლად.

საბუთი 165 სტრიქონისაგან შედგება. პირველი და ბოლო სტრიქონები მხედრულია, უფრო ზუსტად, გარდამავალი მხედრული, ხოლო დანარჩენი — ნუსხახუცური. პირველ სტრიქონებში წერია: „[ქ. თავსმდებო]ბითა ღმრთისაითა მე, დავითს მინყიეს“, ხოლო ბოლო სტრიქონში — „ქ. სიმტკიცეო ყოველთაო ღმერთო, დაამტკიცე, მტკიცედა უქციე“.

საბუთის ტექსტის ბოლოს მეფის ხელრთვა-დამტკიცება აუცილებელი იყო მის მიერ გაცემული ნებისმიერი საბუთისათვის (ჩვენამდე მოაღწია დავით აღმაშენებლის გაცემულმა კიდევ ორმა საბუთმა — ერთია დედანი, ხოლო მეორე პირი, ასლი, მაგრამ მათზე, ნაკლებობის გამო, მეფის ხელრთვები არ მოიპოვება), ხოლო ტექსტის პირველი სტრიქონის მეფის მიერ დაწყება ამ შემთხვევაში განპირობებული იყო საბუთის, როგორც ანდერძის თავისებურებით.

ამრიგად, უკვე ამ საბუთის მიხედვით დავით აღმაშენებლის ხელწერა, მისთვის დამახასიათებელი, როგორც ეპოქისათვის საერთო, ისე ინდივიდუალური ნიშნები კარგად იყო ცნობილი.

1989 წელს, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების კორპუსისათვის მასალის შეკრების დროს, სინური კოლექციის ხელნაწერების ფოტოპირების შესწავლისას, ყურადღება მიიქცია ხელნაწერ სინა-10-ზე, მის ბოლო გვერდზე მოთავსებულმა მხედრულმა ჩანაწერმა. მისი ტექსტი, გამოქვეყნებული ჰქონდა ი. ჯავახიშვილს ხელნაწერის აღწერილობაში, ოღონდ ერთი სიტყვის („მოიბმარებდეთ“) დაკლებით, რომელიც სამწერტილით იყო აღნიშნული. ი. ჯავახიშვილის შენიშვნით, ეს იყო გადამწერის მინაწერი ან ჩანაწერი. დავით აღმაშენებლის უკვე ცნობილ ხელთან ამ მინაწერის შედარებამ ჩემთვის ნათელი გახადა, რომ აქ საქმე გვექონდა დავით აღმაშენებლის ავტოგრაფთან. მისი დაზუსტებული ტექსტი ასეთია:

„ქ. მე, დავით, უნარჩევსმან მონამან ყოელთა ქრისტესთამან, განვგზავნე წიგნი ესე მთას

წმიდას სინას; ვინცა მოიბმარებდეთ, ლოცვა ყავთ ჩემთუინ“.

ამ აღმოჩენას მაშინ დიდი აჟიოტაჟი მოყვა. შურმა თავისი „ჰქმნა“ და ზოგიერთი პირველადმოჩენის პატივისაც წაეპოტინა; უფრო მეტი, უკადრისი იკადრა — თავისი დაუოკებელი მისწრაფება გაზეთშიც გადმოანთხია. მძიმე დრო იდგა. ჩვენი საზოგადოება ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ მას ბეჭდური სიტყვა კანონად თუ არა სრულ ჭეშმარიტებად მაინც მიაჩნდა. მე არაფერი მიპასუხნია. არა იმიტომ, რომ საპასუხო არაფერი მქონდა, არა. სიტუაცია აშკარად არ იყო ჩემს სასარგებლოდ. ეს ახლათ თუ ფულს გადაიხდი გაზეთში რასაც გინდა დაბეჭდავ. მაშინ ასე არ იყო. დაბეჭდილი კრიტიკის წერილობითვე უარყოფა, ისევე როგორც კრიტიკის დაბეჭდვა, გავლენიან ნაცნობ-მფარველებს საჭიროებდა. გარდა ამისა, საქმე დავით აღმაშენებელს და მის ავტოგრაფს შეეხებოდა. დიდი მეფის სახელის გარშემო გაზეთში კინკლაობის ატეხა, მიუხედავად მორალურად მძიმე ბრალდებისა, არ ეგებოდა. მთავარი იყო რომ დავით აღმაშენებლის საკმაოდ ვრცელი და მნიშვნელოვანი ჩანაწერი გამოვლინდა, ხოლო ვის სახელს მიენერებოდა ეს, ჩემი რწმენით, მნიშვნელობა არ ჰქონდა. მე იგი შემდეგში სათანადო გამოკვლევით კიდევ ოთხჯერ გამოვაქვეყნე.

დრომ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა, ხოლო ღმერთმა ისე მოაწყო, რომ კიდევ ერთხელ მაზიარა დავით აღმაშენებლის უცნობ ავტოგრაფთან შეხებას. ეს ზიარება გიორგი კალანდიასაც უთუოდ ეკუთვნის, რადგან ამ აღმოჩენის გზაზე მან დამაყენა და იგი შესასწავლად მე დამითმო, თუმცა ექსკლუზიური უფლება მას ეკუთვნოდა. მანვე მოაწყო ამ აღმოჩენის პიარკამპანია და რამდენი ტელეარხის საშუალებით იგი მთელი ქართული საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა. დიდი მადლობა მას ამისთვის. სხვათა შორის, შურის ტყვისფერმა აჩრდილმა ამ ახალ აღმოჩენასაც ჩამოუქროლა, მაგრამ მავანნი დროზე მოეგნენ გონს, ხოლო თავიანთი დაუფიქრებელი ნაბიჯები მათივე უვიცობით ახსნეს.

მაინც რასთან გვაქვს საქმე?

ფოტოზე წარმოდგენილია ორი სხვადასხვა ქართული ხელნაწერის ერთიმეორეზე დადებული ორი ფურცელი. ქვედა სამეცნიერო წრეებში კარგად ცნობილია — ესაა სინა-76, XII-XIVსს. ლიტურგიკული კრებული, რომლის სანიმუშო, თანამედროვე, დეტალური აღწერილობა გამოქვეყნებული აქვს ქ-ნ, ლილი ხევსურიანს. ამ აღწერილობით ეს ხელნაწერის პირველი გვერდია. მანვე გამოაქვეყნა ორნამენტული არმის ზემოთ მოთავსებული გვიანდელი (XVIIს.) მოსახსენებელი სხვა წყაროებიც კარგად ცნობილი სინელი მღვდლის მარკოზისა („მარკოზს შეუნდოს, ღმერთმან“).

რაც შეეხება ქვედა ხელნაწერს, იგი ჯერჯერობით არსად ჩანს და მხოლოდ ნიკო მარის გადაღებული ამ ფოტოთია ცნობილი. ფოტო რომ ნიკო მარის გადაღებულია ეს მტკიცდება მასზე გამოსახული თითები, რომელიც ივანე


ჯავახიშვილისაა, როგორც ამას შენიშნავს ერთ-ერთ ფოტოზე გაკეთებულ მინანქრში პროფ. იოსებ მეგრელიძე.

ამ გვერდის ზედა ნაწილში მოთავსებულია XI-XIIIსს. მიჯნის ნუსხახუცურით შესრულებული ტექსტი — საგალობლის ერთი ტროპარი — „შენ ხარ მთაძ წმიდაძ, რომელსა დაემკვდრა ღმერთი“; ხოლო მის ქვემოთ, გვერდის მთელ სიგანეზე, მსხვილი გარდამავალი მხედრულით და მოზრდილი ასოებით მიწერილია: „ქ. მადლითა მთისა წმიდისა სიწმინათა, დავითს შეუნდვენ ღმერთმან“. მისი აბსოლუტური მსგავსება დავით აღმაშენებლის აქამდე ცნობილ ავტოგრაფებთან, ეჭვს არ იწვევს, რომ ეს ჩანაწერიც მის მიერაა შესრულებული. განსაკუთრებით ნიშანდობლივია მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ხელწერით გადმოცემა ასოებისა მ, ნ, დ, და ს და ა-ს გადაბმა.

მაშასადამე, დღეს ჩვენთვის ცნობილია დავით აღმაშენებლის ორი სხვადასხვა შინაარსის ჩანაწერი ქართულ ხელნაწერთა სინური კოლექციის ორ ხელნაწერზე. ეს არ შეიძლება შემთხვევითი ფაქტი იყოს და აქ უსათუოდ გავახსენდება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები: დავით მეფემ „მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქროძ მრავალათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი და წიგნები საეკლესიაოძ სრულებით და სამსახურებელი სანიმდეთაძ ოქროძსაძ რჩეულისაძ“. დავით მეფის ისტორიკოსი სხვა ეკლესია-მონასტრებშიც აღნიშნავს მეფის მიერ დიდძალი ქონების გაგზავნას და შეწირვას, მაგრამ საგანგებოდ აღნიშნავს სინის მთაზე მის მიერ წიგნების გაგზავნის შესახებ, რასაც სხვა შემთხვევაში არ გამოყოფს. როგორც ვხედავთ, სინის მთაზე ხელნაწერების გაგზავნის წინ მეფეს მათი, ყოველ შემთხვევაში ერთი ნაწილის მაინც, „მარკირება“ ჩაუტერებია, მათზე საკუთარი ხელით მინაწერები გაუკეთებია, რაც მისი ისტორიკოსისთვისაც ცნობილი ყოფილია.

მეფემ გააკეთა თუ არა ამ ორი ხელნაწერის გარდა კიდევ სხვებზე მინაწერები, ამას, იმედიან, მომავალი კვლევა-ძიება გაარკვევს.

დასასრულ, ერთი ჟურნალისტური პასაჟი — ბოლო სამი საუკუნიდან თითოეული დავით აღმაშენებლის თითო ავტოგრაფის აღმოჩენით აღინიშნა: XIXს-ში ცნობილი გახდა მისი ხელრთვები შიომღვიმის 1124 წლის ანდერძზე, XXს-ში გამოვლინდა მისი ჩანაწერი სინა-10-ის ბოლო გვერდზე, ხოლო XXIს-ში აღმოჩნდა მისი მოსახსენებელი მინაწერი უცნობი ხელნაწერის ფურცელზე. ჯერ XXIIს-ს მხოლოდ დასაწყისია, და ღმერთმა ქნას, რომ ამ საუკუნის მანძილზე დავით აღმაშენებლის კიდევ არაერთი ავტოგრაფი აღმოჩნდეს.



# კოორდინაციული ქსეტი

## ბიზანტიური ხანის ქართული ნაგებობები

(ანისის პირველი ექსპედიციის ანგარიში)

2009 წლის 28 ივლისიდან 3 აგვისტომდე საშუალება მქონდა თურქეთში მემოგზაურა. ამჯერად, ჩემი ინტერესის ობიექტი ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარე უძველესი ქალაქი ანისი იყო. დიდი ხანია ამ სახელგანთქმული ისტორიული ნაქალაქარის შესახებ გადაცემა “ჩვენებურების” ციკლით ფილმის გადაღებას ვგეგმავდი. ქართველთა კვალის ძიებასთან ერთად ანისისადმი ინტერესს მისი მრავალსაუკუნოვანი და საოცრად ტრაგიკული თავადასავალი აღვივებდა.

ნაქალაქარის შესწავლის მიზნით საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, მუზეუმის ხელოვნებათმცოდნეები, ფილოლოგები, აღმოსავლეთმცოდნეები და ისტორიკოსები სამომავლოდ ფართომასშტაბიან სამეცნიერო ექსპედიციას გეგმავენ. პირველ ეტაპზე კი დაზვერვითი სამუშაო ჩატარდა: მე ქალაქ ანისში მოგზაურობა, მისი ისტორიული სიძველეების ფოტოზე დაფიქსირება და პირველადი ინფორმაციის შეკრება ვითარდა. ჩემმა მოადგილემ ფილოლოგიის დოქტორმა ქეთევან ასათიანმა კი ანისის შესახებ არსებულ ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურას მოუყარა თავი, მისივე წყალობით გაიშიფრა ანისის დღემდე უცნობი ის ქართული წარწერები, რომლის გადმოღება ტიგრან ჰონენცის ტაძარში მოვახერხე.

ქალაქი ანისი, მართლაც რომ, გამორჩეულ ისტორიულ სიძველეს წარმოადგენს. მდინარე

ახურიანის თვალწარმტაც ნაპირებზე გაშენებული ხელოვნების ეს გრანდიოზული ნიმუში, ერთი მხრივ, აღფრთოვანებას იწვევს და, ამასთანავე, წარუშლელ სევდას გიტოვებს, როგორც ამქვეყნიური ამაოებისა და წარმავლობის ნიშანსვეტი.

961 წელს აშოტ III-ის (952-977) მიერ დაარსებული სომეხთა დედაქალაქი ხშირად ყოფილა ქართული პოლიტიკური თუ კულტურული გავლენის არეალი. საილუსტრაციოდ ჩამოვთვლით რამდენიმე მაგალითს:


1124 წლის აგვისტოში ანელი თავადები დავით აღმაშენებელს ეახლნენ თხოვნით სომეხთა სატახტო ქალაქი გაეთავისუფლებინა მუსულმანთა 60-წლიანი ტყვეობიდან. ქართველი მეფე თანაგრძნობით შეხვდა ანელ თავადთა წინადადებას და “მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად, და სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი” (1.345) საქართველოს მეფემ ანისის მიზგიითაღ ქცეული ტაძარი გაათავისუფლა. ტაძრის ამშენებელს ბერძენთა დედოფალ კატრონიკეს კი წესი აუგო და საფლავში სამგზის ჩასძახა: “გიხაროდეს შენ, წმიდაო დედოფალო, რამეთუ იხსნა ლმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელითგან” (1.345)

ქართველთა ძლევამოსილ ლაშქრობას ანისში სომეხური მოსახლეობა აღტაცებით შეხვდა. მათე ურჰაელი წერდა: “მან (იგულისხმება დავით IV აღმაშენებელი — გ.კ) გაათავისუფლა სატახტო ქალაქი ანი, რომელიც 60 წელს იმყოფებოდა ტყვეობაში, აგრეთვე, საკვირველი და დიდებული ეკლესია ანისა — წმინდა კათოლიკე, რომელიც მიზგიითაღ ექციათ. შეკრიბა სომეხთა ქვეყნის ეპისკოპოსნი, მღვდელნი და მოწესენი და აკურთხა წმინდა და კათოლიკე დიდის ზეიმით.

იყო სიხარული ყოველი სომხის სახლში, რადგან იხილეს გაათავისუფლებული წმინდა კათოლიკე მონობისაგან” (2.248).

დავით აღმაშენებელმა ანისი და მისი “მიმდგომი ქვეყანა” საქართველოს სამეფოს შემოუერთა





თა და ქალაქის გამგებლად ქართველი დიდებული აბულეთი და მისი შვილი ივანე დატოვა (3.225).

ანისის ისტორიაში არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტს ჰქონდა ადგილი 1161 წელს. მაშინ გიორგი III-მ ქალაქზე გამარჯვებით ილაშქრა, ანისის გამგებლობა ამირსპასალარს — ივანე ორბელს მიანდო, თანაშემწედ კი დიდებული სარგის მხარგრძელი დაუნიშნა. გამარჯვებულმა მეფემ ანისის მცხოვრებთ განურჩევლად ეროვნებისა, დიდი წყალობა უყო. მან 40 000 დრაჰკანად ტყვედ წაყვანილი ქრისტიანები და მაჰმადიანები გამოისყიდა (4.64).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს სახელოვანი მეფის, თამარის როლი ქალაქ ანისის ცხოვრებაში. ქართველი მემატიანის ცნობით დავით სოსლანის გარდაცვალებიდან სულ მალე არდაველის სულთანმა ვერაგულად მოახერხა ქალაქის ხელში ჩაგდება და მარტო ტაძრებში 12 ათას მლოცველს მოუსწრაფა სიცოცხლე.

“გულისწყრომით მოცულმა” თამარმა სასწრაფოდ მიიღო კონტრზომები. მეფის ბრძანების შემდეგ “მეხბთა, თორელთა, თმოგუელთა, ჰერ-კახთა და სომხითართა” ლაშქარმა ამირსპასალარ ზაქარიასა და მსახურთუხუცეს ივანეს ხელმძღვანელობით იერიში მიიტანეს მომხდურზე. “შეუხდეს და უომრად ხელთ იგდეს ქალაქი... ხოლო სულტანი არდაველისა მოკლეს, ცოლნი და შვილნი მისნი ტყუე-წყვეს და წამოასხეს; ათორმეტი ათასი კაცი რჩეული მიძვითათა შინა მოკლეს, ვითარ მათ ყვეს ანისისა ეკლესიასა შინა” (5.102)

ქართველთა კულტურული როლი ანისში არც თამარ მეფის შემდეგ განელეზულა, რისი საუკეთესო დასტურიც გახლავთ ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქართლის კათალიკოსის ეპიფანეს 1218 წლის წარწერა. უმაღლესი საეკლესიო იერარქი ანისში ეკლესიების საკურთხეზლად ჩადის და ტექსტის წამკითხველთ შემდეგი ფორმულირებით მიმართავს “მკუიდრნო ამის ქალაქისიანო ქართველნო” (6.43).

ამდენად, ეს მცირე ჩამონათვალიც კარგად ცხადყოფს, რომ სომეხთა დედაქალაქის ხუთსაუკუნოვან ისტორიაში (961 წელს დაარსებული ანისი 1319 წლის მინისძვრამ იმდენად დაანგრია რომ ქალაქმა ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა) საქართველოს სახელმწიფოს და ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს უმნიშ-

ვნელოვანესი და ხშირად გადამწყვეტი მისია ეკისრებოდათ.

ანისის შესწავლას წარუშლელი კვალი დასდო აკადემიკოსმა ნიკო მარმა. მეცნიერმა რამდენიმე ფართომასშტაბიანი ექსპედიციის წყალობით ნაქალაქარი თითქმის სრულად გათხარა, შესწავლა მისი ისტორიული ძეგლები და ანისს დიდი მონოგრაფია (ანი - Книжная история города и раскопки на месте городища) მიუძღვნა. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ამ ნაშრომში ქართველთა ისტორიული როლი და კვალი, სამწუხაროდ, სათანადოდ არაა წარმოჩენილი, ხშირად ვხვდებით ისეთ ტენდენციურ პასაჟებსაც როგორებიცაა: გრიგოლ ბაკურიანისძის სომეხ მოღვაწედ გამოცხადება. სამწუხაროდ, ნაშრომში არ მოხვედრილა ჩვენი ინტერესის ობიექტის — ტიგრან ჰონენცის ტაძრის ფრესკების არც ერთი ქართული წარწერა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: ტაძრის დასავლეთ კედელში, სახურავის კეხს ქვემოთ ჩამაგრებულია ქვის ფილა ჯვრის გამოსახულებით. მის გარშემო ფილის ზედაპირი შევსებულია შედარებით ვრცელი ქართული ასომთავრული წარწერით, რომელიც ამჟამად ძლიერ დაზიანებულია. ეს წარწერა ცნობილი იყო ნიკო მარისა და ი. ორბელისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მათ არ გამოუქვეყნებიათ. დიმიტრი ბაქრაძისეული გადმონაწერის მიხედვით კი წარწერაში მეფე ბაგრატის და ვინმე ლიპარიტის ტიგრან მეფის მწედ მოიხსენიება. რაც აშკარად მიუთითებს ქართველთა განსაკუთრებულ მონაწილეობაზე ქალაქ ანისის სააღმშენებლო საქმიანობასა და მის კულტურულ ცხოვრებაში (ტაძარზე არსებული ლაპიდარული წარწერა ამჯერად ჩვენი ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს, იგი მომავალში ექსპედიციის ნევრთა განსაკუთრებული შესწავლის საგანი გახდება).

ტიგრან ჰონენცის ტაძრის ფრესკული მხატვრობის წარწერები ყველაზე ვრცლად პროფესორ ვალერი სილოგავას ნაშრომში “ანისის და ყარსის ქართულ ეპიგრაფიკაშია” გადმოცემული. თუმცა მეცნიერი აქვე აღნიშნავს, რომ “სამწუხაროდ, ფრესკული მხატვრობისაგან განსხვავებით, სრულად და დეტალურად ეს წარწერები შეუსწავლელია. რამდენიმე ათეული ფრესკული წარწერიდან, რომლებიც ტიგრან ჰონენცის ეკლესიასა და მის მინაშენებში მოიპოვება, სულ ექვსი წარწერაა ლიტერატურაში ცნობილი და ისიც XIX ს-ის 80-იანი წლების გადმონაწერების მიხედვით” (7.151).

სწორედ აღნიშნული ხარვეზის შევსების მიზნით დაიგეგმა ანისის პირველი დაზვერვითი ექსპედიცია, თუმცა სანამ მკითხველს ჩვენს მიერ მოპოვებულ მასალას გავაცნობდეთ, ორიოდე სიტყვით შევეხებით ტაძრის ამშენებლის — ტიგრან ჰონენცის ვინაობასა და მის შესახებ არსებულ ისტორიულ წყაროებს.

ეკლესიის სამხრეთ კედელზე არსებული სომხური წარწერიდან ირკვევა, რომ ტიგრანი, “სულიამ სმბატის ძის შვილი, ჰონენცის საგვარეულოდან” შეძლებული ვაჭარი ყოფილა. მას მონასტრის ასაშენებლად დიდი ჯაფა გაუწევია, ეკალბარდებში გახვეული კლდოვანი მასივი გაუ-

წმენდია, შემოურტყამს გალავანი. ოქრო-ვერცხ-  
ლით მოუჭყედავს ხატები და საეკლესიო ჭურჭელი,  
ტაძრისათვის კი მდიდარი მამულები შეუწირავს.


წარწერიდან ისიც ირკვევა, რომ ტიგრანი  
ძირეულადაა დაკავშირებული ქართულ სა-  
მყაროსთან, ის აღმსარებლობით მართლმად-  
იდებელია, მისი სომხური წარწერა ქართული  
მოსახსენებლით “ნათელს შეუნდვენ ღმერთ-  
მანით” იწყება, ასევე ქართული ტერმინი “ხატე-  
ბია” ნახმარი შეწირულობის სომხურ ჩამონათ-  
ვალში. ტიგრანს გრანდიოზული სამშენებლო  
საქმიანობა 1215 წელს დაუშთავრებია. ამავე  
პერიოდში უნდა მოეხატა მას ტაძარი.

თამამად შეიძლება ითქვას რომ ფრესკული  
მხატვრობა უცხოეთში ქართული მონუმენტური  
მხატვრობის ერთ-ერთ საუკეთესო და გამორ-  
ჩეული ნიმუშია. ფრესკებზე წარმოდგენილია,  
როგორც სახარებისეული სცენები, საუფლო  
დღესასწაულები, ისე ცალკეული ეპიზოდები  
ჰაგიოგრაფიული და ისტორიოგრაფიული თხ-  
ზულებებიდან, წმინდანები (მათ შორის ქართ-  
ველთა განმანათლებელი ნინო); გამოსახულება-  
თა შორის, აგრეთვე, ტაძრის კედლების ცალკეუ-  
ლი ადგილები შემკულია... სხვადასხვა ფერწერ-  
ული ორნამენტებითა და ფიგურებით (მაგ., გრი-  
ფონები, მცენარეული ორნამენტები, მითიური  
ცხოველები, გეომეტრიული ფიგურები...).

ეკლესიის გუმბათქვეშ ტრომპებზე  
შემორჩენილია ოთხი მახარებლის ფიგურა,  
ორი მათგანი ძლიერ დაზიანებულია დანარ-  
ჩენ ორზე კი ფიგურებთან ერთად წარწერებიც  
კარგად მოჩანს.

პირველი წარწერა შესრულებულია გა-  
მოსახული წმინდანის მხარმარცხნივ ასომ-  
თავრულით, ოთხ სტრიქონად, შავი საღებავით,  
ლურჯ ფონზე:

“წმიდა იოანე მახარებელი” (იხ. სურ. 1).



სურ. 1

მეორე წარწერა ასევე წარმოდგენილია მახ-  
არებლის მხარმარცხნივ ორ სტრიქონად:


“წმიდა ლუკა” (იხ. სურ. 2).



სურ. 2

ქართული წარწერების სიმრავლით გამოირჩე-  
ვა ტაძრის საკურთხეველი. აქ წმინდა მამათა ფიგ-  
ურებს ზემოთ შავი საღებავით შესრულებულია  
ვრცელი წარწერა, რომელიც მამათა ვინაობას  
განმარტავს. ასომთავრული ასოების სიმძლვე  
დაახლოებით 11 სანტიმეტრია, განკვეთილობის  
ნიშნად ნახმარია ხან ორწერტილი, ხან ლურს-  
მნისებური ორნამენტი, ქარაგმის ნიშანი სტილი-  
ზებული კლაკნილი ხაზია:

“წმიდა იოანე ოქროპირი, წმიდა ნიკოლოზ,  
წმიდა გრიგოლ პართეველი, წმიდა ლეონტიოს,  
წმიდა პატრიარქი ალექსანდრიელი” (იხ. სურ. 3).




სურ. 3

ერთ-ერთ წმინდა მამას ხელში დიდი გრავ-  
ნილი უკავია, რომელზეც საკმაოდ ვრცელი  
ქართული წარწერაა წარმოდგენილი, იგი იმდე-  
ნადაა დაზიანებულია, რომ ამჯერად მხოლოდ  
შემდეგი ფრაგმენტების ამოკითხვა შევძელით:  
“გისაროდენ, ასულო სიონისაო და ად [...] იდ [...] ს  
[.....] ნ [...] [.....] იხარებდე” (იხ. სურ. 4).

საქართველოს საზოგადოებრივი სამართლებრივი სამსახური


სურ. 4

ტაძრის დასავლეთის კედლის სცენებს შო-  
რის, რომლებიც გრიგოლ განმანათლებლისად-  
მია მიძღვნილი, ერთ-ერთს, კერძოდ თრდატ  
მეფის მიერ წმიდა გრიგოლის დაკითხვას, ახ-  
ლავს ორსტრიქონიანი ქართული განმარტები-  
თი წარწერა: “[თრ]დატის წინა გრიგოლ წარიდ-  
გინა განკითხვად”(იხ. სურ. 5).



სურ. 5

ამავე ფრესკის გვერდით წარმოდგენილ-  
ია გრიგოლის წამების ერთი სცენა, წმინდანი  
მომხდურთა შორის ფეხებშეკრული დგას. ნახა-  
ტის შუაში კი ორ სტრიქონად შესრულებულია  
შემდეგი წარწერა: “[წმიდა გრიგოლ] დაგრაგთა  
მიერ იწამების” (იხ. სურ. 6).



სურ. 6

გრიგოლ განმანათლებლისადმი მიძღვნილი

კიდევ ერთი ფრესკული ნარწერის ამოკითხვა შეიძლება დასავლეთის კედლებზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ ნარწერა ძლიერ დაზიანებულია და ამჯერად მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტის გარჩევა შევძელით: “[.....] გრიგოლ აკურთხა თ[.....] შვ [....] ად [.....] შვილი” (იხ. სურ. 7).

სურ. 7

სურ. 7

განსაკუთრებული ფერთა პალიტრით გამოირჩევა დასავლეთის კედელზე არსებული კიდევ ერთი ფრესკა. ხმალშემართული ყმაწვილისა და თეთრწვერა მოხუცის ქვეშ თავმოკვეთილი ქალების სხეული ჩანს. სცენის თავზე კი შემდეგი ნარწერაა შესრულებული “[.....] რიფსიმე და გაიანე ვას[სკლავნი] (?) იგი ქალწულნი” (იხ. სურ. 8).

სურ. 8

სურ. 8

ტაძარში შესვლისთანავე ყურადღებას იქცევს დასავლეთის კედლის შუაგულში, სარკმელქვეშ ნარმოდგენილი ღვთისმშობლის მიძინების დიდი ფრესკა. ქერუბიმებს შორის მოთავსებული ნარწერა ნაწილობრივ გადარეცხილია, თუმცა შინაარსის ამოკითხვა ჯერ კიდევ შესაძლებელი “ მივა [.....] ა დედა ღვთისა” (იხ. სურ. 9).

სურ. 9

სურ. 9

განსაკუთრებული ხაზგასმის ღირსია ტაძარში არსებული სვეტიცხოვლის აღმართვის სცენა. მის არსებობას პირველმა ყურადღება აკადემიკოსმა ნიკო მარმა მიაქცია და აღნიშნა: “ილუსტრაციებს შორის ჩემს მიერ აღმოჩენილ იქნა წმინდა ნინოს სახება სვეტიცხოვლის აღმართვის დროს, ეს, ჯერჯერობით, საქართველოს გამნათლებლის ყველაზე ძველი გამოსახულებაა” (8. 85). ფრესკა დღემდე შემორჩენილი, რომელსაც ასომთავრული განმარტებითი ნარწერაც ახლავს: “დედანი, რომელნი დახუდეს ნინოს” (იხ.სურ 10).

სურ. 10

სურ. 10

ტიგრან ჰონენცის ტაძარში სახარებისეული სცენებისა და საუფლო დღესასწაულების

გარდა, მრავლადაა ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებები, აშკარაა, რომ ყოველ მათგანს განმარტებითი ნარწერა ჰქონდა, თუმცა ჩვენ დროის სიმციროს გამო რამდენიმე მათგანის გადმოღება და ამოკითხვა შევძელით.

ტაძრის შესასვლელში კარიბჭის თავზე ხმალშემართული ანგელოზის ნელსზედა ფიგურაა ნარმოდგენილი, რომელსაც ნარწერა ქვედა ზოლზე მიუყვება:

“მიქაელ მთავარანგელოზი” (იხ.სურ 11).

სურ. 11

სურ. 11

მონუმენტურობით გამოირჩევა მაცხოვრის ფიგურის ქვეშ მდგარი ორი წმინდანის ფიგურა, ისინი იესოს ხელებაპრობილი შეჰყურებენ, მარავანდედებს ზემოთ კი გაკეთებულია ნარწერები:

“გიორგი”, “თევდორე” (იხ. სურ. 12).

სურ. 12

სურ. 12

მათ გვერდით გამოსახულია გრავნილიანი მამაკაცი, რომელსაც თავს ზემოთ ლამაზი ასომთავრულით აწერია: “წინასწარმეტყველი ესაია” (იხ. სურ. 13).

სურ. 13

სურ. 13

კიდევ ერთი საინტერესო ნარწერა, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია ტიგრან ჰონენცის ეკლესიის მთავარი კარიბჭის თავზე გარედან მდებარეობს. როგორც ჩანს, ეს ადგილი ერთ დროს ტაძრის შიდა სივრცეს ნარმოადგენდა, ამიტომ, მისი კედლები მთლიანად ფრესკებით იყო დაფარული, თუმცა სტოას დანგრევის შემდეგ მხატვრობა გარეთ დარჩა, რის გამოც, უნიკალური ფრესკების ნაწილი წვიმის წყალმა გადარეცხა. ტრიუმფალურ თაღზე დღემდე შემორჩენილია მხატვრობის გაცრეცილი ფენა, მაგრამ კარგაგაირჩევა სარკმლის მარცხნივ თეთრი ასოებით შესრულებული ორსტრიქონიანი ნარწერა:

“საფლავად დადება” (იხ. სურ. 14).

სურ. 14

სურ. 14

ამდენად, ნარწერების ეს მცირე ჩამონათვალიც კარგად ცხადყოფს ნ. ტიერის მოსაზ-

რებას რომ ტიგრან ჰონენციის ტაძრის ფრესკული მხატვრობა არის "ქართული ნამუშევარი სომხურ გარემოში". ზემოჩამოთვლილი წარწერები რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა პირველად ქვეყნდება, კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს ქართული სახელმწიფოს დიდ გავლენაზე ქალაქ ანისში.


სტატიის დასასრულს ორიოდ სიტყვით გვინდა შევეხოთ ანისის ქართულ ეკლესიას. ცნობილია რომ ანისი ერთ-ერთი ქართული მართლმადიდებლური საეკლესიო ეპარქიის ცენტრი იყო, რომლის მმართველი მღვდელმთავარი ანელის ტიტულს ატარებდა. ანელ ეპისკოპოსს დიდი მდგომარეობა ეკავა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს 36 იერარქს შორის. მეფის კურთხევისას 27-ე ადგილზე იყო — ბოლნელსა და კარელს შორის; თვით ტფილელი და კარელი მის შემდეგ იმყოფებოდნენ (9. 49).

ანისის ქართული ეკლესიიდან ამჟამად ცნობილი და გამოქვეყნებულია ხუთი წარწერა. როგორც ჩანს მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა ჩრდილოეთის კედლის გარე მხარეს, ერთ-ერთ ფილაზე არსებული ნაკანრი წარწერა. ჩვენთვის საინტერესო წარწერიანი ქვა საკმაოდ მაღლაა ჩამაგრებული, ამიტომ ფრიად გაგვიჭირდა მისი გადმოღება. პირველადი დაკვირვებიდან შვიდი მხედრული ასოს ამოკითხვა შეეძელით: "შს ქე პრს" (იხ. სურ. 15):



სურ. 15


ჩვენი აზრით, არსებული ფრაგმენტის წაკითხვა შემდეგნაირად უნდა მოხდეს "შეუნდოს ქრისტემ პროხორეს" ამავე კედელზეა შემორჩენილი მობალახე ირმების საოცრად ლამაზი გრაფიკული გამოსახულება (იხ. სურ. 16).



სურ. 16

ანისის ქართული ტაძარი ყურადღებას იქცევს შიდა რელიეფური მორთულობებით, ამჟამად მათგან შემორჩენილია მხოლოდ ორი, კერძოდ, ხარება და მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა. ეს უკანასკნელი რამდენიმე ევროპელი მეცნიერის კვლევის საგანი გახდა (10), თუმცა გამოითქვა მცდარი მოსაზრება რომ ბარელიეფთან არსებული წარწერა მთლიანად

გადაშლილია და, სავარაუდოდ, აქ "წმინდა მარიამ" ეწერა. ჩვენ საშუალება გვქონდა დეტალურად გვენახა ხსენებული ბარელიეფი და მასთან არსებული თეთრი საღებავით შესრულებული შემდეგი განმარტებითი წარწერა "წმიდაძღვისმშობელი" (იხ. სურ. 17).



სურ. 17

ყოველივე ზემოთქმული კარგად ცხადყოფს ანისის ნაქალაქარის უდიდეს კულტურულ მნიშვნელობაზე და მის განსაკუთრებულ როლზე ძველი საქართველოს ცხოვრებაში. ამიტომ ეს უნიკალური ისტორიული ძეგლი ქართველ მეცნიერთა მხრიდან ფართომასშტაბიანი კვლევა-ძიების ობიექტი უნდა გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. "ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი". კრბ: "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955.
2. ლ. დავლიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. თბ. 1968
3. რ. მეტრეველი, "დავით IV აღმაშენებელი", თბ. 1989
4. რ. მეტრეველი, "მეფე თამარი", თბ. 1991
5. "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", კრბ: "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959.
6. ვ. სილოგავა, ანისის და ყარსის ქართული ეპიგრაფიკა, კრებული: "Kars-Akhatsikhe (Ahiska) (Uluslararasi Tarih Sempozyumu Bildirileri), ყარსი, 2001.
7. ვ. სილოგავა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ, "მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 2, თბ. 1980.
8. Н. Март, "Ани - Книжная история города и раскопки на месте городища". Ленинград-москოვი, 1934.
9. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს), გამოსცა ი. დოლიძემ. თბ. 1965.
10. A. Easmond, Narratives of the Fall: Structure and Meaning in the Genesis Frieze at Hagia Sophia, Trebizond, Dumbarton Oaks Papers, 53, Washington, D.C 1999, P.235, fig.31

Cunco et al. Ani. Documenti di architettura armena 12, Milan, 1984, p.91



# კურსი ყოჩაღობის

## ისპოხიობისა და ხელისუფლება

(საქართველოს ისპოხის მახარება)

ქართული ისტორიოგრაფია მატეანის ფორმით, ჩანს, უკვე ძველ ქართლში (იბერიაში) სახელმწიფოებრიობის წარმოშობისთანავე არსებობდა. სხვანაირად წარმოდგენილია თუ როგორ აისახა შესაბამისი ისტორიული რეაქციები XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულებაში. საბედნიეროდ, ამის შემდგომ სხვა საისტორიო ნაწარმოებებიც გაჩნდა. ჩვენი დიდი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით ყველა ესენი გაერთიანდა ერთ დიდ კრებულში "ქართლის ცხოვრების" სახელწოდებით. ამას ადგილი ჰქონდა ქვეყნის ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების დროს, კერძოდ XII საუკუნის პირველ მეოთხედში, ე.ი. საქართველოს უდიდესი მეფის დავით აღმაშენებლის ზეობაში. მოგეხსენებათ, ეს უკანასკნელი დიდი გონებრივი ინტერესებით გამორჩეული პიროვნებაც გახლდათ, მათ შორის ცნობილია მისი გამორჩეული ინტერესი ისტორიის მიმართაც. მისთვის ისტორია (ისტორიოგრაფია) ოდენ წარსულის შემეცნების საშუალება კი არ იყო, არამედ საფუძველი, სახელმძღვანელოც პოლიტიკური აქტიურობისათვის. ამიტომ საფიქრებელია, რომ აღნიშნული ღონისძიების ინიციატორი თვითონ დავითივე ყოფილიყო. კრებულში შევიდა დავით აღმაშენებლის ცხოვრება-მოღვაწეობის თაობაზე უცნობი ნიჭიერი ისტორიკოსის მიერ დაწერილი თხზულებაც. მას მოჰყვა ორი ნაწარმები თამარზე, შემდეგ — ლაშა გიორგის შესახებ.

საქართველოში თათარ-მონღოლთა ბატონობა უარყოფითად აისახა კერძოდ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაზეც. მაგრამ მაინც შემოგვრჩა უცნობი ქართველი ისტორიკოსის ("უამთაღმწერლის") თხზულება, რომელიც თითქმის ერთი საუკუნის პერიოდის ისტორიას აღწერს.

შემდგომ ხანაში, საქართველოს ძნელბედობებისაგან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა საისტორიო აზროვნების ჩავარდნას. მისი სერიოზული გამოსწორების ინიციატივა წამოვიდა ხელისუფლების მხრიდან — 1720-იან წლებში ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსემ შექმნა ე.წ. სწავლულ კაცთა კომისია ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით. სათანადო ქართული, სპარსული და სომხური წყაროების ბაზაზე აღდგენილ იქნა XIV-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული პროცესი. ცხადია, ამ საქმის აღსრულებაში დიდად ირჯებოდა თვითონ უდავოდ განათლებული მეფეც. თავის მხრივ აღნიშნულმა

გარემოებამ დიდი ბიძგი მისცა უფლისწულ ვახუშტი ბატონიშვილს დაენერა თავისი დიდებული საისტორიო და საგეოგრაფიო ნაშრომი.

1801 წლიდან მოყოლებული, მოგეხსენებათ, თანდათან უქმდებოდა ქართული სახელმწიფოებრივ, რასაც, რასაკვირველია, უარყოფითად უნდა ემოქმედა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაზეც. მაგრამ სულ მთლად ასე როდი მოხდა.

კავკასიაში მოღვაწეობდა ფართო მეცნიერული ინტერესების მქონე მოხელე პიოტრ უსლარი (1816-1875) (სხვათა შორის, წარმოშობით გერმანელი იყო), რომელსაც გაუჩნდა იდეა დაენერა კავკასიის ისტორია უძველესი დროიდან მოკიდებული. 1851 წელს თბილისში დაარსებული გეოგრაფიული საზოგადოების დახმარებით (რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრიც თვითონ პ. უსლარი გახლდათ) და კავკასიის არმიის მთავარსარდლის და მეფისნაცვლის ალექსანდრ ბარიატინსკის შუამდგომლობით, 1858 წელს რუსეთის იმპერატორის ბრძანებულებით უსლარს მართლაც დაევალია კავკასიის ისტორიის შედგენა. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა მან მიზნად დაისახა შესაბამისი ენების შესწავლა, რაც მას უდავოდ ხელეწიფებოდა. მაგრამ, ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, "რა თქმა უნდა, იმ დროს ისეთი ფართო მიზნისა და გეგმის განხორციელება, როგორც უსლარს ჰქონდა დასახული, მხოლოდ გატაცებული ადამიანის გულუბრყვილო ოცნება იყო, მაგრამ ამ გატაცებამ და აღფრთოვანებულმა მუშაობამ უსლარს ის შეაძლებინა, რომ ერთ ადამიანს კავკასიის შესასწავლად, არც მანამდე და არც მას შემდგომ, მის გარდა არავის გაუკეთებია". მართლაც, მსგავსი ნამოწყება წარმატებით არ დამთავრებულა, უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შემდეგი.

1864 წელს თბილისში დაარსებული "კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიას" (შესაბამისი უწყება ფუნქციონირებდა 1834 წლიდან პეტერბურგში სახალხო განათლების სამინისტროსთან. კიევისა და ვილნოს (ვილნიუსის) შემდგომ მისი განყოფილება გაიხსნა თბილისში) დაევალია კავკასიის ტერიტორიაზე არსებულ საუნეებო არქივებიდან შეეკრიბა და გამოეცა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. თავისი არსებობის მანძილზე (1864-1917 წლებში) აღნიშნულმა უწყებამ გამოსცა "კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის" თორმეტი უზარმაზარი ტომი, რომელიც მიუხედავად ტენდენციურობისა, ახლაც ძვირფას საისტორიო წყაროს წარმოადგენს კავკასიის ქვეყნების შესაბამისი პერიოდის შესასწავლად. ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, ცხადია, ასევე ტენდენციურად ეხებოდა რიგი რუსი ისტორიკოსებისა. მეტი რამ აღნიშნული მიმართულებით მეფის რუსეთის ხელისუფლებას არ გაუკეთებია.

მაგრამ ბოლშევიკ-კომუნისტმა ბელადებმა ფაშისტური იტალიისა და გერმანიის ხელისუფალთა მაგალითებზე შეძლეს რაღაცნაირად გაეცნობიერებინათ ისტორიის მნიშვნელობა. ამით სტიმული მიეცა ისტორიის სწავლებისა და შემეცნება-შესწავლის საქმეს. უპირველესად დასახულ იქნა მსოფლიოსა და საბჭოთა ხალხების ისტორიების სახელმძღვანელოების დაწერა. მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოთა დაწერა, ცხადია, რუსი ავტორების პერეოგატივას წარმოადგენდა. 1938 წელს, ჩანს, ლავრენტი ბერიას თაოსნობით გადაწყდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს

დანერა. ავტორები უნდა ყოფილიყვნენ ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია. 1940 წელს ნიგნი მაკეტის სახით უკვე მზად იყო და მას გაეცნო ქართული საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილი. სწორედ ამ უკანასკნელის ძალისხმევით სახელმძღვანელოდან ამოღებულ იქნა ჩვენი ისტორიის ახალი და უახლესი (1801 წლიდან მოყოლებული ე.წ. სტალინური კონსტიტუციის მიღებამდე) ხანები, რომლებიც ისტორიის "ცნობილ" ფალსიფიკატორ გიორგი ხაჭაპურიძეს (1892-1957) ეკუთვნოდა.

მიუხედავად გაგანია მეორე მსოფლიო ომისა, სახელმძღვანელო საშუალო სკოლების უფროსკლასელთათვის დაიბეჭდა 1943 წელს. ქართველი კომუნისტების იმჟამინდელი ხელმძღვანელის კანდიდ ჩარკვიანის თაოსნობით სახელმძღვანელოს გაეცნო "დიდი ბელადი" იოსებ სტალინი. მან 1945 წლის ოქტომბერში სოჭში დასვენებისას სასაუბროდ მიიწვია სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი. "ბელადმა" მთლიანობაში მოიწონა სახელმძღვანელო, მაგრამ ამასთანავე გამოთქვა თავისი მოსაზრებანი ნიგნის გასაუმჯობესებლად. შესწორებებით იგი ხელმეორედ დაიბეჭდა 1946 წელს, ხოლო მომდევნო წელს იგი დაჯილდოვდა სახელმწიფო პრემიით. 1950 წელს იგი დაიბეჭდა რუსულადაც.

ფაქტია, რომ ჩვენი ქართული საისტორიო სახელმძღვანელო საუკეთესო იყო ანალოგიურ საბჭოურ სახელმძღვანელოთა შორის. მეტიც, იგი აშკარად აღემატება მას შემდგომ გამოქვეყნებულ ქართულ სახელმძღვანელოებსაც. სხვათა შორის, ი. სტალინის მიხედვით იგი ნიმუში უნდა ყოფილიყო სხვა ანალოგიური სახელმძღვანელოებისათვისაც, რომელთა საფუძველზე უნდა დანერგილიყო საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორია (ასეთი რამის შექმნას, მიუხედავად "ბელადის" ჩანაფიქრისა, აღარც ცდილან). ქართული სახელმძღვანელოს სიკეთე ვერ მოითმინა ჰომო სოვეტიკუსმა საბჭოთა ისტორიკოსებმა და სტალინის სიკვდილის შემდგომ გამოვიდნენ ნიგნის განქიქებით, ჩათვალეს რა იგი ნაციონალისტურად, ოდენ მეფეების ისტორიად და მისთ. რა თქმა უნდა, რუსი ისტორიკოსების ფეხის ხმას აპყვნენ ადგილობრივი, ქართველი კრიტიკანებიც. საბჭოური ტოტალიტარიზმის პირობებში არავის, მათ შორის, ნიკო ბერძენიშვილს (სიმონ ჯანაშია გარდაიცვალა 1947 წელს), ხმა არ ამოუღია მშვენიერი სახელმძღვანელოს დასაცავად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ახალი სახელმძღვანელო უნდა დანერგილიყო, რაც შვიდი პირის (მათ შორის ნიკო ბერძენიშვილის) ავტორობით განხორციელდა 1958 წელს. ვიმეორებთ, იგი ძველ სახელმძღვანელოს ბევრად ჩამორჩებოდა.

საქართველოს მაშინდელი კომუნისტური ხელმძღვანელობა შეხვდა ისტორიკოსთა აქტივს. მაგრამ ამ ღონისძიებას რაიმე ხელშესახები, თვალსაჩინო შედეგი არ მოუტანია. გასული საუკუნის ბოლოს, ამავე პიროვნების უკვე პრეზიდენტობის ფაშს, ჩაფიქრებულ იქნა იდეა ქართული სახელმწიფოებრიობის იუბილეს აღსანიშნავად. თითქოს საკითხი დემოკრატიულად, მართლაც მეცნიერული გზით უნდა გადაწყვეტილიყო. მაგრამ ხელისუფლებამ მხოლოდ გერონტოკრატ ისტორიკოსებს მიმართა,

რომელთაც დაასკვნეს, რომ ქართული სახელმწიფოს ხნოვანება სამი ათასი წელი ყოფილა. მაგრამ ამ აზრს ხომ დასაბუთება ესაჭიროებოდა! ფაქტია, რომ ამ სერიოზულ სამეცნიერო პრობლემაზე არ გამართულა ფართო, სერიოზული ხასიათის დისკუსია. შედეგი შესაბამისი გახლდათ: საბოლოოდ ჩაფიქრებული სახელმწიფოებრივი ღონისძიება ჩაიშალა.

დიდად სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს უახლეს ხელისუფლებას (თუნდაც პარლამენტის შესაბამისი კომიტეტისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დონეებზე) ყურადღება გამოეჩინოს ქართული მეცნიერების უძველესი დარგისადმი. იგი დღემდე იფარგლება რუსეთის მიერ ოკუპაცია-ანექსიის ჩვენებით, სათანადო პროფილის მუზეუმის დაფუძნების გარდა ცდილობს საჯარო სკოლების უფროსკლასელები ამ მხრივ სათანადოდ გაანათლოს. არადა, უთუოდ ღირდა ხელისუფლების მხრივ ისტორიოგრაფიისადმი სერიოზული ყურადღების გამოჩენა. საქმე იმაში გახლავთ, რომ, ვიმეორებთ, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, უპირველესად ე.წ. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ტოტალური დანერგვით ქართული ისტორიოგრაფია დიდად დაზარალდა. მეორე მიზეზია ის გარემოება, რომ იგი განზე აღმოჩნდა მსოფლიო საისტორიო მეცნიერებაში გაჩენილი ახალი ტენდენციებისაგან. ყველაფერს მმართველ რეჟიმს ვერ დაეაბრალებთ, ისტორიკოსების მხრივ სათანადო მონტაჟების არსებობისას უთუოდ მეტის გაკეთება შეიძლებოდა (ეს ნაწილობრივ შეძლეს რუსმა ისტორიკოსებმა).

სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებზე რომ არ ვილაპარაკოთ, არა გვაქვს საქართველოს ისტორიის სერიოზული მრავალტომეული. 1970-80 წლებში გამოქვეყნებული "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეული დანერილია საბჭოური კოლექტივისტური სულისკვეთებით, 88 ავტორის მიერ, რაც მითუმეტეს დღევანდელ პირობებში თითქმის არავითარ მეცნიერულ ფასეულობას არ წარმოადგენს. ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას ისტორიკოსთა დიდი უმეტესობის თეორიულ-მეთოდოლოგიური მომზადებულობის დონე, თვით ერუდიციაც კი. და ა.შ.

იქნებ ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება დაინტერესდეს ისტორიოგრაფიის მდგომარეობით და მისი ინიციატივითაც გაიმართოს ფართო დისკუსია ჩვენი უძველესი მეცნიერების მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე. საკითხი ოდენ წმინდა სამეცნიერო ინტერესისა როდია: იგი ეხება საერთოდ დღევანდელ ქართულთა საისტორიო მენტალობას, სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში დარგის სწავლების დონესა და საისტორიო შემეცნების ამაღლებას. კვლავაც ძალზე აქტუალურია ჩვენი დიდი წინაპრის ილიას ბრძნული შეგონებანი: "მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა..."; "... აღდგენა ისტორიისა — ერის გამოცხოვრებაა, გამომხსნევებაა, ანმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან".



# ვასილ დავითაძე

\*\*\*

სამებას შენსას, ერთ არსად ქცეულს,  
სულის საყუდად ვუშენებ ტაძარს;  
ვავედრებ ყველას – რჩეულს და წვეულს,  
სამებას შენსას, ერთ არსად ქცეულს.  
ყვავილებს ვუფენ ნაწამებ სხეულს  
და ფერს ვუბრუნებ ფერფლსა და ნაცარს.  
სამებას შენსას, ერთ არსად ქცეულს,  
სულის საყუდად ვუშენებ ტაძარს.

\*\*\*

შენ გიპყრობს მდედრი და არა ქალი  
და მიდის ქალი და რჩება მდედრი,  
საწყისი ყოვლის, ვით წყაროს თვალი,  
შენ გიპყრობს მდედრი და არა ქალი.  
იშლება კვალი, ნისლივით მქრქალი  
და მბუფტავ ფერებს კვლავ ფარავს თეთრი...  
შენ გიპყრობს მდედრი და არა ქალი  
და მიდის ქალი და რჩება მდედრი.

\*\*\*

ტუჩები შენი, მთრთოლვარე მუდამ,  
ჯადოსნურ ცეცხლის ფერებით ფეთქავს;  
და მხურვალეებით ყველაფერს ბუგავს  
ტუჩები შენი, მთრთოლვარე მუდამ.  
ნესტარი ნექტარს ელტვოდეს უნდა,  
შიშინებს სისხლი და ძარღვებს ხეთქავს.  
ტუჩები შენი, მთრთოლვარე მუდამ,  
ჯადოსნურ ცეცხლის ფერებით ფეთქავს.

\*\*\*

ორი მზით სავსე და თბილი გუნდა  
ორი ბუდიდან ბარტყივით მიმზერს.  
მალე თესლივით გაღვივდეს უნდა  
ორი მზით სავსე და თბილი გუნდა.  
და ჟრუანტელი, თან რომ სდევს მუდამ,  
ბურანში ახვევს სურვილის მიზეზს.  
ორი მზით სავსე და თბილი გუნდა  
ორი ბუდიდან ბარტყივით მიმზერს.

\*\*\*

ჩემს დაღმართს მოჰყვა შენი აღმართი.  
თურმე სხვა გზა და სულ სხვა მთებია;  
ისევ ბოპოქრობს ჟინი წარმართის...  
ჩემს დაღმართს მოჰყვა შენი აღმართი.  
ვინ კლდეს, ვინ ხევებს, ვინ ხეს აღმერთებს,  
ვინ ყომრალ ღრუბლებს, ელვისთმებთანს...  
ჩემს დაღმართს მოჰყვა შენი აღმართი,  
თურმე სხვა გზა და სულ სხვა მთებია.

\*\*\*

ასე მგონია, ყოველ წამს მწირავ,  
სიყვარულს ისე უღმერთოდ ხარჯავ.  
გასრულდა წირვა, ვერ ვიქეც მწირად,  
ასე მგონია, ყოველ წამს მწირავ.  
მაგრამ დროდადრო სხვა ნათლით ბრწყინავ,  
ბინდში რომ გლანდავ საუფლო ხარჭად...  
ასე მგონია, ყოველ წამს მწირავ,  
სიყვარულს ისე უღმერთოდ ხარჯავ.

\*\*\*

ახალ ლარნაკში ახალს შლი კოკობს  
და მინდვრის ქალი სათბურში ათევ;  
და შემოსწყერი კორდსა და კორტოსს,  
ახალ ლარნაკში ახალს შლი კოკობს.  
მონყვეტილ ყვავილს, ვით დაჭრილ ხოხობს,  
სიკვდილის ლანდი სიტურფეს მატებს.  
ახალ ლარნაკში ახალს შლი კოკობს  
და მინდვრის ქალი სათბურში ათევ.

\*\*\*

სულის წყვდიადში იძრა ნაყოფი  
და კვლავ ინთები თვითშესაქმნელად.  
წრიალებს წამი ყოფნა-არყოფნის,  
სულის წყვდიადში იძრა ნაყოფი.  
იმლება მიჯნა, ორად გამყოფი,  
და დრო ირხევა, ვით საქანელა...  
სულის წყვდიადში იძრა ნაყოფი,  
და კვლავ ინთები თვითშესაქმნელად.

\*\*\*

დაცხრი, დამდორდი, როგორც ჭის წყალი  
და გეძალება უდაბნოს სევდა;  
გაქრა ცდუნებაც, მუდამ რომ გდევდა. -  
დაცხრი, დამდორდი, როგორც ჭის წყალი.  
მინყნარდა ჩუმი გუგუნი ხევთა,  
მინდვრებს უქრება წამი ცინცხალი.  
დაცხრი, დამდორდი, როგორც ჭის წყალი  
და გეძალება უდაბნოს სევდა.

\*\*\*

კვლავ გელანდება გვირგვინი ეკლის  
და ჯვარს, გოლგოთის, თვითონვე ზიდავ;  
მწიფს ჩანასახი, ირხევა ნეკნი,  
კვლავ გელანდება გვირგვინი ეკლის.  
და იმედს სულის წიაღში ტკეპნი,  
აზრთა სხივები გეფრქვევა მზიდან...  
კვლავ გელანდება გვირგვინი ეკლის  
და ჯვარს, გოლგოთის, თვითონვე ზიდავ.

\*\*\*

შენს ხატთან სანთლის ფარფატებს ალი  
და სულის ფრთებით წარსულში მივქრი;  
მჩატდება ხორცი, მძიმდება ფიქრი,  
შენს ხატთან სანთლის ფარფატებს ალი.  
ქრება მანძილის და დროის კვალი,  
ვშორდები ანმყოს ჯახირს და ქირქილს...  
შენს ხატთან სანთლის ფარფატებს ალი  
და სულის ფრთებით წარსულში მივქრი.

\*\*\*

შენა ხარ ერთი და ყველგანა ხარ,  
მე კი, მრავალი, ერთი ვარ ჩემში.  
ვგრძნობ, ვხედავ, მაგრამ მიჭირს დანახვა,  
შენა ხარ ერთი და ყველგანა ხარ.  
ან დავძლევ ზღუდეს და გადავლახავ,  
ან უძღურება დამშლის და შემშლის.  
შენა ხარ ერთი და ყველგანა ხარ,  
მე კი, მრავალი, ერთი ვარ ჩემში.

\*\*\*

სევდა, რომელიც თვალებით დაგაქვს,  
ჩამქრალ ვარსკვლავის შუქით ანთია;  
და ამქვეყნიურს არაფერს არ ჰგავს  
სევდა, რომელიც თვალებით დაგაქვს.  
შორით ტრფიალი და შორით დაგვა  
გამოუხსნელი, ალბათ, ხლართია.  
სევდა, რომელიც თვალებით დაგაქვს,  
ჩამქრალ ვარსკვლავის შუქით ანთია.

\*\*\*

მიდიხარ რწევით, წრიალებს ქუჩა  
და იხაგრება შური და ჭორი;  
მსუნაგი მზერა იღვრება ფუჭად, -  
მიდიხარ რწევით, წრიალებს ქუჩა.  
ბინდდება, თითქოს მზეც თვალებს ხუჭავს  
და, ვით ზმანება, შრიალებ შორით, -  
მიდიხარ რწევით, წრიალებს ქუჩა  
და იხაგრება შური და ჭორი.

\*\*\*


თანდათან ყვირილით ივსება მთვარე  
და დემონები მოედვენ მინდვრებს;  
რალაცა ჯიქურ მენწევა გარეთ, -  
თანდათან ყვირილით ივსება მთვარე  
ნულარ აყოვნებ, მომხედე ბარემ,  
სულის სიშმაგე დამძალავს ვიდრე,  
თანდათან ყვითლით ივსება მთვარე  
და დემონები მოედვენ მინდვრებს.

\*\*\*

ისევ სურვილის ყვავილებს ვფურცლავ,  
რომ ერთში მაინც გპოვო და მოვკვდე.  
გარიდებ მინდორს, უხნავს და ურწყავს,  
ისევ სურვილის ყვავილებს ვფურცლავ.  
ხვატი ვერ აშრობს შერჩენილ კურცხალს  
და შუქი მისი კვალდაკვალ მოგდევს.  
ისევ სურვილის ყვავილებს ვფურცლავ,  
რომ ერთში მაინც გპოვო და მოვკვდე.

\*\*\*

შენ ძილში ფხიზლობ და ცხადში გძინავს,  
ალარც თენდება, ალარც ლამდება...  
მამრი მდაბლებდა, მდედრი - მამლდება,  
შენ ძილში ფხიზლობ და ცხადში გძინავს.  
უკან ხარ, გზას ვერ უნათებ წინას  
და ხმება მუხა, - მუმლი ყვავდება.  
შენ ძილში ფხიზლობ და ცხადში გძინავს,  
ალარც თენდება, ალარც ლამდება...



სამხტავლიან „კატის ზღაპარი“

# მართამ ხუბინიძე

## ჩემი „ხატის ზღაპარი“

(კარელ ჩაპეკის „კატის ზღაპარი“  
ნოდარ დუმბაძის სახელოვან სახელოვნო  
ცენტრალური საბავშვო თეატრში)

ჩემი ბავშვობიდან საკმაოდ დიდი დროა გასული. მეც ყველა „დიდივით“ მენატრება ის დრო და მეც მათსავით ვერასდროს ვერაფერს ვაკეთებ საკუთარ ბავშვობაში თუნდაც დროებით დასაბრუნებლად. იმ დღესაც ყოველგვარ სენტიმენტებს მოკლებული გრძნობით წავედი „მოზარდში“, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე გადავწყვიტე, ამ თეატრის სპექტაკლები მენახა და შემეფასებინა. ამ დღეს მივხვდი, რომ სამგანზომილებიანი გამოსახულება, უახლესი მხატვრული-ეფექტებით შექმნილი ანიმაცია, ინტერნეტის სულ უფრო და უფრო მარტივად ხელმისაწვდომობა და შესაბამისად უამრავი გასართობი და თავშესაქცევი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მხოლოდ გაზარდვებული ან ზედმეტად დაკავებული უფროსების მოგონილი მიზეზებია იმისთვის, რომ ბავშვები თეატრში არ წაიყვანონ. ინტერნეტით ანთებული თვალეები, ცოტა გრძელი მონოლოგის დროს სკამზე აწრიალებული ბავშვი, რომელმაც იცის, რომ ამ ადგილს ვერ „გადაახვევს“ და ამიტომ იძულებული გახდება მოსმენა ისწავლოს, საოცრად სწორი შეფასებები და გულწრფელი ემოციები — ეს ყველაფერი ინტერნეტის და თეატრის კონკურენციაზე ზრდასრულების სერიოზულ საუბრებს

ცოტა სასაცილოს ხდის.

ჩემი ბავშვობა იმ დღეს კარელ ჩაპეკის „კატის ზღაპარი“ დაბრუნდა. გულწრფელი რომ ვიყო, ბავშვური ემოცია ნამდვილად არ დამბრუნებია, მაგრამ რამდენჯერმე დავიჭირე ჩემი თავი იმაში, რომ ვიხსენებდი, რა გრძნობები და შეფასებები მექნებოდა ამ სპექტაკლზე ბავშვობაში. გამახსენდა, რომ უცილობლად მენდომებოდა პრინცესასნაირი კაბა, მენდომებოდა მეც მყოლოდა ჩემი კატა, გავოცდებოდი კატის ასეთი გაზრდით და გარდასახვით, სახლში დაბრუნებული ფერადი ლენტებისგან აუცილებლად გავაკეთებდი რაღაც იმ სასახლისმაგვარს, რაც სცენაზე იდგა და რაც მთავარია, დავსვამდი გაუგონარი რაოდენობის კითხვებს, რომელზეც ჩემი მშობლები ასევე გაუგონარი სიმშვილით გამცემდნენ პასუხებს ან აუცილებლად მომცემდნენ რაიმე საკითხავს, სადაც მათზე მე თავად ვნახავდი პასუხს. მე არც გამორჩეული ბავშვი და მით უფრო, არც ვუნდერკინდი არ ვყოფილვარ. უბრალოდ, ის ყველაფერი, რასაც ახლა „სწორად განსაზღვრულ“ „ჟანრს“, „სცენოგრაფიას“, „მხატვრობის ოსტატობას“ თუ „რეჟისურას“ ვუნოდებთ, მოზარდის შეგრძნებების მანიპულატორია და ბავშვიც ამ ყველაფერზე რეაგირებს.

სპექტაკლი „კატის ზღაპარი“ (რეჟისორი: მიხეილ ანთაძე) ჩემთვის პირველ რიგში იმითაა მნიშვნელოვანი და საინტერესო, რომ, ბავშვებს (და შესაძლოა არა მხოლოდ მათ) პირობით და ასოციაციურ აზროვნებას აჩვენებს. მაგალითად, სცენიური გარემო (სცენოგრაფია: ქეთი თოდაძე) კონტრასტებით ლაპარაკობს — ატლასის ფერადოვანი ლენტებით შექმნილი „მდიდრული“ სამეფო სასახლის გვერდით გრძნეული ბებიას თოკებით გაკეთებული „ღარიბული“ ქოხია. ბავშ-

ვის ფანტაზია მათ უკვე თეატრალური ენის და ხერხების დახმარებით განასხვავებს. მართალია ეს ჯერჯერობით გაუაზრებლად ხდება, მაგრამ სამომავლოდ თეატრში ის აუცილებლად დაელოდება მსგავს საინტერესო მინიშნებებს, რომლებიც თავად უნდა ამოხსნას. ბავშვური თამაშის წესებით, რომელსაც „ვითომ-ვითომ“ ქვია, ამ სპექტაკლის შემოქმედებითი ჯგუფი სწორად და გამიზნულად თამაშობს. მხატვრული გაფორმების შესახებ გავაგრძელებ საუბარს, და ვიტყვი, რომ როდესაც საქმე მოზარდს ეხება, ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გემოვნების საკითხი. უნდა აღვნიშნო, რომ რეჟისორი, რომელმაც თავად გააფორმა სპექტაკლი მუსიკალურად, ბავშვებს სცენიდან თემატურ და გემოვნებიან მუსიკას სთავაზობს.

საერთოდაც, აღსანიშნავია „კატის ზღაპრის“ შემეცნებითი ფუნქცია, რომელიც სპექტაკლის მეორე მოქმედებაში განსაკუთრებით აშკარა ხდება. დეტექტივი სიდნი პოლი (დათო ხახიძე), რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობს, სპექტაკლის მაყურებელს ამ ქვეყნების კულტურას და ისტორიას აცნობს. იტალიის, ეგვიპტის, იაპონიის, ინდოეთის და ამერიკის კულტურა ბავშვების თვალწინ დამახასიათებელი პერსონაჟებით, ატრიბუტიკით, თუ გარემოთი ცოცხლდება. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მეორე მოქმედება ბავშვებს ოდნავ ღლის, მიუხედავად იმისა, რომ მსახიობს და რეჟისორს არაერთი პროფესიული მცდელობა აქვთ, ეს წარმოსახვითი მოგზაურობა ვიზუალური თუ ხმოვანი რიგის საშუალებით საინტერესო და მრავალფეროვანი გახადონ.

რაც ყველაზე მთავარია, სპექტაკლი სიკეთესა და მის ყოვლისშემძლეობაზეა. რაც არ უნდა ირონიულები ვიყოთ ზრდასრულები ამ საკითხის მიმართ, ეს ირონია ბავშვის რწმენაზე ძლიერი მაინც არაა და ეს უკვე ყველაფერს ნიშნავს. თანაც მნიშვნელოვანია ის, რომ სპექტაკლის შემოქმედებითი ჯგუფი ზღაპრის ავტორთან ერთად სიკეთეს მხოლოდ საცოდავი და სულელი არსებების თვისებად არ წარმოაჩენს. სიკეთის კეთებასაც გულის გარდა გონებაც სჭირდება, რაც ზღაპრის გმირებმა ძალიან კარგად იციან, ხოლო მსახიობები კი ამაში ბავშვების დარწმუნებას ცდილობენ.

რაც შეეხება მსახიობების თამაშს. თითოეულზე ცალკე ვერ მოგახსენებთ, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ მათ შერჩეული აქვთ თამაშის ძალიან საინტერესო ხერხი. ისინი ძალიან ზომიერი იუმორით და მხოლოდ უფროსებისთვის შესამჩნევი ირონიით წარმოადგენენ თავიანთ გმირებს. სათქმელის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება აგრძელებს ან პირიქით, საფუძველია სპექტაკლის პირობითი ფორმის. ორივე შემთხვევაში, სპექტაკლში ეს სინთეზურია და შემოქმედებითი ჯგუფის განწყობას გამოხატავს. აქვე მინდა ვთქვა, რომ სხვათა შორის, უფროსებიც ამ წარმოდგენაში მათთვის ძალიან ბევრ საინტერესო მინიშნებას ამოიკითხავენ ჩვენს ყოფასთან მიმართებაში, რაც რეჟისორისთვის ასევე ერთგვარი ირონიის საფუძველი გამხდარა. ასე რომ, ვინც ბავშვობაში დასაბრუნებლად მზად არ არის, მას შეუძლია

უბრალოდ დაესწროს სპექტაკლს. მერნმუნეთ, კარელ ჩაპეკის კატა, ჯადოქარი, პრინცესა, მეფე თუ სხვა პერსონაჟები „მოზარდის“ სცენაზე მათთვისაც მოიფიქრებენ რაიმე საინტერესოს.



ნიკა ჯუღუციძე

ოჩიოლა სისყვა

„ხახის ზღაპარი“

მაყურებლის გემოვნების ჩამოყალიბება ურთულესი საქმეა. ამ პრობლემის გადაწყვეტა კი, უპირველეს ყოვლისა, ევალება ორ — თოჯინებისა და ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალურ საბავშვო თეატრს. პატარაობიდანვე ბავშვი შეაჩვიო თეატრში სიარულს, ასწავლო საკუთარი რიგისა და ადგილის მიგნება და მიაწოდო სანახაობა მისთვის გასაგებ ენაზე, ურთულესია.

ის, რაც მე ვიხილე ცენტრალურ საბავშვო თეატრში, ამ ყველაფრის სანიშნო გამოვლინებაა. საუბარი მაქვს მსოფლიოში ცნობილი ჩეხი მწერლის, კარელ ჩაპეკის ზღაპრის მიხედვით დადგმულ სპექტაკლზე „კატის ზღაპარი“, რომლის ინსცენირება, დადგმა და მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის თეატრის მმართველს — მიხეილ ანთაძეს.

მსახიობების მიერ სწორად გათავისებული პერსონაჟები, ულამაზესი დეკორაცია და რეჟისორის ფანტაზია გიქმნის შთაბეჭდილებას, რომ სცენაზე მიმდინარე მოქმედების უშუალო მონაწილე ხარ. გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ ყოველივე ეს მარტო ბავშვებისთვის კი არა, ჩემთვისაც ზედმინვნით სასიამოვნო გახლდათ.

მჯერა, რომ ეს სპექტაკლი უთუოდ იქნება საწინდარი იმისა, რომ საბავშვო (ყოფილმა მოზარდ მაყურებელთა) თეატრმა ძველი დიდება დაიბრუნოს.



მზა კვალიაშვილი

# ნანა ცინცაძე

## ეხა ხვალაშვილი

მარო თარხნიშვილის შვილთაშვილი, უფრო შორეული გენეტიკით დიდი გიორგი სააკაძის შთამომავალი, არაჩვეულებრივი მარიკა კვალიაშვილის ძმისშვილი...

მოკლედ, ის ქალბატონი, რომლის შემთხვევაშიც არ გამართლდა გამონათქვამი: „გენიოსების შთამომავლებზე ბუნება ისვენებსო“. ეკა კვალიაშვილი ის ნიჭიერებაა, რომელიც არასდროს დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ.

იმ ასაკში, როდესაც ბავშვები პირველ სიტყვებს და მყარად სიარულს სწავლობენ, ეკამ პირველი ჰონორარი მიიღო. ის მაშინ წლისა და რვა თვისა გახლდათ. მარო თარხნიშვილზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში ხალხური სიმღერა შეასრულა. ფილმი ინახება საქართველოს ოქროს ფონდში. იმავე წელს, საქართველოს ტელევიზიით, საახალწლო პროექტში მიაღებინეს მონაწილეობა და ციცქნა გოგონა ქალბატონმა ჯულიეტა ვაშაყმაძემ სკამზე დააყენა. მას შემდეგ სიმღერა ეკასათვის სასიცოცხლო ფუნქციის მატარებელი გახდა. ბავშვობაში დამჯერსა და მორიდებულს თითქმის არ სჭირდებოდა შენიშვნის მიცემა.

ოჯახში ყველა მღეროდა. დედა, ქალბატონი მზია მარგალიტაძე ქართული სიტყვისა და ლიტერატურისადმი სიყვარულს უნერგავდა. რაც შეეხება მამას, ბატონ ფირანს, იგი ეკასათვის დარჩა, როგორც ჭეშმარიტი მამაკაცის სიმბოლო... აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბატონი ფირანი მრავალი შესანიშნავი ლექსის ავტორია.

ეკას ყველა პიანისტის არაჩვეულებრივ კარიერას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ თვითონ სიმღერით იყო „მონამლული“, სიმღერის გარეშე არ შეეძლო... თუმცა მუსიკალური სასწავლებელი ფორტეპიანოს განხრით დაამთავრა. გოგონას ნიჭიერება არავის დარჩენია შეუმჩნეველი და სკოლის დამთავრებისთანავე, მისივე ბავშვობის მეგობარ, თემურ თათარაშვილთან ერთად, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჯაზ-ორკესტრში მიიწვიეს სოლისტად და რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ იქვე ჩააბარა ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე, თუმცა ამ პროფესიით არასოდეს უმუშავია.

გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეკასთან ერთად პოლიტექნიკური ინსტიტუტი ნებისმიერ კულტურულ ღონისძიებაში პირველობას არ თმობდა და ყველა კონკურსიდან გამარჯვებული გამოდიოდა.

შემდგომ, როცა უკვე ინდივიდუალურად მოუწია მრავალ ადგილას საქართველოს სახელის წარმოჩენა, ეკა ყოველთვის იმ სიმაღლეზე იდგა, რომ მწვერვალების დაპყრობა საოცნებოდ არ გახდომია. ალბათ, არავისთვის სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ეკა კვალიაშვილი ის მომღერალია, რომელიც ერთნაირი სიძლიერით მღერის ყველა ჟანრში, რომელიც ბოლომდე იხარჯება და კარგად აქვს გაცნობიერებული სიტყვა „პროფესიონალიზმის“ ნამდვილი არსი.

რა რაკურსითაც არ უნდა შევხედოთ ეკა კვალიაშვილის ფენომენს, ერთი რამ ცალსახაა, მისი ნიჭიერება გადის ასტრალში და ხშირად ვერც კი გრძნობ, როგორ გეკვრის სუნთქვა მისი სიმღერის მოსმენისას.

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ეკა კვალიაშვილი უამრავი მუსიკალური კომპოზიციისა და სიმღერის მელოდიის ავტორია: „ღარიბი და მოწყენილი“, „დაასხი“, „ისე მომენატრე“, „შენთან მინდა“, „გრძნობები“, „ია უენშიჩინა“, „ხოჩუ“ და მრავალი სხვა...

ეკას ძალიან უყვარს პოეზია და არაჩვეულებრივად იცის სიტყვის ძალა. მისთვის ლექსს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს და მიუხედავად იმისა, რომ არც კალამი უჭრის ცუდად, გამომდინარე მისი პროფესიონალიზმიდან და საკუთარი თავისადმი უსაზღვრო მომთხოვნელობიდან, მისი სიმღერების ლექსების ავტორად ძალიან იშვიათ შემთხვევაში გვევლინება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კომპოზიცია, სა-

დაც მარო თარხნიშვილის ხმა გააცოცხლა და დიდ ბებიასთან ერთად ისეთი ღუეტი შექმნა, რომლის მოსმენაც ემოციის გარეშე შეუძლებელია. ეს კომპოზიცია ეკას ძლიერი გენის დადასტურებაა, რადგან მელოდიის ნაწილი ქალბატონ მარია კვალიაშვილს ეკუთვნის, ლექსის ფრაგმენტები ბატონ ფირანს, შემსრულებლებად კი ისეთი დიდი ბებია და მომღერალი გვევლინებიან, რომლებითაც ნამდვილად შეგვიძლია ვიამაყოთ.

რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ნიჭიერებაზე, საზოგადოებას ყოველთვის განსაკუთრებულად აინტერესებს იმ ადამიანთა პირადი ცხოვრება, რომლებიც ყოველთვის ყურადღების ცენტრში არიან. ცნობილ ადამიანებზე ხშირად ვისმენთ ხალხში გავრცელებულ ლეგენდებს და ჩვენ არც კი ვფიქრობთ იმაზე, რომ მათ ზუსტად ისეთივე ემოციები აქვთ, როგორც თითოეულ ჩვენთაგანს. სწორედ ამ კუთხით მინდა შევაფასო ეკას ცხოვრება.

დამეთანხმეთ, ერთია შემოქმედი და მეორე შემსრულებელი. როგორც არ უნდა იყოს შემსრულებელი, „სიგიჟისა“ და ასტრალში გასვლის მომენტები მხოლოდ შემოქმედთა პრეროგატივაა. ეკა შემოქმედი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, რადგან მის მიერ შექმნილ სიმღერებს მხოლოდ სხვები რომ მღეროდნენ, მას უკვე როგორც კომპოზიტორს შევასხამდით ხობტას. კომპოზიტორს, რომელმაც პირველი სიმღერა 12 წლის ასაკში დაწერა, რომანტიული სათაური „წვიმა“ დაარქვა და დღესაც შედის თემურ თათარაშვილის რეპერტუარში..

ცხადია, ასეთი ნიჭიერი ადამიანი ნებისმიერი სხვა თვისებით გამოირჩეული რომ არ იყოს, საზოგადოება მაინც დაინყებდა მოგზაურობას მისი სულის წიაღში. სინამდვილეში ეკა კვალიაშვილი პირდაპირი და მართალი ადამიანია, რომელიც არასოდეს არ ცხოვრობს სხვისი ცხოვრებით და არც ჭირობით ირთობს თავს. მას ერთხელ უყვარდა ნამდვილი სიყვარულით და ამ სიყვარულის არაჩვეულებრივი ნაყოფია მისი ქალიშვილი ნინო გვალია, რომელსაც მშობლებისაგან ყველაფერი საუკეთესო აქვს ადებული და გარეგნულ მშვენიერებასთან ერთად ბუნებას ხატვისა (ეკას ბაბუა მხატვარი გახლდათ) და სიმღერის ნიჭით ჰყავს დაჯილდოვებული.

ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით და არც ეკაა გამონაკლისი. ბედნიერებისა და ოჯახური სიმყუდროვის ძიებაში იმედის გაცრუებამ, ვფიქრობ, უფრო გაამძაფრა შემოქმედებითი მხარე...

ეკას მრავალმხრივი რეპერტუარი და განუსაზღვრელი შემოქმედებითი პოტენციალი საშუალებას აძლევს წავიდეს საქართველოდან და რომელიმე სხვა ქვეყანაში გააგრძელოს

მოღვაწეობა. აკი სცდა კიდევ... მოსკოვში შესანიშნავად მოწყობილს, ასე მგონია, თან დაჰყვებოდა სტრიქონები: „რა ხელს ჰყრის პატივს ნაზი ბუღბუღი, გალიაშია დატყვევებული“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი. „ბედი ქართლისა“).

ეკა ლალი და ბედნიერი მხოლოდ აქარის, მის საქართველოში, თავის ოჯახთან, ახლობლებთან და სრულიად საქართველოსთან ერთად. მან ზუსტად იცის, რომ ვერასოდეს ვერსად ვერ იცხოვრებს. ის მთელი თავისი მენტალიტეტით მართლმადიდებელი და ქართველია. სწორედ ამიტომ შეიქმნა მის მიერ საოცარი სიმღერა „უფლის სადიდებელი“, რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის კურთხევა მიიღო.


დღეს ეკა კვალიაშვილს შემოქმედებითი და ფიზიკური ოქროს ხანა აქვს. ქმნის ახალ სიმღერებს, გადაიღო ვიდეორგოლი სიმღერაზე „ისე მომენატრე“, მონაწილეობს კონცერტებში, ატარებს სოლო კონცერტებს...

ვუსურვოთ მშვენიერ ქალბატონს არასოდეს შეესვენოს ნიჭიერებას მის შთამომავლობაში და ძალიან დიდხანს არ მოკლებოდეს მისი სიმღერა საქართველოს, ის ხომ ყოველთვის ყველაფერს მხოლოდ ვარდებით იწყებს თავიდან.



ეკა კვალიაშვილი, ნანა ცონცაძე

ფილმიდან „ქუჩის დღეები“



# რუს რომსიძე

## უფიხანი დღეების ახაბილია

გაცვეთილი ნარკომანიის თემა, დაკარგული თაობა, რომელიც ადგილს ვერ პოულობს და ისტორია, რომელიც ცხოვრებაზე ჩაგაფიქრებს. „ქუჩის დღეები“ არ არის მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდი მწარე რეალობაზე — ესაა საზარელი ყოფა მთელი სიმძაფრითა და სიბინძურით გადმოცემული. სწორედ უარყოფითი მხარეები გვიხატავენ იმ სურათს, სადაც არაა დადებითი ემოცია... არის მხოლოდ თანაგრძნობა, უცნაური თანაგრძნობა, რომელსაც წყალნაღებული ნარკომანის ქმედებები წარმოშობს. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მთავარი პერსონაჟი ზუსტად ამ კრიტერიუმებით აირჩია რეჟისორმა. ფილმი „ქუჩის დღეები“ 45 წლის ნარკომანზე მოგვითხრობს, რომელსაც კორუმპირებული პოლიციელები მეგობრის შვილის დაბეზღებას აიძულებენ. ამ შემოთავაზებაზე ის თანხმდება, თუმცა ბოლო წუთს მასში ღირსების გრძნობა იღვიძებს. დაკარგული თაობისა და „ქუჩის ინსტიტუტის“ უარყოფით მხარეებს რეჟისორი რეალურად, ყოველგვარი გალამაზების გარეშე გვანახებს.

„ქუჩის დღეებმა“ ვისბადენის კინოფესტივალზე გრანპრი მოიპოვა, რაც მისი პირველი სერიოზული გამარჯვებაა. თეორიულად განმარტა, რომ „ქუჩის დღეები“ ქართული ნეორეალისტური

კინოს ტრადიციების აღორძინებისკენ გადადგმული ნაბიჯია, სადაც ნაჩვენებია ტრაგიკული ამბავი საოცრად ჰუმანური კუთხით. ნეორეალისტური კინო, რომელიც იტალიაში ჩაისახა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, სტილის თავშეკავებულობითა და ლაკონურობით გამოირჩეოდა, ასახავდა უბრალო ადამიანების ცხოვრებას, ამიტომ გმირებს ყოველთვის არაპროფესიონალი მსახიობები თამაშობდნენ. იტალიურმა ნეორეალიზმმა დიდი გავლენა მოახდინა სხვა ქვეყნების კინოხელოვნებაზე. საქართველოშიც, საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, როცა აქცენტი ძირითადად პოლიტიკურ მოვლენებზე გადავიდა, კინოკამერის ყურადღების მიღმა რჩებოდნენ ადამიანები, რომელთაც პოლიტიკა ნაკლებად აინტერესებდათ. ისინი უბრალოდ იმაზე ფიქრობდნენ, როგორ გამოეკვებათ შვილები, როგორ გადაერჩინათ ოჯახი, როგორ შეენარჩუნებინათ ღირსება. ქართული „ნეორეალიზმი“ სწორედ ამ სივრცეში დამკვიდრდა. რეჟისორები არა მარტო ამ ადამიანთა ცხოვრებას, არამედ საზოგადოებაში მეტნაკლებად ტაბუდადებულ თემებს ასახავდნენ. კინონარმოებაში შექმნილი კრიზისის გამო, რომელიც ძირითადად ხელისუფლების უყურადღებობით იყო გამოწვეული, კონკურენციას ერთმანეთს პროფესიონალი და არაპროფესიონალი რეჟისორები უწევდნენ და საბოლოოდ, გაფილტვრის შედეგად, დარჩა სრული ვაკუუმი, რომელიც დღესდღეობით ცდილობს ნელ-ნელა შევსებას, ოღონდ, ამ შემთხვევაში ეს ცარიელი სივრცე უფრო მეტი შრომის, მეტი ძალისხმევის შედეგად უნდა გაფერადდეს. და ეს ძალისხმევა არ გულისხმობს ფსევდორეალიზმს ან „ვარდისფერ“ ნეორეალიზმს, რომელიც თითიდან გამოწოვილი

თემებით უნდა შეითხზას (გიგა აგლაძის „გოგონა სლაიდიდან“ და დავით იმედაშვილის „ოცნების ქალაქი“), ფართო საზოგადოებამ მწარე რეალობა უნდა მიიღოს ისე, როგორც არის, ყოველგვარი გალამაზების, სიყალბისა და გადამლაშების გარეშე. ეს გზა უფრო მკაცრია, რადგან რეალობასთან გაყენებს პირისპირ, მაგრამ ასე ურჩევნია გემოვნებიან მაცურებელს, რომლისთვისაც არაა უცხო არც ახალგაზრდობა თავისი „სამარიაჟო“ გასართობით და არც „ჩანოლილი“ თაობა, რომელიც მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორი გზით მოიპოვოს წამალი. ეს დეპრესიულობაც, რომელიც ბოლოდროინდელ ქართულ რეალისტურ ფილმებში იგრძნობა, სრულიად კანონზომიერია (ლევან თუთბერიძის „მოგზაურობა ყარაბაღში“, ალექო ცაბაძის „რუსული სამკუთხედი“, ლევან კოლუაშვილის „ქუჩის დღეები“).

ნარკომანია დევიანტური ქცევის ერთ-ერთი ფორმაა. მისი გამომწვევი მიზეზები ძირითადად ფსიქიკურ დარღვევებს უკავშირდება, მკურნალობა კი — უშედეგოა. დღესდღეობით საქართველოში ის ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს. ნარკომანიასთან ბრძოლის უამრავი ხერხი არსებობს: ნარკოტიკული ნივთიერებების შემოდინების აკრძალვიდან დანაწევრების, მისი უარყოფითი მხარეების მუდმივი მუსირებით დამთავრებული. ნარკომანიის თემაზე გადაღებული ფილმებიც, ძირითადად, ამ უარყოფით და დამლუპველ მხარეებს გადმოგვცემს. ჩნდება შეკითხვა: საჭიროა თუ არა ასეთი სურათები და თუ საჭიროა, რისთვის? თემაც თითქოს ამონაურულია. თუ დავაკვირდებით, ესეც ჩვეულებრივი ყოფითი ფილმებია, რომელიც ყოველდღიურობას ასახავს. ნარკომანები არსებობენ და ეს პრობლემაა. შეუძლებელია ამ სენის ძირეული ანალიზი გააკეთო. ნარკომანად ყალიბდები ორი დოზის მიღებისა და არა ერთი პაკეტის ყიდვის შემდეგ. ფატალური შედეგები არანაირად არ აშინებთ თავად მომხმარებლებს. სადღა ვეძებოთ მაშინ პრობლემის გამოსავალი? თითქოს არც ჩანს, თუმცა „ქუჩის დღეებში“ არის ნაჩვენები ერთადერთი გზა — გზა უფლისაკენ.

ფილმში საზოგადოების არც ერთი ფენა არაა წარმოდგენილი დადებითად იმიტომ, რომ ესეც რეალობაა. მხოლოდ ბავშვები ასხივებენ ნათელ ნერტილებად. პედაგოგები, მაღალჩინოსნები, ბანკის თანამშრომლები, პოლიციელები, მშობლები — სამაგალითო გმირს ვერც ერთს ვერ უნოდებ. ფილმში აღწერილი სკოლის ერთ კლასში სწავლობდნენ მინისტრი, ნარკომანი და მღვდელი. სკოლაში, რომელიც მრავალ თაობას ზრდის, მაგრამ პიროვნების განმსაზღვრელი მაინც ბუნებაა. ბუნება, რომელიც ახლობელ ადამიანს არ დაგაბუზღებინებს, გაჭირვებაში მყოფ ძველ მეგობარს უარით გაგასტუმრებინებს და ეკლესიისკენ მიმავალ გზას გაჩვენებს, თან გიხმობს: „ჩემთან როდის მოხვალ?... მოვალ!.. ე.ი. არ დაგემშვიდობები...“

ასეთივე რეალურია თბილისის ქუჩები — გაცრეცილი და გახუნებული ერთფეროვანი ყოველდღიურობით. ამ ქუჩების დღეებს მოიცავს ეს ისტორია, მის ყოველ კუთხე-კუნჭულში მომხდარ


დაძაბულ სცენებს, საუბრებსა და გარჩევებს. ეს ის დღეებია, რომელიც დათვლილია ამ ნარკომანებისთვის... უფროსკლასელთა ის დღეებიც, რომელსაც ვედარაფრით ამრავალფეროვნებენ... ტრაგედიაა, თუმცა ნაცნობი...

ყველაზე ადვილია ჩახმახის გამოკვრა და ყველაფრის ერთ წამში დასრულება... დასრულება სიცოცხლის, რომელიც ძნელი გეჩვენება და სულ იოტისოდენა ღირსებაც, რომელიც შემოგრჩა ამ ცხოვრებაში, უფლებას არ გაძლევს მეგობრის მცირეწლოვანი შვილი განირო საკუთარი ინტერესების გამო. თუმცა ამ მიზეზების გამო ასეთ საქციელს არ აქვს გამართლება. თვითმკვლელობა — ეს არის გაქცევის მცდელობა, რაც ადამიანის სისუსტეზე მეტყველებს. ესაა გაქცევა რეალობისგან და ღმერთის უარყოფა. უპირველეს ყოვლისა, ის ეგოიზმს უკავშირდება, როცა ადამიანი ვერ იტანს სირთულეს, ტანჯვას, მაგრამ გამოსავალს ვერ უნოდებ ასეთ საქციელს.

რეჟისორმა საინტერესოდ აღწერა მთავარი გმირის ტანჯვა, მისი კათარზისიცი, სწრაფვაც ამ ყველაფრის მონანიებისკენ, მაგრამ ის მაინც არ მიდის იმ გზით, რომელიც რამდენჯერმე იკვეთება მისი არსებობის რთულ გზაზე. ანუ ფინალი



თითქოს კანონზომიერად მიდის გაქვავებისკენ, რადგან წინ უკვე აღარაფერი ჩანს ისეთი, რის გამოც შეიძლება კიდევ მოგინდეს ცხოვრება. მაგრამ როცა ასე რეალურად აღწერ თითოეულ ეპიზოდს ქუჩის ცხოვრებიდან, ასეთი მონივნებით გსურს გადმოსცე ყოველი უარყოფითი პერსონაჟის დადებითი მხარე და თანმიმდევრული ნაბიჯებით მიყვები ნეორეალისტურ სქემას, მაცურებლისთვის ძნელად შესაგუებელიც კი ხდება ასეთი უიმედო დასასრული, რომელიც კვანძის გახსნისკენ არაა მიმართული... რადგან ეს სიკვდილი არაფერს ცვლის... და ყველაფერი ძველებური რიტმით აგრძელებს ზუზუნს... ამ ქალაქის ისევე იმ გაცრეცილ ქუჩაში, ისევე ის დაკარგული თაობა, ისევე ის საუბრები და ისევე ის სიმღერა, რომელიც წარსულში გაბრუნებს და ბავშვობას გახსენებს...



შალვა მატუაშვილი

დავით ანდროიძე

# სანი – საზოგადოებრივი ანუ ფიქსირებული დასახლების სდა

„მე — ვარდის სურნელი“  
კონდილიაკი  
„სუნებს ვინცა ფლობს, ადამიანთა  
გულეებსაც ის ფლობს“  
პ. ზიუსკინდი „პარფიუმერი“

„რა თვალი აქვს?!“ — ჩვეულებისამებრ, ასე ვიტყვით ხოლმე კარგ მხატვარზე...

თუმცა, ალბათ, არავინ იტყვის, რა ყური აქვს...

მით უფრო, წარმოუდგენელია, მხატვარზე და საზოგადოდ, არტისტზე თქვან, „რა ცხვირი აქვს?!“

პირისახეს მხატვრისას, წინამდებარე ტექსტში რომ მიხდა ვათამაშო მთავარი როლი, ცხვირი, როგორც ასეთი, ერთობ პროპორციულად აზის...

აი, მისი ოპუსების აღქმისას კი, დიახაც, „ცხვირი,“ ანუ ესთეტიკური ყნოსვის მეტაორგანო გეცემათ თვალში.

ყოველ შემთხვევაში, თქვენს მონამორჩილს, მის სურათებში ფერზე არანაკლებ, სუნი მიზიდავს.

არის რალაც ალქიმიურიც მის ფერწერაში; და ეს „ალქიმიურობა“ უცნაურად შეზავებული იმ პარფიუმერულ სიმპათიურობასთან, დიახაც, თვალში კი არა, ცხვირში რომ გეცემა.

სუნის შეგრძნება გემოს შეგრძნების ანალოგიური — ამას ჯერ კიდევ არისტოტელე შენიშ-

ნავდა.

სახელდობრ, გემოს რაც შეეხება, ეს — ერთგვარი ტაქტილური შეგრძნებაა და ნიჭიერი და უნიჭო ადამიანებიც, შეგრძნების ამ ორგანოთი განირჩევიანო — განაგრძობს დიდი სტაგირელი.

და საერთოდ, მკვრივი სხეულის ადამიანები არ გამოირჩევიან ნიჭიერებით, სუსტი აღნაგობის მქონენი კი, პირიქით ნიჭიერები არიანო — ამასაც „სულის შესახებ“ ტრაქტატის ავტორი წერდა.

უნდა დავუფეროთ!

თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ ჭარბწონიანი ადამიანები, კვებისას გაცილებით ორიენტირებული არიან სუნზე, ვიდრე ნორმალური წონის ადამიანები; საკმარისია მათ საკვებს სუნი „მოვაცილოთ“, რომ ისინი წონაში კლებას იწყებენ.

სხვა საქმეა, რომ სუნი ადამიანის შემოქმედებით უნარებზეც ზემოქმედებს.

სხვათა შორის, სუნის მომავალი რევოლუცია, იმედია, აუცილებლად მოითხოვს პოლიტიკურ ოლფაქტოროლოგთა სპეციალიზაციას, ელექტორატს რომ დაგეგმვენ, თუმცა, გემოვნებიანი ამომრჩეველი ისედაც უნდა გრძნობდეს, თუ რომელ პარტიას რისი სუნი ასდის.

სანამ კალამი უკანმოუხედავად არ გამქცევია, სჯობს, პოლიტიკურ დიატრიბას მოვეშვა და ისევ მხატვრობას მივხედო.

ვის მხატვრობას?

მოდი, ჯერჯერობით, ნუ დავაზუსტებთ — გზადაგზა მივყვეთ სუნის „კვალს“ და ვნახოთ, ვისთან მიგვიყვანს...

ეგებ, კონკრეტულად არც არავისთან არ მიგვიყვანოს და დარჩეს ასე — ანონიმურად; თუმცა, აკი ვთქვი, ამ ტექსტსაც ჰყავს თავისი მოდელი, როგორც პერსონაჟი.

ვნახოთ, როგორ მოიღრგებს (და შეიღრგებს) ამ როლს...

მახლას, ფერწერული ტილოს სუნი, ანდა უკეთესი იქნებოდა თუ ვიტყოდი, სურნელი — ის არომატია, რომელიც მიბიძგებს, გაგჰყვე მის ნაკვალევს და თავისებური ოდოროლოგიური ექსპერტიზაც, ამ კვალზევე ჩაუვტარო.

და საერთოდ, ეტყობა, არტკრიტიკამ, როგორც „გემოვნების კრიტიკამ“, თუნდაც, „ესთეზიოლოგიური კრიმინალისტიკის“ ერთგვარმა დარგმაც, შესაბამისად, უნდა განავითაროს ყნოსვითი რეცეფცია-რეფლექსიის „უნარ-ჩვევები“ (როგორ შემადგულეს ეს სიტყვა!).

მე ახლა, რატომღაც, ვაჟა-ფშაველას ერთი მოთხრობა მახსენდება, ჯერ კიდევ ბავშვობაში ნაკითხული თხზულება — „შალვას ნანახი ხატი“; გამოცემაც მახსოვს: 1961 წელს გამოცემული სქელტანიანი ერთტომეული, ყდაზე — ლაღო გრიგოლიასეული ვაჟას პროფილით...

აი, ხომ ხედავთ, თითქმის გამოცეცდი, ამ ესსეს მოდელსაც შალვა ჰქვია, გვარად — მატუაშვილია...

და ეტყობა, მასაც ჩარჩა ბავშვობაში ნანახი ხატი; მდედრის ხატი... მდედრი და მდედრის სუნი...

„სუნი — საზოგადოდ მდედრის“ ანუ არაცნობიერში განდევნილი და შემდგომ, ფერწერაში რეაბილიტირებული ხატი...

ახლა, ცოტა ხნით, დავივიწყოთ მდედრი და ელემენტარული ინფანტილური დიქტომია გავიხსენოთ: „კარგი სუნი/ცუდი სუნი“.

შალვას ოპუსების თვალყურებისას ანუ ოპტიკური დაგემოვნებისას, ამკარად კარგი სუნი გვცემს; სასიამოვნო სურნელი...

ამ აკურატულ სურათებში ქრომატულ თუ ფაქტურულ-ტექსტურულ არომატთა, მე ვიტყვოდი, „მაზთა“ და „მაზოკთა“ მთელი ორკესტრობაა ჩართული: ფერი სურნელითაა ჩანაცვლებული, სურნელი კი, ფერით...

ეტიენ ჟილსონი წერდა, მხატვარი იმით კი არ ფასდება, თუ რა იცის, არამედ იმით, რისი გაკეთება შეუძლიაო...

შალვა მატუაშვილი „კულტურინდუსტრიის“ მამითადში ჩაბმულ ანგაჟირებულ სოციალურ არტისტთაგან განსხვავებით, ჯიუტად, ისევე „ძველმოდურ“ არტეფაქტთა რეწვითაა დაკავებული.

და ეს პროცესი მისთვის — პალიტრის მომზადებით დაწყებული, პალიტრისავე განმედიტო დამთავრებული — მთელი რიტუალია.

ასეთ მხატვარზე ვერ იტყვი, ერთი ამოსუნთქვით წერსო; და მიუხედავად ამისა, დისკრეტული (წყვეტილი) „ტაქტებით“, ზოგჯერ კი, პუანტებით დაწერილი სურათები მაინც ერთი ამო-სუნ-თქვით აღიქმება...

ყველაფერი (და ყველა სუნი) ეს — გიბიძგებს, ამ იშვიათად გამრჯე ოსტატის პოსტსიმბოლისტურ ოპუსებს, კლასიკური სინთეზური ფერწერისა და მისი კამერული რეტროსპექტივიზმის შლიეფი რომ „დასთრევს“, არა მხოლოდ ვუყურით, არამედ ვიყნოსოთ კიდეც — მარტოოდენ თვალთ, ანდა თვალყურით კი არა, „ცხვირითაც“ დავიგემოვნოთ და ამგვარ ესთეტიკურ რეჟიმში ვეზიაროთ მის აურას.

ასეთი ფერწერის მაყურებელი თავადაც იწყებს მხატვრის შესტების გამეორებას; მხატვრისა, რომელიც ტკბება რა ფერწერით, ისეთივე გონებით აღიქვამს სუნებს, როგორც ეროსში ჩადირული ადამიანი — ტანისმიერ „სისველეებს“.

ამაზე წერდა ჩვენი დღეების ერთი რუსი მხატვარი:

„Запахам живописец относится страстно, как любовник к телестным субстратам – поту, вагинальным сокам, сперме, моче. Это – один из важнейших аспектов удовольствия, приносимого современной живописью.“

ჩვენი ოსტატი ამგვარ სუბსტრატებზე არ რეფლექტირებს; მით უფრო, არ ეპატირებს; და ეს ეროტიკული აღქმაც არაცნობიერში აქვს განდევნილი...

და მაინც, მთელი ეს ოლფაქტორული (თუ ოლფაქტურული) ფსიქოანალიტიკა, საბოლოო ჯამში, ხედვით გვეძლევა; და ეს ბუნებრივიცაა: შემთხვევით ხომ არ ვიტყვით ხოლმე — „შეხედე, რა სუნი აქვს?!“

ამას ჯერ კიდევ ნეტარმა ავგუსტინემ მიაპყრო ყურადღება: *concupiscentia oculorum* — ის განხილვისას, თავისი „ყოფიერება და დრო“ — ის წინამორბედ „პროლეგომენებში“ საფუძვლიანად რომ იმონებეს მარტინ ჰაიდეგერი.

დიახაც, „sed etiam, vide quid oleat“ — შეხედეთ რა სუნი აქვს ამ სურათებსაც; რა გამაბრუნებელი სურნელი...

შეხედეთ და დატკბით!

\*\*\*

დიმიტრი ლიხაჩოვს ერთგან ჩაუნიშნავს ნაბოკოვის ერთობ ზუსტი მოსაზრება კარგი სტილის ზემოქმედების შესახებ, აფორიზმივით რომ იკითხება: „не столько грамматически, столько ароматически“.

არომატი, გარკვეულწილად, გრამატიკაზე მეტია; და ენაც, ამგვარი სურნელებით გვესალბუნება...

დიახ, ენას თავისი სურნელი აქვს...

და სურნელსაც აქვს თავისი ენა; თავისი დისკურსი...


სურნელი მთელი სამყაროა.

სურნელთა სამყარო — ჩვეგან წარმავალი, მოუხელთებელი ქვეყნიერებაა.

ჩვენ ხომ, ყოველწამს ვეთხოვებით „უთვალავი ფერით“ მოძღვნილ, ცოცხალ, მფეთქავ, პულსირებად სინამდვილეს; და ამასთანავე, ვეთხოვებით საკუთარ თავსაც, საკუთარ მუნ-ყოფნასაც; წარ-სულისათვის (და წარ-სუნი-სათვის) ნაანდერძევ ყოველდღიურობას...

ცხადია, „სუნებში“ მარტოოდენ „პარფიუმები“ არ იგულისხმება.

როლან ბარტისათვის, მოგონებათა არომატული გზამკვლევი — მუნიციპალური ბიბლიოთეკაც იყო, როდესაც ის სვეტონიუსისა და მარციალეს მიხედვით სწავლობდა სქესობრივ ცხოვრებას, ქალაქის მტვერი და ნებოც ბოსიერის სახელოსნოში, პიანინოებს რომ არემონტებდნენ, კაკაოს სუნიც, ბაიონაში რომ ადულებდნენ... და საერთოდ, ჩემი ბავშვობის სუნი, მანდალას ეს ჩაკეტილი სამყარო — „პანია ბაიონას“ გარშემო იყო თავ-





მოყრილიო — იგონებს ბარტი.

ჩვენს ვირტუალურ მედიარეალობაში არომატმა, როგორც ასეთმა, რახანია დაკარგა უნიკალური სინამდვილე; კლოდ ლევი-სტროსისა არ იყოს, არომატს ახლა „სიბრიყვის სუნი“ ასდის...

„ქსელური თამაშების“ აბლაბუდაში გახვეულნი, ინფორმაციის ნაკადს სურნელის, ამ უკვე შემთხვევითი და სადღაც, პერიფერიაში მოსროლილი კუნძულიდან მომდინარე არხით ან ალარ ველით...

ადამიანმა დაკარგა ის, რაც შეინარჩუნა ძალმა.

ვიარესლავ ივანოვისეულ „სპილოს ძეგლის კომპი“, ნიკალაი ბერდიაევის სიმბოლოდ, სწორედ ძალმა მოხმობილი; და ეს — ის ბერდიაევი, მთელი სამყარო სუნთა სიმფონიად რომ სურდა გარდაესახა.

სიმფონია — ერთი და, სუნთა ერთგვარი გამოფენაც შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა; თუმცა, ბაზელში არ მოახყვეს ასეთი ექსპოზიცია?!

ნელან სუნთა სიმფონია ვახსენე და ახალა გამახსენდა პოლ ვალერი, რომელიც წერდა; „ჩვენ არ შეგვიძლია, და მამასადამე, არც ვიცით სურნელთა ურთიერთდაკავშირება. ოჰ, რა მუსიკა შეიქმნებოდა!“

ცოტა ქვემოთ კი, „ზღვის სასაფლაოს“ ავტორი იტყვის: „სურნელთა თანმიმდევრული მწკრივი უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ აზრების თანმიმდევრულ მწკრივს იწვევს, მაგრამ ბგერათა თანმიმდევრული მწკრივი შეიძლება აღნიშნავდეს რაიმე ახალ არსს, ვინაიდან შეიძლება შეესაბამებოდეს ამა თუ იმ რთულ მოქმედებას“.

აი, რატომ მიაჩნდა ამ საოცარ ესთეტს (და არა „ესთეტიკოსს“), რომ განკერძოებული ბგერა, საერთოდ, უფრო მეტად, არარაა, ვიდრე განკერძოებული სურნელი.

შალვა მატუაშვილიც, არა იმდენად განკერძოებულ ფერს, რამდენადაც განკერძოებულ სურ-

ნელს უფრო ენდობა; სურნელთა თანმიმდევრული მწკრივის უფრო ასახვენ მისი თაიგულები, ვიდრე ფერთა მწკრივს, ფერთა რიგს, ფერთა ჯვარს („რკაულად ხრის...“).

\*\*\*

„Старая литература существует в новой литературе как - бы без прописки“ — წერდა ვიქტორ შელოვსკი.

„ძველი ოსტატების“ ტეხნეც „ჩაუნერავად“ არსებობს „ახალ ფერწერაში“.

მთავარია, არ გეშინოდეს „სხვისით“ საზრდობის, მით უფრო, რომ „არაფერია უფრო ორიგინალური, უფრო ჩვენი ული, ვიდრე ის, რომ სხვებისგან ვსაზრდობთ. ოლონდ, საჭიროა მისი მონელება. ლომი კარგად ასიმილირებული ვერძისგან არის შექმნილი.“ ესეც — ვალერია!

რაც შეეხება „ახალ ფერწერას“, ისიც ხომ ძველდება?! მთავარია, სურნელი შეინარჩუნოს... და ჰერბარიუმად არ იქცეს. ყოველ შემთხვევაში, „ახალი ფერწერითაც“ შეიძლება არომატთა დაგემოვნება; დაგემოვნება და მისი რეპრეზენტაცია... ეს არომატი ხანდახან, სურათის ნარატივადაც შეიძლება მოგვევლინოს; ოლფაქტორულ — დეზოდორანტულ ნარატივად...

ასეთი, ლატენტური ნარატივით გვიტყუებენ შალვას ოპუსებიც; თუმცა, ეს ნარატივი თვით ამ ოპუსებში სულაც არაა გაშლილი და თემატიზებული — ამ „ყვავილებს“ წყალი ჩვენ უნდა უუსხათ და გავახაროთ...

მაინც, რა საოცარი რამაა ეს „სუნი“; სუნი და სურნელი...

სუნს ენდობა და ძალიანაც ენდობა ადამიანი; სუნში არ ეგულება უნდობლობის ისეთი ფილტრი, აუდიო თუ ვიზუალურ „ნეთვორკებს“ რომ ახლავს...

ადამიანს შეუძლია, დახუჭოს თვალები, დაიცვას ყურები, მაგრამ ძნელია, ძნელი კი არა, შეუძლებელია, არ დანებდე არომატს... ყბადაღებული ზიუსკინდისა არ იყოს, არომატი — სუნთქვის ძმაა; ადამიანი კი, მოკვდება, თუ არ ისუნთქს.

ერთი კია: სუნ-თქვის (და სუნ-თქმის) მართვაა ძნელი, რაც თავად პარფიუმთა, მისი უდიდებულესობა — სუნთა ფიზიკური „სისუსტიდანაც“ მომდინარეობს; სუნი, რომ გამანძილებსას, იოლად ინთქმევა — გზას ვერ უძლებს; და მეორეც, თავის ერთგვარობას კარგავს — „სხვასთან“ შეზავებისას ნადგურდება ანდა სულაც, ახალ სუნს წარმოშობს.

ახლა წარმომიდგენია, როგორ „თხზავდა“ ახალ-ახალ სუნებს ჰენრიხ ბროკარი; პარფიუმერი, ხელოვნების ნიმუშებს რომ აგროვებდა (და ალბათ, ბროკერობდა კიდევ!).

და კიდევ: გავისხენოთ, თუ როგორ ლამობდა მარსელ პრუსტი თავისი ხსოვნის — სუნითა და გემოთი სტუქტურირებას; და ეს იყო დროისა და სივრცის მიღმა გა-დარჩენილი ინფორმაციის ერთადერთი „მატერიალური მატარებელი“, ერთადერთი დოკუმენტი, რომელსაც შეეძლო, ცხოვრების ნებისმიერ გაეღვებაში, წარსული — ანმეოსთან დაეკავშირებინა.

ესეც — პირველადი გრძნობადი საწყისი, პროტონინდივიდუალურიცა და ასუბიექტურიც, შემოქმედი ხსოვნის ძირითად მტვირთველად რომ გვევლინება!

სხვათა შორის, ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, სურდოთი ვარ შეპყრობილი და ხელშესახებად ვგრძნობ ვიეტნამური ბალზამის სუნს...

მაინცდამაინც, ვერ მიშველა!

სხვა რა გზა მაქვს; ისევე „ტაიქოლდს“ დავლევე, მერე „ხალიკსოლსაც“ დავაყოლებ, ბანანის არომატითაა — ხველებას შველისო... და განვაგრძობ...

ისე, თუ თქვენც გაციებთ, გირჩევთ, მომზადოთ — *vide quid sapiat* — შეხედეთ, რა გემო აქვს?!

ესეც — რეკლამა!

ახლა კი, ერთად შევხედოთ, რა გემო აქვს ჩვენი ნახევრადვიტუალური ავტორის ფერწერას. უბრალოდ, შევხედოთ...

\*\*\*

„იყო შარლ ბოდლერი: „მწარე და ძვირფასი...“

და მან შემოგვთავაზა ოპოზიცია: მოდერნი/ანტიკურობა. პოსტმოდერნმა ანტიკურობა ლამის თავიდან ბოლომდე განდევნა რეზერვაციაში; ბოდლერის დროს კი, ანტიკურობა, თუნდაც, კულტურულ-აკადემიური ოფიციალობის ჩარჩოებში, ეტყობა, მაინც თავისებური რეალობა იყო. ასეთი რეალობა ჩვენთვის რახანია, მოდერნია; წარსულში გადაბარგებული, მაგრამ, მაინც — რეალობა...

„ბოროტების ყვაილები“ ავტორს აქვს ესეთი ესლე: „*le peinture de vie moderne*“ („მხატვარი თანამედროვე ცხოვრებაში“), ვინმე ბ-ნ გ-ს () რომ ეძღვნება. ბოდლერის სიცოცხლეში, ერთობ პოპულარული ყოფილა ეს გიუი — ზედმეტი ფული როგორც კი გაუჩნდებოდა, მის ლითოგრაფიებში ხარჯავდა თურმე პოეტი.

ეჰ, დღეს ვიღას ახსოვს გიუი; თუმცა ფაქტია, რომ თავად ბოდლერის ფავორიტი მხატვარი ყოფილა... რაც მთავარია — რისთვისაც გავიხსენე ეს მივიწყებული ოსტატი — ბოდლერმა მისი მხატვრობის კვალობაზე გამალა, არტისტული მოდერნიზმის ერთგვარი კონცეფცია.

მაინც, რაში ხედავდა ბოდლერი გიუის ოპუსების ღირებულებას?

იმხანად გავრცელებული, ანტიკურობის „რეპროდუქციებისაგან“ განსხვავებით, პოეტს (და კრიტიკოსს) იზიდავდა მხატვრის მსუბუქი ჩანახატები — *croquis*, ნამიერი გაელვებანი რომ იყო ალბეჭდილი; ნაპოლეონ III-ის საფრანგეთის ყოველდღიურობისა თუ ფიესტათა გაელვებანი...

უნინაც, XVIII საუკუნეში იყო ამგვარი „მანერა“ გავრცელებული, ოლონდ, მოუხელთებელი ხანიერებით აღსავსე ეს მყისიერება და სწრაფმავლობა, თანაც, მარადიული ჰარმონიის ნიშნით შემოსილი — სწორედ გიუის ლითოგრაფიებში განჭვრიტა ბოდლერმა.

დიახაც, ეს ოპუსები დააიმედებს პოეტს, რომ თანამედროვეობაც შეიძლება გახდეს ანტიკურობის ღირსი და სადარისი.

ამ კონტექსტში ბინარული წყვილი მოდერნი

VS ანტიკურობა იმ რეჟიმში „მუშაობს“, რომ ანტიკურობას კი არ უნდა ჩაენაცვლოს თანამედროვეობა, არამედ გახდეს მის სწორფერი; წარმავალი და ტრანზიტული უნდა იქცეს მარადიულისა და ფუნდამენტურის კორელატურად.

და მაინც, ბოდლერი ჯერ კიდევ მერყეობს: მოდერნსა და ანტიკურობას ხან კონტროვერსიად განიხილავს, ხანაც — სიმეტრიულ დიადად მოიაზრებს.

უცნაური (იქნებ, საცნაური?) ისაა, რომ საკუთრივ პოსტმოდერნში ესახებათ მოდერნი — მეორე ანტიკურობად.

ეს ექსკურსი იმისთვის დამჭირდა, რათა ბოდლერის ნააზრევიდან ამომელო ძირეული პოეტოლოგიური ესენცია: „მისტერიული სილამაზე“.

„საიდუმლო სილამაზე“ ის ესენციაც, რომლის გაზავებითაც შეიძლება „გავიგოთ“ ჩვენი მხატვრის ოლფაქტორული (სენტი) მენტალობა.

„საიდუმლო სილამაზე“ ანტიკურობის ესენციალიც...

რაც შეეხება ანტიკურობა II-ს, სულაც არაა აუცილებელი, მან თანამედროვეობის ხომალდიდან „პირველი“ გააძევეს; პირიქით: ახლა უფრო აშკარაა, რომ საკუთრივ მოდერნს ხელეწიფებოდა, ხელახლა აღმოეჩინა ანტიკურობა; და გარკვეულწილად აღმოაჩინა კიდევ, თუნდაც მეორხარისხოვანი ატრიბუტიკის ანდა კონსტრუქციულ-სტრუქტურული ინვარიანტების სახით.

თუმცა, ყველაფერი ეს, მაინც „ზედაპირია“.

ძირეული რაც მოდერნმა „აალორძინა“, ეს იყო ელადის ატმოსფერო და ელემენტარულად, ლიბერალური ხელოვნების აურად აქცია.

მოდერნული სნობიზმი და ელიტარიზმი პოსტმოდერნში ეგალიტარიზმად და პლებეურობად „იკითხება“.

ამას განიცდის მოდერნის ადეპტი არტისტი





და ცდილობს, ანტიკური სამოსი „მოდურივით“ მოირგოს ტანზე; და ისე აიტანოს „სხვისი“ პოსტ-მოდერნული მეტასტაზებით გამოწვეული ტკივილები.

\*\*\*

„არის რაღაც ანტიკური“ მის არომატულ სამყაროშიც...

თუნდაც, იმის გამო, რომ გამოთქმა — „არომატა ქვეყანა“ — ბერძნულ წარმოდგენებს უკავშირდება და მარსელ დეტიენის ნიგნს — „ადონისის ბალებს“ თუ დავიმონმებ, (და დავიგემოვნებ), არაბეთის ნახევარკუნძულთან ასოცირდება.

მაინცდამაინც, არაბეთზე რა მოგახსენოთ და, ჩემი წარმოდგენით, შალვა მატუაშვილისეული ფერწერული ტოპოსებიც, არომატა კუნძულები და ნახევარკუნძულებია; არომატა „უცხო სამოთხეები“...

ამ კოლორისტულ-ლუმინარისტულ პარადიზებში *comme on le parle*, საშვი მარტოოდენ ზიარებულ პარფიუმ — ესთეტებს თუ ეძლევათ.

ჩვენი „ავტორის“ მეზო თუ ტრანსფიგურატიულ ოპუსებშიც, სამოთხისეული წარმომავლობის, ნექტარითა და ამბროზიით დამათვრალი პერსონაჟები ბარბაცებენ, ვიბრირებენ, ლივლივებენ...

მათი „მუშკ-ამბრით დაზელილ ტანის“ (ტიციან ტაბიძე) ფერწერულ ქსოვილში კი, მარტოოდენ ნელსურნელება კი არა, შიგადაშიგ, ოფლის სუნიც რომ ახლავს, ძვირფას თვალთა ელვარება გამოკრთის...

ასე ლაღობენ სარდიონი და ზურმუხტი, ლალი და საფირონი, ამმა და ბივრიითი...

მერე, ასოციაციურად იღვიძებენ „არ ნუვოსეული“ დიაცები: სალომეა და სულამითი, კლეოპატრა და ივდითი, ლორელეი და დანოა... ეს, როგორც ვალერი ბრიუსოვი იტყოდა, „გვირგვინოსანი ჰეტერები“...

მხატვარი ერიდება „ვნების ტეხას“ (გრ. რობაქიძე), არ ცდილობს ამ ეროტიკული სიზმრისაგან გამოღვიძებას, საკუთარ თავში ჩაძირული ექსტაზის — ვნების პათოსად და დრამატულ ენერგიად გადმოღვრას...

და არც ამ ქალთა სილამაზეა მაინცდამაინც აღსავსე „დემონური არევ-დარევით“; არაა საშიში და შემამფოთებელი; მათი ეროტიკა გულზე არ გადის და როგორც გალაკტიონი იტყვის თავის ერთ ესსეში, ისინი ამ ვნებას არ ჭეჭყენ თავიანთი ფესაცმლის ქუსლებით...

ასეთ დიაცთა „ტანის ენა“, ამჯერად ჰელენ სიქსს თუ დავესხებები, არ გვევლინება „რევოლუციური აღსარების“ ფორმად, რომლის ტრანსგრესიული ენაც დაემუქრებოდა პატრიარქალურ ჰეგემონიას, გააშიშვლებდა მას და განუცხადებდა: „დაე, ძრწოდნენ ღვთისმოსავნი, ჩვენ მათ ჩვენსავე ტანს წარვუდგენთ“.

ეს ქალები არც ისტერიულნი არიან (ისტორიულნი — კი, ბატონო!).

მათი სიშიშვლე რადიკალურ-დეკონსტრუქტივისტული პროტესტის ფორმად არ გადაიქცევა; ისიც ნიშანდობლივია, რომ „ტანთმეტყველება“ ამ დიაცებისა, როგორც უდრტივინველი დისკურსი მასკულინი ავტორის „ფემინისტური“ ფერ-წერის ნაკვალევშიც ვლინდება, თუმცა, ეს ნაწერი პრინციპულად განსხვავდება *l'écriture feminine* — სპოეტიკისაგან, საკუთრივ ქალურ-ისტერიული ტანის რეანიმაცია რომ გულისხმობს, ხოლო დეფორმაციის მიღმა დეფექტური „სხვაგვარობის“ რეპრეზენტაციას მოასწავებს.

რიჩარს ბარტონს უთქვამს, მსახიობი — მამაკაცი მუდამ, ოდნავ უფრო ნაკლებია, ვიდრე საკუთრივ მამაკაციო...

რეპრეზენტაციის დისკურსი, ეტყობა, რაღაცას აკლებს მასკულინურ თვისობრიობას, თუმცა, იმავდროულად, ამძაფრებს მამრული „თვითობის“ ძალადობრივ ინტენციას.

მეტიც, ანდრეა დგორკინის კონცეპციით, ძალადობის სუბიექტი და კულტურის სუბიექტი, ერთ პუნქტში იყრიათ თავს; და სწორედ ესაა „მამრული თვითობა“.

შალვას ფერწერულ ენაში, მიუხედავად მისი „ლანდებთან ლაციცისა“ უწინარეს ყოვლისა, მამაკაციური ძალაუფლება იგრძნობა; და ესაა „თვითობის“ პირველი მეტაფიზიკური მტკიცებულება.

ამ გაგებით, იგი ტიპიური ფალოცენტრისტული ორიენტაციის მხატვარია — ანტიპოსტმოდერნისტი!

ასეა თუ ისე, „შალვას ნანახი ხატი“ ქალისა ანუ მისინა-ყოფიერი, ფერტილური („ფერწერული ტილოს“ სიმპოზიტი არ გეგონოთ!) მდებრები, „რძის ნიღბებით“ ვუალირებული ნიუები, რაღაც ბუდუარულ სივრცეში რომ ნებივრობენ, შეზრდილნიც არიან ამ ტოპოსებთან, მათ არომატიზებულ (დის) კონტინუუმში გაზავებულნი, ზანტად გამდინარე დროსთან უნისონში იმყოფებიან...

ასეთი ფერწერითაც შეიძლება შევი(მე)ცნოთ, რომ „ნუთისოფელი მხოლოდ ქიმიზმია და ყნოსვაა ტანებისა... სული ნვალების აორთქლებაა, იდეა — ნვის ასხივოსნება“ (კონსტ. კაპანელი).

„Тело есть начало духа. Корень духа. А дух есть знак тела“.

ეს — უკვე როზანოვია; ვასილი როზანოვი... სული, როგორც ტანის სუნი — მართლაცადა, მოსწრებული ოლფაქტორული კალამბურია.

და ეს ამულეტიც, გულმონყალედ მინდა ვაჩუქო ჩვენს მხატვარს.

\*\*\*

ჩვენი ყოველდღიურობა — „სიშიშვლის თეატრია“... და მხატვარიც, „სხეულის ისტორიას“, როგორც დემარკაციის ნარატივს, ისე წარმოგვიდგენს.

ასეთი მარკერებია: წინდები, ქამარი, ხელთათმანი, სამაჯური...

ისინი მით უფრო, მაცდურად აღნიშნავენ ქალის ტოტალური სხეულის ეროტიულობას.

შელებილი ტუჩები თუ მაკიაჟიც — მდებდრის ტანის სტრუქტურული რეფლექსიის ინსტრუმენტებია.

შელებილი ბაგენი უკვე, აღარ გამოსცემენ სიტყვას: ნახევრადლია ტუჩების ფუნქცია აღარაა: არც მეტყველება, არც ჭამა, არც ლებინება, არც კოცნა...

ასე იკავებს „შთანთქმა/ამონთხევის“, როგორც სიმბოლური გაცვლის ამბივალენტურ-ფუნქციონალურ ადგილს პერვერსიული ეროტიკულ-კულტურული ფუნქცია.

ცხადია, ფერწერულ კომპოზიციაში სხეულებრივ მარკერებად მით უფრო გვევლინებიან განათების პარტიტურა, ლუმინარისტული ინსცენირება... ვირტუალური რამპის შუქზე, ეს დიაცები მით უფრო მაცდურებად გამოიყურებიან.

ყველა სიტუაციაში, საქმე გვაქვს ქალური ერექციის ნაირსახეობასთან; ერექციისა, რომლითაც ხდება მამაკაცური ხვაშიადის „დაჭერა“.

სტრუქტურათა ამგვარი მედიაციით კი, ეს ხვაშიადი კარგავს თავის აბსოლუტურობას და გარიგების საგნად, ფალიურ ნიშანთა თუ ღირებულებათა ბარტერად და ფალიურივე ექვივალენტებით გათანაბრებად წარმოგვიდგება.

ესაა ეროტიული სიამოვნების გაცვლა, თანაც ფალიური „დაგვირგვინების პროცესში — სექსუალური ნდომის „პოლიტიკონომის“ პარადიგმული სიტუაცია.

იგივე ითქმის თვალეზზე ჩამოშვებულ თმებზე და საერთოდ, თვალთა ნებისმიერ ხელოვნურ გაფორმებაზე, როგორც მზერის ვუალირებაზე და კასტრაციის ექსპრესიულ ნიშნებზე...

მხატვარი „ზუსტად“ მონიშნავს სიმბოლური გაცვლის პრივილეგიებულ ადგილებს და ეროტიკული სიგნიფიკაციის პროცესში რთავს ქალის ტანის როგორც „წმინდა“, ისე „უნმინდურ“ ნაწილებს; საგანგებოდ ზრუნავს ეროტიკულ მიზანსცენაზე, როგორც ფალიურ სიმულაციასა და კასტრაციის განმეორებად, პერსევერირებად სანახაობაზე.

რაც შეეხება მამრებს, ისინი დემარკაციას, როგორც ფალიური დერივაციის „მუშაობას“ ნაკლებად ეშუებიან და ფეტიშ-ობიექტებსაც ნაკლებად წარმოადგენენ.

ასეა თუ ისე, მხატვრის ოპუსებში, სხეული თუ სხეულის ფრაგმენტი მუდამ მკაცრ ეროტიკულ დისციპლინას ემორჩილება და nude-look-ის (სიშიშვლის იმიტირებადი ტანისამოსის) ფერწერული დესკრიფციის შემთხვევაში, ე.წ. „მეორადი სიშიშვლის“ რეპრეზენტაციას მოასწავებენ.

ესაა დისკურსი, რომლითაც წარმოგვიდგება „სხეული, რომელზეც ოცნებობენ“; და „ეს სხეული — მოდელის საკუთარი ტანია“.

პოეტისა არ იყოს, „თუ არ გინახავს, მოდი და მნახე, რომ ეს სხეული ჩემი ტანია“; თუმცა, ეს პერსონაჟები სათნოებისაგან საკმაოდ შორს დგანან (თუ წვანან).

ასე ხორციელდება „მეორე კანის“ ლაიტმოტივი; თავად კანი კი, როგორც ასეთი, წარმოსდგება არა როგორც საკუთრივ, „სიშიშვლე“, არამედ ეროგენული ზონა-ნივთიერებათა კონტაქტისა და გაცვლის, შთანთქმისა და გამოდევნის ეს სენსიბილური „რეპერტუარი“...

თვით კანის ფორებიც კი, „მეორე კანის“ გულისთვის უარიყოფა; მეტაფიზიკურად, ეს ფორებიც, სადემარკაციო „ნახებია“, მაგრამ, ფერწერასთან რა ხელი აქვს?!

აი, თვით „მეორე კანი“ კი, ფერწერის დისკურსული ობიექტია და სწორედ ამას „მიანერს“ მხატვარი ისეთ თვისებებს, როგორიცაა, თუნდაც სიგრილე...

ამ გაგებით „გრილი ატლასი“ ნუდე-ლოოკ კი არა, საკუთრივ „მეორე კანია“, რასაც „ხაზს უსვამს“ ლისირება-ფლეციკირების ტექნოლოგია, რითაც სიშიშვლის ლამინირებაც ხდება და მისი სფუმატოსებრი სიგნიფიკაციაც; თანაც, ალეთოლოგიური სიაშკარავითა თუ დაუფარაობით წარმომდგარი სხეულის და ამ სხეულის სიშიშვლის, როგორც უტოპიის რეპრეზენტაცია ხორციელდება...

ეს — უკვე, ტანის იდეოლოგიაა; ტანისა, რომელიც არასოდეს წარმოადგენს ადამიანის ელემენტარულ ზედაპირს;

თუმცა, ზედაპირიცაა და ზედაპირიც; ნიც-შესი არ იყოს, „ბერძნები ზედაპირულნი იყვნენ — სიღრმიდან“ („მხიარული მეცნიერება“).

„შალვას ნანახ“ შიშველ ტანთა ზედაპირი არასოდეს არაა „გლუვი“, სუფთა, ბუნებრივი, ნატურალური, უკვალო...

ასეთი „პირველქმნილება“ თუ „დედიშობილობა“, როგორც მნიშვნელობა სხეულმა ერთგვარი გამოდევნის გზით შეიძლება მოიპოვოს; „გამოდევნისა“ — ნატურალისტური ილუზიის გაგებით; და ამ დროს, თავად სიშიშვლე ამჟღავნებს თავისებურ „იმუნტიტეს“ — „გამოხშირვას“, თავად ხშირავს და ცენზურის გარეგანი შარავანდედით — „მეორე კანითაც“ ხელახლა აღიჭურვება.

ამიტომაც არ ევიწროვებათ ამ ნიუებს სივრცე...

ასე იძენს კანი ნიშნის ვალენტობას და ფერწერული სიგნიფიკაციის პროცესში, ეს ძალა მით უფრო ორმაგდება: მუდამყამ, „მეორე კანზე“ მიანიშნებს.

ეს „მეორე კანი“ კი, უკვე მეტაფორ(მ)აა; არა—



არა საბოლოო, მაგრამ, ყველა შემთხვევაში — ერთადერთი...

მხატვარი ახერხებს, კლასიკური სამშრინი ფერწერით წარმოგვიდგინოს სიმიშელის, როგორც ნიშნის სიჭარბე; ნიშნისა, რომლის „მუშაობაც“ სხეულის, როგორც ტოტალიზაციის ფანტაზმატურ რეპრეზენტაციასა გათვლილი.

მხატვარი საკუთრივ ფერ-წერით ახდენს შიშველ სხეულზე ნიშნების „და-ტანას“ და სხეულებრივ მასალაშივე იმეორებს კოგიტალური არტსუბიექტის მეტაფიზიკურ ოპერაციას, რაც ანტონენ არტოსაც ეხმიანება: „მეტაფიზიკა ტვინებში კანით შეჰყავთ“ — ასე იტყოდა „სისასტიკის თეატრის“ შემოქმედი.

დაბოლოს, აქ კიდევ ერთი ნარატივი „მუშაობს“ — ესაა „ნარცისიზმი“, ოლონდ ესაა „მართვადი ნარცისიზმი“ ანუ ფროიდისეული ტრანსკრიფციით, იმგვარი ნარცისისტული სუქცესია, რომლითაც მხატვრის პერსონაჟებს ძალუძთ თავიანთი „მე“-საგან გაუცხოება, თანაც ერთგვარი კენოზისის (თვითდამცირების) ვექტორით...

და ამ ნარატივის პროტაგონისტიც ქალია; ქალი, რომელიც სულაც არ ლამობს, რათა უყვარდეს; საკმარისია, ის თავად იყოს საყვარელი; და მზადაა, დაკმაყოფილდეს მამრით, მის ამ უმთავრეს პირობას რომ უპასუხებს.

ასე აჯილდოებს ქალი თავის თავს—საკუთარი ტანით და ამ „ჯილდოებითვე“ გვთავაზობს მხატვარი ტანის სილამაზის მთელ რიტორიკას.

ესაა სილამაზის ფუნქციონალურად რეფლექტირებული ამაღლება, როგორც ნიშანთა რეალიზაცია და გაცვლა; და როგორი ფანტაზიებიც არ უნდა თამაშდებოდეს მხატვრის ეროტიკულ თეატრში, ის მაინც ღირებულებათა რაციონალურ ეკონომიკას ემორჩილება.

ისე გადაგვიშლიან სილამაზის საუფლოს, როგორც ვირტუალური აუტოეროტიული ქვეყ-

ნის რუკას, მასზე, პრეციოზულად დატანილი სხეულებით...

ამ „ქვეყანაში“ ბევრი ინტრიგაც თამაშდება; და ბევრი „მაქინაციაც“, თუნდაც მაგალითად, ინვესტიციების „გადაქაჩვა“ ტანიდან — ეროგენულ ზონებზე...

ნარცისისტული ცდუნებაც ბევრი ახლავთ ამ პერსონაჟებს და საკუთარი სხეულით, როგორც ღირებულებით მანიპულაციებიც; ტანისეული „ინვესტიციების“ ლიბიდალურ-სიმბოლური „დესტრუქტურაციებიც“ და ამ ინვესტიზიაციათა „რესტრუქტურირებებიც“, „რეაპროპრიაციებიც“ და საზრისული „მონიტორინგებიც“, როცა სურვილის აღსრულება კოდზე გადაიტანება...

და ყოველივე ეს — მართვადი ნარცისიზმი; და რაც ასევე ნიშანდობლივია — ესაა მართვადი ძალადობა; ძალადობა, როგორც კულტურული მეტაფორა, მით უფრო, როცა საქმე ეხება ფერწერას, თანაც, ეროტიული ფანტაზიებით გაჯერებულს...

ბოლოს და ბოლოს, მხატვრობა — უკვე ეროტიული დაუფლების ფორმაა, ამიტომ ამბობდა რენუარი: მე საკუთარი ასოთი ვხატავო.

\*\*\*

გი დე ტურს აქვს ასეთი სონეტი, 1598 წლით დათარიღებული, სადაც რენესანსული პოეტური კანონი მოხმობილია მატრიცის სახით, რომელზეც გა-დაინერება ერთგვარი მეტატექსტი.

საგულისხმო ამ მატრიცაში ისაა, რომ პოეტი მაყურებელს — მკითხველი კი აქ. დიახაც, ათვალეირებს ტექსტს — ქალის სხეულის მარტოოდენ ფრაგმენტს მოუვლენს; სახელდობრ, ეროგენულ ზონებს, *pars pro toto*-ს წესით... მსხვილი კადრით მოვლენილი ეს „ნაწილი“ (მთელის ნაცვლად) კი, საკუთარ თავში იტყვს მდედრის ხატს და ყოვლის შთანთქმელ *vagina dentate*-ს კი არა, საკუთრივ, კაცთა მოდგმის საშოს — *vagina hominum*-ს წარმოგვიდგენს.

ქალის ტანი და მისი რეპრეზენტამენი — კაცობრიული საშო თითქოსდა, მცენარეული (და ცხოველური) ელემენტებისგანაა აგებული.

ამ მხრივ, გი დე ტური (ჟიზელ მატეიე-კასტელანის რეცეფციით) მართლაც ემეზობლება ჯუზეპე არჩიმბოლდოსეულ მანიერისტულ—ასამბლაჟურ დისკურსს; დისკურსს იმ არჩილბოლდოსი, რომელიც, სხვათა შორის, ერთადერთი მხატვარი იყო ვისაც სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა როლან ბარტმა.

ქალის სხეულს შალვა მატუაშვილიც, მცენარეული სტრუქტურიდან „ბადებს“; ფლორა — მისი, მარტოოდენ უსაყვარლესი ფემინური ალეგორია კი არა, თავად ქალის „მეორე სახელიცაა“; მისი მცენარეული კულტურული ჯიშისა და გენეტიკის სათავე...

მერე და მერე, იწყებს მხატვარი ამ უნივერსალური სახე-სიმბოლოს დეფლორაციას; მერე და მერე, „წყვეტს ყვავილს“ და ისე განიცდის ფერწერის „ენით სიამოვნებას“, ამ ენით ტკობას...

XII საუკუნის პროვანსელ ტრუბადურს, გვარად—მარტის აქვს სტრიქონები, რომელიც

პნკარედულად ასე ჟღერს: „მე ვაკავშირებ სიტყვებს და ვათავისუფლებ ბგერებს, ისევე როგორც ენა ეუფლება ენას კოცნისას“.

აი, ფერწერაშიც, დაახლოებით ასევე გვესახება „ენით სიამოვნება“ — ესაა ფერთა, ქრომატულ ლაქათა, ტონთა თუ ნახევარტონთა, ვალიორთა ანტიმიმეზისური დაკავშირება და საკუთრივ, ფერთი წერის პროცესშივე — ქალის, ამ კაცობრიული ფლორას ტანით ტკობა; ქრომატული ლაციცი ამ ტანზე და მისი ვირტუალური დეფლორაცია; ლოტრემამონისეული იმენ — ის გაპობა თუ გახლეჩა...

ეს — მთელი ეროტიკული საკულტო პრაქსისია...

და ამ, ენით აუნერელ პრაქსისში ჩაბმული და რალაც ბიბლიური პარფიუმებით ცხებული პერსონაჟები ჩვენი მხატვრისა, თითქოსდა, ზესექსუალური არსებანიც არიან; ნელსაცხებლებით გაბრუნებული (და „გაბრიყვებული“) ანდროგინები, ციურ სხეულებთან და საზოგადოდ, კოსმოსთან უკანონო კოიტუსებში ეჭვმიტანილი პირველქალები და პირველკაცები, პროტომდედრები და პროტომამრები, პროტოადამები და პროტოვეები, ყველაზე მეტად, ამ უკიდევანო სამყაროსთან არომატულ-ეროტიკული ლტოლვა რომ აკავშირებს.

აქედან — ერთი ნაბიჯია პერვერსიამდე...

იქნებ, ჩვენც გამოვედევნოთ ამ სურნელოვან-ლობიდიზირებულ ტრაცე-ს; ანდა, ეგებ, ოვიდიუსისეულ „მეტამორფოზებამდეც“ მიგვიყვანოს ამ ნაკვალევმა, სახელდობრ, ერთ-ერთ მითთან, ლადანს რომ უკავშირდება და პლასიტო ლატანციოს თანახმად, თავდაპირველად, ჰესიოდესთან გვხვდება.

რა ხდება ამ მითში?

ჯერ ისა ვთქვათ, რომ ამ მითში და მის ონტოტექსტში იძენს არქეტიპულ მნიშვნელობას არომატულ ნივთიერებათა საკრალური როლი საკულტო დისკურსში.

ლადანის მითის ნარატივის კვალობაზე, აფროდიტე გადანყვეტს, შური იძიოს მზეზე, რომელმაც გაამხილა მისი უკანონო ეროტიკული კონტაქტები და მზეს გაუმიჯნურებს სპარსთა მეფის, ორკაბის ასულს — ლევკოთას.

სწორედ ეს უკანასკნელი განაგებს არომატა ქვეყანას.

მეფე კი, განაწყენებული იმით, რომ მზემ გაუბედა ქალიშვილის შეცდენა, მის გაუჩინარებას განიზრახავს.

ორკამი ასულს (?) ღრმა ორმოში დაფლავს და ამ ორმოს ამოვსებას ბრძანებს ქვიშით...

მზე თავისი მიჯნურის განთავისუფლებას განიზრახავს, მაგრამ, უკვე გვიანია — მისი სხივები უძღურია, გაათბოს და მოასულიეროს იგი.

და მაშინ, მზე ლევკოთას ტანს კურთხეული ნექტრით აპკურებს, მერე კი, ფიცსა დებს, რომ რალაც არ უნდა დაუჯდეს, ზეცად აამალლებს მის სხეულს.

მინდა დაგაჯეროთ, რომ შალვა მატუაშვილისეულ სურათთა ჯერარსულ ნარატივშიც, ეს ანტიკური მისტერია თამაშდება; მისტერია ვარიაც-

იებით...

ისიც მინდა დაგაგემოვნებინოთ, თუ მხატვარი თავის ვალორიზებულ ქვაბულებში როგორ ნთქავს პერსონაჟთა ტანებს, მერე კი, თავად რომ ვეღარ ასულიერებს, ერთგვარ ფერწერულ ნექტარს აპკურებს და რალაც ზეციური, მეტაფიზიკურ მცენარეთა ხატებად წარმოგვიდგენს.

მაშ, ასე: მამამ გადანყვეტა, შეცთომილი ასული მიჯნურისათვის მოეცილებინა და მზისგან, რაც შეიძლება შორს წარეტაცა, გადაეხვეწა...

ხორციელი სიკვდილისათვის, ფიზიკური არყოფნისათვის განწირული ლევკოთა „სხვა“ უკიდურესობას მიაღწევს — არომატულ მცენარედ, ერთგვარ რიზომატულ სხეულად, ღვთაებრივი მინისქვეშა ორანჟერის მცენარეულ ხატად მოგვევლინება.

მზისგან განშორებული, განწვალებული და სიღრმისათვის განწირული, მზისკენვე ამოწვერილ — უფესვო, მაგრამ ხაზგასმულად ზედაპირულ მცენარედ ამოიზარდა, რათა ხელახლა, ან კი სამარადუამოდ ზიარებოდა ნათელს.

ამიერიდან, არომატული ნივთიერება, სახელდობრ, ლადანი ფლობს პრეროგატივას, გაათანაბროს ზენა და ქვენა, წარხოცოს ზღვარი სიღრმესა და სიმაღლეს შორის; ამოძირკვოს და ფევსს ჩაუნაცვლოს თავად მცენარე, ღვთაებრივი მიზიდულობის ერთადერთ წყაროდ კი, არომატი დაგვიჩაბოს.

არომატის და-სახვა — სულ „სხვა“ დისკურსია!

ასე წარმოგვიდგება სუნი; სურნელი...

ასე წარმოგვიდგენენ ღვთაებათა მიმზიდველ არომატებს...

და მგონი, ფინალისაკენ მიმავალი ამ პოსტკრიტიკული მითის „კულტურული გმირიც“ უნდა ფლობდეს ღმერთების თუ არა, ოლფაქტორულად დაგეშილი მაყურებლის მიმზიდველი ფერწერული არომატების მომზადების ხელოვნებას მაინც...


მთავარია, ამ სურნელს მალე არ გაუვიდეს ძალა...

P.S. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა. ნუთინუთზე, ცინცხალი ამბავი გადმოსცეს ტელევიზიით: თურმე, ნუ იტყვით და, სახელგანთქმულ ფრანგულ სუნამოებში ტოქსიკური ნივთიერება აღმოუჩენიათ, ადამიანის ჯანმრთელობას რომ ემუქრება.

რას იზამ, სურნელებაც მსხვერპლს მოითხოვს!

17 ნოემბერი  
2005 წელი

## ბამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ ბამომცემები



### ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:  
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;  
„ელვასერვისი“, იოსებიდის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“ – ტელ: 95-51-70,  
და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43  
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შექმნა შეგიძლიათ რედაქციაში.  
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ლექსო ოთარაშვილი

სალომე ფორჩხიძე

ოპერატორები::

მაია ჯინორიძე

თამუნა ოთარაშვილი


რედაქციის მისამართი:

ნუცუბიდის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4  
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში



შალვა მატყაშვილი



6. 29/34

